# არილი

№6 (192) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 31 აგვისტო
ფასი 1.50 ლარი

1134
2003



#6
2003

ორჰან ფამუქი
მე მქვია რომანი



# არილი

http://www.opentext.org.ge/arili

წკაპ HERE

ბესო ხვედელიძე

# ყველა



რა დასაჯერებელია და - ყოველ ცისმარე დილით, ერთიდაიგივე დროს, მელვიძება საოცარი განცდით, რომ ვარ ყველა ერთდროულად. ამის ხორციელი შეგრძნება არაფრით მიშვებს და საშინლად მაფრთხობს. ლოგინშივე ვცდილობ მის გამომწვევ მიზეზებამდე მისვლას, მაგრამ არაფერი გამომდის. იქვე ვხვდები, რომ პასუხი არ არსებობს და იქვე იმასაც ვგრძნობ, რომ ეს მდგომარეობა საკუთარი რაობის თაობაზე (ამ მოულოდნელ გარდასახვაზეც) ისევე ვერაფრით მომცემს პასუხს, როგორც ვერც ერთი ადამიანი ვერ აუხსნის მეორეს, თუ რატომაა ის ადამიანი და არა ვთქვათ, სიტყვაზე - ქვა. ამიტომაც, ბევრს სულ არ ვფიქრობ ხოლმე - უბრალოდ, დიდ ოთახში გავდივარ და სარწეველაში მჯდომ ბებიას ვეუბნები:

- ბებო, მე აღარა ვარ მხოლოდ კოკა!

- ჩადი, პური ამოიტანე! - აგდებულად მპასუხობს ლუპით გაზეთს ჩაშტერებული ბებია.

- გაიგე, რა ვთქვი?! - ვბრაზდები უცებ.

- ჯერ არ დავყრუებულვარ! - თავს სწევს ბებია. - ძველებური, ევროპული მოკლე თოფი!... ექვსასოიანი!...

- აბრეზი! - ვუხეთქებ და ამასთან ისევ ვმშვიდდები: - კი არ გატყუებ... მართლა ყველა ვარ... სუყველა ერთად!...

- ვიცი... ვიცი... - მამშვიდებსსავით ბებია. - ცოტა მამაშენიც... ცოტაც - დედა... ბაბუაშენებიც... ცხონებული ლიდაც... ცოტაც მე და...

- ეგ ცოტაა... - მწყდება გული. - სუ-სულყველა-მეთქი!!

- ზანგებიც? - უკვირს ბებიას.

- ზანგებიც და ინდიელებიც! - ვამბობ ხაზგასმით და ბებიას თვალს თვალში ვუყრი.

- ჩადი... ჩადი... - იქნევს ბებია ხელს. - ფული სერვანტზეა... სამი ცალი... და ერთიც შავი წამოიღე!...

- ჯერ რადიო მაქვს...

- მერე არ დაგავიწყდეს...

მოწყენილი ვბრუნდები ოთახში. აშკარა განცდა - რომ ერთდროულად ყველა ვარ, მაინც არ მიშვებს. "არავინაც არაფერი არ იცის!" - ვბრაზობ ბებიაზე და ამავდროულად ყველაზეც, ვინც ამ დროს ვარ - სულ-სულ ყველაზე, ანუ მათ შორის საკუთარ თავზეც. ვიცვამ. ფულს ჯიბეში ვიდებ და სახლიდან გავდივარ. სადარბაზოს გრილ კიბეებზე დაშვებისას, საკუთარი თავის მიყურადებაში გართულს აუცილებლად მეზობლის ხორციანმკლავება, შავკაბიანი ქალი უნდა შემომეფეთოს.

- გამარჯობათ... - ვამბობ ჩემთვის და ვცდილობ ისე ჩავიარო, ზედ არ შევხედო, მაგრამ ამას ვერასდროს ვახერხებ, რადგან ქალი თავად მაყოვნებს ხოლმე.

- გაზზე იყვნენ თქვენთან?

- ვინა?

- გაზისკაცები - ვინა?! - ლიზიანდება მეზობლის ქალი. - რა გჭირს ამ ბოლო დროს კოკა?!

მე მხრებს ვიჩეჩავ.

- მე არა მხოლოდ კოკა ვარ აწი, ნანული დეიდა...

ამის გაგონებაზე მეზობლის ქალი აუცილებლად უნდა შეცბეს. ჯერ დაფიქრდეს. მერე ფართოდ გაიღიმოს და ლოყებზე ფოსოები ჭიპებივით დაემჩნეს.

- ძალიან კარგი მერე, კოკა! არ იყო დრო თუ? თან რვა საათია უკვე... მაგას რა ჯობს ჩემო კოკა! როგორ გამახარე თუ იცი, როგორ... არა, მაინც მითხარი, აი როგორ გრძნობ, ჰა?... მაინც როგორ ყველა - კორადო კატანიც?

- კორადო კატანიც და აბდულოვიც! - ვამბობ ხაზგასმით და ხელებს განზე ვშლი.

მეზობლის ქალმა ალტაცებით უნდა შემოჰკრას ტაში.

- არა, შენ მართლა არ იცი, როგორ მიხარია და ყოჩაღ, კოკა! ყველას ყველაფერს მოვუყვები, კოკა! ყველას ვეტყვი, რომ ეს შენ დაგემართა, კოკა და თეთრ კაბასაც ჩავიცვამ!

- დიახ...

- და ალბათ მაგიტომაც გააძვირეს გაზი, არა?

მეზობლის ქალი გემრიელად მიკოცნის ხოლმე ორივე ლოყას ლოყას და კოტიტა ნაბიჯებით არბის კიბეზე. "...ყველა მინდა ახლა მე?" - ვეკითხები საკუთარ თავს. მერე ნოტიო ლოყებს ხელისგულებით ვიწმენდ და კიბეზე კისრისტეხით ვეშვები. შეგრძნება, რომ ისევ ყველა ვარ ერთდროულად, მაინც ბეწოთიაც არ მიშვებს.

სადარბაზოდან ეზოში გამოვარდნილს თვალს რიჟრაჟის მზე მჭრის და შუბლს მაჩრდილინებს. იქაც აუცილებლად მეზობელი უნდა დამხვდეს - მუდამ შავებში გამოწყობილი მამაკაცი: ცალ ხელში ნაჯახით და მეორეში თეთრი ქათმით. ჩემს დანახვაზე წელში უნდა გაიმართოს, ნაჯახი დაუშვას და ლამის ქერტლიანი თმითაც გამიღიმოს.

- რაა რო დაბლაყუნობ ამ დილაუთენიას?

მისალმების ნიშნად ხელისგულს ვანახებ და უცებ ვიწყებ.

- აღარაფერი აღარ ვიცი, ედიკო ძია...

და იმასაც საოცრად უნდა გაუხარდეს.

- ძალიან კაი მერე!... ვინც იჩემებს - ვიციო, ზუსტად იმან არ იცის არაფერი!... რამე იცოდნენ, ეგრე კი არ იქნებოდა!...

- აბა? - ვინტერესდები უგულოდ.

- გეუბნები - ჩაიკეტებოდნენ!... დაიმალებოდნენ!... დავიწყებაზე იჩალიჩებდნენ!...

პასუხად მხოლოდ მხრებს ვიჩეჩავ.

- და ერთდროულად ყველა რომ ვარ?

ამის გაგონებაზე მეზობელს ნაჯახიან-ქათმიანად უნდა აურიალებდეს და თვალები უბრწყინავდეს.

- მაიცა, და ჯორჯ ბუშიც?

- ჯორჯ ბუშიც და რეიგანიც! - უნდა ვთქვა ხაზგასმით და გავიბადრო.

ისიც უმალ უნდა ამყვეს.

- ვა, აბა ძმაო, შენ გაგილვიძია, თუ გაგილვიძია!... უჰ, შენ გაიხარე, კოკა-ჯან!... ეგ რა კაი რამე მითხარი თუ იცი!... მაგიტომ დებდა ეს დამთხვეული წითელ კვერცხებს, არა? - ზიზღით უნდა დახედოს გალურსულ ქათამს. - მეც არა ვთქვი?...

მე თავს ვუქნევ.

- აბა შენ თუ ყველა ხარ და აღარაფერი იცი, დაგვდგომია ესე იგი საშველი და ეგაა!... აღსანიშნია მაგ ამბავი კოკა-ჩემო...

- არ ვიცი... არაფერი აღარ ვიცი...

- ახლა ამას წავაგდებინებ თავს... მერე ნანუჩიას შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაბრაწინებ... მერე ასალები ავილოთ და მოვირთხათ ფეხი... მოვყვეთ რამე... რაც ვიცით და არ ვიცით...

"და არაფერიც არავინ არ იცის..." - უნდა გამეფიქროს ამ დროს, თავი თანხმობის ნიშნად დავუქნიო და ეზოდან გავიდე.

ქუჩაში ხეებს ჭრიან. ტოტები ლაწალუწით ცვივა ასფალტზე. თავიდან, ამის დანახვაზე თითქოს გულიც უნდა ჩამწყდეს, მაგრამ იქვე გამიშვას.

"ცეცხლიც მაშინ მოიგონეს, როდესაც პირველი ხე გახმა..." - მახსენდება თითქოს საიდანღაც ამოკითხული და შორიდან ჩემს ყურთასმენას ცოცხების ქნევის ხმა სწვდება. ხიდზე გადასვლისას მდინარეში ვაფურთხებ და გორაკისკენ ამავალ გზას მივუყვები.

მალე შენობასაც ვხედავ. შეგრძნება, რომ ისევ ყველა ვარ ერთდროულად კვლავაც არ უნდა მტოვებდეს. შენობის კარის ანჯამები სევდიანად ჭრიალებენ. მარმარილოთი მოპირკეთებულ გრილობში მკაფიოდ მესმის ჩემივე ნაბიჯების ექო, ლიფტიდან გამოსულს კი სტუდიის მოლიავებული კარიდან მაილს დევისის საყვირის ნაღვლიანი ხმა მწვდება.

სტუდია მზიანი რიურაჟითაა სავსე. კუთხეში, სკამზე ღამის წამყვანი თვლემს. თაროდან "ლედ ზეპელინის" კომპაქტს ვიღებ და ეთერში გასაშვებად ვამზადებ. თან ჯიბიდან პაპიროსს ვიცურებ და ვუკიდებ. ოთახში მომწკლარტო სურნელი იწყებს ტრიალს. ბზრიალა სკამზე ჩამომჯდარი მუსიკას ვაყურადებ. საყვირი ისევ მახსენებს, რომ კვლავაც ყველა ვარ ერთდროულად და პაპიროსს მორიგ ნაფაზს ვარტყამ. ბოლს კაი ხანს ვიჩერებ ფილტვებში. მერე კუთხეში მთვლემარე ღამის წამყვანისკენ ვუშვებ და ისიც უმალ იფშვნეტს თვალს.

- ვა... როდის მოხვედი?
- მოწევ?
- კი... ახლახან ჩამეძინა.

პაპიროსს კიდევ ერთ ნაფაზს ვარტყამ და ღამის წამყვანს ვუწვდი. ის ფეხზე დგება. პაპიროსს მართმევს და კბილებში იჩრის.

- რა ხდებოდა?
- არაფერი... რეკავდნენ...
- რაო?
- არ მესმის ამ ზანგებზე რატომ ირევიან...
- მაგათაც უნდა გაუგო...
- ვისა?
- დარვინისტებს...

პულტისკენ მიტრიალებული თავზე ყურსაცვამებს ვირგებ და მიკროფონს ვხსნი. ცოტა ხანში ოთახი "ლედ ზეპელინის" ენერგიული სიმღერით ივსება. მერე ყურსაცვამებს განზე ვდებ და ღამის წამყვანს ვუტრიალდები. ის გაღიმებული სახით დგას და სანახევროდ ჩამწვარ პაპიროსს მიწვდის.

- აღარ მინდა... გავგიჟდები...

პაპიროსი უნდა ჩამოვართვა და თვალი ჩავუკრა.

- სხვა რას შვები?

პასუხად მხრებს იჩეჩავს.

- არ ვიცი, ცოლი მოვიყვანო თუ თურქეთში წავიდე?
- ჯერ ერთი ქენი, მერე მეორე...
- ჯერ რომელი?
- ჯერ სახლში წადი და დაიძინე.
- სიმღერა თავდება.

უნდა მივტრიალდე. კვლავ ყურსაცვამები მოვირგო. მიკროფონში ომახიანად წავილაპარაკო. თან "ლედ ზეპელინის" სიმღერას ჯიმი ჰენდრიქსის "ჰეი, ჯო" გადავაბა და ყურსაცვამშეხსნილი ისევ ღამის წამყვანს მივუტრიალდე. ის უკვე კარებთან დგას.

- წახვედი?
- კი... თავი რატომ გადაიხოტრე?
- გამამწარა.
- თმამ?
- არასწორმა ცხოვრებამ.
- მერე?
- მერე დღეს გავილვიძე და მივხვდი, რომ ყველა ერთდროულად ვარ...
- ეგ როგორ... სტენლი ტარენტაინიც?
- ტარენტაინიც და ბობ მარლიც...
- ვა... აბა შენ იცი!

ღამის წამყვანი დასამშვიდობებლად მიწვდის ხელს. პასუხად პაპიროსს უკანასკნელი ნაფაზს ვარტყამ და ფართოდ ვიღიმები - მერე ენერგიული მუსიკის ბურუსში გახვეული ფანჯრიდან ხელისგულივით გაშლილ ქალაქს ვხედავ. ქალაქს დილის ორთქლი ასდის.

ბზრიალა სკამიდან წამომდგარი ფანჯარას ვუახლოვდები და ვიზმორები. დილის სიგრილე სასიამოვნოდ მელამუნება სახეზე. ცხოველი შეგრძნება, რომ ისევ ყველა ვარ ერთდროულად წამითაც არ მიშვებს. გაღიმებული ვუბრუნდები პულტს. ოთახში "ქრიდენსის" მხიარული სიმღერა იწყებს ტორტმანს. თითებს მაგიდაზე ვათამაშებ და სიმღერის რიტმს ვაყოლებ. ამ დროს სელექტორიც ხრიწინებს.

- მოხვედი? - უნდა შემეკითხონ. პასუხად თითს ღილაკს ვაჭერ:
- როგორა ხარ?

სელექტორი ისევ ხრიწინებს.

- ბედოვლათი როგორ დაგხვდა?
- არა უშავდა... რა ქენი?
- გავასხი ამის დედა ვატირე...
- რომელზე?
- კალათბურთში ორი ნიჩია დაჯდა.
- გეუბნებოდი.
- შენა?
- მე კიდევ დილიდან ყველა ვარ ერთდროულად...
- მალადეც! რეკლამების გაშვება არ დაგავიწყდეს.

სიმღერაც სრულდება. სიგარეტს ვუკიდებ და ეთერში გასაშვებად სარეკლამო ბლოკს ვამზადებ.

ნელ-ნელა შუადღეც აბიჯებს სტუდიაში. შუადღე ცხელი, დამხუთავი, უჰაერო და პაპანაქება...

მორიგეობის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერია დარჩენილი, ტელეფონი შეთქმულივით რომ იწყებს წკრიალს.

- გამარჯობა! - მესმის ყურმილში ასევე წკრიალა ხმა.
- დიახ-თ...
- როგორა ხარ?
- როგორ ვიქნები... - ვიწყებ და აღარ ვამთავარებ.
- ... მე დიდი მადლობა მინდოდა მეთქვა ყველას მაგივრად...
- ...ჰა?
- ალო!... არ ისმის?
- ... ვინ ყველას მაგივრად?
- რა ვიცი... დილიდან რადიო მაქვს ჩართული... და ერთი სიმღერაც რომ?...
- რომელი?
- ჯონ ლენონის, სათაურში "სთართინგ ოვერ" რომ ურევია.

დილიდან მოყოლებული პირველად უნდა წამკრას კეთილმა წინათგრძნობამ. ჯონ ლენონის შეპირებული სიმღერა სულ ბოლოსკენ უნდა გავუშვა და მის ფონზე ყველას დავემშვიდობო.

სიმღერას ყურადღებით ვუსმენ. ვცდილობ მასში მისი მთხოვნელი ვიპოვო. ისევ ცხადად უნდა მომიცავს შეგრძნებამ, რომ ყველა ვარ ერთდროულად. მერე თავი უნდა გადავაქნიო და გამოვეფხიზლდე.

თავზე შემდეგი სმენა მადგას.

- რას გავხარ?
- რას ვგავარ?...
- ნამეტანი კაი ეთერი გქონდა...
- დილიდან მგონია რომ ყველა ვარ ერთდროულად... ბაია როგორაა?
- ძველებურად... ორ ღერ სიგარეტს დამიტოვებ?
- სამს.
- სამი არ მინდა... ერთი უკვე მოვწიე...

ისევ ლიფტით უნდა დავეშვა პირველზე. ადმინისტრაციაში მდივანის მეტი არავინ უნდა დამხვდეს.

- სად არიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ანძაზე წავიდნენ.

მდივანი გამოცარიელებული სახით ჩასცქერის კროსვორდს.

- ვაიმე, ხომ არ იცი , ფეხბურთის მეფე, პ-ზე იწყება, ე-ზე მთავრდება. ოთხასოიანი!

- ოთხასოიანი? - ღიმილით ხვანჯარზე უნდა დავიხედო.

- დებილო! - უნდა მითხრას მდივანმა და თავი კვლავ კროსვორდში ჩარგოს.

შენობიდან გამოსული ქუჩას ვჭრი და ვჩერდები. დრო თავზე საყრელადაა. უნდა მიმოვიხედო. მარჯვნივ მეტროს შესასვლელია. ხელმარცხნივ ქუჩა გრძელდება. პირდაპირ მიწისქვეშა გადასასვლელს აქვს პირი დაღებული. მეტროს შესასვლელისკენ ხალხის ნაკადი მიემართება. ქუჩაში უფრო კანტიკუნტად არიან - ძირითადად მაინც ჭრელა-ჭრულებში გამოწყობილი ტურისტები.

"მართლა ყველა ვარ... ყველა ერთდროულად..." - ვბუტბუტებ ჩემთვის. მერე პირველივე სამრშუტო ტაქსს ვუქნევ ხელს და მძღოლის გვერდით ვჯდები.

- სარკეზე არ მომეფარო! - მაფრთხილებს მძღოლი და მეც ვვიწროვდები. საზურგეს ვეყრდნობი. რადიოში საინფორმაციო გადის. აცხადებენ, რომ მსოფლიოში უკვე ორთავიანი ადამიანები იბადებიან.

"სად ვცხოვრობ?" - ვღიზიანდები ჩემდაუნებურად, სამარშრუტო ტაქსს ვაჩერებინებ და პურის მაღაზიაში შევდივარ.

იქ როგორც ყოველთვის არავინ მხვდება.

- ვერა! - ვაკაკუნებ დახლზე და ვაყურადებ. პურის თაროები როგორც ყოველთვის შავი და თეთრი პურითაა გადავსებული. კედელზე პლაკატია გაკრული, რომელზედაც უდაბნო ჩანს. იქვე მინაწერია: "მე მქვია მიწა, რომელსაც არ მიკარებია ქუსლი და თოხი, სადაც არ დათესილა პური და სიმინდი, რომელიც არ გადაუჭამია სარეველას!"

- ვერა! - ვიმეორებ კიდევ უფრო ხმამაღლა და პურს მე თვითონ ვწვდები; სამ თეთრსა და ცალ შავს პაკეტში ვდებ. ჯიბიდან ფულს ვიღებ. ზუსტად ამ დროს მაღაზიის საწყობის მიხურული კარი იღება და იქიდან საანგარიშოთი ხელში ვერა გამოდის.

- ვერა, სამი პური ავიღე, და ერთიც შავი... აგერ ფული!

გამყიდველი ფულს აცქერდება და სახიდან ღიმილი გადასდის.

- ვინაა შენი ვერა?!... ვერას მე ქმარი არ მეძახდა მე! პირველი!... არც მეორე! ვერა გიორგევნა - ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომეთ ყველამ - შენც და იმ დანარჩენებმა!

- ვინ დანარჩენებმა? - ვიკატუნებ თავს.

- ვითომ არ იცის?!... უყურე ერთი ამათ! არ გაუტოლეს თავი ყველას?!

"ერთხელ და სამუდამოდ..." - ვიმეორებ ჩემთვის და ძალიან მინდა ხოლმე პურიანი პაკეტი დავუშვა გამყიდვლის თავზე. მერე იქაურობა მიმოვლეწო და ისე გავიდე მაღაზიიდან - თუმცა იქვე მახსენდება, რომ დილიდან ყველა ვარ ერთდროულად და ბრაზიც უცებ გამდის. ალალი ღიმილით მიმაქვს სახე ახლოს აფოფრილ გამყიდველთან და თვალებს ვაჭყეტ.

- ვერა გიორგევნა, დღეს ჩემი ხელისგულები - შენი ცხონებული ქმრების ხელისგულებიცაა...

გამყიდველი მოულოდნელობისგან ადგილზე ხტის და სახეს ჭარხლისფერი უფარავს.

- რაო-რაო?!... - უნდა მოიმარჯვოს საანგარიშო. - დახე ვის მიდარებს თავს ეს არანორმალური, ესა?! რეებს კადრულობ შენ თუ იცი, რეებს?!

- ვერა გიორგევნა, დღეს მე სულყველა ვარ ერთდროულად... - ვპასუხობ მშვიდად და ისიც ამის გაგონებაზე საერთოდ ხევდება.

- ვანგაც? - უკვირს ხმის კანკალით.

- ვანგაც და კაშპიროვსკიც! - ვამბობ ხაზგასმით და მაღაზიიდან ქუჩაში ძალიან სწრაფად გავდივარ. იქ ისევ ხეებს ჭრიან.

"ერთი წავა და სხვა მოვა..." - მომდის თავში და ეზოში ვუხვევ.

ეზოში თავმოჭრილი ქათამი ხტის, მისი მოჭრილი თავი კი კუნძზე დევს და უმწეოდ ასავსავებს ენას. შავტანსაცმლიანი მეზობელი გაბადრული შეჰყურებს ამ სცენას.

- უჰ, შენ კიდევ გღვიძავს? - იღრი ჭება ჩემს დანახვაზე. - ადი, ადი, ცოტა დაიძინე... თორე ძაან ბევრი ხარ აი... მერე ჩამოდი და რაც გითხარი, ისე...

- ვიცი, ედიკო ძია... უკვე ყველაფერს ვხვდები...

- ვა, მაშინ შენ იმასაც უნდა ხვდებოდე, რომ დღეს "რომას" დღეა, ჩელენტანო ვიყო...

- როგორ? - ვერ ვხვდები მე.

- უეჭველი იქსდვაა, შავ ტრუსებში თამაშობენ და კიდევ "ბადახოსს" მივყვები იქსზე - ეგენი ხომ თეთრი ფორმით სხვას ვერაფერს შვრებიან. მე და პატარა ჩორტიკა მკითხავთან ვიყავით... ერთიანებია: "მალმიო", "პაოკი" და "მალათია." აზრზე ხარ?... ყველა თეთრებში თამაშობს...

ხელს ვიქნევ და სადარბაზოში შევდივარ.

კიბეზე ისევ მეზობლის ხორციანმკლავება ქალი უნდა შემომეფეთოს. ამჯერად ის უნდა ჩამოდიოდეს, მე კი ავდიოდე. ერთმანეთს რომ ვუსწორდებით, ალმაცერად მიყურებს და თავს დანანებით აქნევს. გაკვირვებული ვჩერდები.

- ეჰ, კოკა-კოკა! როგორ გამანაწყენე, თუ იცი?... სად აღარ ვრეკე, ვის აღარ ვახარე... მომტყდა თითი... ყველამ მაინც ერთიდაიგივე... სულყველამ... ტელევიზიებშიც კი ვიკითხე... ნიუსებშიც და ყველგან...

- რაო? - უნდა გავიყურსო ადგილზე.

- ეგ უკვე მოხდაო... ვილას ახსოვსო... ერთი ამბავი იყოო... ხელისგულებიც დაუხვრიტესო... შავ მიწას მიაბარესო... ეჰ, კოკა-კოკა... ამხელა ბიჭი ხარ და სულ აღარ გრხვენია... მე გავდივარ ორი საათით... სბერკასიდან დარეკეს... თუ მოვიდნენ, თქვენთან დატოვონ!

- რა? - ვითომ ვერ ვხვდები ვერაფერს.

- მაჯლაჯუნები! - მიცინის ქალი და კიბეზე ჩადის. - და სარკეში ჩაიხედე რას გავხარ!

"ყველას ერთდროულად"... - მეფიქრება ლამის კივილით და სართულს სირბილით ავრბივარ.

"ვა... რა ვუყო?" - ვეკითხები იქვე თავს და ვცდილობ, აი აქ, საკუთარი ბინის კართან მდგომი უცებ მივხვდე ყველაფრის მიზეზს - და მაინც არაფერი გამომდის. კარს ვაღებ, ბინაში ვაბიჯებ და ბებიას გავძახი:

- ბებ, მოვედი!!

მერე პური საპურეში უნდა ჩავდო და სარკეში ჩავიხედო. ახალს ვერაფერს ვამჩნევ - უბრალოდ სარკეშიც კი ვატყობ თავს, რომ კვლავაც ყველა ვარ ერთდროულად.

- რატომ მომატყუე, კოკა! - მესმის ამ დროს ბებიას ძახილი. - აბრეზი არ გამოდის!... ძველებური, ევროპული მოკლე თოფი-მეთქი!...

"არ უნდათ და ნუ..." - მეფიქრება ჩემთვის და საწოლი ოთახისკენ დასაძინებლად მივდივარ.

ჩემკენ მაინც არავინაა, და ვიცი ხვალ დილით, ისევ ასეთი, კიდევ უფრო ველარ ვიცნობ ამ ქალაქს, ამ ქვეყანას, ამ მსოფლიოს... ამიტომაც ვიძინებ თავიდან - რათა კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ ძველებურსა და არავისგან არაფრით გამორჩეულს - ბოლო-ბოლო მართლა გამეღვიძოს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუ



Ერთი, რაც ვიცი, რომ ნამდვილად ეგრე იყო, ისაა, რომ ადრე მე ვიყავი ბუ.

ბუ ხომ იცით რაცაა? - ბუ არის ბუ; და მე რომ ბუ ვიყავი და თან ქალი-ბუ, ამას მივხვდი მაშინ, როდესაც პლეხანოვზე დავინახე ვიღაც, რომელსაც ეჭირა გალია და ყიდდა სულ პატარა, ერთ ციცქნა ბუებს. გავჩერდი ისე, თითქოს ჩემი ნებით კი არა, ვიღაცას შევეჩერებინე. გავხევდი და შევაჩერდი. მერე სხვანაირად გავხდი - არც ცუდად და არც კარგად: უბრალოდ სხვანაირად, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. ერთი პირობა იქამდე გავსხვანაირდი, თითქოს საერთოდ გავქრი და აღარ ვიყავი. თითქოს ჩრდილიღა იდგა ჩემი ასფალტზე და მორჩა. არადა, რაც მოხდა, მერე მივხვდი - სახლში რომ შემოვედი. ვიწრიალე, ვიწრიალე და მაისური ავიწიე:

ძუძუებიდან რძე მომდიოდა.

დავიზაფრე და ვერაფერს მივხვდი. კაცის ძუძუები რაა და იქიდან რძე რაღა უნდა ყოფილიყო. ცოლს რას ვეტყოდი - საერთოდ გაიქცეოდა. ეგღა აკლდა, ისედაც ყელში ვყავდი ფოკუზებით. ჩემი ქალი-ბუობა უნდოდა? გაგიჟდებოდა საერთოდ.

ამეებს რომ ვფიქრობდი, აბაზანაში ვიდექი - სარკეში ვიყურებოდი და ვცდილობდი ჩემი ქალი-ბუობა გამხსენებოდა, მაგრამ არაფერი.

მერე ცოლმა მოაკაკუნა:

-რა არი ამდენი ხანი?!

-ჰო... ახლავე...

გამოვედი და ტელევიზორს შევხედე - მიტინგს არბევდნენ ხელკეტებით. მეც ეგეთი დარბეულს ვგავდი. იმ ღამით ძლივს დავიძინე. სულ ვბორგავდი. დამესიზმრა, რომ ზოოპარკი ვიყავი და ფრინველები გაქცეულიყვნენ. დილას კიდევ ცოლი დამხვდა - თვალებამოღამებული.

-...რატომ მიმწარებ სიცოცხლეს?!

-რა სიცოცხლეს? - ვერ მივხვდი ვერაფერს.

-მთელი ღამე ფეხებს იქნევდი და კიოდი...

-რა დებილობაა...

ის დღეები, არც სახლში, არც გარეთ, სამსახურში განსაკუთრებით, არ დავუტოვებივარ შეგრძნებას, რომ ადრე, ოღონდ არ ვიცი როდის - ვიყავი ქალი-ბუ. სამსახურის მერე, სპეციალურად შევედი ინტერნეტ-კაფეში და ერთი საათი ბუებზე ვკითხულობდი - მათ ქცევებზე, თვისებებზე. ყველაფერი გავიგე. საათს მეორე გადაება. მერე მესამე. გვიან მოვედი სახლში. ცოლმა:

-რა ხდება? რა გჭირს? რატომ სხვანაირი გახდი? მოხდა რამე?

მე ვუპასუხე:

-რაღაცეები.

ის გაიგუდა კინაღამ ბოღმისგან, იმიტომ რომ შევატყე სახეზე - იეჭვიანა.

-მარინა?

-ვინ მარინა?

-დებილი ხარ!

ის ღამეც არ ვარგოდა მისთვის. მე ვერაფერი, საერთოდ ვერაფერი და კიდევ უფრო გამწარდა - სულ ფრჩხილები მარჭო ზურგში.

-რატომ? რატომ? - შემომყიოდა.

მე ვუთხარი:

-არ ვიცი... არც მარინა ვიცი... შენც მავიწყდები...

მტკიცა და ამწვა. მერე საერთოდ გადაწვა იატაკზე და იქ იძინა პროტესტის ნიშნად. მე რა - მე დავრჩი იგივე... მერე ისიც გავიხსენე, რომ დიდ აღმოჩენებს დიდ-დიდი აღმოჩენების მერე თითქმის აღარ წყალობთ ზურგის ქარი და მარად განსაცდელს მიჩვეულები ამ ცხოვრებას უყურებენ ამოტრიალებული დურბინდით, ანუ ყველა ნიანგი მათთვის ხვლიკია, ანუ ყველა სპილო ბუზია. ეს საოჯახო ისტერიაც არაფერი იყო იმასთან შედარებით, რა შეგრძნებითაც ვიყავი მოცული. აწი და აწი, ყოველ დღეს ახალი გაკვეთილი უნდა მოეცა - ანუ გამხსენებოდა ჩემი წინა ცხოვრებიდან რაღაც-რუღაცეები.

* * *

რა მოხდება, რომ ამ დებილურ სამსახურში ყველამ თავი დამანებოს. აღმოჩენებში ვარ. მიყურადებებში. რა იციან ამათ. ისევ ის ვგონივარ - რაც გუშინ, ან იმის წინ... ახლა ეს დამიწყებს. ნახე რა აცვია... არ გამომელაპარაკოს თორემ...

-შენ რა სუ ატუზული უნდა იყო?

-მეე?

-შენა, აბა მეე?

ვახ, რა უნდოდა. ჩაევლო და ჩაევლო. ხმა არ გაეცა. მაგან რა იცის ჩემი ამბავი... აბა ცოდნოდა, წინა ცხოვრებაში ვინც ვიყავი და ფრენაც რომ ვიცოდი ისიც ცოდნოდა, ეგეთი უკმეხი თუ იქნებოდა... ახლა, ერთი ხუთი წუთით ხომ მაინც უნდა ვინერვიულო. არა. რატომ ვარ ეგეთი?...

-ბიჭო, მოდი შენა აქ!

-მეე?

-შენა, ხო, შენა! აგერ ეს გამომართვი და ამბროსიჩს აუტანე, ოღონდ ფრთხილად... არ გაან'რიო!

ისევ მე? ვაიმე, რატომ კი მაგრამ... მე რა, ყველაზე ცუდად მაცვია თუ შემამჩნიეს რამე? არა, თუ შემამჩნიეს, მაშ რაღა უნდათ... ასე ვინ ექცევა ჩემნაირებს - მომეპყრან, როგორც მეკუთვნის. რომ გაიგონ, ადრე რომ ფრენა ვიცოდი, ხომ საერთოდ გაგიჟდებიან. დაიწყებენ მაშინვე - მოწიწებაში გადავარდებიან. არ გაან'რიოო... დებილი ეგა... აბა ისე როგორ ავიტან ამხელას... და ამბროსიჩი რომ არ იყოს, რა ვუყო? მეკითხა მაინც, მეკითხა...

-მაიცადე! ეი, მაიცა!

-მეე?

-შენა, ხო! მოიცა! ანტონიჩი გასულა... ხვალე იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილიდანვე ქენი... შამაიტან უკან!

ხვითოები ესენი. ყველანი! მთელი კაცობრიობა. არაფერი ამათ არ იციან. ამბროსიჩმა ხომ საერთოდ. ამხელა კაცია და ისევ მეტროთი დადის... არა, ეს მაინც უფრო დეგენერატია... ნახე თუ არ ვანანო. აგერ ნახე...

-ვინმემ თუ დარეკა, არ არი-თქო!

-მეე?

-ვახ... შენ ვინა ყოფილხარ! შენა, აბა სხვას ხედამ აქ ვინმეს?

ამ ზინტლიანს რა ამაღებინებს. ამის ოფლიანი ხელებით გასვრილს... ცხვირსახოცი რამ დამატოვებინა... არა, არა! გავგიჟდები... ესენი ვინა ყოფილან?! მიდი აუხსენი, რაც მჭირს. რანაირად... არა. აქ გაჩერება აღარ შეიძლება!

წკრრ-წკრრ! წკრრ-წკრრ!!

ირეკავე და იყავი... იწვალე შენი... მიდი-მიდი! ამ ტელეფონმა ხომ საერთოდ არაფერი იცის.

წკრრ-წკრრ! წკრრ-წკრრ!!

შენს აღებას, შვებულების აღება თუ არ მერჩივნოს...

წკრრ-წკრრ! წკრრ-წკრრ!!

ახლა აღარ გაჩერდება... ნუ რას ჰგავს ეს!... ველარ უნდა მიხვდეს, რომ არა ვართ... ავიღებ და შევაშინებ მე ამის... დავუკივლებ ერთს ბუსავით. მაგრამ რომ არ მახსოვს?

-არარი! არარი! არარი! არ არი!

-ვინ არ არი?! მე ვარ ადამიანო! რა გაკივლებს?! სუ გარეკე?! სათვალე დამრჩა და ჩამომიტანე თუ კაცი ხარ. პირველზე ვდგავარ, ამოსვლა მეზარება.

-მეე?

-შენა ხო... შენა ვააა...

ისევ მე. არა, მორჩა... გათავდა... წავალ სახლში, ფრენასაც გავიხსენებ, სულ ყველაფერს... კვერცხების დადებასაც. ბარტყებსაც დავჩეკავ და საერთოდ აღარ მოვალ... წავალ და... არა, ბარემ ჩავუტან იმ კრეტინიშვილს და ვსო... ჩავუტან კი არა, მივუგდებ... დებილს. და მერე ნახოს!

-აი...

-გაიხარე... შენ სადღა მიდიხარ?

-ისა... პაპიროზი...

-აგერ სიგარეტი... სულ დაიტოვე... მე კიდევ მაქვს... და ფეხი არ მოიცვალო... დავრეკავ, შეგამოწმებ იცოდე...

ვახ, რა ვუყო ამ... ვახ... აღარ მინდა! აღარ მეყო? გამანებონ თავი! წავიდა? აღარ ვმუშაობ და მორჩა... სახლში... პირდაპირ სახლში... მართლა ყველაფერს გავიხსენებ. ჯერ ცივ კისელს დავლევ და მივეგდები. ცოლი-მოლი არ ვიცი. რაც უნდა ის ქნას. უნდა იკივლოს - უნდა თვალები შეიღებოს. ერთ ორ დღეს მაინც მივეგდები და ყველაფერს გავიხსენებ... მერე ნახონ ამათ... სუ იკვნიტონ და იკვნიტონ... მეძებონ მერე ცაში და ტყეში...

-ტაქსი! ტაქსი-მეთქი! რა გქვია! ჰო, მარშუტკა!!! ჰეი!

-ფეხზე დადგები, ბრატ?

-მეე?

-ე, თუ მოდიხარ, წამო რა!

მინდოდა მე ახლა სამჯერ მოხრა? რატომ დავუქნიე ხელი... დამეცადა, სად მეჩქარებოდა... ხომ მოვიდოდა სხვა, ხომ მოვიდოდა... არა თვალებს დავხუჭავ, თორე ამ ჭანჭყარის თავი სადა მაქ... გულიც ამერევა და უარესიც... აი ეგრე... მაიცა სახლში მივიდე... მაიცა, მაიცა... როგორ ვანანო ყველას... როგორ ირტყამენ მერე თავში ხელებს, რომ არ იცოდნენ ვისთან ქონდათ საქმე... დებილები ესა...

-ახალგაზრდავ, რა გაკივლებთ?!

-უჰ, მეე?

-თქვენა, დიახაც თქვენა... და საერთოდ რას გავხართ?!... ხვანჯარი გაქვთ ბოლომდე შეხსნილი!

-უი, უი...

რა მინდოდა ამ მარშრუტკაში... რანაირი ვარ მაინც... დავლოდებოდი სხვას... ხომ მოვიდოდა, როცა მოვიდოდა... სად ჯანდაბაში წავიდოდა... მეც მეჩქარებოდა რაღა... კრეტინი ვარ, მა ვინ ვარ... უარესიც!

* * *

კარი ცოლმა გამიღო. სახეზე ღიმილით. მეუცნაურა, მაგრამ არაფერი ვუთხარი, ანდა რას ვეტყოდი. დამიჯერებდა თუ რა... თან ლოყაზეც მაკოცა. მაოცებდა. შემოსასვლელშივე თბილი იყო. ტკბილიც. სულ სხვანაირი. ვიფიქრე ეშმაკობს-მეთქი - შერიგება-შემორიგება უნდა-მეთქი... მაშ იატაკზე ძილში რა ყრია - ხერხემალი ხომ არა აქვს გამრუდებული...

ვახშამიც ცხელი დამახვედრა. ნამცხვარიც კრემიანი. სულ თავს მევლებოდა. დალაციცებდა სამზარეულოდან ოთახში. ერთი პირობა გავლიზიანდი - ძალიან უსუსურად მეჩვენა. ცოდვილობდა და რა... ვერაფერი... მე რაღა შემცვლიდა. მაგრამ მაინც არაფერი ვუთხარი.

ჩაის ერთად ვსვამდით. ისევ მიღიმოდა და რომ მოვრჩით, ადგა და საერთოდაც მუხლებში ჩამიჯდა.

-ჩემი სულელი ბიჭი... - მომიალერსა და მე გავბრაზდი.

-ვინაა სულელი?! სულელიც ხარ და უარესიც!... როგორ იქცევი ამხელა ქალი!...

მაინც არ გადასდიოდა ღიმილი სახიდან. ვაა. იქნებ მიხვდა. ან ძილისას მომისმინა და ყველაფერი გაიგო?... მე ხომ ბოდვა ვიცი... ახლა კიდევ ალბათ საერთოდ.

ეგრეა! ეგრეა და მორჩა. ყველაფერი იცის!

-ესე იგი მიხვდი, არა?

ისევ მაკოცა, სადღაც ყელისა და კისრის საზღვარზე.

-და ესე იგი, არც გიკვირს, არა?

თავზეც მეფერებოდა. ყველგან. უხშირებდა. ვითომ ალგზნება უნდოდა? ვერაფერსაც ვერ დამმართავდა. ვერ მომერეოდა.

მერე პერანგის ღილების შეხსნა დამიწყო. მე პირმოკუმული ვიჯექი და თან დაძაბულიც. ხელი ჩამიცურა. მიფერებდა და არ ჩერდებოდა.

მერე უცებ, გველნაკბენივით შეხტა. ხელი ამოიღო და დაიხედა. თითები რძით ჰქონდა დასვრილი.

თვალებს არ უჯერებდა. ჯერ დაყნოსა. მერე ენის წვერით გასინჯა. მერე საერთოდ წამოდგა ჩემი მუხლებიდან და მეც წამოვდექი. ერთმანეთს თვალებში შევყურებდით - უკვე მე ვიყავი ღიმილიანი, ის კიდევ მოჭიმული. ხელისგული მომიშვირა.

-რა არის ეს?!

-ხომ მიხვდი? - შევუტრიალე კითხვა.

-რას მივხვდი, რას?! - მომიტანა სახესთან ხელი. მერე რაღაცნაირად შემომხედა. თითქოს ყბა მოენგრა და უკან-უკან დახევა იწყო.

-რა გჭირს? - შევეკითხე მე.

ის თვალებგაფართოებული იხევდა უკან და ბოლოს კედელს აეკრა. თითქოს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერა. მერე ფერიც შეეცვალა. მივხვდი, ცოტაც და ჩაიკეცებოდა. გული მისდიოდა. ცოტა ხანში მართლაც იატაკზე დავარდა და გაითიშა. მისვლა და მოსულიერება მოვინდომე, მაგრამ რაღაც არ გამომდიოდა - ნაბიჯს ვერ ვდგამდი. მიჭირდა უშნოდ.

ძირს დავიხედე და გავოცდი.

მთელი სხეული ბუმბულით მქონდა დაფარული. ფეხებზე - კლანჭები გამომზრდოდა. ხელების მაგივრად - ფრთები. რამდენჯერმე დავაქნიე და ძალიან

იოლად ავიწიე ჰაერში. ხომ ვამბობდი! ოთახს წრე მოვარტყი, კარადის კუთხეზე ჩამოვჯექი და ზემოდან ჩამოვიხედე. ცოლი ისევ გათიშული იწვა და თითქმის არ სუნთქავდა.

-არ გჯეროდათ და ნუ... - მინდოდა მეთქვა და თითქოს ვთქვი კიდეც, მაგრამ პირიდან მხოლოდ რაღაც "უ"-ასოსებრი დამცდა. ჰაერი მოვყნოსე და ღია ფანჯარას გავხედე. მერე ისევ ფრთები დავაქნიე...

* * *

შემოდგომაზე ბარტყები დამეჩვენენ, მაგრამ რად გინდა - ერთხელაც, ნადირობიდან მობრუნებულს, საერთოდ აღარ დამხვდნენ. ალი-კვალი. მთელი ღამე ვკიოდი და გამწარებული ტოტებს ვაწყდებოდი. თვალებიდან მლაშე წვეთები მცვიოდა. მხოლოდ დილისკენ ჩამეთვლიმა და ვნახე სიზმარი:

რომ ვარ ისევ ჩვეულებრივი კაცი, ადრინდელი - ცოლიანი და სამსახურიანი, ჩვეულებრივზე უბრალო, და ერთ საღამოს, სამსახურიდან გამოსული მივდივარ პლეხანოვზე. უცებ ვჩერდები. ვხვდები და ვჩერდები. იქ ვიღაც დგას - ხელში გალიით და ყიდის სულ პატარა, ერთი ციცქნა ბუებს. ამის დანახვაზე მაჟრჟოლებს და ნერვიულობისგან ძუძუებიდან მომდის რძე.

მერე მივდივარ თითქოს სახლში და აბაზანაში მდგომი ვიყურები სარკეში. ვცდილობ გავიხსენო ჩემი ქალიბუობა, მაგრამ საერთოდ არაფერი გამომდის.

მერე ცოლი აკაკუნებს:

-რა არი ამდენი ხანი?!

-ჰო... ახლავე...

გამოვდივარ და ტელევიზორს ვუყურებ - ადრინდელივით მიტინგს არბევენ, ისევ ხელკეტებით. მეც ეგეთი დარბეული ვარ და იმ ღამეს ძლივს ვიძინებ. ვბორგავ. მესიზმრება ადრინდელივით, რომ ვითომ ზოოპარკი ვარ და თითქოს ფრინველები გაქცეულან.

გაოფლილს თითქოს კივილით მეღვიძება - თუმც წარბიც არ მიტოკავს, უბრალოდ ცალს ზემოთ ვპრეხ და იქვე მახსენდება, რომ აეგრე, ცალ წარბს, ზემოთკენ, მხოლოდ ადამიანები და ბუები პრეხენ.



# მელნის სუნი

"... შენ არასდროს გახსოვს შენი სიზმრები..."
გ. გ. მარკესი



კარგად მახსოვს როგორ მოვკვდი: სკამზე მჯდომი, საწერ მაგიდასთან. "მელნის სუნი" - ასე ერქვა მოთხრობას, რომელიც სულ ახალი დასრულებული მქონდა და ჯერ არც კი გადამეთეთრებინა. წერტილი დავუსვი თუ არა, გამეფიქრა, რომ ყველაფერი მორჩა; რომ ეს იყო ბოლო წამები. ცხადად მომიცვა შეგრძნებამ, რომ სულ ცოტა ხანში ჩემში უზარმაზარი მზე ამოვიდოდა და ისე გამანათებდა, რომ ვერ გავუძლებდი.

ფეხზე წამოვდექი და გავიარ-გამოვიარე. კედლებს ხელისგულები მივადე. მერე ფანჯარაში გავიხედე. წვიმას გადაეღო.

"კიდევ ცოტაც..." - გამიელვა გონებაში და საწერ მაგიდას მივუბრუნდი. სკამზე დავეშვი და მოთხრობას დავხედე. უეცრად შიშის მაგივრად, რატომღაც საოცარი სიხარულის გრძნობამ მომიცვა და ბედნიერებანარევმა კანკალმა ამიტანა. მერე უცებ, ლამის წამში დამიტრიალდა თვალწინ მთელი ჩემი წარსული და მივხვდი, რომ ტანჯვა-წამება მორჩა; რომ ყველაფერი, რაც იყო, სხვა არაფერი იყო, თუ არა გზა - აქამდე, განთავისუფლებამდე მოსასვლელი ბილიკი.

"მელნის სუნი..." - კიდევ ერთხელ წავიკითხე მოთხრობის სათაური და ვიდრე თვალებს დავხუჭავდი, მივხვდი - მელნის სუნი აღარასდროს მიმატოვებდა.

თვალები დავხუჭე თუ არა, მზეც ამოვიდა - როგორსაც ველოდი, ზუსტად ისეთი. თავიდან თითქოს ადგილზე დამაჭედა, მიმალურსმა. მერე ნელ-ნელა ამამსუბუქა, ამამჩატა და სხეულიდანაც უცებ გამომიყვანა.

პირველად შევხედე საკუთარ თავს გარედან და საოცრად მახინჯი მეჩვენა: ბღუჯა თმამ, მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვარულმა სახის კანმა, დამჭკნარმა ყურის ბიბილოებმა საერთოდაც დამზაფრა.

"კიდევ კაი..." - გავიფიქრე ჩემთვის და ჩავთვალე, რომ სიკვდილი აშკარად დროულად მოსულიყო.

ცოტა ხანში მერცო შემოფლატუნდა, სკამზე მჯდომ ჩემს ცხედარს მიუახლოვდა და თავზე მოეფერა.

-ჩაგეძინა ბიჭო? - იკითხა ბებრული ჩლიფინით.

მერე ჰაერი მოყნოსა.

-ე რა მელნის სუნი დაგიყენებია... - დაიჩიფჩიფა უცებ და მოთხრობას დახედა.

-მელნის სუნი! - წაიკითხა გამოთქმით სათაური და ეპიგრაფს დააცქერდა. - შენ არასდროს არ გახსოვს შენი სიზმრები... გ. გ. მარკესი... - და ბებრულად გაიღიმა. - ჩემზე ძვირფასი... გამო, ჩაი ადუღდა... - ჩაიბუტბუტა მერე და ოთახიდან გავიდა.

"როგორ ვერ მიხვდა?" - გამიკვირდა მე და ფანჯარასთან მივედი. სველი შუშის მიღმა წვიმისგან დამბალი ეზო ჩანდა.

ორიოდ წუთში მერცო ისევ შემობრუნდა.

-ისეთი სუნი დგას, ოთახში არ შემოისვლება! - ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ და ფანჯარა გააღო. მერე საწერი მაგიდისკენ მიტრიალდა.

-სუ სკამზე როგორ უნდა გეძინებოდეს?! - შეუძახა ჩემს ცხედარს და მხარზე ხელისგული წაჰკრა. ცხედარი უმალ სკამიდან გადავარდა და იატაკზე გაიშხლართა.

მერცო გახევდა. თავიდან ვერაფერს მიხვდა. მერე უცებ მოვიდა გონს და ჩემს ცხედარს გულწასული გადაემხო. მე ისევ ოთახში ვიდექი და ყველაფერს მშვიდად ვუცქერდი.

ნახევარ საათში მერცო თავისით მოსულიერდა და ქვითინით წამოიმართა. მერე ჩემი ცხედარი ტახტამდე მიახოხა და ოთახიდან გავიდა. უკან გავყევი. მის მორკალულ ზურგს შევყურებდი - ზოლებიან ხალათს, მთელი ჩვენი ერთად გატარებული წლები რომ ლამის ზედ ეცხო.

მერცო ნელა გაფლატუნდა სახლიდან. ფეხები კალოშებში წაჰყო. მერე მძიმედ გადაჭრა ტალახიანი ეზო და სველ ღობეზე მკლავები ჩამოაწყო.

-კარლო! - დაიყვირა მეზობლის სახლის მიმართულებით და მეზობლის ძაღლიც უმალ აყეფდა.

სახლიდან კარლო გამოვიდა და შუბლი მოიჩრდილა.

-რომელი ხარ? - იკითხა უმისამართოდ.

-გაბრიელი მოკვდა, კარლო, გაბრიელი! - დაიძახა მერცომ და კარლოც ღობისკენ წამოვიდა.

-როგორ თუ მოკვდა? - იკითხა გაბზარული ხმით.

-აი ეგრე... ჩაეძინა და მოკვდა... როგორც კვდებიან... - თქვა მერცომ და ხალათის სახელოთი თვალის უპე ამოიმშრალა.

-რანაირად? - მაინც თავისაზე იდგა კარლო. - მე ექვსი თვით უფროსი ვარ და...

-ერთი შენც ხარ... - ჩაიქნია ხელი მერცომ. - გადმო... მომეხმარე... ტახტზე დავაწვინოთ... მძიმეა...

- ჰო... ბრიტვასაც წამოვიღებ... - თქვა კარლომ და უცებ ჰაერი მოყნოსა. - ე რა მელნის სუნია?...

მერცო შეიჭმუხნა.

-ბრიტვა რაღად გინდა?

-გასაპარსი იქნება.

კარლო გატრიალდა და სახლისკენ მძიმედ წავიდა.

* * *

პანაშვიდებმა სამ დღეს გასტანა. ყველა მომსვლელი თანაგრძნობით უსამძიმრებდა შავებში გამოხვეულ მერცოს. ეზოში ჯგუფად მდგომი კაცები მე მიხსენებდნენ. ყველაზე აქტიური მაინც კარლო იყო:

-რა სიცილი იცოდა მაინც, რა სიცილი! - იბაგუნებდა მენჯზე მუშტს და იქვე მდგარ კაცებს ამაყად ათვალიერებდა. - ერთს რო გაიცინებდა, მთელი სოფლის ძაღლება საღამომდე კუდს აქიცინებდნენ...

-საწყალი გაბრიელი, საწყალი... - ერთხმად დუდუნებდნენ კაცები.

-ეგ უნდა იწვეს იქა და ჩვენ ვიდგეთ აქ?! - წამოიყვირებდა მერე უცებ კაცებიდან რომელიმე, მაგრამ კარლოს მკაცრ გამოხედვაზე უცებვე ჩაღუნავდა თავს.

-რა მუშტი ჰქონდა მაინც, რა მუშტი! - ისევ მენჯზე იბაგუნებდა მუშტს კარლო. - მტრისას, ვისაც მოხვდებოდა, სიბრძნის კბილს არ შეარჩენდა! მტრისას!

-საწყალი გაბრიელი, საწყალი... - დუდუნებდნენ ისევ კაცები და ერთდროულად ისვამდნენ ყბებზე ხელისგულებს.

-მაგას უნდა მიეყაროს მიწა იქ და ჩვენ კიდე ჰაერს ვსუნთქავდეთ აქ?! - წამოიყვირებდა ისევ კაცებიდან რომელიმე და უცებვე დუმდებოდა.

-სად აქ?! - მრისხანედ მიაჩერდებოდა ფრაზის ავტორს კარლო.

-აგერ ა! - ჩამოიწევდა თვალის უპეს ავტორი და ყველა ილიმებოდა.

მეც იქვე ვიდექი და ღიმილით ვუგდებდი კაცების ბჟუტურს ყურს. იქამდე არ გავეცლებოდი, ვიდრე რომელიმე ჰაერს არ მოყნოსავდა და არ იტყოდა:

-რა მელნის სუნი დგას ოხერი...

მერე ოთახში შევდიოდი და ჩემს ცხედარს დავყურებდი. მიწისფერი ედო. მერცო თავჩაქინდრული იჯდა და საკუთარ თითებს დასცქეროდა. ქალებიც იქვე ისხდნენ.

-რა დაწერა, გოგო, ბოლოს... წაიკითხე მაინც? - ეკითხებოდნენ ქალები მერცოს და ისიც თანხმობით აქნევდა თავს.

-რაო, ჰა, გოგო? - არ ეშვებოდნენ ქალები.

-მელნის სუნი. - ამბობდა მერცო და ქალებიც ერთხმად იხოკავდნენ ლოყებს.

-დედა, ჩემი სიკვდილი!... მაგიტომ დგას ოთახში მელნის სუნი?! - შეიცხადებდა რომელიმე.

-სადა, აბა? - ყნოსავდნენ ყველანი ერთად ჰაერს და თავადაც რწმუნდებოდნენ:

-როგორ უგრძვნია, როგორ მაგ საცოდავს!... ვაი, გაბრიელ, ვაი... რაღა სუნს იგრძნობ აწი ნეტა!

მე კი ისევ ეზოში ვბრუნდებოდი.

ჭ·სთან დანებს ლესავდნენ.

-კაცო, სიზმარი ვნახე გუშინ, თითქოს ვალდერამა და ასპრილია დაბრუნდნენ... - ყაყანებდნენ ნაპერწკლების ცვენის ფონზე.

-მერე?

-ხალხმა მაინც სტვენა დაუწყო...

-ხალხი ბრბოა...

-ვალდერამა და ასპრილია რა, ხალხი არ არი?... როგორ უყვარდა საწყალ გაბრიელს ფეხბურთი, როგორ!...

-აბა კაცო... როგორი გარჩევა იცოდა მერე თამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შის...

-ეჰ... მაიცა, მელნის სუნი არ გეყურება. თუ მე გავგიჟდი?

უფრო იქით, ღობის გადაღმა, წყაროსთან ბიჭ-ბუჭები იდგნენ და იფურთხებოდნენ.

-მე ძმებო... ქალაქში ჩავალ - მომპარავი გავხდები... - ამბობდა ყველაზე დაბალი.

-ვინ მოგაპარინებს... - იქნევდნენ ხელებს სხვები. - დაგიჭერენ... ჩაგაყუდებენ...

-დამიჭერენ და ქურდულს მივაწვები! - თავისაზე იდგა დაბალი.

-მა მშვიდად ცხოვრებაში რა ყრია... - მხარს უბამდა დაბალს მუწუკებიანი. - ე, გაბრიელი... მთელი ცხოვრება პატიოსნად იცხოვრა... რა აღარ ჯღაპნა და წერა, მელანი ხარჯა სუ ტყვილა - კუბოს ფული მაინც სოფელმა შეუგროვა...

აი აქ კი ვდუღდებოდი და მუწუკებიანს შიგ ცხვირში ვეტაკებოდი. ისიც უცებ ერთს ისეთს დააცემინებდა, რომ ბიჭ-ბუჭები განზე ხტოდნენ.

-რა იყო? - შიშით კითხულობდა მაღალი.

-დაამტკიცა. - სიცილს აყრიდა დაბალი.

-მელნის სუნი არ გეცათ? - მორიდებით კითხულობდა მუწუკებიანი.

-მელნის კი არა, ღმერთის კიდე... - იკრიჭებოდა კიდევ ერთ-ერთი და წყაროდან პეშვით წყალს სვამდა.

კიდევ უფრო იქით - ორღობეში, სოფლის ეჟვნებიანი, ზუსტად ერთნაირი ძროხები იდგნენ. ყოველს ფერდზე მელნით პატრონის სახელი ეწერა და ერთხმად ჟღარუნობდნენ. წასასვლელი არსად ჰქონდათ. ზამრთის პირი ახლოვდებოდა. დილით რომ გამორეკავდნენ პატრონები, ამ ორღობის იქით აღარ მიდიოდნენ - სოფელი კი სწორედ აქ თავდებოდა.

კიდევ უფრო იქით გავდიოდი. გორაკს ავივლიდი და წვერზე მოვექცეოდი. აქედან სოფელი ხელისგულივით ჩანდა:

ჩემს ეზოში კაცები ირეოდნენ. მერცო და ქალები ალბათ ისევ შიგნით იყვნენ. ჭასთან კვლავ დანებს ლესავდნენ. წყაროსთან ისევ ბიჭ-ბუჭები იდგნენ. გარშემო ეზოებში სიცარიელე იყო. ყველაზე დიდი კვამლი ჩემი სახლის საკვამურს ასდიოდა. ახლა კი მეც ვგრძნობდი - არ მეშლებოდა:

კვამლსაც კი მელნის სუნი ჰქონდა. ალბათ ჩემს ნაწერებს თუ წვავდნენ.






## გივი ალხაზიშვილი

# ქაცვიას დღიურიდან

* * *

მე გაგიღრმავებ ცოდნას, ძვირფასო,
შენ მოიქეცი ოღონდ ქალურად
და ბოლოს გარჯა რომ დაგიფასო,
წამოგამღერებ მუსიკალურად.

არ ეტანები ღვინოს, წვეთ-წვეთად
წრუპავ და თვალებს რომ აფახულებ,
ჰაეროვანო და ტანწერწეტა -
შენში ჩამალულს ვხედავ ზაფხულებს.

გთხოვ, მაპატიო, ზოგჯერ უხამსად,
რომ ვიგინები, თავს ვერ ვიკავებ,
მძულს ყველა, ტვინი რომ დაუხავსდა,
თავი შიგნიდან ვერ მოიქავეს.

ვინ ამბობს ჩემზე გავსო დონ ჟუანს
და მიჰყიდაო სული ავსულებს?!
შენ ხარ ოქტავა დოს და დოს შუა
და მე თუ არა, სხვა შეგასრულებს.

* * *

ვცდილობ დავიღალო, არ ვიღლები,
ვწერ ამ სისულელეს "უგულოდ",
მახსოვს, როდესაც არ მიღრენდი
და გულში მიკრავდი გუგულო.

ეს ღამე შეიფერებს ხოშიან
მთვარის ქსოვილით გადენდებას,
ისევ უარსა და ჰო-შია -
როდის და როგორ გათენდება.

ახლა, რასაც ვნატრობ - "პორტერია",
თან შენი სხეული მიზიდავს,
ამ ღამით უფრო ბორდელია
ქალაქი, ვიდრე დღისითაა.

სურვილებს ისევ აღმიძრავენ,
შენი ღიმილები ორჭოფული,
როცა ჩამიქრება ღამის ძრავა,
მერე შენ უნდა ბოჭო ფული.

რა უცნაურია პახმელია
და ძილ-ღვიძილის პაუზები,
მე ვიცი მრავლის მნახველია -
შენი თვალების აუზები;
შენ ხომ განუწყვეტლივ ივსები და
მერე ისევ რჩები აუვსები.

N-ს

ამოვაჩინე შენ თვითონ ხარ
პანდორას ყუთი,
სანსლავ ასოებს,
ძირითადად სარგებლობ ყ-თი.

შენთვის ერთია ათჯერ შვიდი
და ცხრაჯერ ხუთი,
რუსულიც იცი,
ძირითადად სარგებლობ ხ-თი.

შენ იცი ფასი ყავის ქაფის -
რუსულად "პენ"-ის,
მომხმარებელო კოსმეტიკის,
აგრეთვე "ფენის".

მისამღერი: ჰარი-ჰარალი-ჰარალე,
ჰარი-ორალ-ურო... ჰეეე...

## მანსარდა

რაღაც ხომ იყო გაუგებარი,
ნახევრად თქმული, თითქმის უთქმელი...
ძველი მანსარდა, როგორც გემბანი -
მწვანე ტალღები ბებერ ურთხელის.

ჩვენ მივცურავდით და გაოცების
თვალები ღამეს რომ გადაება -
იდუმალი და ბნელი ბორცვების
მსურდა ჩამოქნა ცეცხლის ტაეპად.

... და ცეცხლს ხახუნის ძალით გაჩენილს -
აღარ უნდოდა დიდხანს ჩაქრობა
და ჩვენს თვალებში მთვარის ნარჩენი
ხტოდა და ჰგავდა ცირკის აკრობატს.

. . . . . . . . . . . . . . . .

მანსარდის რიკულს ხელს გადაუსვამ,
აქ, უნდა დავსვა ორი წერტილი,
დამშვიდობებას მოჰყვა პაუზა, -
სიჩუმე თვალებგამობლეტილი.

ათასში ერთხელ ვხედავ ბაზართან,
შრომობს, ვინ მისცემს იმას ისე ფულს
და გადმოჰყურებს ციდან მანსარდა
ჩვენს არსებობას - პრივატიზებულს.

* * *

ბარის ბინდ-ბუნდი,
ქალი ვარდივით,
ჯიბეში "სიკო"-ს
პრეზერვატივი.

ვივიწყებ ბუშებს,
ბლერებს, პუტინებს,
იმასაც,
შენ რომ ჩამიპუტუნე.

რის სამაჩაბლო,
რის აფხაზეთი,
ტყუის ტელე და
ყველა გაზეთი.

გვერდით მყავს ქალი
დღეს ხელუხლები,
რიტმს აყოლილი
თეთრი მუხლებით.

ვზივარ, ვარშიყობ,
ვწრუპავ კონიაკს
და თავი
ფადი-შაჰი მგონია.

## ლუსი

მერე რა ვუყოთ, რომ არის რუსი,
მშვენიერია პატარა ლუსი.

მას უყვარს ვალსი, ტანგო და ბლუზი
და უყვარს ფსკერზე შეხება ლუზის.

ხან ვის, ხანაც ვის მუხლებზე უზის,
მშვენიერია ავხორცი ლუსი.

მოხერხებულად გაიქნევს გავას,
საწოლ ოთახში შიშველი გავა.

არის მეტოქე ყოველი ცოლის,
ალერსის მცოდნე და მცოდნე წოლის.

შთამომავალი ლოთის და ბლუსი -
მშვენიერია პატარა ლუსი.

მერე რა ვუყოთ, რომ არის რუსი,
რომ არ აცვია ზაფხულში ტრუსი.

მისი ხმა, როგორც სიმღერა რუსი -
ექოა ვნებით გამთბარი ღრუსი.

მხრებზე დაიყრის დალალებს ქერას
და მორიგ სატრფოს თვალებით კერავს.

თუ შეიტყუა საწოლში მსხვერპლი -
ჯანმრთელი გავით და მკერდით ტკეპნის.

მერე რა ვუყოთ, რომ არის რუსი,
დაუღლელია პატარა ლუსი.

მან კარგად იცის ხალიბის ყადრი,
სასურველ საქმეს არაფერს ადრის.

მერე რა ვუყოთ, რომ არის რუსი,
მშვენიერია პატარა ლუსი.

## ლუსის ფიქრი, როცა ქაცვიამ შეაწუხა...

არ მინდა, მაგრამ უნდა დავთანხმდე,
რომ არ იეჭვოს რამე ულაყმა,
სხეული თეთრი და მოთახთახე
უნდა გავშოტო ტახტზე გულაღმა.

ვთანხმდები. ამის ყვირილს გადავრჩი,
შევეშვი ბუზღუნს, მტრულ ლაილაის,
ჯერ ფეხებს შორის ჩამქრალ ღადარში
უნდა შევარდეს ეს ტრულაილა.

რატომღა უნდა მენერვიულა,
რა უნდა მეთქვა ხელის სავსავით,
წამოვგორდები ვენერიულად,
უფრო სწორად კი ვენერასავით.

ამიყოლიებს ვიცი ქაცვია,
სიცილით მეტყვის: ისევ კაჟი ვარ!

დაბერდა, მაგრამ მაინც კაცია
და ჯერ არ უჭირს ჩემი გაჟიმვა.

... მერე ვეძლევი ფიქრებს ნაღვლიან,
ვწევარ და ფიქრში ვითვლი ნისიებს,
შავი ფიქრები გულზე მაყრია,
ყორნებივით რომ შემომისიეს.

ბავშვურ სიყვარულს ვნატრობ დროდადრო,
სიყრმის დროინდელს ვხედავ მეგობარს,
ნატვრიდან სიზმარს თუ გამოვადნობ,
დასაძინებლად ესეც მეყოფა.

* * *

მე მგონი ლუსი ცოტათი გახდა -
მე დავასკვენი, როცა ერთხელაც,
მოურიდებლად დაიწყო გახდა,
კი, მართლაც გახდა, თითქოს შეთხელდა.

შევექცეოდი ყავას გულმშვიდად,
ღამის რიტუალს რომ ვასრულებდი,
ვიფიქრე, სხვებსაც ფეხს რომ უშლიდა -
ჩემთვის, რატომღაც, იყო სულერთი.

მთავარი იყო დრო გამეყვანა,
რადგან სურვილი მექცა გალიად,
ამ გალიაში იყო ქვეყანა,
ვინც ეს ცხოვრება ვნებით გალია.

ვინ იყო მასთან, ან რა გვარია?!
თავს არ ვიქცევდი სიის შევსებით,
ჰგავდა ოთახი ძველ აკვარიუმს -
სავსეს ხმოვნების ფერად თევზებით.

შიშველი ლუსი ჰგავდა ავაზას,
უცებ შეპყრობილ მსხვერპლს რომ არ ტოვებს...
მოვუთათუნე ხელი გავაზე
და შესავალი გავამარტივე.

იმდენი ბედმა შენც გაგახაროს,
რაც იმ ღამეში მე გავიხარე,
მე ვაღრმავებდი მარჯნის მაღაროს
და მივიწევდი მხოლოდ იმ მხარეს,
სადაც მელოდა წამი იგივე,
მაგრამ რატომღაც მუდამ ცინცხალი
და გრძელდებოდა ძველი იგავი -
მარადისი და დაუვიწყარი.

თანდათანობით დრომ გაანელა
მისი მხურვალე ნატერფალები...
ის ღამე მახსოვს, ვით საქანელა
და ვარსკვლავებით სავსე თვალები.

* * *

აიკინძება, ალბათ, ერთ ტომად -
პირმშვენიერი ლუსის ამბები,
ამ ლექსის კითხვით ვინც გაერთობა,
არ დასჭირდება ძილის აბები.

საკვირველია, ლუსის კლე-პტომანს,
არარა დარჩა მოუპარავი,
ლუსის ვნებიან მკლავებს ენდობა
პროფესორიც და მიწის მბარავიც.

გავას ატარებს, როგორც კიდობანს,
ვითარცა დარბაზს საკოლექციოს
და თუკი ვინმე აეკიდება -
ლუსი უკითხავს ეკო-ლექციას:

რომ გაზონები უნდა გაისხლას,
რომ აღარ ვუვლით დედა-ბუნებას,
სალამურივით ისმის ქალის ხმა,
თან კლიენტს მკერდით ეხახუნება.

თავს დაანახებს სარკე ვიტრინის
და აღარ უნდა იქით გახედვა,
ხანდახან ისიც წარსულს მისტირის,
არის მნატვრელი ძვირფას სახეთა.

ბებრებმა ტვინი გამოულაყეს,
თვითონ კვიცების სურდა გახედვნა,
გაწბილებული უმზერს ულაყებს
და შინ მიათრევს ბებერ სახედარს.

იგი მეხოტბე აპოლეუსის,
დამპურებელი მშიერი ერის,
არის ტრფიალი ვნების პოლუსის,
მარად ავხორცი და მშვენიერი.

* * *

ლუსის სიყვარულს ვთხოვ რიგგარეშედ,
ერთჯერად ხვევნას, როგორც ჭიქა-წყალს,
მინდა ლუსიში შევითარეშო,
გავაასკეცო ჩემი შიდაწვა.

ჩუმად ღიღინებს და თლის კარტოფილს,
თან მაგიდაზე გადაიხარა,
გამომიშვირა თეთრი ფართობი,
გაიშრიალა ჭრელმა ნიფხავმა.

ბრძანა: მიყიდი, ოღონდ, საკაბეს!
- დიახ, ძვირფასო, ჩემო სიცოცხლევ!
და აკრიახდა, როგორც კაკაბი,
როცა ხმოვნები ამოვიცოხნე,

მაგრამ უეცრად გატყდა გრაფინი,
ამოყირავდა მერე მაგიდა,
შეშინებული ძირს რომ დავფრინდი -
ვთქვი: ამ დედაკაცს რამ გადამკიდა.

და როცა მსურდა შიშის ელდები,
როგორმე გარეთ გამომეყვანა,
ამომჩხაოდა: ნუ შეჩერდები,
თუნდაც დაიქცეს მთელი ქვეყანა.

მიდი, განაგრძე, გემუდარები,
ეს ჯამ-ჭურჭელი მიღირს არაფრად,
ლუსის, მართლაცდა შეუდარებელს,
ვერ დავაგდებდი ბედის ანაბრად.

მე დავბრუნდები, თუ არ ამკაფეს
და მოვალ შენთან, როგორც წამალთან,
მშვიდობით, ლუსი, შენი საკაბე,
აგვისტოს ნათელს უნდა წავართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო ქარდავა

# „რა გინდათ, ქალბატონო?“



მოგესალმებით ქალბატონო.

ეს კონვერტი ზონის ადმინისტრაციამ გადმომცა. ზამპალიტი გვყავს ერთი, მაიორი ძაგანია, ბევრი ძალი, იმან გვითხრა, ვარიანტი არ არის, არავინ შეამოწმებს რას დაწერო და თან ასიანში გიპასუხებენო. თავიდან ვიფიქრე, წავიდნენ ერთი მაგათიო, მაგრამ მერე მოვტყვინე: ნუნუ ექიმის ჯიქნებსა და ქათქათა კოზირზე ოცნებას, იქნებ მართლა წერილი დამეწერა. ერთი სული მაქვს პასუხს როდის მომწერთ. რომ წარმოვიდგენ ლამაზად ჩაწიკწიკებულ ასოებს, მიდგება. ძაგანიას ნათქვამიდან ის გავიგე, რომ, თურმე, ჩვენზე ზრუნავთ. ადამიანებად გინდათ გვაქციოთ. მადლობა და მადლობა, ქალბატონო, ასეთი ზრუნვისათვის.

კონვერტს უცნაური რამეები აწერია - სულ რაღაც სირული რიცხვებია. ადრესი სადაა? ალბათ, გეშინიათ, სროკს რომ შევჭამ დესერტად მერე თქვენი ლამაზი ტაკუნები არ მივირთვა. კაი, ეგრე იყოს... აბა, ვიწყებ. ესე იგი, გაინტერესებთ ვინ ვარ, რაზე ვზივარ და რას ვაპირებ სროკის მოხდის შემდეგ.

ვინა ვარ?

ვინ უნდა ვიყო, ალიკა ვარ, 68-ში დავიბადე, 12 ოქტომბერს, რუსთავში...

ძაგანია მეუბნება, რას აკეთებ, შე ჩემაო, ანკეტას ხო არ ავსებ, რა დაბადების წელითა და ადგილით დაიწყეო. ცოტა სხვანაირი წერილი მიწერე, საინტერესო რომ იყოსო. როგორ-მეთქი. როგორ და ცოდნა აჩვენე შე შობელძაღლო, გული აჩვენე, სული აჩვენე, რომ ადამიანი ეგონოო.

ალარც კი ვიცი რა დავწერო, რომელი კანდიდატ ნაუკი მნახა. სული და გულიო. ესე იგი, პა ნაუჩნამუ არა? ...ასეთი ანიკდოტი იცი? კლიენტი რომ ამბობს, ორი რამე არისო უცნობი: ესტ ლი ჟიზნ პოსლე სმერტიო და იესტ ლი ლიუბოვ პოსლე ვენჩანიაო. ჩემი აზრით, ამ ამბავს მესამე აკლია: არავინ იცის, კტო ესტ კტო! ბელმონდოს კინო გაქვს ნანახი? ასე ჰქვია: კტო იესტ კტო! ძაან მაგარია! ჩემ ამბავშიც ასეა რა: კტო ესტ ალიკ? გიპასუხებ: ა ხრენ ეგო ზნაეტ!

ველარაფერს ვტვინავ. ძნელი ყოფილა წერილის წერა. არ უნდა დავთანხმებულიყავი, პისარობალა მაკლდა რა. ვსიო, არ დავწერ-მეთქი, ძაგანიას ვეუბნები, მაგრამ, დავაი, ნუ ახურებო, მუშტებს მიქნევს (ეტყობა, მაგათაც რაღაც ხეირი აქვთ ამ ჩემი წერილიდან). თან მასწავლის: აი, ისე დაწერე, შენ თავს გვერდიდან შეხედეო. ეგ, როგორ-მეთქი. როგორ და თითქოს შენს ძმაკაცზე წეროო. აი, ალიკა ასეთი ტიპია და ალიკას ეს უყვარსო და ასეთი ამბებიო. ასე უფრო გამოგივაო.

რა ვი, აბა, გამოვა? მოკლეთ ვიწყებ, რაც არი ეგ არი. ესე იგი, ეს ალიკა ადამიანია რა, ჩვეულებრივი ადამიანი, კაი ბიჭია ტო ესტ. რა უყვარს ალიკას! მაყუთი უყვარს? ალიკას მაყუთი არ უყვარს, მაყუთი ბოზებს უყვართ! ალიკას მაყუთი სჭირდება, სხვა კაი ბიჭებს პატივი რო სცეს, კაი შარაფი რო აწიოს და კაი ნაშები რო ქქროს. სიყვარულზე თუ მიდგა საქმე, სიყვარულით, ალიკას ლუწი რიცხვები ევასება. ახლა მკითხავთ, რატომ ლუწებიო? ვა, ალბათ იმიტომ, რომ ლუწი წელიწადის ლუწ თვესა და ლუწ დღესაა დაბადებული. ბევრი რომ არ გავახურო, ალიკას ევასება კაი ტიპები, ასობენნო ისინი, რომლებიც ლუწ წელს, ლუწ თვეში, ლუწ დღეს დაიბადნენ... ახლა მე ვახურებ, რიჟად ვბაზრობ რაღა: უბრალოდ ალიკას ევასება ობშესტვო ბლაგოროდნიხ ლუდეი. ალიკა მათ არ უგოთვერნებს. თანაც ალიკამ იცის, რომ უკანასკნელი კაი ტიპი ჯერ კიდევ არ დაბრედილა!

არა, ისეც ხდება, რომ ჩერესჩურ ბევრი გოთვერნობს, ბოზობს და მაგრად მიჭქარავს, მაგრამ კაი ტიპებიც ხომ არიან, არა?

მერე რა რომ ზოგი იჭრება! ალიკას არ ეშლება, ვის როგორ მოექცეს. განა ყველა დასაჩუტეია? აუცილებელი არ არის დასახიჩრება, ბოზური შრამის დადება, სხვანაირადაც შეიძლება დაშტრაფვა.

ალიკა იმის აზრზეცაა, რომ ყოველ ტიპში ნეაცენიმი კლადია ჩამარხული. ეს ოქროები და ნიკალაევსკი ჩერვონეცები დიდხანს უნდა ეძებო, უცბათ, სრაზუ არაფერი გამოვა. თუ შენ ვერ მიაგნე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტავარი არ არის. ამ დროს ალიკა იკითხავს: იქნებ კარგად ვერ ეძებე, იქნებ ნაკოლშიკი ახურებს? იქნებ, შენ ოსტროვ საკროვიშას არასწორი რუკა გქონდა?

იასნია, ალიკა არ არის აპოსტოლი. ზეპირად ბიბლია კი არა, ათი მცნებაც კი არ იცის, მაგრამ ეჭვი არ ეპარება რომ ადამიანი თესლობისთვის არაა დაბადებული. ალიკას ნება რომ იყოს, კიდევ ერთ მცნებას დაამატებდა: შენც იცხოვრე, პროჭო, და სხვასაც მიეცი ცხოვრების საშუალება!

ალიკას, ილიჩის არ იყოს, ბავშვებიც ევასება. იგი ასი პროცენტით დარწმუნებულია, რომ ბავშვების კეთება პრისტუპლენია არაა, მაგრამ ამ ამბავს ძალიან ხშირად ნაკაზანიე მოჰყვება ხოლმე. ალიკა დარწმუნებელია, რომ თუ სიბერეში შვილები გაასამართლებენ, განაჩენი არ იქნება „რასტრელ ჩერეზ პავეშანიე“. უფრო მეტიც, თუ ალიკას გოთვერანი შვილები მამას სროკს აკიდებენ, იგი უსლოვნიზე სტროგი არ იქნება.

ქალებზე დაწერე, ქალებზეო, ძაგანია მიყვირის. რა დავწერო, ალიკა, განა ბაბნიკია? ალიკა არ არის ბაბნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, მაგრამ არც ბრმაა და არც - ელამი. ალიკა დარწმუნებულია, რომ სილამაზე ბეზ დუში ნიტოა. ვიღაც ოლრაშს აკი უთქვამს კიდეც: ნე ვსიო ზოლოტო, ჩტო ბლესტიტო. სამფეხა ცხენი გინახავთ? ეგ არის რა!

ისე მაგარ ნაშას რა სჯობია, მაგრამ ქალის სილამაზე ვეჩნი არ არის. დაბერდება, დაჭკნება და დაერხევა. კაცობა უფრო უსტოიჩივი რამაა - თუ კაცი არ გოთვერნობს, თუ კაცი მუჟიკად რჩება, წლები ფეხებზე ჰკიდია, ბევრ ახალგაზრდა გოთვერანს გადაუჯოკრავს!

ალიკას ასეთი რამეები არ ეშლება. და ვაბშე, რო იცოდე, ალიკა რძე არ არის - ალიკა არ იჭრება! მაგარი ნათქვამია, არა?

ახლა რაზე გამსროკეს...

სროკი კი მართლაც რომ ფრაერულად ავიკიდე. პრინციპში კი არ ავიკიდე, შემტენეს რაღა. კაროჩე, ასე იყო: მე და ვოვა თბილის-რუსთავის ავტობუსზე ვმუშაობდით... ახლა შოფერი არ გეგონო. ვმუშაობდით, ტოესტ ვკარმანშიკობდით რა. პიჯაკი მკლავზე, პრახოდში პროპკა, გადამატარე, გადაიწიე და მთელი ამბავი. მთავარია, ბოლო გაჩერებამდე ჩახვიდე.

კაროჩე, მე და ვოვა ერთ ამბავში ვართ: ვიღაც ბიძა მოვაქციეთ ტისკებში და ვმუშაობთ რა... ამ დროს ვხედავ, ერთი ბაბუშკა მომშტერებია, თვალს არ მაშორებს. ვუყურებ, მიყურებს... ვიფიქრე, დამანდრაჟდება და ფანჯარაში გაიხედავს-მეთქი. სადა ბანაობ: მომშტერებია, ეს ბებერი მაიმუნი. ნერვებზე ავითხარე, პრინციპში მაგისი რა მიდის, მაგრამ თვალს მაინც არ მაშორებს, თავს აქანავებს, ვითომ როგორ არა გრცხვენიაო. ეს მინდოდა? თან მალე უნდა ჩავიდეთ, თორემ რაც ვიჩალიჩეთ, იმასაც დავკარგავთ. ტალპა ხო იცი - კაი ბიჭი, ცუდი ბიჭი არ იცის, ჩაგქოლავს. ბიძას შევეშვით. არადა, მაგარი ცხიმიანი ჩანდა. სისხლი მასხამს ტვინში. ის კიდე მიყურებს, თვალს არ მაშორებს. ვერ მოვითმინე და ხმამაღლა, მთელი ავტობუსის გასაგონად ვკითხე: ბებია, მუტელი გაქვს? გამოქლიავდა ქალი, კანკალი აუვარდა. ქალებმა წყევლა დაიწყეს, ბიძებმა - საათზე და ფანჯარაში ყურება. ამ დროს ვოვამ შოფერს დაუძახა, გააჩერეო. ჩავედით რა. ერთი ათი მეტრი იარა ავტობუსმა და ისევ გაჩერდა. ვხედავ, ვიღაც ნაშა ჩამოდის. კაი რამე ჩანს. ვოვა მეუბნება, ალბათ, მიხვდა ეს დედამიქინძული ჩვენ რო ვიყავითო. ის კიდევ მოვიდა და კინოებში რო იციან, ეგეთი ბოზური ღიმილით მეუბნება: მე მაქვსო!

კრიშაზე ავიყვანე...

კრიშა მაგარი რამეა. ვისაც კრიშა ევასება, ჩათვალე რო კაი ტიპია. მა როგორ, პადვალში გოთვერნები ჩაჰყავთ. თავად მოტვინეთ, ქალბატონო, ჩერდაკებზე სულ მოღუღუნე მტრედები იჩითებიან და სულ შეყვარებულები ზასაობენ. პადვალში კიდევ სულ კრისები დაშლიგინობენ და, როგორც წესი, პიდარასტებს ხმარობენ. თანაც კრისები და გოთვერნები ბევრნი არიან. კაროჩე, მე კრიშა მევასება და ეს გოგონაც პადვალში ჩასაყვანს არ ჰგავდა. კიდევ უფრო ზემოთ ავედით: ლიფტის შახტებს თავზე რომ ადგას ბუტკასავით, ხო აზრზე ხართ, იმაზე ავხოხდით. ეს ვაფშე ედემის ბაღია, პატარა, სამი ორზე პლოშადით რა. მერე რა რომ ამ ჩემ სამოთხეში ხეების მაგივრად ანტენები იჩითებიან, მერე რა რომ არც ტიგროსი და ევფრატი მოშხუის ახლოში. ზატო ზა გარიზონტამ, ქარხნებს იქით, ბავშვის მოფსმულივით მტკვარი მიტასაობს. არც დერევო ისკუშენია გვაქვს და არც დერევო პოზნანია. ვაშლებს ბაზარში ვყიდულობ ხოლმე. იმდენი მაქვს ნაჭამი, თესლი სად წავიღო არ ვიცი. კაროჩე რით არაა ედემი: ორნი ვართ, სულ ტიტვლები და ქვემოთ რა ხდება სირზე გვკიდია. ერთი ძველი ტვიდის კოსტუმი მქონდა, აღარ ჩაიცმეოდა, დედამ ძონძებში მიყიდა (იდაყვებზე ზამშის კრუგები რომ აქვს, ეგეთი). პონტზე დამქონდა. ჩალიჩის დროს, მკლავზე გადავიკიდებდი ხოლმე, მგზავრებს რომ არ დავეთირეთ. კაროჩე, ჯერ ეგ კოსტუმი წავიგდე ძირს, მერე ის გოგო. იცი, რა თეთრი იყო? თვალებს გატკენდა, სვარკასავით ანათებდა. რა ტრაკი ჰქონდა, რა ჯიქნები... სკილეტა არ იყო, მაგრამ მსუქანიაო, ვერ იტყოდი. მკვრივი იყო და სლიპინა, როგორც წყლით გაბერილი ბუშტი. მე სირი ვთხარე ფუჩურში, იმან ენა - პირში. რომელს უფრო დიდი გვქონდა, ვერ გეტყვი. ვხერხეთ და ვხერხეთ ერთმანეთი. რა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალშოი ტეატრი, რა ვენსკი სიმფანიჩესკი არკესტრი, იმ დღეს კრიშაზე, ჩვენი შესრულებით, ასჯერ და ათასჯერ უფრო მაგარი მუსიკა ისმოდა. დირიჟორი მე ვიყავი ჩემი პალოჩკით, მთავარ პარტიას კი ეს ჩემი ნაშა ასრულებდა. პუბლიკაც გაცილებით დასტოინი გვყავდა: ოციოდე მტრედი და შემოდგომის გრუსტნი მზე.

აზრზე რომ მოველი, მუცელზე ვიწექი. ზედ ეს გოგო მაწევს. ტრაკით ვგრძნობ, მუცლით როგორ სუნთქავს. ზურგში ძუძუს თავები მერჭობა. მარჯვენა მხართან ცხვირსა და სველ ტუჩებს ვხედავ. სახეში მასუნთქებს. ეგეთი, მალინის კისელივით ცხელი და არომატნი სუნთქვა აქვს. ხვნეშაზე გადადის. ვგრძნობ, როგორ ეჭიმება სხეული. ვხვდები, რომ ისევ ჟიმაობის ხასიათზე მოდის. სირი უნდა. ასე მყუდროდ კარგა ხანია, არ ვყოფილვარ. არაფრის თავი მაქვს, ბედნიერი ვარ. ყურზე მეჩალიჩება ენით. მე თვალებს ვხუჭავ. ის კი არ ისვენებს - ტალჩოკებს აკეთებს. ჰა-მეთქი, ვეუბნები. ის კი არ ჩერდება და იცინის. მერე რაღაც სტუდენტურ სირობას მეუბნება: ჩვენზეა ნათქვამი, ზედა ფენებს არ შეუძლიათ, ქვედას კიდევ აღარ უნდაო. უხ, შენი-მეთქი და კიდევ გავჟიმე. მერე კიდევ, კიდევ და კიდევ... აღარაფრის თავი მქონდა. მოშნად ვიოფლიანეთ რა. როგორ წამაკიმარა, არ მახსოვს. თვალი რომ გავახილე, მარტო ვიყავი. ზურგი ისევ სველი მქონდა. ზნაჩიტ, ახალი ამდგარი იყო. ძლივს გადმოვბუნდი, ძაან ჟოსტკი პასტელი გვქონდა. სად არის-მეთქი, ვიფიქრე. თვალებს არ დავუჯერე: სულ ნაპირზე იდგა ის ჩემისა. დაძახებაც ვერ მოვასწარი: პლავნად, საათის ისარივით დაეშვა ძირს.

ვსიო, მორჩა, იქ აღარ იდგა. მივხვდი, რომ დამენძრა!

მზეს ღრუბელი ეფარებოდა, მე კი ვიდექი სირამოგდებული. ძაღლების მოსვლამდე არ გავნძრეულვარ. მარტო შარვლის ჩაცმა მაცალეს. დანარჩენი შმოტკები, ჩემიც და იმ გოგოსიც კანარეიკაში შემომიყარეს. პადიეზდიდან რომ გამომიყვანეს, ისევ იქ ეგდო. წითლად დალადკული თეთრი პროსტინიდან თეთრი ფეხები მოუჩანდა. შენ გადმოაგდეო. 12 წელი მომარჭვეს...

მგონი მოვრჩი. სულ ეს არის, რა. ახლა მე არ ვიცი, რა სირად გინდათ ეს ჩემი წერილი, ქალბატონო, მაგრამ ერთს კი გეტყვით: მოშნად დავიჩაგრე. მარტო ედემის ბაღი კი არა, ძლივს ნაპოვნი ევაც დავკარგე.

წესით, აქ უნდა დამესვა წერტილი. არ მინდოდა თქმა, მაგრამ რაზე დავმალო, ან ვის დავუმალო, არა მკიდია? სროკზე არ ვწუწუნებ, ნესპრავედლივად რომ მომარჭვეს. ყველაზე დიდი სროკიც, როცა იქნება დამთავრდება. არსად მეჩქარება. ყველაზე გოთვერნული ის არის, რომ ვერაფრით დამივიწყებია. რომ დაიბრიდა, მერე უფრო მევასა. მგონი, ახლაც მიყვარს. მგონი კი არა, მართლა მიყვარს. ეს სიყვარულია თუ ჩემი ფეხები, რა უბედური რამე ყოფილა. კაცურად ველარ დამიძინია და ველარ მიკიშკავია, თითქოს მანდალოშკები და ბალანდა არ მყოფნიდა. ხოდა თან მიყვარს, მაგრამ თან გულს ეჭვებიც მიბრიდავს. ლამის შტირი ჩავირტყა, მეტის გაძლება არ შემიძლია...

ხომ არ მივქარე, კრიშაზე რომ ავიყვანე. განა, კრიშაზე ასაყვანი ქალები არსებობენ?! თანაც, პადვალიც ხომ იქვე იყო?!

არილი

ალენ გინზბერგი

# ამერიკა



ამერიკა, ყველაფერი შენ მოგეცი ახლა უკვე
არაფერი ვარ.
ამერიკა, ორი დოლარი და ოცდაშვიდი ცენტი,
17 იანვარი, 1965.
საკუთარ გონებას ველარ ვიტან.
ამერიკა, როდის მორჩები ჰუმანურ ომებს?
მიდი, ეგ შენი ატომური ბომბი უკან გაირტყი.
ვერა ვარ კარგად, ნუ შემაწუხებ.
ლექსებს არ დავწერ, სანამ სურვილი არ გამიჩნდება.
ამერიკა, როდის გახდები ანგელოზური?
როდის გაიხდი შენს ტანსაცმელს?
საფლავიდან როდის შეხედავ საკუთარ თავს?
როდის გახდები მილიონი ტროცკისტის ღირსი?
ამერიკა, რატომ წალეკა ცრემლმა შენი
ბიბლიოთეკები?
ამერიკა, როდის გაგზავნი საკუთარ კვერცხებს
ინდოეთში?
გულს მირევს შენი გიჟური მოთხოვნები.
როდის მომცემენ სუპერმარკეტში ყველაფერს
მხოლოდ ლამაზი თვალებისათვის?
ამერიკა, ბოლო-ბოლო მე და შენა ვართ
სრულყოფილნი და არა - საიქიო.
შენი მექანიზმები ჭკუიდან მშლის!
შენ გამოა, წმინდანობა რომ მომინდა.
ალბათ, ამ დავის მოსაგვარებლად სხვა გზაც
არსებობს.
ბეროუზი ტანჟერშია და არა მგონია,
უკან დაბრუნდეს. ბოროტებაა.
ნუთუ მართლა ბოროტი ხარ, თუ უბრალოდ,
ასე ხუმრობ?
ვცდილობ სათქმელი ბოლომდე გითხრა.
ჩემს სიგიჟეზე უარს არ ვიტყვი.
ამერიკა, ნუ გამიხურე, კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებ.
ამერიკა, ქლიავს ცვივა თეთრი ყვავილი.
რამდენი თვეა, გაზეთები არ წამიკითხავს.
ვიღაცას ყოველდღე ასამართლებენ
მკვლელობისათვის.
ამერიკა, იცი, როგორ მეცოდება მერყევი
ხალხი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკა, ბავშვობაში კომუნისტი ვიყავი
არ ვნანობ.
მარიხუანას მოწევის შანსს ხელიდან არ ვუშვებ.
გაუთავებლად ვზივარ შინ და კარადის ვარდებს
ვუყურებ.
ჩაინათაუნში სულ ვთვრები, თუმცა, ფეხებსაც
ვერ მომჭამენ.
მე გადავწყვიტე, რომ რაღაც ცუდი უნდა მოხდეს.
უნდა გენახა, მარქსს როგორ ვკითხულობდი.
ჩემი ფსიქოანალიტიკოსი ჯანმრთელად მთვლის.
უფლის ლოცვებს აღარ წარმოვთქვამ.
მაქვს მისტიური ხილვები და კოსმიური
ვიბრაციები.
ამერიკა, ჯერაც არ მითქვამს, რა უყავი ძია მაქსს,
როცა იგი
რუსეთიდან აქ გადმოსახლდა.
მე შენ მოგმართავ.
რაო, შენს ემოციურ ცხოვრებას
ჟურნალ "თაიმს" ჩაუგდებ ხელში?
მაგ ჟურნალზე უკვე მაბოდებს.
ყოველ კვირა ვკითხულობ.
მისი ყდები მე მიყურებენ, როცა კანფეტების მაღაზიასთან
მივიძურწები.
ბერკლის საჯარო ბიბლიოთეკის სარდაფშიაც მას
ვკითხულობ.
მასში ყოველთვის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობენ.
ბიზნესმენები სერიოზული ხალხია.
კინოპროდიუსერებიც სერიოზული ხალხია.
ჩემს გარდა ყველა სერიოზულია.
და უცებ ვხვდები, რომ ამერიკა მე თვითონა ვარ.
ისევ საკუთარ თავთან ვსაუბრობ.
აზია ჩემს წინააღმდეგ მოიწევს.
ჩინელის შანსი აღარა მაქვს.
ჯობს, ჩემს ეროვნულ რესურსებს გადავხედო.
აი, ასეთი რესურსები მაქვს: ორი მასტერკა მარიხუანა
მილიონობით გენიტალია და სრულიად
დაუბეჭდავი ინტიმური ლიტერატურა რომელიც
საათში 1400 მილის სიჩქარით დაქრის ოცდახუთ ათას
საგიჟეში.
არაფერს ვამბობ ჩემს ციხეებზე და მილიონობით
ლატაკზე, ხუთასი მზის სინათლის ქვეშ ჩემს ქოთნებში
რომ იზრდებიან.
საფრანგეთში ბორდელები გავაუქმე, ახლა ტანჟერის
რიგი მოვიდა.
მე ვოცნებობ პრეზიდენტობაზე,
თუმცა, ვიცი, კათოლიკე ვარ.
ამერიკა,როგორ მოგიძღვნა ასეთ სულელს წმინდა ლიტანია?
ჰენრი ფორდივით გავაგრძელებ ჩემი სტროფები მისი
ავტომობილებივით არ ჰგავს ერთმანეთს,
ყველა სხვადასხვა სქესისაა.
ამერიკა, სტროფს 2500 დოლარად მოგყიდი,
ძველი ნაცნობობით 500-ს დაგიკლებ.
ამერიკა, ტომ მუნისგან თავისუფალო
ამერიკა, დაიფარე ესპანელი ლოიალისტები
ამერიკა, საჩო და ვანცეტი არ უნდა მოკვდნენ
ამერიკა მე სკოტსბოროელი ბიჭები ვარ
ამერიკა, როცა შვიდის ვიყავი დედამ კომუნისტური წრის
შეკრებაზე
წამიყვანა სადაც თითო ბილეთში თითო მუჭა თხილი
მოგვცეს
ბილეთი ხუთი ცენტი ღირდა
სიტყვით გამოსვლა - თავისუფალი
ყველანი ერთად ანგელოზებად ქცეულიყვნენ და ყველას
ეცოდებოდა მუშათა კლასი და სულ ყველა გულწრფელი იყო
აზრზე არა ხარ რა მაგარი შეხვედრა გვქონდა
1835-ში სკოტ ნიარინგი დიდებული მოხუცი იყო
ნამდვილი მენში
დედილო ბლურმა ამატირა ერთხელ ისრაელის
თვითმფრინავები ვიხილე.
ყველა ჯაშუში იქნებოდა.
ამერიკა, შენ სულაც არ გინდა ომში წასვლა.
ამერიკა, ეგ სულ ცუდი რუსების ბრალია.
ეგ რუსები ეგ რუსები და ჩინელები
და ეგ რუსები.
მაგ რუსეთს ჩვენი ცოცხლად შეჭმა სურს.
მაგ რუსეთს გიჟური ძალა აქვს.
ჩვენი გარაჟებიდან მანქანების გამოყვანა უნდა.
უნდა, ჩიკაგოს წაავლოს ხელი.
წითელ მკითხველთა დაიჯესტი სჭირდება.
ჩვენი ავტოქარხნები ციმბირში უნდა.
მაგათი დიდი ბიუროკრატია ჩვენს ბენზინგასამართ
სადგურებს მართავს.
მაგრა ტეხავს. ოხ, ამათი! ინდიელებს კითხვას ასწავლიან.
დიდი შავი ზანგებიც სჭირდებათ. ჰა-ჰა!
გვაიძულებენ, ყოველდღე თექვსმეტი საათი ვიმუშაოთ.
მიშველეთ.
ამერიკა, მე არ ვხუმრობ.
ამერიკა, ტელევიზორის ყურებით სწორედ ასეთი
შთაბეჭდილება მრჩება.
ამერიკა, მართლა ასეა?
ჯობს, მუშაობას მოვკიდო ხელი.
თუმცა, ჯარში წასვლა ან ზუსტი დეტალების ქარხანაში
ჩარხთან დგომა არ მინდა, ახლომხედველი და ფსიქოპათი
ვარ ბოლო-ბოლო.
ამერიკა, ჩემს ცისფერ მხარს საჭეს მივაყრდნობ.

ბერკლი, 17 იანვარი, 1956

ინგლისურიდან თარგმნა
დათო გაბუნია

არილი



ეპოქათა ურთიერთმიმართებები მეტ-ნაკლებად ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება ლიტერატურის საგანი. მით უმეტეს ასეა ახლა: ლიტერატურული ნამცეცობის - ნაგვიანევი პოსტმოდერნის დროს, როდესაც მწერალი ხშირად გაუცნობიერებლადაც კი ამ თემატიკის არეალში აღმოჩნდება ხოლმე.

დღეს გალაკტიონის ვერსიფიკაციათა სტილიზაციები რამდენად შეიძლება იყოს საინტერესო, ძნელი სათქმელია. თუმცა ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი ნიმუშები ჩემთვის იყო იდუმალი აქტი და არა როგორც თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს აყოლა. რაც შეეხება ეპოქათა ურთიერთმიმართებებს, მათი სულიერი თუ სამოქალაქო ღირებულებებისა და ესთეტიკური ფასეულობების ტრაგიკომიკურ მონაცვლეობას, ამის მინიატურული, სიმბოლური ფორმით ჩვენების სურვილი "არაპოლიტკორექტულ დოკუმენტში" გამიჩნდა. არაპოლიტკორექტულობა ჩემი აზრით სწორედ ის მუდმივი მახასიათებელია, რის გარეშეც ერთი ეპოქის ფანჯრებიდან მეორე ეპოქის დანახვა შეუძლებელია. და ისედაც, "პოლიტკორექტულობა" ხომ ერთი კონკრეტული ეპოქის ახირებაა, სურვილია, ღირებულებაა... ანუ ეს ისაა, რა კრიტერიუმითაც შეიძლება ეს მოთხრობა დღეს წაკითხულ იქნას, მაგრამ "დოკუმენტი" მხოლოდ საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის იდეალისტი პოეტის თვალით დანახული სხვა ეპოქაა...

ავტორი

შოთა იათაშვილი

# ციკლიდან "ი. ა."

## სილაზე მე ანუ სილამაზე

იყო დღე ზაფხული,
ტანში მზე ღუოდა,
სიზმრად ჩაგძახოდი:
ადუღდი, ადუღდი!

გამოსულს ძილიდან
ზღვის ტალღა გარწევდა,
ჩუმად ჩაგძახოდი:
მერწმუნე, მერწმუნე!

მერე მზე დაეშვა
ჰორიზონტს მიღმეთში,
მე კი ჩაგძახოდი:
მიღმერთე, მიღმერთე!

იყო დღე ზაფხული,
იყო და დასრულდა,
რადა ვარ, ვიძახდი,
ასე დათარსული.

ვწევარ სილაზე მე
მას მერე უგონოდ,
ასეა, როდესაც
მიდის სილამაზე.

## სანდო იყო ცხოვრება

სიგარეტი "ოპალი"
გამახსენდა რატომღაც:

ბულგარული ბურანი,
თეთრი კაბის კოპლები,

მოკანკალე პეპლებში
მქროლი ჩემი ქურანა.

სანდო იყო ცხოვრება,
მაგრამ ტრფობამ მოლიპა:

აღარ ბოლავს მურა თმას
სიყვარული "ოპალი".

## გედი მაგიდაზე

ოდინდელი კაფე
უპოვარი მუშტრით.

გულის ცალი ძაფით
დაკიდული ლუსტრა.

ჩვენი გოლეული -
არტისტული მორფი.

სიყვარული ორფა
სულმთლად გალეულა.



კვნესის ტრაგედიას
გედი მაგიდაზე.

ბედი მაგიდაზე,
ლედი მაგიდასთან —

აი, ასეთია,
ასეთია, აი:

როდინდელი კაფე,
ოგ უსტ როდენდელი...

## განშორების ბარხანა

ცხოვრების გზა — ხვეული, როგორც ავი ბიგუდი,
სიყვარულზე ფიქრები თავად იგუდებიან.
შეკრულია ხვალიდან განშორების ბარხანა,
შარიშურობს ოდნავღა ქალბატონის ბარხატი.

მკვდარი ფანჩატურიდან გამოსჩანან ვერხვები,
აწეწილმა ღრუბლებმა ზეცად გაირონია.
სინოტივეს კლიმატის მოსდევს ხშირი ხველება,
საკითხავი პოეტი აწი ბაირონია.

### წყავთან

ალიონის გვრიტებს
თავს მოვუყრი წყავთან,
კოინდარზე დავრგავ
საწყალ მარგარიტკებს.

მელოდება ჭაში
უჩინარი წყალი.
გული აღარ წყრება,
სული აღარ ჯავრობს.

ჩინარების წყება,
ჩიტი მუხის ვარჯში,
დღეს დილიდან ვიწყებ
სიყვარულში ვარჯიშს.

### ზეცის საგიჟიდან

ზეცის საგიჟიდან
ვიწერები კონვერტს.
ერთადერთსღა ვითხოვ:
ჰალილუIა კონცერტს.

განმაშორე პარადს,
სიყვარული მარგე,
და მიურგე მარადს
მსწრაფლი, დემიურგო!

### ძველი იყო ადრესი

ვერ იპოვა კნეინა,
ძველი იყო ადრესი,
შეუკვეთა "მადერა",
თევზიც, ერთი საინი.

გაიხსენა ჩაი, ცა,
საუბრები, ტალღები,
სიყვარულის ბალღამი, -
გულში მჭიდი ჩაიცა.

დაიღალა, დაითრო,
დაიძინა მატრასზე,
ძველი იყო ადრესი,
ვერ იპოვა კნეინა.

### ლურჯი გაშუქებით

პარიზული ზონტიკი,
კაბის ქობა თეთრი.
ლელუშით რომანტიკა,
ლუში ქობულეთი.

გული აქარღალალა
ქალბატონმა ქმრის.
ჩაიქროლებს კატარღა,
ნეტარებას ჰგვრის.

სინემას ბილეთები
სიყვარულის ქებით.
მუდამ ქობულეთები, -
ლურჯი გაშუქებით.



# არაპოლიტკორექტული სიმბოლური დოკუმენტი

## ლიბერალებისა და კონსერვატორებისათვის



1916 წელია. ახალგაზრდა ქართველმა პოეტმა შექმნა მორიგი დაუვიწყარი სტრიქონები, სადაც გარდაცვლილი ფრანგი პოეტი ვერლენი (1844-1896) მოიხსენია დალუპულ მამად. ახალგაზრდა ქართველი პოეტი აღმერთებდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგ პოეტებს: ბოდლერს, ვერლენს, გოტიეს, რენიეს... გარდა ფრანგებისა, მას ჰყავდა აგრეთვე ამერიკელი ფავორიტიც, მოკლე გვარითა და გაწკეპილი ულვაშებით, თუმცა ამ ისტორიაში იგი არავითარ როლს არ ასრულებს.

1919 წელია. ქართველი პოეტი გამოსცემს ლექსების კრებულს, რომელიც სულ მალე პოპულარული ხდება მთელ საქართველოში. მას ქართველი პოეტი წინ ურთავს ბოდლერის, ვერლენის, გოტიესა და რენიეს ციტატებს ფრანგულ ენაზე, ხოლო ის ლექსი, სადაც მოხსენიებულია პოეტი ვერლენი, ქართველ პოეტს შეაქვს ამ კრებულში. გადის დრო და ქართველ პოეტს ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად მოუწევს შევლა ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში. იქ მას შეპირდებიან ამ პრობლემების მოგვარებას, თუმცა, ამასთანავე, ერთ-ერთი ჩინოვნიკი საუბრის დასასრულს გადაკვრით ეტყვის, რომ მისი აზრით, არ ღირდა პოეტ ვერლენის მამად (თუნდაც დალუპულ მამად) მოხსენიება, ვინაიდან იგი მამათმავალი იყო. ქართველი პოეტი დაზაფრული გამოდის სახელმწიფო დაწესებულებიდან. როგორც კი პირველი შოკი გადაუვლის, ის ფიქრობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს მოახვიეს მცდარი ინფორმაცია, რათა შეერყიათ მისი სულიერი სიმტკიცე. ქართველი პოეტი მიდის სახინკლეში და ცდილობს ალკოჰოლის დახმარებით მოაშთოს მის ცნობიერებაში შეპარული ეს კოშმარული ცილისწამება. ქართველი პოეტი დროთა განმავლობაში ახერხებს დაივიწყოს სახელმწიფო მოხელის შემზარავი სიტყვები, მაგრამ 20-იანი წლების დასასრულს თბილისში ჩამოდის რუსი მწერლების დელეგაცია, რომელსაც სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მასპინძლობს ქართველი პოეტიც. ვიზიტი ერთკვირიანია და ამ ხნის განმავლობაში ქართველი პოეტი რუს მწერლებს პათოსითა და სულიერი აღტყინებით ესაუბრება ესთეტიკური თვალსაზრისით მისთვის ფრიად მნიშვნელოვან, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ფრანგულ პოეზიაზე. დამშვიდობებისას, აეროპორტში, ერთ-ერთი რუსი მწერალი ქართველ პოეტს ჩასჩურჩულებს, რომ პოეტი ვერლენი ჰომოსექსუალისტი იყო და ინტიმური კავშირი ჰქონდა პოეტ რემბოსთან. კვლავ თავზარდაცემული ქართველი პოეტი გონებას კარგავს, ხოლო როდესაც მეგობარი ქართველი მწერლების მიერ მოსულიერებული შეეცდება ამ გამაოგნებელი ფაქტის შესახებ ცოტა მეტი რამ დააზუსტოს თავის რუს კოლეგასთან, უკვე გვიანი იქნება - თვითმფრინავი მოსწყდება ქართულ ასაფრენ ზოლს.

ქართველი პოეტი მეორედ ჩაახშობს თავის მტანჯველ განცდებს სასმელში, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ვერის ხიდის გადავლისას, მას დააკვირდება ერთ-ერთი უცნობი გალეწილი მოქალაქე და მერე უცებ შესძახებს: "ე, შენ ის არა ხარ, პიდარასტ ვერლენზე რომ ლექსებს წერ?!" ამის შემდეგ ქართველი პოეტი თითქმის ირწმუნებს, რომ მისი სათაყვანებელი ავტორი მამათმავალი იყო. სასოწარკვეთილებაში მყოფი, იგი შუაღამისას ესტუმრება თავის ბიძაშვილს, ასევე პოეტს, და გაანდობს თავის გულის ვარამს. სისხლით ნათესაობის გარდა, ამ ვიზიტის მიზეზი იქნება ისიც, რომ მისი ბიძაშვილი პოეტი არის ავტორი ლექსისა, რომლის ბრწყინვალე ბწკარები ეძღვნება მქროლავ პოეტ რემბოს. ბიძაშვილი ქართველ პოეტს არ დაუმალავს, რომ მისთვისაც ცნობილია ვერსია ამ ავტორების მამათმავლობისა და მათ შორის არსებული ინტიმური კავშირის შესახებ. ამ ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო იგივე რუსი მწერალი აღმოჩნდება, აგრეთვე ქართველი პოეტისთვის უცნობი ერთი სახელმწიფო მოხელე და ქართული საზოგადოების რამდენიმე რიგითი წევრი. აღმოჩნდება, რომ ბიძაშვილს, ისევე როგორც ქართველ პოეტს, სულს უღრღნის და სიცოცხლეს უწამლავს ეს საკითხი. ქართველი პოეტი და ბიძაშვილი გადაწყვეტენ, ერთობლივად იმოქმედონ და რამენაირად დაადგინონ, სიმართლეა თუ ცილისწამება მათი საყვარელი ფრანგი პოეტებისადმი წაყენებული ბრალდებები. საუბრისას ბიძაშვილი ქართველ პოეტს შეახსენებს, რომ ქართველი მგოსნებიდან ყველაზე დიდი ოდა ვერლენს ბიძაშვილის ერთმა მეგობარმა უძღვნა. მეგობარმა თავისი ტრიპტიხის ერთ-ერთ ნაწილს "ვერლენ" უწოდა და იქ იგი წერდა, რომ მის ყვითელ თმებს მორიდებით სხივს დააფენდა, რომ ვერლენი ბრწყინვალე დენდია, რომ იგი უყვარს, რომ ვერლენს სწამდა ეკლესია, რომ იგი მაისის გედი იყო (ჰმ, გედი!), იყო მოწმე უკვდავ ყოფნისა და დიდებისა... ამის გახსენებაზე ქართველი პოეტი მაგიდას დასცხებს მუშტს და გადაჭრით იტყვის, რომ თავიანთ საიდუმლო ჯგუფში აუცილებლად უნდა შეიყვანონ მეგობარიც. ამ გადაწყვეტილებას აქამდე რატომღაც სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი სუსტი ნერვების მქონე მეგობრის ისტერიკა მოჰყვება.

შემდეგ იწყება ამ ავტორებისა და საერთოდ, იმ პერიოდის ფრანგი პოეტების ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოპოვების რთული და ხანგრძლივი პროცესი. ჩვენ ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ ერთობლივი საიდუმლო ძიებების შესახებ, ამიტომ მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ მეგობარმა 1937 წელს მწერალთა საყუდელში თოფით თავი მოიკლა, რაც აშკარად იმის მაჩვენებელია, რომ იმ დროისთვის მან სათაყვანო პოეტის მამათმავლობის დამადასტურებელ ძალიან სარწმუნო წყაროს მიაგნო და ამას, როგორც ვერლენის ფანმა, ვერანაირად ველარ გაუძლო. თვითმკვლელობიდან ისიც ჩანს, რომ იგი უმალავდა თავის მეგობარ- თანამზრახველებს ამ წყაროს და მისი აზრით მხოლოდ საკუთარი თავი გაწირა სასიკვდილოდ. თუმცა სამწუხაროდ ყველაფერი ამით არ დასრულებულა: ქართული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მახვილ თვალს არ გამორჩა ქართველი პოეტების გადამეტებული ინტერესი დახურული ფრანგული წყაროებისადმი, ამ ტრიადის ერთ-ერთი წევრი, ბიძაშვილი, იმავე 1937 წელს საფრანგეთის ჯაშუშად ცნო და ლიკვიდირებულ ჰყო.

გაურკვეველია, თუ რატომ არ ეწია მსგავსი ბედი ქართველ პოეტსაც, მაგრამ ის, რომ იგი იმ დროისათვის უკვე იყო საქართველოს სახალხო პოეტი (1933 წ.) და რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ორდენისა და მედლის მფლობელი, ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა ყოფილიყო მისი ცოცხლად დატოვების მიზეზი. არაა გამორიცხული, რომ ხელისუფლებას ბიძაშვილისა და მეგობრის სიკვდილით დაშინებული ქართველი პოეტისათვის შეეთავაზებინა ორმაგი აგენტობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში ნამყოფი ქართველი მეომრები და გერმანელი ტყვეები ხშირად ადასტურებდნენ ვერსიას ამ ფრანგი ავტორების მკრეხელური სასიყვარულო რომანის შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჭორები უნებლიეთ ქართველი პოეტის დაშინებულ ყურამდეც აღწევდა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ 50-იან წლებში პოეტ ვერლენის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით ქართველ პოეტს უკვე აღარ ჰქონდა არავითარი ილუზიები. ამას კი მოჰყვა მძიმე დეპრესია. ქართველი პოეტი დააწვინეს საავადმყოფოში, ე. წ. "ლეჩკომბინატში". იქ მას, მის პალატაში მყოფმა ერთ-ერთმა პაციენტმა იდუმალი ხმით კვლავ გაუბა საუბარი პოეტ ვერლენის მამათმავლობაზე. ქართველი პოეტი მიხვდა, რომ ეს შენიღბული პაციენტი უშიშროების კომიტეტის დავალებით მოქმედებდა, მაგრამ მან უკვე ველარ გაუძლო ასეთ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და 1959 წლის 17 მარტს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. როდესაც იგი საავადმყოფოს მესამე სართულიდან დაბლა, ცოდვიანი მიწისაკენ მიფრინავდა, მას თავში გაუელვა საკუთარმა საბედისწერო სტრიქონებმა:

"ხშირად ვიგონებ ვერლენს,
როგორც დალუპულ მამას..."

სულ ბოლო მომენტში კი ორმა ბწკარმა იმავე საბედისწერო ლექსიდან:

"ხშირად ვიგონებ პარიზს...
ნახე იგი და დაგმე!"



არილი

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

## ბასა ჯანიკაშვილი

### სასაფლაო.ge

ჩემს ფოლდერში შენახული სიტყვები თამადას
წავუკითხე და მანაც, როგორც
ჭეშმარიტმა სუფრის დიჯეიმ საზოგადოებას
ხმამაღლა ამცნო მოგონებების
კიდევ ერთი ფორმულა.

ფეხზე ადგომით დავააფლოუდეთ გარდაცვლილთა
სადღეგრძელო,
ვინც ერთი საერთო დომენით გაერთიანებულნი თავის
მნახველს ელიან.

ამიერიდან სუფრა იქცევა ჰაბად,
ჭიქა ქიბორდად,
სიტყვები თხევად კრისტალურ მონიტორად
ღვინო ინტერნეტ პროვაიდერად, რომელიც
პირდაპირპროპორციულია
დაკავშირების სიჩქარესთან
და ვიქნებით გულწრფელნი ჩვენს გრძნობებში.

შინ დაბრუნებულს გამახსენდება ჩემს ფოლდერში
შენახული ფორმულა და
ინტერნეტ ექსპლორერით გავიკვლევ გზას,
როგორც ღამის მხედარი მთვარიან ღამეს
და გული გამიწევს მოვინახულო ყველა ეს საიდუმლო
და ვიხეტიალებ
გვერდიდან გვერდზე,
საიტიდან საიტზე,
ნეტიდან ნეტზე,
ორგიდან ორგზე
რომ კიდევ ერთხელ პატივი მივაგო გარდაცვლილთა
ხსოვნას
და გავუგზავნო ერთი ყვავილი მაინც სასაფლაო ჯე - ს.

### მახსოვხარ

მე მავიწყდება, რომ შენ ხარ ამ ქვეყანაზე.
რომ რაც შენ არ გინდა, ის გავიწყდება.

მე მავიწყდება, რომ მეზარება
მე მავიწყდება, რომ ჩვენ ვართ ბნელები და შენ ჩვენსკენ
არ იყურები.

მე მავიწყდება, რომ გულზე გზვდება თეთრი აზრები.
მე მავიწყდება, რომ გაგიხსენო

მე მავიწყდება, რომ გთხოვო არ დამძრახო.
მე მავიწყდება, რომ მოგეფერო.

მე მავიწყდება, რომ ყვავილებს არ უყვართ პოეზია.
რომ გეხუმრები და შენ გწყინს.

მე მავიწყდება საუბარი სიყვარულზე.
მე მავიწყდება შენთან დარეკვა, რომ გითხრა მახსოვხარ.

მე მავიწყდება, რომ დამივიწყე.

### კიდევ სცადე

თუ წარმოვიდგენ, რომ ვარ კოკა კოლას ბოთლის
სახურავზე აკრული გამარჯვება
და ვიკარგები ასიათას ჩემს მსგავს გამარჯვებებს შორის,
გამოვა, რომ ჩვენი შეხვედრის ალბათობა ერთი ასად
გაიზრდება.

თუ წარმოვიდგენ, რომ ამომარჩევ, მიყიდი, გამხსნი,
ჩაიფიქრებ
და დამხედავ იმედით, რომ გაიმარჯვე,
გამოვა, რომ მოგებული მე დავრჩები შენი ნახვით.

ამიტომ,
შევეცდები, რომ ყოველდღე დამინახო
და გავხდე სარეკლამო ტიხრებში ჩაძირული ერთფეროვნება,
ვიოცნებო შენს გამარჯვებაზე, რომელიც არ გიწერია.

ვიქნები ერთადერთი, გამონაკლისი მოგება,
რომ გავზარდო შენი ნახვის შანსი
და მაშინ, როდესაც ვეწყობი ტატუირებულ სახურავებს
შორის
მე ერთად-ერთი გაყინული მომგებიანი სიმბოლო,
და მაშინ, როდესაც შევნიშნავ, რომ ვაგვიანებ,
გვერდით ჩამიარე და ვერ მომიგე
გამათბობს ფიქრები შენზე და წარწერა "კიდევ სცადე"

### აბა, ინტერნეტში მნახე ვინა ვარ?!

ჩემი პოვნა ადვილია...
იაჰუში მიეცი სერჩი და დაელოდე.
იცოდე, რომ გამოვჩნდები შენს სასახელოდ!
იაჰუში მიეცი სერჩი და იფიქრე მომავალზე,
რომელსაც სიჩქარე ჰქვია.
და გვიპასუხებს წარსული:
ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ისხდებით მონიტორთან და
დაელოდებით მზეს,
რომელიც ეკრანიდან კრისტალურად გაანათებს.

ჩემი ნახვა ადვილია...
აკრიფე მეილ რუ და წაიკითხე რას ეძებ ჩემში
აკრიფე მაქსიმუმ ჯი და იოცნებე, რომ არსად შემხვდე
და გვიპასუხებს წარსული:
შორიდან ესვრით ერთმანეთს წერილებს,
რომელსაც ჩვენს გარდა უტიფრად ნორტონ
ანტივირუსიც წაიკითხავს.

ჩემი ძებნა ადვილია...
დაარტყი ენტერს და ილოცე, რომ იყოს სწრაფი კავშირი
სატელიტთან
დაარტყი ენტერს და დარწმუნდი, ვინმემ ხომ არ
დაგასწრო!
და გვიპასუხებს წარსული:
დამდნარი სანთლით, დაღლილი თვალით,
დამარხული ოცნებებით იბოდიალებთ საიტიდან საიტზე.

ასე რომ, ჩემთან შეხვედრას აზრი არა აქვს.
სჯობს ამოვეფაროთ წერილებს,
სიტყვები დავწეროთ ბოლდით,
ფიქრებს დავარქვათ ძახილის ნიშანი,
სჯობს გვახსოვდეს რაც მოხდა - რაც იყო
და ვკითხოთ წარსულს რას გვიპასუხებს.

## ასსამოცი სიმბოლო

ასსამოცი სიმბოლოსაგან შემდგარი სიცოცხლის
ფორმულა
გადაიგზავნება ღრუბლებისაკენ,
იქიდან მივიღებთ პასუხს, რომ ვართ მშვიდი მოძრაობა
წარსულისაკენ
და გვეცოდინება, რომ სანთლის შუქზე წაკითხული
წიგნები
თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი.
სიდი ფლეიერში მოვუსმენ ლექსებს, რომლებიც იმედს
მომცემენ და
გავჩუმდები,
გავყუჩდები, თავზე დამტყდარი უბედურებასავით
სახელად - სამშობლო...
მოვწევ სიგარეტს და კოლოფიდან ამოსული კვამლი
გაანათებს გონებას,
როგორც ქსელში ჩართული მარტოობა ებრძვის ხოლმე
მრავალფეროვნებას.
ჩავრთავ კომპიუტერს და ვიფიქრებ იმ ასსამოც
სიმბოლოზე,
სადღაც შორს რომ მისდევენ ფეხაკრეფით ერთმანეთს,
ვიფიქრებ გაგონილ ლექსებზე, კოლოფიდან ამოსულ
კვამლზე და ქსელზე,
სადაც პორნო საიტებს შორის დაკარგული სამშობლო ისე
გამოიყურება,
როგორც მოულოდნელად თავს დამტყდარი უბედურება...
ამასობაში კი,
ტელევიზორიდან გადმოღვრილი რეალობა იქნება
ერთადერთი ნათელი
წერტილი გადანათებული დიაფრაგმებისა და კადრების
ფონზე,
სადაც ჩვენდაუნებურად იმაზე მეტის დანახვა შეგვიძლია,
რასაც გვთავაზობენ.
ფუჯი კოლორში დაბეჭდილი მოგონებები ჩაენაცვლება
ცოცხალ მეგობრებს და
სადღაც გულის სიღრმეში იფიქრებ
უახლოესი ადამიანის სიკვდილზე,
რადგან სიკვდილი უახლოეს ადამიანზე ახლობელია
და ეს ახლობელი სიცოცხლესავით სანატრელია ხანდახან,
იმიტომ რომ მგზავრობ ბარონ მიუნჰაუზენივით
გასროლილ ყუმბარაზე და
მაინც ადგილიდან არ იძვრის ეს მოულოდნელად თავს
დამტყდარი უბედურება
სახელად სამშობლო...

არილი



გაო შინჯიანი

# საგზაო შემთხვევა

გაო შინჯიანი (დ. 1940) - ცნობილი ჩინელი მწერალი (ამჟამად საფრანგეთის მოქალაქეა), ნობელის პრემიის ლაურეატი (2000). გამოცემული აქვს მოთხრობების რამდენიმე კრებული, პიესები, რომანები (მათ შორის, "სულის მთა", "ერთი კაცის ბიბლია"). გაო შინჯიანის მხატვრული ნაწარმოები (2001 წელს ჟურნალ "საგურამოში" დაიბეჭდა მისი სანობელე ლექცია) პირველად ქვეყნდება ქართულად.



აი, როგორ ხდება ხოლმე ეს.

ქარი იტაცებს სინჰუას წიგნის მაღაზიასთან დაყრილ ნაგავს, ჰაერში აფრიალებს და აქეთ-იქით ფანტავს. მტვრის ქარიშხლების სეზონი ჯერ არ დამდგარა - გაზაფხულის პირია. ბევრ ველოსიპედისტს ჯერ კიდევ აცვია თბილი რუხი ქურთუკი, თუმცა ტროტუარზე მიმავალი რამდენიმე ახალგაზრდა ქალი მოცისფრო საგაზაფხულო სამოსში გამოწყობილა. ყველაფერი იწყება ნაშუადღევის ხუთ საათზე, ზუსტად მას შემდეგ, რაც დეშენგის ქუჩაზე განლაგებული რადიოსარემონტო სახელოსნოდან საათის მეოთხე სიგნალი გაისმის. სამუშაო დღე ჯერ არ დამთავრებულა, ამიტომ ქუჩები ტრანსპორტით არაა გაჭედილი. ამასთან, როგორც ყოველთვის, ბევრი ადამიანი ადრე ამთავრებს მუშაობას, ზოგიერთი კი საერთოდ არ მუშაობს. ამდენად, ქუჩაში, ველოსიპედისტებისა და ქვეითად მოსიარულეთა უსასრულო ნაკადში მრავალი საქმიანი და უსაქმური ადამიანი ირევა. დღის ამ დროს ყოველთვის ასეა. ავტობუსებში ყველა ადგილი დაკავებულია. ზოგიერთი მგზავრი ფეხზე დგას, სახელურს ებღაუჭება და თან ფანჯარაში იყურება.



ერთ-ერთ ველოსიპედისტს თავის "ტრანსპორტზე" დამატებითი ბორბალი მიუმაგრებია ჭრელსახურავიანი საბავშვო ეტლისთვის. ის დიაგონალურად ჭრის ქუჩას. მოპირდაპირე მხრიდან მოდის ორვაგონიანი ტროლეიბუსი, რომელიც სწრაფად, მაგრამ არც ძალიან სწრაფად მოიწევს წინ. ტროლეიბუსზე ოდნავ მეტი სიჩქარით მოძრაობს პატარა ბაცი მწვანე ფერის ავტომანქანა ველოსიპედისტის უკან, თუმცა არც ერთი მათგანი არ აჭარბებს ქალაქში დაწესებულ სიჩქარის ზღვარს. ველოსიპედისტი წინ იხრება და სწრაფად ატრიალებს პედლებს, როდესაც პატარა მწვანე ავტომანქანა მას გვერდს უქცევს. ქუჩის ამ ნაწილში შემხვედრი მიმართულებით მოდის ავტობუსი. კაცი ყოყმანობს, მაგრამ არ ამუხრუჭებს და ველოსიპედი, ბავშვის ეტლიანად, განაგრძობს მოძრაობას გზის გადასაკვეთად. ავტობუსი ასიგნალებს. როდესაც ველოსიპედისტი კვეთს გზის თეთრ შუა ხაზს, ქარი წყნარდება. ამდენად, კაცი ყველაფერს მკაფიოდ ხედავს. ის ორმოციოდე წლისაა, ქუდი კეფაზე გადაუწევია და მელოტი თავი მოუჩანს. საბავშვო ეტლში ზის სამი-ოთხი წლის ვარდისფერლოყება ბავშვი. კაცი უნდა ხედავდეს ავტობუსს, რომელიც მისკენ მოდის და უნდა ესმოდეს გაბმული სიგნალის ხმა. ის, თითქოს, იბნევა და წამიერად ამუხრუჭებს, მაგრამ შემდეგ განაგრძობს მოძრაობას თავის დიაგონალურ ტრაექტორიაზე. ავტობუსი ახლოვდება და სულ უფრო ხმამაღლა ასიგნალებს. გაისმის მისი მუხრუჭების წრიპინი. ველოსიპედი ჯერ კიდევ წინ მიგორავს. ავტობუსი ცდილობს, შეჩერდეს, მაგრამ მაინც განაგრძობს თავის ავბედით მოძრაობას. საცაა, ის და ველოსიპედი ერთმანეთს შეეტაკებიან. ქალი, რომელმაც ტროტუარიდან თვალი შეასწრო ამ სცენას, კივის. ველოსიპედისტები და გამვლელები ადგილზე ხევდებიან. აი, ველოსიპედისტმა თითქოს უნდა გადაასწროს ავტობუსს, ის სწრაფად ატრიალებს პედლებს - იქნებ, გადარჩეს. იმავე დროს ველოსიპედისტი ხელს იწვდის საბავშვო ეტლისკენ, როგორც ჩანს, მისი გვერდზე გადასროლა სურს. ეტლი მართლაც ძვრება ველოსიპედს და ერთ ბორბალზე ხტუნვით მიგორავს ქუჩაში. კაცს ფეხები ველოსიპედში ეჭედება. ის უმწეოდ იქნევს ხელებს, უკან ეცემა და თვალის დახამხამებაში ბორბლებქვეშ უვარდება ავტობუსს. დაგრეხილი ველოსიპედი ძლიერი დარტყმისგან ათი ფუტის მოშორებით ასფალტზე ეხეთქება.

გზის ორივე მხარეს შეჩერებული ხალხი გაოგნებულია. უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმის მხოლოდ სიმღერა რადიოსარემონტო სახელოსნოდან:

"იქნებ, გახსოვს ჩვენი შეხვედრა ნისლში, ხიდის ნანგრევებთან".

ალბათ, ეს ჰონკონგელი მომღერლის ჩანაწერია. ავტობუსის წინა ბორბლები სისხლის გუბეში ეფლობა. გვამს კაპოტიდან სისხლი ეწვეთება. ავტობუსიდან მძღოლი ჩამოდის, შემდეგ სხვებიც მორბიან, ზოგიერთები კი გარს ეხვევიან გადაბრუნებულ საბავშვო ეტლს, რომელიც გზისპირა თხრილში აგდია. შუახნის ქალს ბავშვი ეტლიდან ამოჰყავს, ანჯღრევს და აკვირდება.

"მოკვდა?"

"მოკვდა!"

"მოკვდა?"

ადამიანები ხმადაბლა ლაპარაკობენ. ბავშვს თვალები დახუჭული აქვს და ისეთი ფერმკრთალია, რომ ნაზ კანში ვენები მოუჩანს. გარეგნულად ჭრილობები არ ეტყობა.

"მძღოლი არსად გაუშვათ!"

"ჩქარა, პოლიციაში დარეკეთ!"

ავტობუსის წინ ხალხი გროვდება. ერთ-ერთი მათგანი დამტვრეულ ველოსიპედთან მიდის და ხელით სინჯავს. ზარი გაბზარული ხმით ჟღრიალებს და შემკრთალი კაცი უკან იხევს.

"არაფერს შეეხოთ! ყველაფერი ისე დატოვეთ, როგორც არის!"

"ნამდვილად ვასიგნალებდი და დავამუხრუჭე კიდეც! ეს ყველამ ნახა. მას თავის მოკვლა უნდოდა და ამიტომ შეუვარდა ავტობუსს ბორბლებქვეშ. განა ეს ჩემი ბრალია?" მძღოლი ცდილობს, თავი იმართლოს, მაგრამ მას არავინ აქცევს ყურადღებას.

"ყველანი მოწმეები ხართ - ყველამ ნახა, რა მოხდა!"

"გვერდზე გადით! გვერდზე გადით! გვერდზე გადით!"

ბრბოდან პოლიციელი გამოდის:

"ბავშვს დახმარება სჭირდება! სწრაფად! გააჩერეთ ავტომანქანა და საავადმყოფოში წაიყვანეთ!"

ყმაწვილი, რომელსაც ყავისფერი ტყავის ქურთუკი აცვია, შუა ქუჩაში გადის და ხელებს იქნევს. პატარა "ტოიოტა სედანი" უსიგნალებს ბრბოს, მაგრამ არ ჩერდება. მალე იქვე ამუხრუჭებს სატვირთო მანქანა. ავტობუსის მგზავრები კონდუქტორს ეკამათებიან. მის უკან ჩერდება მეორე ავტობუსი. პირველი ავტობუსის კარი იღება, მგზავრები ჩამოდიან და გზას ულობავენ იმ ავტობუსს, რომელიც ეს-ესაა, მოვიდა. ისმის ხმამაღალი შეძახილები.

"ვერასოდეს, ვერასოდეს დაგივიწყებ..."

აყალ-მაყალი ახშობს სიმღერის ხმას. სისხლი ჯერ კიდევ წვეთავს და მისი სუნი ჰაერში იფანტება. ბავშვი, ბოლოს და ბოლოს, გონს მოდის და ტირის.

"ეს კარგი ნიშანია!"

"გადარჩენილა!"

ტირილი სულ უფრო ხმამაღლა გაისმის. ბავშვის ირგვლივ შეკრებილ ადამიანებს გამოცოცხლება ეტყობათ. ისინი შვებას გრძნობენ. ბრბო ერთ სხეულად იკვრება.

სირენების გნიასი. პოლიციის მანქანა, რომლის სახურავზე ლურჯი ნათურა ციმციმებს, ავტობუსის მახლობლად ჩერდება. მანქანიდან გადმოდის ოთხი პოლიციელი და ბრბო იყოფა, რათა მათ გზა დაუთმოს. ორ მათგანს ხელკეტები უჭირავს.

გზის ორივე მხარეს მანქანების გრძელი რიგი დგას. სიგნალების ხმა ფარავს ადამიანთა ჟრიამულს. ერთ-ერთი პოლიციელი შუა ქუჩაში ჩერდება და ხელების ქნევით წარმართავს ტრანსპორტის მოძრაობას.

კიდევ ერთი პოლიციელი თავისთან იხმობს მეორე ავტობუსის მძღოლს და რაღაცაზე ესაუბრება. ქალი ჯერ უარზეა, შემდეგ კი უხალისოდ ართმევს ბავშვს შუახნის მანდილოსანს და სატვირთო მანქანაში ადის. პოლიციელის ნიშანზე მანქანა იძვრის. ბავშვი ყურისწამღებად ტირის.

პოლიციელი კითხვებს უსვამს მძღოლს, რომელიც ქუდით იმშრალებს ოფლით დაცვარულ სახეს. ის აჩვენებს თავის მართვის ლიცენზიას პოლიციელს, რომელიც ამ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუთს ჯიბეში ინახავს. მძღოლი უკმაყოფილოა და წუწუნებს.

"რატომ უარყოფ? შენ ხომ ნამდვილად შეიწირე იმ კაცის სიცოცხლე!" - ხმამაღლა ამბობს ჭაბუკი, რომელიც ველოსიპედს ხელით მოაგორებს.

"მას თავის მოკვლა სურდა. მძღოლი სიგნალს აძლევდა და ამუხრუჭებდა, მაგრამ იმან გზა არ მისცა. ის კაცი მართლაც ბორბლებქვეშ შეუვარდა ავტობუსს", - საყვედურობს ჭაბუკს პირველი ავტობუსის კონდუქტორი.

"ის შუა ქუჩაში მოდიოდა და თან ბავშვი მოჰყავდა. დღისით-მზისით. მძღოლს უნდა შეეჩერებინა ავტობუსი!" - რისხვით შენიშნავს ვიღაც. "განა მძღოლები დიდად წუხან, როდესაც ვინმეს გაიტანენ? ამას საკუთარი სიცოცხლით ხომ არ ანაზღაურებენ!" - გაისმის სარკასტული ხმა.

"რა ტრაგედიაა! მით უმეტეს, რომ ბავშვი ჰყავდა!"

"არის თუ არა იმედი?"

"თავი დაარტყა?"

"მე მხოლოდ ჭახანის ხმა მომესმა".

"მართლა?"

"დიახ. აი, ასე - ჭ-ჭახ..."

"გეყოთ! არაფერი მინდა ვიცოდე!"

"ცხოვრება ასეთია - ხვალ შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანი დაიღუპოს".

"ის ტირის?"

"ვინ?"

"მძღოლი".

დაჩოქილ, თავჩაქინდრულ მძღოლს თვალებზე თავისი ქუდი აუფარებია.

"ეს ავარია იყო".

"კაცს ბავშვი თან ჰყავდა?" რა მოუვიდა ბავშვს?" - კითხულობს ახალმოსული გამვლელი.

"ბავშვი არ დაშავებულა. იღბალი ჰქონია".

"ბავშვი გადაარჩინეს".

"კაცი მოკვდა!"

"ის ბავშვის მამა იყო?"

"რატომ მიამაგრა ბავშვის ეტლი თავის ველოსიპედზე? ჩვეულებრივი ველოსიპედითაც კი ჭირს ავარიის თავიდან არიდება".

"მან ბავშვი საბავშვო ბაღიდან გამოიყვანა".

"საბავშვო ბაღები არაფრად არ ვარგა! არ შეიძლება იქ ბავშვების დატოვება მთელი დღის განმავლობაში!"

"აბა, აბა, აქეთ გამოდი! და თუ დაუდევრად გადახვალ ქუჩაზე..." - მამაკაცის ღონიერი ხელი უკან ექაჩება ბიჭუნას, რომელიც ცდილობს, გაძვრეს ხალხში.

ჰონკონგელი ვარსკვლავის სიმღერა აღარ ისმის. რადიოსარემონტო სახელოსნოს შესასვლელი ხალხითაა გაჭედილი.

მოდის სასწრაფო დახმარების მანქანა. თეთრხალათიან სანიტრებს გვამი მანქანაში გადააქვთ და ადამიანები ფეხის წვერებზე დგებიან, რათა ყველაფერი დაინახონ. მახლობელი პატარა რესტორნიდან თეთრწინსაფრიანი ჩაგოდრებული მზარეული გამოდის და იქაურობას ათვალიერებს.

"რა მოხდა? ავარიაა? ვინმე დაშავდა?"

"მამა-შვილი მოყვა ავარიაში. ერთი მათგანი დაიღუპა".

"ვინ?"

"მამა".

"ბიჭს რა დაემართა?"

"გადარჩა".

"რა საშინელებაა! რატომ არ დაეხმარა მამამისს?"

"მამამ თვითონ იხსნა თავისი შვილი".

"ყოველი თაობა სულ უფრო უარესია. კაცმა სიცოცხლე გასწირა ასეთი შვილისთვის".

"თუ არ იცით, რა მოხდა, სისულელეს ნუ როშავთ".

"ვინ როშავს სისულელეს?"

"არ მსურს თქვენთან კამათი".

"ბავშვი მამამისს გადაუგდია გზიდან".

"იქ პატარა ბავშვიც იყო?"

ბრბოს ახალი ადამიანები ემატებიან.

"იქნებ ხელი არა მკრათ?"

"ხელი გკარით?"

"წადით! ყველანი წადით აქედან!"

ბრბოს განაპირას ხალხს ფანტავენ. საგზაო უსაფრთხოების სამსახურის წითელსამკლავიანი თანამშრომლები პოლიციელებზე უფრო უხეშად იქცევიან.

მძღოლი, რომელიც პოლიციის მანქანაში შეაგდეს, ცდილობს, გაიბრძოლოს, მაგრამ პოლიციელი კარს კეტავს. ხალხი იშლება და ბრბო თხელდება, მაგრამ ქუჩაში მატულობს გამვლელთა და ტრანსპორტის რაოდენობა. მეორე ავტობუსის უკან ჩამწკრივებული ფურგონები, ჯიპები და ლიმუზინები ნელ-ნელა მიჰყვებიან გზას. ყურადღებას არავინ აქცევს საბავშვო ეტლს, რომელიც ჯერ კიდევ თხრილში აგდია. ბრბოს უმრავლესობა გაიფანტა.

შუა ქუჩაში ორი პოლიციელი გაზომვებითაა დაკავებული, ხოლო მესამე რაღაცას იწერს ბლოკნოტში. ავტობუსის ბორბლებქვეშ დაგუბებული სისხლი დედდება და მუქდება. კონდუქტორი ავტობუსის ფანჯარასთან ზის და განურჩევლად გასცქერის ქუჩას. მოპირდაპირე მხრიდან მოდის კიდევ ერთი ავტობუსი. ფანჯრებში მოჩანს მგზავრთა სახეები. რამდენიმე მათგანს თავი გარეთ გამოუყვია. სამუშაო დღე დამთავრდა. პიკის საათია. ტროტუარებზე უამრავი ხალხია. ველოსიპედისტებიც მრავლად არიან. მაგრამ პოლიციელები და საგზაო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ხელს უშლიან ტრანსპორტის მოძრაობას.

"ავარია მოხდა?"

"ვინმე მოკლეს?"

"ალბათ, მოხდა - შეხედეთ ამ სისხლს".

"გუშინ ავარია მოხდა ფანკანგის ქუჩაზე. თექვსმეტი წლის ბიჭი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ვერ გადარჩა. ერთადერთი შვილი ყოფილა".

"ამგვარ შემთხვევებში ყოველი შვილი ერთადერთია".

"რა ეშველებათ მშობლებს?"

"თუ არავინ მოაწესრიგებს ტრანსპორტის მოძრაობას, ავარიები უფრო მომრავლდება".

"ჰო, ნაკლები ავარიები როდი მოხდება, ეს უეჭველია".

"ყოველდღე ვნერვიულობ, სანამ ჩემი ჯიმინგი სკოლიდან შინ დაბრუნდება".

"ვაჟი თუ გყავთ, არა უშავს - ქალიშვილების ყოლა უფრო სარისკოა".

"შეხედეთ, ფოტოსურათებს იღებენ!"

"ვერაფერს უშველიან! უკვე გვიანაა!"

"განზრახ მოწყობილი ავარია იყო?"

"ვინ იცის?"

"ალბათ, ეტლი მიმაგრებული არ იყო, თორემ ავტობუსი მასაც გასრესდა".

"ეტლს ახლახან ჩავუარეთ".

"ზოგიერთი მძღოლი გიჟივით დააქროლებს მანქანას. ქუჩაზე გადასვლას არ გაცდიან".

"არიან ადამიანები, რომელთაც სიამოვნებას ანიჭებს სხვების უბედურება. შეიძლება, მათ ნებისმიერი ჩვენგანი შეეწიროს".

"ძნელია თავის დაცვა - ეს ყველაფერი ბედისწერაა. ჩვენს ძველ სოფელში ცხოვრობდა ერთი დურგალი. კარგი ოსტატი იყო, მაგრამ ბევრს სვამდა. ერთხელ, როდესაც თანასოფლელს სახლს უშენებდა, ღვინისგან დარეტიანებულს, ფეხი დაუცდა და თავი ქვას დაარტყა".

"ტყუილად როდი მითამაშებდა თვალი ორი დღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში".

"რომელი თვალი?"

"ქუჩაში ფხიზლად უნდა იყო. ბევრჯერ გნახე, ჩაფიქრებული რომ მიდიოდი..."

"არაფერი მომივა".

"რამე რომ მოგივიდეს, ვერ გადავიტან".

"შეჩერდი! გვიყურებენ".

ხელიხელჩაკიდებული წყვილი გზას აგრძელებს. ერთი პოლიციელი ნიჩბით მიწას აყრის სისხლის გუბეს. ქარი ჩადგა. ბნელდება. კონდუქტორი, რომელიც ავტობუსის ფანჯარასთან ზის, შუქს ანთებს და ფულს ითვლის. მეორე პოლიციელს დამტვრეული ველოსიპედი მანქანისკენ მიაქვს. წითელსამკლავიანი ორი კაცი საბავშვო ეტლს თხრილიდან იღებს და მანქანაში ათავსებს. ორი მანქანა ადგილიდან იძვრის.

სადილის დროა. კონდუქტორი ავტობუსის კართან დგას და მოუთმენლად ელის ახალ მძღოლს, რომელიც მას წაიყვანს. გამვლელები ყურადღებას არ აქცევენ ცარიელ ავტობუსს. სიბნელეში ვერავინ ხედავს სისხლს, რომელზეც მიწაა მიყრილი.

ბოლოს, ავტობუსი მიდის. მანქანები კვლავ მიიჩქარიან ქუჩაში. ერთი შეხედვით, აქ არაფერი მომხდარა. შუაღამისას ქუჩა თითქმის მთლიანად ცარიელდება. სანაგვე მანქანა ამუხრუჭებს შორეულ გზაჯვარედინთან, სადაც რკინის ბოძზე ლურჯი აფიშაა გაკრული. ზედ თეთრი ასოებით აწერია: "გთხოვთ, თქვენი და სხვა ადამიანების უსაფრთხოებისთვის დაიცვათ მოძრაობის წესები". იმ ადგილას, სადაც ავარია მოხდა, სატვირთო მანქანა ჩერდება და წყლის ძლიერი ჩქერით რეცხავს ქუჩას.

ვინ იყო მსხვერპლი? ამ რამდენიმე მილიონიან ქალაქში მას, ალბათ, მხოლოდ ოჯახის წევრები და მეგობრები თუ იცნობდნენ. ისინი ვერაფერს გაიგებენ ავარიის შესახებ, თუ გარდაცვლილს თან არ ჰქონდა პასპორტი. იქნებ, ის ბავშვის მამა იყო და, შესაძლოა, ბავშვმა შეძლოს მისი გვარის დასახელება. თუ ის კაცი მამა იყო, ცოლიც ეყოლებოდა, და რადგან მან ბავშვი ბაღიდან გამოიყვანა, ამდენად, მზრუნველი მამა და კარგი ქმარი იქნებოდა. და თუ თავისი შვილი უყვარდა, სავარაუდოა, რომ ცოლიც უნდა ჰყვარებოდა. მაგრამ უყვარდა თუ არა ის ცოლს? თუ ქალს უყვარდა ქმარი, რატომ არ შეასრულა დედის მოვალეობა და თვითონ არ წამოიყვანა ბავშვი ბაღიდან?

შეიძლება იმ კაცს სიღარიბე აწუხებდა და იმიტომ იყო ასეთი დაბნეული. შესაძლოა, მის სულში ბზარიც გაჩნდა და ამის გამო იქცეოდა გაუბედავად. შეიძლება, რაღაცაზე დარდობდა, რაღაც ვერ გადაწყვიტა და, ამიტომ, უბრალოდ, ეწერა კიდევ უფრო დიდი უბედურების მსხვერპლად ქცევა. ამასთან, ის ცოტათი ადრე ან ცოტათი გვიან რომ გამოსულიყო ქუჩაში, თავიდან აიცილებდა უბედურებას. ან ბავშვის გამოყვანის შემდეგ უფრო სწრაფად ან უფრო ნელა რომ დაეტრიალებინა პედლები. ან უფრო დიდხანს რომ ესაუბრა საბავშვო ბაღის აღმზრდელთან, ან გზად მეგობართან რომ შეევლო, ან კიდევ - ვინმეს დალაპარაკებოდა...

მაგრამ ეს გარდუვალი იყო. ის არ იტანჯებოდა განუკურნებელი სენით, მაგრამ ელოდებოდა სიკვდილს. სიკვდილს ვერავინ გაექცევა. და ყველა დიდ ქალაქში ხდება საგზაო შემთხვევები. ნებისმიერ ქალაქში არსებობს უეცარი სიკვდილის შესაძლებლობა - მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ დღეს სიკვდილის შანსი ერთია მილიონიდან - და ასეთ დიდ ქალაქში ვინმე ყოველთვის შეეწირება საგზაო შემთხვევას. გარდაცვლილი კი სწორედ ერთ-ერთი ამგვარი ადამიანი გახლდათ. ჰქონდა თუ არა სიკვდილის წინათგრძნობა? რა გაიფიქრა სიკვდილის წინ? ალბათ, ვერაფრის გაფიქრება ვერ მოასწრო და ვერც მიხვდა, რა ხდებოდა. თუმცა, ერთი რამ აშკარაა - მან გაიფიქრა ბავშვის შესახებ. კეთილშობილური მსხვერპლი ხომ არ გაიღო? ან, იქნებ, ეს კეთილშობილება კი არა, ინსტინქტი იყო, მამის ინსტინქტი. ხშირად საუბრობენ მძლავრი დედობრივი ინსტინქტის შესახებ, მაგრამ არიან დედები, რომლებიც ტოვებენ თავიანთ შვილებს. მამაკაცისთვის ბავშვის გამო თავის გაწირვა უეჭველად კეთილშობილური რამაა, თუმცა, შეიძლებოდა ამ უბედურების თავიდან აცილებაც. როგორც ვთქვი, ის ცოტათი ადრე ან ცოტათი გვიან რომ გამოსულიყო, ნაკლებად დამწუხრებული ან უფრო გაბედული რომ ყოფილიყო, ან უფრო მარჯვედ რომ ემოქმედა... ყველა ამ მიზეზმა დააჩქარა მისი სიკვდილი.

ფილოსოფიურმა მსჯელობამ გამიტაცა, მაგრამ ცხოვრება ფილოსოფია როდია, თუმცა ფილოსოფია ემყარება ადამიანის ცოდნას ცხოვრების შესახებ. და არავითარი საჭიროება არაა, ცხოვრებისეული საგზაო შემთხვევა სტატისტიკურად ვაქციოთ - ეს ტრანსპორტის დეპარტამენტის საქმეა. რა თქმა უნდა, საგზაო შემთხვევა შეიძლება აღწერილ იქნას საგაზეთო სტატიაში. ხშირად ის წარმოადგენს მასალას მწერლისთვის, რომელიც ამბავს ფანტაზიის წყალობით გაამდიდრებს და ამაღელვებლად გადმოგვცემს. მაგრამ მე მინდოდა მომეთხრო, უბრალოდ, როგორ მოხდა ავარია, საგზაო შემთხვევა დღის ხუთ საათზე, დეშენგ-ავენიუს ცენტრალურ ნაწილში, რადიოსარემონტო სახელოსნოს წინ.

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ ლომიძემ

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჟი პილხი

# მონოლოგი სოროდან

სორო მისი ბინადრის გემოვნებითაა მოწყობილი. ის, რომ იგი ნამდვილად სარდაფული ხასიათისაა, ამას ტიპური, თუმცა უკანა პლანის ელემენტებიც მოწმობს - შიშველი, ჩამონაჟონი წყლით აჭრელებული, ადგილ-ადგილ ბათქაშაყრილი კედლები, პატარა სარკმელი ჭერქვეშ, თუჯის ნიჟარა თითბრის ონკანით, ლურსმნებზე დაკიდული ტანსაცმელი და აბლაბუდასავით დაქსელილი მილები...

აქ გამეფებულ მყუდრო ატმოსფეროს ავეჯი და საოჯახო ჭურჭელი ქმნის. მართალია, არც ერთი საგანი, იქნება ეს ფეხებიანი მატრასი, ეტაჟერი, დივანი, მაცივარი თუ სავარძელი, არაფრით განსაკურებული არ არის, მაგრამ იმ ადგილის სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ, სადაც ეს საგნებია განთავსებული, განსაკუთრებული დახვეწილობით მაინც ტელევიზორი გამოირჩევა, თუმცა იმის გამო, რომ იგი უკანა პროსცენიუმში დგას, მხოლოდ ეკრანის მკვდარი ანარეკლის დანახვაა შესაძლებელი.

სოროს ბინადარი ტელევიზორის წინ გამუდმებით ორატორობს - ესაუბრება ტელევიზორს, სვამს ტელევიზორის სადღეგრძელოს, ეჩხუბება ტელევიზორს. მაშინაც კი, როცა შეიძლება მოგეჩვენოს, ვილაცას ან რალაც სხვას ესაუბრებაო, მაშინაც ტელევიზორთანაა საუბარში გართული. შეიძლება ტელევიზორს გულში ვნებიანადაც იკრავს, ან ისე ელოლიავება, როგორც ჩვილ ყრმას.

გარდა ამისა, დრო და დრო საათსაც დასცქერის, თითს ხან ზევით იშვერს, ხან ქვევით, გული ან მოჩვენებითად უჩუყდება ან არამოჩვენებითად შმაგობს, მრისხანებს, მღერის, აკეთებს რეზონულ დასკვნებს, ერთი სტყვით, აკეთებს იმას, რაც შეუძლია, ძალიან ბევრის გაკეთება კი, გულწრფელად გეტყვით, არ ხელეწიფების.

ბომჟის, მითუმეტეს დაცემული ბომჟის გარეგნობასა და აზრის მისეული გადმოცემის დახვეწილ, ზოგჯერ მალალფარდოვან მანერას შორის, მართალია, უშველებელი უფსკრულია, მაგრამ ეს უფსკრული, წინაალმდეგ იმისა, როგორც იგი გარეშე თვალს შეიძლება მოეჩვენოს, სრულიად ადვილი გადასალახავია.

* * *

... მამაო ჩვენო, პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს, ამინ... ამ ისტორიულ ეტაპზე ჩემი ხალხი ბარძაყის არტერიაზე ამაო ზრუნვითაა შეპყრობილი. ზრუნავს რა თავისი ბარძაყის არტერიის არასაშურველ ხვედრზე, ჩემი ხალხი ამით ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ დიახაც, არ დაუკარგავს ისტორიული ალღო. რაზე მეტყველებს უკანასკნელი მონაცემები? კი ბატონო, მოგახსენებთ! გაჟოველმა პენსიონერმა ორ თავდამსხმელ ხულიგანს ბარძაყის არტერიები გადაუჭრა; ვარშავის გარეუბანში მიწის ნაკვეთის მფლობელმა ბარძაყის არტერია დაუცხრილა ბოსტანში შეპარულ ქურდბაცაცას; პოლონელი მშვიდობისმყოფელი ძალების ჯარისკაცს მისმა თანა-



პოლკელმა შემთხვევით ბარძაყის არტერია ხიშტით გაუხვრიტა, რის შემდეგაც ჯარისკაცი დაიღუპა... ჰენოვეფ კ-მ ტრაპეზის დროს, როცა იგი ბლომად ისხამდა სტომაქში სასმელს, ისე უხერხულად ჩასცხო სამზარეულოს დანა თავის თანამცხოვრებ მარიანა ს-ს, რომ დაზიანებული ბარძაყის არტერიიდან სისხლის დენის შედეგად ქალი ადგილზევე გარდაიცვალა; კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ავტოკატასტროფის დროს ძარის წვეტიანი ნამტვრევი ბარძაყის არტერიაში მოხვდა და იმანაც თქვენი ჭირი წაიღო; ბოთლის ნამტვრევმა ბარძაყის არტერია გადაუჭრა ცნობილ პოეტს - ბერნარდა მ-ს, რის შედეგადაც პოლონურმა ლიტერატურამ ამჯერადაც აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. თითქმის ასევე დაიღუპა საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს კონტროლიორი ანჯეი რ... ა, ბატონო, ჩამოვთვალე... მაგრამ ეს ხომ უკანასკნელი მონაცემების მხოლოდ მცირე ნაწილია! ეს ხომ მხოლოდ ის შემთხვევებია, რის შესახებაც ჩემი ხალხი მხოლოდ ოფიციალურადაა ინფორმირებული. ამა თუ იმ მიზეზით, ვინ იცის, ბარძაყის რამდენ გადაჭრილ არტერიაზე წარმოდგენაც არა აქვს, ბარძაყის რამდენი დაგლეჯილი არტერიაა დუმილის შეთქმულებით გარემოცული... “რამდენ ამისთანას მალავს ვითომცდა არარსებული ცენზურა?“ - კითხულობს ჩემი ხალხი და - უამრავზე უამრავსო, - თვითონვე პასუხობს... “ავიღოთ თუნდაც... - აღნიშნავს იგი მარადიული სიბრძნით აღჭურვილი, - თუნდაც მხოლოდ ერთი - მკვდარი სტატისტიკა!“.. დიახ, სტატისტიკა მკვდარია და მე ამას ვეთანხმები, ვინაიდან, ციფრების მკვდარი, უსიცოცხლო სვეტები არტერიულ სისხლს სტატისტიკას ვამპირივით სწოვს.

მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და... აქ, ამ იატაკზე, დიახ, დიახ, აი ამ იატაკზე, ყველა ჩემი იმ გარდაცვლილი თანამემამულის ცხედარი რომ დავდო, რომელიც გასულ დღე-ღამეში ბარძაყის არტერიის დაზიანების გამო გარდაიცვალა, უკაცრაული პასუხია და, ამ სავარძლიდან წამოდგომას და ფეხსალაგამდე მისვლასაც ვერ შევძლებდი...

მაშინ გრახა პეტერბურგი? აა, გრახა პეტერბურგი? გრახა პეტერბურგი როგორღა მოაღწევდა ჩემამდე? სისხლისაგან დაღლილ მიცვალებულთა გვამებზე თავისი რძისფერი ფრთების გაშლას როგორღა შეძლებდა? ჩემზე როგორ იზრუნებდა? საბრალო, როგორ გამომკვებავდა?

სხვა საქმეა, როცა მე თვითონ ამომივა ყელში ყველაფერი, ვთქვათ, მაშინ, როცა ჭიქას ჭიქაზე მწარე სასმელით მივსებს, ან პირდაპირ ალპებიდან მომდინარე რძის საუცხოო შოკოლადის ფილას ნაწილ-ნაწილად მიმტვრევს; ან თავისი ძაღლური ერთგულების გამომსხივებელი ღიმილით მიღიმის. ზოგჯერ ეს ყველაფერი ყელში ისე ამომდის (ოღონდ ცოტა ხნით), რომ სიამოვნებით ვეცემოდი და ბარძაყის არტერიას გადავუღრღნიდი. არა, ისეთს ნურაფერს იფიქრებთ, მე მას შესანიშნავად ვექცევი, ის კი არა, განტვირთვისათვის ზოგჯერ ჩემს თავს ჩვენი ბობოქარი ურთიერთობის ამბებს ათასჯერ და დაწვრილებით ვახსენებ. მიუხედავად ამისა, დრო და დრო აუტანელი სურვილი მეუფლება, ვეცე, გვამებით დაფარულ მეტლახის ფილებზე წავაქციო, კოლგოტკები შემოვაგლიჯო და ღვთაებრივ ბარძაყზე დავაცხრე. დიახ, იღვიძებს ჩემში ეს მდაბალი სურვილი, ანუ გუშინდელი თრილერი, ანუ გრახა პეტერბურგისათვის სისხლის გამოშვების სურვილი. მერე კი, როცა ეს ყველაფერი მოთავდება, სისხლისგან დაცლილ სხვა გვამებს შორის მისი გვამის დამალვის სურვილიც... ხანდახან მინდა ეს ყველაფერი გულგრილად ჩავიდინო, ცივად და ანგარებით. რა ეშმაკად უნდა ველოდო, საკუთარ თავზე კონტროლს როდის დავკარგავ, აფექტის მდგომარეობაში როდის აღმოვჩნდები და შეშლილობის შავ ვუალში როდის გავეხვევი! რა ეშმაკად უნდა ველოდო? მაინც რატომ უნდა ველოდო? ისედაც მთელი ჩემი ცხოვრება ლოდინში გავატარე! ველოდებოდი, როდის გავიზრდებოდი; ველოდებოდი, როდის დავამთავრებდი ინსტიტუტს; ველოდებოდი ტრამვაის; ველოდებოდი უკანასკნელ ცნობებს; ველოდებოდი ამინდის პროგნოზს... ველოდებოდი კომუნიზმის დამხობას; ველოდებოდი ზანტ ოფიციანტებსა და ღვინის მაღაზიების გახსნას... ველოდებოდი ბინის ორდერს, ველოდებოდი ქრთამს ჩემი პაციენტებისგან; ველოდებოდი, როდის გიყიდდი, ჩემო ფერადო კინესკოპო “ტრინიტრონო“! ველოდებოდი ქალიშვილებს სააგენტო “მოცალეობიდან“... ველოდებოდი, ჩემი ყოფილი ცოლი თავს აბაზანიდან როდის გამოყოფდა; ველოდებოდი, როდის წავიდოდა გერეკი ხელისუფლებიდან; ველოდებოდი,როდის დაკარგავდა გომულკა ძალაუფლებას, როდის დაკარგავდა ძალაუფლებას იარუზელსკი... ველოდებოდი, როდის მოვიდოდა ხელისუფლებაში ან როდის დაკარგავდა ძალაუფლებას ულვაშა სახალხო ბელადი; როდის გაიტანდა გოლს ჩვენი გუნდი, როდის გამივლიდა ნაბახუსევი, როდის ამივარდებოდა თავში პირველივე სირჩა... ღმერთო!.. ღმერთო დიდებულო!.. არ მინდოდა უადგილოდ მომეხსენებინა შენი სახელი, მაგრამ ველოდებოდი ყავას, ველოდებოდი სადილს, ველოდებოდი ფორთოხლებს, ველოდებოდი ძეხვს, ხოლო როცა ძეხვი ბარათებით იყო, ველოდებოდი ძეხვის ბარათებს... ველოდებოდი თეატრალურ გადაცემებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით მატჩებს, ხოლო “კოლომბოს“ - ხუთშაბათობით. ველოდებოდი, როდის დადგებოდა ჩემი ჯერი სიგარეტის რიგში; ველოდებოდი “ტიგოდნიკ პოვშეხნის“ (1) გამოსვლას; ველოდებოდი რომის პაპის ვიზიტს, ბრეჟნევის სიკვდილს, ადამიანის დაჯდომას მთვარეზე... ველოდებოდი ტელეფონის ზარს, ველოდებოდი წერილს, ველოდებოდი ბილეთს, ველოდებოდი, ვიდრე დადასტურდებოდა ჩემი დიაგნოზი, ვიდრე ჩემთვის გამოწერილ ანტიბიოტიკს ვიშოვიდი, ვიდრე ტემპერატურა დამიწევდა, სურდო და თავის ტკივილი გამივლიდა, გულისრევა და ღებინება შემიწყდებოდა. ველოდებოდი საზღვარგარეთის პასპორტს, ველოდებოდი თვითმფრინავს, ველოდებოდი მატარებელს, ხოლო როდესაც მატარებელი სადგურიდან არ გამოვიდოდა, ველოდებოდი შეპირებულ სარეზერვო ავტობუსს, მაგრამ თუ არც შეპირებული სარეზერვო ავტობუსი გავიდოდა, ველოდებოდი პოლონეთის სამხარეო ტურისტული საზოგადოების ორგანიზატორთა მიერ შემოთავაზებულ ღამის სათევ ადგილს. პოლონეთის სამხარეო ტურისტული საზოგადოების ორგანიზატორების მიერ ვითომ უზრუნველყოფილ ღამის სათევ ადგილსაც თუ ვერ მივიღებდი, ველოდებოდი, ყველაფერი ეს ჯანდაბაში როდის ჩაინთქმებოდა. ახლა? ახლა რას მიბრძანებთ? ახლაც გინდათ ველოდო? ველოდო, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს დამბლა არ დამეცემა, სული არ ამომძვრება? ვიდრე ჭკუაზე არ შევიშლები? ვიდრე პირუტყვად არ ვიქცევი? ვიჯდე ასე და ველოდო, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხეინად ველოდო, ვიდრე სულ არ გავგიჟდები და არ გადავირევი? ვიჯდე მშვიდად და ველოდო? ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით, ამის იმედი ნუ გექნებათ!.. არაფერი მინდა, ფეხი შემოადგას, კარს გადმოაბიჯოს, ისე ვებდღვნები, როგორც დამშეული ნადირი!

გრახა პეტერბურგი ყოველთვის მაშინ მოდის, როცა “ძილი ნებისა“ იწყება. ჩვენი კავშირის გაკეთილშობილება, ასე თუ ისე, შევძელით და ეს მნიშვნელოვანი სულიერი მონაპოვარია... შვიდს შვიდი წუთი აკლია... გრახა პეტერბურგი ახლა მაგიდაზე პლასტიკის ჭრელ ჩანთას ხსნის და ნაირნაირი გემრიელი სასუსნავით ავსებს. ახლა ხელებს იბანს... ახლა მაკიაჟს იახლებს... ორიოდე წუთიც და, მედიდური ნაბიჯით ჩემი სევდისა და სიხარულის სარდაფისკენ გამოემართება. კიდევ ორიოდე წუთიც და, ჩამობრძანდება აქ მეშვიდე სართულიდან.

იმ მეშვიდე სართულზე კი არის ბინა, სადაც კარგა ხნის წინ ჩემს ცოლსა და ჩემს უხეირო ვაჟიშვილთან ერთად ვცხოვრობდი. ოთხმოციანი წლების დამდეგს, როცა იქიდან ჩემი სევდისა და სიხარულის იატაკქვეშეთში ჩამოვბარგდი, იქ ჩემი მომხიბვლელი ცოლი და ჩემი უგერგილო ვაჟიშვილი დარჩნენ. ოთხმოციან წლებში, როცა ჩემმა კეთილშობილმა მეუღლემ დამტოვა და მასთან ერთად ჩემი უხეირო ვაჟიშვილიც წავიდა, ჩვენი ბინა დაცარიელდა. ოთახებში ახლა არყოფნის სიო დანავარდობს. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში კი, როცა გრახა პეტერბურგი ფსკერიდან ამოვათრიე, როცა მე თვითონაც ერთხანს სოროდან ამოვძვერი (რა წინდაუხედავი, ო, რა წინდაუხედავი საქციელი იყო!), მეშვიდე სართულიდან მთელი ექვსი-შვიდი თვე ჩემს თვალწინ გადაშლილი ბურთისებური სამყარო ზედ ხელისგულზე მედო. მაგრამ თავდაცვით ინსტინქტს აყოლილი მალე ისევ ჩემს სოროში დავბრუნდი. გრახა პეტერბურგი კი ჩემს ყოფილ ბინაში დარჩა. ცხოვრობს თავისთვის არხეინად მთის იმ კენწეროზე. ჯიბის ფულს მე ვაძლევ რეგულარულად და ისიც ყოველდღე მოდის ჩემთან, მოდის იმ დროს, როცა “ძილი ნებისას“ გადმოსცემენ. ვინაიდან ეს გადაცემა კეთილად მოქმედებს ჩემს მორყეულ ნერვულ სისტემაზე, მეც განსაკუთრებულ შემწყნარებლობას ვიჩენ. ადრე ასე არასოდეს ვიქცეოდი, ის კი არა, გულახდილად თუ ვიტყვი, ადრე პირიქით იყო. ადრე “ძილი ნებისა“ ჩემში ველურ ინსტინქტებს აღძრავდა. მიკი მაუსის დანახვაზე გული რისხვით მევსებოდა, იხვის ჭუჭულ დონალდს თვალის დასანახად ვერ ვიტანდი. ჯერ თვალიც არ დამეხამხამებინა, რომ ეკრანზე ახლა დათუნია დრუნჩა გამობაჯბაჯდებოდა. ბელურა ჩიკჩირიკს ლანძღვა-გინებით ვიკლებდი. საცოდავ ვინი პუხს ისეთი სალანძღავი სიტყვებით ვიხსენიებდი, მართალი გითხრათ, მრცხვენია კიდევაც. მაგრამ ეს წარსულში იყო. ადამიანი იზრდება, ვითარდება და შეხედულებებს იცვლის. “ძილი ნებისა“ რომ იწყება, მეც მულტფილმივით საყვარელი და სიმპათიური ვხდები. თვალყურს ვადევნებ კურდღლისა და მგლის პერიპეტიებს და თბილად ვიღიმები. დიიახ, დიახ!.. ზიზღით კი არ ვიმანჭები, თბილად ვიღიმები. გრახა პეტერბურგს გემრიელი სასუსნავი მოაქვს. მაჭმევს, მასმევს და, “ძილი ნებისა“ ან “ახალი ამბების“ შემდეგ სერიალს თუ აჩვენებენ, სადაც ასაკოვან ქალსა და გამოუცდელ ყმაწვილს შორის სასიყვარულო კავშირი იბმება, სერიის დასრულებამდე რჩება...

აი, მისი ნაბიჯების ხმა მესმის, მთის მწვერვალიდან ჩამოდის, მოდის, მიახლოვდება და მანძილი გრახა პეტერბურგის ბარძაყის არტერიასა და ჩემს შორის უკვე აღარც ისე უხიფათოა.

სცდები ჩემო შეუმცდარო საკონტროლო ცხრილო, ეს შეშლილობა არ არის... სრულიად საღ ჭკუაზე გახლავართ, ვიცი, რასაც ვამბობ. ყოველ დღე და ყოველ ღამე ათეულობით ჩემი თანამემამულე ბარძაყის არტერიის დაზიანების გამო სისხლისაგან იცლება და პოლონეთის მწვანე რუკას ღია ფერის არტერიული სისხლისაგან შავი ფერი ედება.

ერთხელ კიდევ გიმეორებ: აქ არავითარ შეშლილობასა და idee fixe-ს ადგილი არა აქვს. გარკვეული როლი შეიძლება აქ ჩემმა პროფესიულმა გამოცდილებამ უფრო ითამაშა. მაგრამ, სხვა მხრივ თუ შევხედავთ, უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა, ვარ რა შეთქმულების თეორიის, როგორც ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორის წინააღმდეგი, მე მაინც ასი პროცენტით დარწმუნებული გახლავართ, რომ ჩვენი ბარძაყების არტერიების წინააღმდეგ შეთქმულება არსებობს. სხვათა შორის, ჩემს ხალხს მიაჩნია, რომ ერთიც სწორია და მეორეც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ სწორია ერთი, მაშასადამე სწორია მეორეც. ანუ ჩემი ხალხის აზრით, ვინაიდან ისტორიაში შეთქმულების თეორიაც ცნობილია და პრაქტიკაც, ესე იგი, არც ჩემი ხალხის ბარძაყის არტერიის წინააღმდეგ შეთქმულებაა გამორიცხული... მოცემულ ეტაპზე ისტორია მესამე რეჩ პოსპოლიტის ყველაზე მოწყვლადი და სისხლიანი სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებს. მაშასადამე, ჩემი ხალხისათვის არა მხოლოდ ისტორიის შეთქმულებითი თეორიაა ცნობილი, არამედ მედიცინის შეთქმულებითი თეორიაც. რაც შეეხება გეოგრაფიულ შეთქმულებას, ამაში ჩემი ხალხი იმ დროიდან არის დარწმუნებული, როცა თვალები მოიფშვნიტა, გამოფხიზლდა და მიხვდა, რა მიწა, რა მამული ერგო წილად. პირველი სლავები ჯერ ხეირიანად განცალკევებულებიც არ იყვნენ, რომ უკვე გულწრფელად იფიცებოდნენ, ჩვენი მიწა და მამული სულ სხვა ადგილას იქნებოდა, საიდუმლო შეთქმულება რომ არ ყოფილიყო.

რა შეთქმულება? ვისი შეთქმულება?.. როგორ თუ ვისი? როგორ თუ რა? ისიც ცნობილია, “რა“ და ისიც ცნობილია, “ვისი“! თავისიანებს სლავები აქ, ამ მიწაზე ხვდებიან და, რამდენიც უნდა ატრიალო, არის ამაში ერთგვარი რკინისებური ლოგიკა. თუ მრავალი ათასი წლის წინ რომელიღაც წინასლავურ წრეებში ერთხმად იქნა მიღებული მტკიცებულება, თითქოს კარპატების მთებს მომდგარმა ყინულმა უკან ადგილობრივ ტომებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად დაიხია, თუ ეს ასეა, თუ ეს ალმავლობა გარკვეული წრეების მიერ საკუთარი ინტერესებისათვის იქნა გამოყენებული, აშკარაა, რომ კარპატების მთებს მომდგარმა ყინულმა უკან, მართლაც, ისტორიულ-გეოგრაფიული შეთქმულების შედეგად დაიხია. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ახლანდელი მტკიცება, ბარძაყის არტერია ყოველთვის აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა პოლონელებისთვისო, ვითომ რატომ არ უნდა ჟღერდეს დამაჯერებლად?!

* * *

ჰოდა, როცა ჩემდაუნებურად გამუდმებით ვეფერები ჩემს მარჯვენა ბარძაყს, ეს არც რეფლექ-

სია, არც მაინც ჩვევა - ეს თავდაცვითი რეაქციაა. მე ვიცავ ჩემი ბარძაყის არტერიას. ვიცავ გარე არტერიას და ვიცავ შიდა არტერიას. ვიცავ იმ მახვილისაგან, რომლით ზიანის მიყენებასაც კაცი შეიძლება ყოველ წუთს ელოდე. არ დავფარავ: ვმუშაობდი ჯანდაცვის სისტემაში. ერთ-ერთი კლასიკოსის პერსონაჟის მიერ დასმულ კითხვაზე - ვინა ვარ, რას წარმოვადგენ? მე შემეძლო ამ კლასიკოსისავე პერიფრაზირება მომეხდინა და მეპასუხა: მე უბნის ერთი უბრალო ექიმი გახლავართ-მეთქი ("Я один коледский асессор"... - თ.დოსტოევსკი). პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, მიმღებ განყოფილებებსა და თუ მედპუნქტებში მთელი ოცი წელიწადი ანტისეპტიკების სუნს ვსუნთქავდი. მართალია სამუშაო ადგილებს ხშირად ვიცვლიდი, მაგრამ სუნი ყველგან ერთნაირი იყო: - სუნი სახვევი მასალისა და სტერილიზაციის ხსნარებისა, სუნი გახსნილი მუცლის ღრუების, რენდგენის სველი სურათების, სუნი დოლბანდებიდან გამოჟონილი სისხლისა, მომაკვდავი ადამიანების ოფლის სუნი და მუდმივი სუნი გვამური მედიცინისა.

მართალია გული ყოველთვის ლიტერატურისაკენ მიმიწევდა, მაგრამ მედიცინა ავირჩიე. არჩევანი, ცხადია, წარუმატებელი იყო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკეთესი იქნებოდა, უპირატესობა ლიტერატურისათვის მიმენიჭებინა. დარწმუნებული ვარ, დიდი ბედენა არც ლიტერატურაში ვიქნებოდი.

სწორად გამიგე, არ მინდა თავი უბედურ ტანჯულად წარმოგიდგინო. მოწაფესავით თავს ცხოვრების ამაოებაზე წუწუნით და ბავშვური პესიმიზმით როდი ვიწონებ, უიმედობით როდი ვთვრები. შენს წინაშე აუხდენელი იმედებით ჩაშავებულ ჩემს შიგნეულს როდი ამოვატრიალებ, როდი გაიძულებ, აღტაცებული იყო მისი რაობით. ო, უმშვენიერესო იმ ქალებს შორის, ამინდის პროგნოზს რომ გვამცნობენ, შეხედე, როგორი მშვენიერია ჩემი სული თავისი ტრაგიზმით! არა, მე ხომ ლიტერატურაშიც ვერ ვიტან პირქუშ მონოლოგებს თავისი ფიზიოლოგიური წვრილმანებით. რა თქმა უნდა, ცხოვრებამ ქანცი გამაცალა, მაგრამ ბედის ყოველ დარტყმას ჩემში მამაკაცი იტანდა. მამაკაცო, მე ვიტყოდი, ვაჟკაცი უნდა იყო!

* * *

მართალია მედიცინა ავირჩიე, მაგრამ მედიცინასთან საერთო არასოდეს არაფერი მქონია. ანდა რა საერთო უნდა მქონოდა მედიცინასთან, თუკი თავად ჩემს თავთანაც არაფერი მაქვს საერთო. ესეც ერთი კლასიკოსის დამახინჯებული ციტატაა. ეს კლასიკოსი მართალია რუსი არ არის, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მედიცინისაგან მხოლოდ საკუთარი ავადმყოფობის შეცნობის უნარი შემრჩა, ლიტერატურისაგან - კლასიკის სიყვარული. განსაკუთრებით რუსული კლასიკისა. ასევე რუსი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან ციტატების პერიფრაზირების სიყვარულიც.

ადრე ექიმი ვიყავი, ახლა გარკვეული აზრით პაციენტი გავხდი, უფრო ზუსტად, გამოჯანმრთელებადი პაციენტი.

ეს კომფორტულად მოწყობილი მიწური ჩემი საავადმყოფო, ჩემი სანატორიუმი, ჩემი ამბულატორიაა. ეს არის ჩემი მშობიარობის შემდგომი პალატა, ჩემი პოლიკლინიკა, ჩემი გამოსაფხიზლებელი, ჩემი დეტოქსიკაცია, ჩემი რეანიმაცია, ჩემი ნარკოლოგიური დისპანსერი. ხანდახან ასე მგონია, დერეფნიდან მედდების ნაბიჯების ხმა მესმის, ავადმყოფების ფლოსტების ფრატუნი, სადეზინფექციო ქირურგიული ინსტრუმენტების წკრიალი და მეჩვენება, რომ ღმერთისაგან და ორდინატორებისაგან მიტოვებულ პალატაში ვიმყოფები, ვიღაცამ ოდესღაც წინამხარში სასიცოცხლო, ანდა იქნებ მომაკვდინებელი ნემსი გამიკეთა და ვწევარ ამ მარადიული წვეთოვანის ქვეშ, რომლის მოხსნა აზრადაც აღარავის მოსდის.

საკუთარი პერსონის მიმართ მრავალდღიანი ბოროტი ქირდვისა და საზიზღარი დაცინვის შემდეგ აქ, ამ სოროში ვპოვე თავშესაფარი. აქ მოვდიოდი გონებაზე, აქ ვუბრუნდებოდი ცხოვრებას. ჩემმა ფიზიკურად უნაკლო ცოლმა, ჩემი უვარგისი ვაჟიშვილის დამხარებით, აქ გამოაძევა ჩემი გრძნობადაკარგული სხეული, თუმცა, მართალი გითხრათ, ის (ჩემი სხეული) აქ მხოლოდ სამი რიტუალური დღით ჩაამწყვდია, ანუ ვიდრე მკვდრეთით აღვდგებოდი. პირველ დღეს სიბნელეში ვიწექი, შინაგან თრთოლვასა და გულის კანკალს ვიკავებდი. მეორე დღეს სინათლე ავანთე და მთელი ის დღე პოპულარული ლიტერატურის კითხვაში გავატარე. მესამე დღეს შუბერტს ვუსმენდი. საფორტეპიანო ტრიო სი მაჟორამდე რომ მივედი, ეს იმას ნიშნავდა, რომ უკვე მომჯობინებული ვიყავი.

თავიდან წელიწადში აქ მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მოვხვდებოდი, კვარტალში, ვთქვათ, ერთხელ. მერე ყოველ ორ თვეში, მერე ყოველთვე, თვეში რამდენიმეჯერ, კვირაში ორჯერ, მერე კვირაში სამჯერ და ასე მანამდე, ვიდრე აქ საბოლოოდ და საფუძვლიანად არ დავმკვიდრდი. თავიდან აქ, როგორც გითხარით, ჩემს უგრძნობ სხეულს ჩემი კეთილშობილი ცოლი და ჩემი უვარგისი შვილი მოათრევდნენ. როცა ჩემი კეთილშობილი ცოლი დამცილდა, ზოგჯერ ჩემი შორეული ნათესავები მეხმარებოდნენ, მერე გულკეთილი მეზობლები, მერე მე თვითონ ჩამოვდიოდი და მე თვითონ ავდიოდი. ჩემს თავს აქ მე თვითონ ვაძევებდი, ჩემს მიფურთხებულ სხეულს აქ ჩემი დატანჯული სული მოათრევდა, ჩემი ამბოხებული სული აქ ჩემს მიფურთხებულ სხეულს მოჰყავდა, თავისში მალავდა, ლაგამს სდებდა და აკავებდა, რამეთუ ის (ჩემი სხეული) ნიადაგ გასაფრენად იწევდა. მართალია ეს არალოგიკურად ჟღერს, მაგრამ მერე და მერე ასვლა გაცილებით იშვიათი იყო, ჩამოსვლა გაცილებით ხშირი.

არალოგიკურად კი ჟღერს, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ვისთვის ან რისთვის ვყბედობ ტყუილუბრალოდ? ვის დარწმუნებას ვცდილობ? საკონტროლო ცხრილისას? როდიდან იქცა ლოგიკა, ეშმაკსაც წაუღია, ნამდვილობის იმ ძრავად, რომლითაც "ბედნიერი შემთხვევა" იმართება? თქვენ უკვე ამოწურეთ თქვენი დროის ლიმიტი: პი-პი!

რა თქმა უნდა, არალოგიკურად ჟღერს, მაგრამ ასე იყო, ზუსტად ასე და არა სხვაგვარად. იატაკქვეშიდან სულ უფრო იშვიათად ამოვდიოდი, ვბრუნდებოდი კი სულ უფრო ხშირად. ვბრუნდებოდი პერმანენტულად, მანიაკალური სიჯიუტით, მანამდე, ვიდრე ის არ აღსრულდა, რაც შუბლზე მეწერა, რაც ჩემი ბედისწერა, ანუ იატაკქვეშ ცხოვრება იყო.

ისე, ჩემს მოკრძალებულ მოთხოვნებს თუ გავითვალისწინებთ, მე აქ საკმაოდ კომფორტულად მოვეწყვე... თავიდან მხოლოდ ტახტი იდგა... როგორც ბიბლიაშია: დასაბამიდან იყო ტახტი და ტახტს ზემოთ აღმართული იყო შიშველი კედლები. და აი, რით არ არის ჩემი სორო ახლა მყუდრო იზოლატორი, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგიძლია ცხოვრებად წოდებული ლოთობის წინააღმდეგ წლობით იმკურნალო? თითოეული ნივთი ჩემი ერთ-ერთი წარმოუდგენელი დაცემის მოსაგონარია. ყოველთვის, როცა ამ წარმოუდგენელი დაცემის შემდეგ ფეხზე წამოვდგებოდი, რაიმე მყარ მატერიაზე დაყრდნობის მწვავე სურვილი მეუფლებოდა და ჩემს სოროშიც სწორედ მაშინ ჩნდებოდა ესა თუ ის ახალი ნივთი. ცხადია, საუბარი არ არის ზარალის ბანალურ კომპენსაციაზე, დანაკარგის დაუყოვნებელ ანაზღაურებაზე. ზარალს, უბრალოდ, ვითმენდი. ოდესღაც ჩემი კუთვნილი აუარებელი ჩანთა, საფულე, ქოლგა თუ ავტოკალამი, ჩემი გზა-ბილიკების ბნელ მიხვეულ-მოხვეულებში სამუდამოდ გაქრა. მაგრამ საქმე იმაში როდია, დაცემის შემდეგ, ვთქვათ, ერთი ჩემოდნით გალარიბებული თუ წამოვდგებოდი. დიახ, ერთი ჩემოდნით გალარიბებული! მაგრამ ერთი ჩემოდნის ქონა-არქონა აბა რას წარმოადგენდა იმ ყოვლისმომცველ სიცარიელესთან შედარებით! მეძინა სიცარიელეში, ვიღვიძებდი სიცარიელეში, ირგვლივ სიცარიელე სუფევდა და მე თვითონაც ცარიელი ვიყავი. ვის ახსოვდა ჩემოდანი! სულერთია, თავს უამისოდაც ისე ვგრძნობდით, თითქოს ამქვეყნად არაფერი გამაჩნდა.

თუ გეტყვი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს დედიშობილა, უმწეო და უქომაგო ვიყავი, თუ ამას გეტყვი, ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები იქნება. გარწმუნებ.... გარწმუნებ ჩემო ენაწყლიანო დოქტორო ქალბატონო, ახალგაზრდას, რომელსაც მშფოფთვარედ გატარებული საღამოს შემდეგ არ ძალუძს თავიდან მოიშოროს განცდა იმისა, თითქოს ხალხმრავალი, აჟრიამულებული გზაჯვარედინი უგვანოდ გაფლაშულ, ჭუჭყიან პეენერულ საცვალში საზარდულგამოჩურთულმა გადაკვეთა, წარმოდგენა არა აქვს, როგორ მდიდრულად და დახვეწილად არის ჩაცმული. გარწმუნებ, ჩემო ღვთაებრივო ცისკარო - ჩემი სიშიშვლე ამაზე ასჯერ სამარცხვინო იყო, ხოლო ჩემი სირცხვილი ყველა სირცხვილზე კვინტესენციური. ბრბო, რომელიც გარს მეხვია, ყველანაირ ბრბოთა ერთ სახეს წარმოადგენდა. არ მეცვა სამოსი, არ მფარავდა კანი, არ გამაჩნდა ხორცი. ჩემს სხეულს არ აკავებდა ხერხემალი, ჩემს ფილტვებს არ იცავდა ნეკნები, მაგრამ არ იყო არც ფილტვები, არ იყო ჰაერი, არ ვიყავი არც მე... ნელა, ნელა ვიბადებოდი მთრთოლვარე გამჭვირვალებიდან. მაშინ თითოეული, განსაკუთრებით თითოეული ახალი ნივთი, თავისი ჩვეული ფორმით გარემოდან ამოვარდნილი და ამის გამო თავისი ყოველდღიური ანტურაჟით შეუმჩნეველი, უდაბნოში მორაკრაკე ანკარა წყაროდ მეჩვენებოდა. ვეხებოდი საგანს, ვეხებოდი სუბსტანციას, ვეხებოდი წიგნის თაროებს და ისიც იმითვე მპასუხობდა. ასე აღორძინდებოდა პირველი გრძნობა, გრძნობა შეხებისა, მატერიალიზდებოდა კანი, კანით ისევ იმოსებოდა ჩემი სხეული...

* * *

სიტყვამ მოიტანა და თაროები აქ 1989 წლის ზაფხულში გაჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სალუდე "ევროპაში" ჩემი დაცემის მოწმე და მნახველია. ეს კი აი ასე მოხდა: როცა პოლონეთში კომუნიზმი ეცემოდა, მე სალუდე "ევროპაში" განვიცდიდი დაცემას. კარგი კალამბურია-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სიტყვა ბელურა არ არის... უფრო ზუსტი რომ ვიყო, დაცემა, რის შესახებაც ეს-ესაა მოგახსენეთ, სალუდე "ევროპაში" დაიწყო და გჟეგოჟეცკის ქუჩაზე რესტორან "ახალში" დამთავრდა. ბუფეტი 1990 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიძინე, რითაც გროცკის ქუჩაზე, რესტორან "ფემიდაში" დაწყებული ჩემი დაცემის ის სახელოვანი გზა აღვნიშნე, რომელმაც "გაველკაზე", "სამ თევზსა" და "ერმიტაჟზე" გაიარა და იქვე - "ერმიტაჟშივე" მტრის უკანასკნელი რედუტების აღებით დამთავრდა. რაც შეეხება დივანს, დივანი ჩემი განდგომილი მეგობრის დაბადების დღეს, ანუ ქრისტეს დაბადებიდან 1991 წელს შევიძინე და იგი ჩემთვის, ფსკერზე დაცემულისათვის აღმართული ძეგლი გახლავთ.

სხვათა შორის, სწორედ ჩემი ის განდგომილი მეგობარი მამარაგებს ანტიპაპური ფურცლებით... ის მაყენებს შეუწყნარებლობის ყოველგვარი გამოვლინების საქმის კურსში. ამას წინათ, მაგალითად, გადაჭრით გამომიცხადა, ობიექტურობით განთქმულმა რადიოსადგურმა ბი-ბი-სიმ (ვის გადაცემებსაც დიდიხანია უსმენს), რომაულ-კათოლიკური იმპერიალიზმის გავლენით თავისი განთქმული ობიექტურობა დაკარგა, ვინაიდან, ძალზე ობიექტური სიტყვის - "პაპის" მაგივრად, ახლა სუბიექტურ გამოთქმას - "წმინდა მამას" ხმარობსო...

ამის მიმართ როგორი უნდა იყოს ჩემი დამოკიდებულება? რას მიბრძანებთ, მაინც რა ვიფიქრო, ჩემო წარმართო მსხვერპლთშემწირველო, ჩემო ბაჯაღლო ოქროვ, მაინც როგორი უნდა იყოს ჩემი დამოკიდებულება, ჩემო ელექტრონებიდან ქმნილო ვერცხლის ტარიგო?.. ბოლოს და ბოლოს იქნებ მითხრა, იქნებ მიკარნახო, რა ვიფიქრო, ცეცხლისაგან უწვავო ჩემო მაყვლიანო, მარადიული ცეცხლით რომ გიზგიზებ და არ იწვები...

* * *

მომდევნო წელს, ანუ დივნის შეძენის წლისთავზე, "ფლორიანოს", "ქათმის ფეხებსა" და "ველენსკს" შორის, ბერმუდის სამკუთხედში, ჩემი თავგზის ამბნევი, წაღმა-უკუღმა დამტრიალებელი და სულის ამომხდელი მორევის პატივსაცემად მაცივარი შევიძინე. დიახ, სასწაულად გადავურჩი რა ეშმაკეულ სამკუთხედში მოუსვენარ მგზავრებს ჩასაფრებულ, ენით აუწერელ საფრთხეს, მაცივარი შევიძინე.

იმავე წელს ახლა ანტიკვარიატის რიგი დადგა - ვიყიდე სავარძელი. ეს არა მარტო სავარძელი, არამედ ის ობელისკიცაა, ჩემს იმ დაცემებს რომ უკვდავყოფს, რომელიც მაშინ განვიცადე, როცა "ჩიხ კონჩიკის" გალმა, ბლონდებზე, რუდავას ნაპირებსა თუ კოსტიუშკოს მწვერვალზე დავაბიჯებდი. მართალია მწვერვალის კენწერომდე ვერასოდეს ავაღწიე, მაგრამ ის, რომ იქიდან უფსკრულში ნამდვილად გადავიჩეხე, უდავოა. როგორ შეიძლება იმ მწვერვალიდან გადაიჩეხო, რომელზეც არასოდეს ასულხარ? ეს მხოლოდ იმან იცის, ვინც ამ პარადოქსის სიმწარე საკუთარ თავზე გამოსცადა, ანუ იმან, ვინც მართალია მწვერვალზე არასოდეს ასულა, მაგრამ იქიდან, ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოვარდნილა.

კიდევ უფრო უცნაურ ვითარებაში ჩამოვვარდი 1993 წელს. არ მახსოვს, რით დაიწყო და რით დამთავრდა ჩემი ვარდნა. არც ალფა მახსოვს, არც ომეგა, არც დასაწყისი პროგრამისა, არც დასასრული. არ მახსოვს, რა იყო, "ჩაი თუ ყავა?" ან იქნებ, "უსაზღვრო ღამეული" მწუხარება იყო ბოთლის

გარეშე? არ ვიცი, რომელ გეოგრაფიულ პუნქტში ჩავიჩეხე. იქნებ ისევ ბერმუდის სამკუთხედის მორევმა შთანთქა? იქნებ მკვდარივით გაბრუებულს, ქალაქის საგიჟეთის მახლობლად, მიცვალებულის ღრმა ძილით მეძინა ბრძოლის ველზე? იქნებ ჩემი სული ჩემს სხეულს სახლიდან ორიოდ ნაბიჯზე განერიდა? იქნებ მახლობლად მდებარე სამიკიტნო "ნოვოსელკაში" განცალკევდა? არ ვიცი... არ ვიცი და დღესაც არ შემიძლია გავიგო სიმართლე, ჩავწვდე ჭეშმარიტებას. და აი, ამ საიდუმლოებით მოცული სიუჟეტის აღსანიშნავად, არ დავინანე რა "ზანაჩლი სიუჟეტის აღსანიშნავად, არ დავინანე რა "ზანაჩკები", ფიჭური ტელეფონი შევიძინე.

მას მერე, ასე ვთქვათ, გადაჭრით და საბოლოოდ დავმკვიდრდი ამ ადგილას. ღმერთმა დამიფაროს, ჩემი ამ იატაკქვეშეთიდან გარეთ ცხვირსაც არასოდეს გავყოფ, მითუმეტეს მაშინ, როცა მორიგი გრანდიოზული დაცემის ჟამი ახლოვდება. გრანდიოზული-მეთქი, ხაზს ვუსვამ, ვინაიდან, პატარ-პატარა დაცემები, ჩვენი არსებობის ძაფი და ქსოვილი, ანუ საფუძველთა საფუძველია.

ერთ ადგილზე ჯდომა, მოგეხსენებათ, ადგილის ერთობის გარანტიას იძლევა. ადგილის ერთობა კი, ოო, ეს ძალზე დიდი რამ გახლავთ! ადგილის ერთობის დაცვა ეს იმას ნიშნავს, რომ იცი სად ხარ, ხოლო თუ იცი სად ხარ, ერთხანს გაძლების შანსი მაინც გეძლევა.

* * *

სად არის?.. სად არის აქამდე გრახა პეტერბურგი? რატომ იგვიანებს? ღმერთო, სად არის აქამდე? მოწყალეო უფალო, ვინც ერთი წუთის შემდეგ ჩემთან ერთად უკანასკნელ ცნობებს მოისმენ, მოწყალეო უფალო, არ მინდა ზედმეტად შეგაწუხო, ამაოდ მოვიხსენიო შენი სახელი, მაგრამ ვიდრე უკანასკნელ ცნობებს მოისმენ, ინებე და მეც მომისმინე. მომისმინე და იმგვარად ჰქმენ, გრახა პეტერბურგი მოვიდეს, ნაირნაირი გემრიელი სასუსნავი მომიტანოს. ჰქმენ ისე, რომ მანამდე მოვიდეს, ვიდრე ამინდის პროგნოზი დაიწყება...

- წარმოგიდგენთ უკანასკნელ ცნობებს. რა ხდება? რა ახალი მნიშვნელოვანი ამბებია ამ საათისათვის? ახალს რას შევიტყობთ უკანასკნელ ცნობებში? მოგახსენებთ. კენიის პარლამენტის დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, გამოეყენებინათ გიენა, როგორც გვამების ლიკვიდაციის რადიკალური საშუალება... ვინაიდან მოტიხტიხე პინგვინების შეწყვილებისას ყველა ერთმანეთს ჰგავს იმაში, თუ ვის მისცემს უპირატესობას დედალი პინგვინი, გადამწყვეტ როლს თამაშობს მამალი პინგვინის სიმღერა, რომელიც ვირის ყროყინს მოგვაგონებს... ორივე პალატის პარლამენტარების შეხვედრა დაიწყო აპერატივ "ბელვედერით"... როგორც ზოგიერთი დასავლური სააგენტო იტყობინება, თავის ახლანდელ მეგობარ მუსიკოს იანზე ლინდა ევანსი თორმეტი წლითაა უფროსი.

- ახლა წარმოგიდგენთ საღამოს პროგრამის სტუმარს. გამარჯობა.

- გამარჯობა.

- თქვენი პროფესია?

- სნაიპერი. სპეციალობა - შემთხვევითი გამვლელები.

- მოითმინეთ, მოითმინეთ, აქ რაღაც ისე არ არის! ღმერთო, რას ამბობს! რას ეუბნება ჩემს ხალხს? ან პირადად მე რას მეუბნება?

- ამბობს, რომ მისმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა, ვინაიდან კვლის მეტი არაფერი შეუძლია.

- მხოლოდ ის ვისწავლე, ადამიანი როგორ მოვკლა, მხოლოდ მოკვლა შემიძლიაო.

- თუ ასეა, როგორ ვუშველოთ ამ კაცს? როგორ ვუშველოთ ამ ხელთუყარს? პერეკვალიფიკაციის კურსებზე ხომ არ გავაგზავნოთ? ან მენეჯერების, მაკლერების, მღებავების კურსებზე?

- არა, ასე ამბობს, მხოლოდ კვლა ვისწავლე, მოკვლის მეტი არაფერი ვიციო.

- მაშინ იქნებ რომელიმე ანტიტერორისტულ ჯგუფში მოგვეწყო სამუშაოდ?

- ვერ გაუძლებს. ანტიტერორისტული ბრიგადის ბიჭები წვრთნას მთელი დღეების, თვეების მანძილზე გადიან, ვარჯიშობენ, მიზანში ისვრიან, ცარიელ ტყვიებს აჭახუნებენ და მთელი დღეების, კვირების, თვეების, წლების მანძილზე მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, ის დრო როდის დადგება, ვიღაცას მართლა რომ მოკლავენ. ეს კი ვერ გაუძლებს, ვიღაცას დროზე ადრე მოკლავს. მხოლოდ მოკვლა ასწავლეს, ასე ამბობს, მოკვლის მეტი არაფერი ვიციო. ასეა, მეტი არაფერი იცის.

- მაშინ ჯალათის თანამდებობაზე ხომ არ გაგვემწესებინა?

- არა, არ გამოვა მისი ჯალათის თანამდებობაზე გამწესება - ჩვენ, ევროპელები ხომ გადაჭრით გამოვდივართ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ! ის კი სულ იმას იმეორებს, მოკვლის მეტი არაფერი შემიძლიაო. კიდევ იმასაც ამბობს, რომ ომი არ უნდა, უნდა მშვიდობა. მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა, რომ იგი მშვიდობის მომხრეა მთელ მსოფლიოში.

- მაშინ, გამოდის, რომ უნდა მოვკლათ?

- დიახ, უნდა მოვკლათ.

- ჰო, მაგრამ ვინ მოკლავს?

- კარგი იქნება, ვინმე სხვა სნაიპერი თუ მოკლავს. ის, ვინც მასავით სევდითაა შეპყრობილი იმის გამო, რომ მხოლოდ კვლა ისწავლა, მხოლოდ კვლა და მეტი არაფერი. იმ მეორე სნაიპერს მესამე სნაიპერი მოკლავს, მესამე სნაიპერს - მეოთხე, მეოთხეს მეხუთე, მეხუთეს მეექვსე და ასე გამარჯვებამდე. კარგი იქნებოდა ყველა ნერვებდაწყვეტილი სნაიპერი ერთ ადგილას შეგვეყარა, ვთქვათ, ოლიმპიურ სოფელში და გრანდიოზული შეჯიბრი მოგვეწყო. ეს საკითხის ერთგვარი გადაწყვეტა და არც ისე ცუდი გამოსავალი იქნებოდა.

- მაგრამ! მაგრამ! მაგრამ! მაგრამ!

* * *

მაგრამ საღამოს უკანასკნელ ცნობებში სხვა ახალი ამბები გადმოსცეს... არა, მხედველობაში ის გადაცემა როდი მაქვს, რომელიც ბარძაყის არტერიას შეეხება. რა თქმა უნდა, ესეც იყო, მაგრამ მე სულ სხვა რამის შესახებ მინდა მოგახსენოთ. მხედველობაში ის ახალი ამბავი მაქვს, რომელიც არა იმდენად ჩემთვის, არა იმდენად ჩემი ხალხისათვის, არა იმდენად შენთვის, უფალო, რამდენადაც გრახა პეტერბურგისათვისაა საინტერესო. უფრო მეტიც, ვფიქრობ, ზუსტად მისთვის არის ზედგამოჭრილი.

როგორც ზოგიერთი დასავლური სააგენტო იუწყება, ლინდა ევანსი თავის ახლანდელ მეგობარ მუსიკოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანსზე თორმეტი წლითაა უფროსი...

გრახა პირდაპირ გიჟდება ამგვარ გადაცემებზე. განსაკუთრებით იმ სერიალებისადმი იჩენს დიდ ინტერესს, იმ ფილმებზე, იმ ვიდეოკასეტებსა და ცხოვრებიდან ამოკრეფილ იმ ამბებზე, სადაც "ის" "მასზე" გაცილებით უფროსია.

გრახა ბევრს კითხულობს ამ თემაზე. ერთხელ სპეციალური ალბომიც კი მაჩვენა, სადაც ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ტექსტები იყო ჩაკრული. იქ შეიძლება ლინდა ევანსისა და მასზე თორმეტი წლით უმცროსი მუსიკოსი იანსის ფოტოც იყო. ვერ გეტყვით, არ მახსოვს. აი, სხვა ფოტოები კი მახსოვს. მაგალითად, ელიზაბეტ ტეილორისა და მისი ბოლო, ოცი წლით უმცროსი ქმრის ფოტო... ფოტო ლაიზა მინელისა და მასზე თექვსმეტი წლით უმცროსი ბილი სტრიტჩემის... გრახა პეტერბურგმა საკმარისია ყური მოჰკრას იმ შეყვარებული წყვილის ამბავს, სადაც "ის" "უფროსია", "ეს" კი უმცროსი, რომ უცნაური მღელვარება იპყრობს და ალბომში ჩასაკრავად მაშინვე ბარათის შევსებას იწყებს. ჰო, მართლა, აქ სადღაც აგდია ბარათი, ანუ დასაბამიდან დღემდე იმ მოწიფულ ქალთა სია, რომლებიც გაცილებით უმცროს მამაკაცებთან იყოფდნენ სარეცელს.

ა, ბატონო, აგერ არ არის. გრახა პეტერბურგის ოკრობოკრო ხელით შევსებული ის სია! ანა იაგენოლენი - შტეფან ბატორი (განსხვავება ათი წელი); მარია ლეშჩინსკაია - ლუდოვიკო მეთხუთმეტე (შვიდი წელი); სტანისლავ ავგუსტ პონიატოვსკი - გენრიეტა სოფია პუშტი. დიახ, დიახ, შედეგი შესანიშნავია... შემდეგ: ჟორჟ სანდი - ფრედერიკ შოპენი (შვიდი წელი, არ ვიცოდი); ელეონორა დუზე - გაბრიელ დანუნციო (თხუთმეტი წელი); აისედორა დუნკანი - სერგეი ესენინი (ჩვიდმეტი წელი); გალა - სალვადორ დალი, იოკო ონო - ჯონ ლენონი (ცხრა-ცხრა წელი); მარტა მესაროში - იან ნოვიცკი (რვა წელი). აქ გაზეთიდან ამოჭრილი იან ნოვიცკის კიდევ ერთი ფოტოცაა.

კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც რატომ აინტერესებს გრახას ეს ამბავი? თუმცა სად არის? სად არის აქამდე? ღმერთო, ღმერთო, კინესკოპის სიღრმიდან მაინც გამომეხმაურე, ან რაღაც ისეთი მოიმოქმედე, გრახა პეტერბურგის მოსვლა დააჩქარო, გზა თუ გაიმრუდა, ცხოვრების სწორ გზაზე დააყენო.

* * *

რათა ყველაფერი გასაგები იყოს, რათა ეჭვის ნატამალიც არ დარჩეს... არა, არა მჯერა... არა მჯერა, რომ გაგარინი ნამდვილად იყო კოსმოსში... არც ისეთი ცხარე ნათქვამია? კი ბატონო, იყოს, მაგრამ წაშლით მაინც არ წავშლი. დიახ, დიახ, არა მჯერა, რომ გაგარინი კოსმოსში იყო! აი, სხვა კოსმონავტებისა კი მჯერა, იმათი, ვინც იქ იყო (მე ეს მჯერა) და ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მათ ვიღაც უყურებდა. თუმცა ჩაგმანულ კონტეინერებში ჩაკეტილები ისე დაფრინავდნენ, სივრცის შესახებ არაფერი იცოდნენ - არავითარი ინფორმაცია და არავითარი დახასიათება. მარტო ეს განცდა ჰქონდათ, რომ სივრცე მათ ხედავდა. მე კარგად მახსოვს ეს გადაცემა (სხვათა შორის, ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყო). მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე ისაა, რომ მეც ხანდახან მეჩვენება, თითქოს ჩემი კაიუტა, ჩემი სიხარულისა და მწუხარების იატაკქვეშეთი ჰაერში დაფრინავს - მიწაში კი არ არის ჩაზრდილი, არამედ დაფრინავს, დაფრინავს კოსმიურ სივრცეში, რომელიც მიყურებს.

აშკარად... აშკარად ვგრძნობ, სხეულით შევიგრძნობ შენს საყვედურიან მზერას... ნუ მსაყვედურობ! ნუ მიყურებ ასე საყვედურით! ნუ მიყურებ მაგ შენი ახალშეიარაღებული თვალებით, შენი თხევადკრისტალური ლინზებით, ნუ მიყურებ ასე ყვედრებით. მე კი არა, გრახა იმსახურებს საყვედურს... ჰო, მაგრამ, სად არის აქამდე? წუთიც და, ამინდის პროგნოზი დაიწყება. იქნებ რაღაც მოუხდა? იქნებ რაღაც უბედურება შეემთხვა? იქნებ ელექტრონულმა განმუხტვამ ბარძაყის არტერია დაუზიანა? იქნებ ტკიპამ უკბინა? იქნებ მომაკვდინებელმა ტკიპამ ბარძაყის არტერია დაუნესტრა?.. რაც არის არის, რახან აქამდე არ მოვიდა, დაე სულაც ნუ მოვა. ანდა, ჯანდაბას, თუ ასეა, ამინდის პროგნოზის შემდეგ მაინც მოვიდეს.

რაც შეეხება ამინდის პროგნოზის წამყვანებს, როგორც წესი, ორნი არიან. ასაღამოვდება თუ არა, დადგებიან ამინდის რუკის წინ და ცეკვავენ, ცეკვავენ ჩვენთვის... ერთი სამშაბათობით ცეკვავს, მეორე ოთხშაბათობით, ერთი ხუთშაბათობით ცეკვავს, მეორე პარასკევობით. ერთი შაბათობით ცეკვავს, მეორე კვირაობით და თან სულ თავქაჯს იყრის. ერთი შავგვრემანია, მეორე ქერა... ერთის გვარში რაღაც ბნელი და დემონურია... მეორის გვარი ფრანგულ ყაიდაზე ჟღერს. ეს მეორე, აი, ეს ფრანგული გვარისა, ფრიად მშვენიერი ვინმეა... რაც შეეხება გვარს, თუ ამას პოლონურ მანერაზე წარმოვთქვამ, ფონემური თვალსაზრისით, მე ვიტყოდი, გამანადგურებელ ეფექტს ახდენს: გრაჟინა დე-ე-ე, გრაჟინა ადე-ე-ე, გრაჟინა "პადენიე". ო, მშვენიერზე უმშვენიერესო ტელეწამყვანთ შორის! მზეო ჩემო მანათობელო! სასურველ პროგნოზს და ზურგის ქარს გისურვებ!.. გრაჟინა ამინდს არ წინასწარმეტყველებს, იგი ხოტბას ასხამს ატმოსფერული ფრონტების ჭიდილს, ქებათა-ქებას აღუვლენს თაკარა მასებს. ის სოლისტია, ის მოცეკვავეა და განუსაზღვრელია მისი მოქნილი სხეულის რხევათა თაიგული, მისი მგზნებარე, ალხიანი მოძრაობა. დიახ, ყოველთვის, როცა ამინდის რუკის წინ მოცეკვავე გრაჟინა "პადენიეს" ვუყურებ, ვგრძნობ ჩემს შვილთამქნელ ორგანოში ანტიციკლონი ბობოქრობას როგორ იწყებს...

გრახა პეტერბურგი სააგენტო "მოცალეობის" მეშვეობით გავიცანი. ქალებთან ჩემ ურთიერთობას ყოველთვის ეთგვარი ფაციფუცისა და მღელვარების დაღი აზის. მას შემდეგ, რაც ჩემმა კეთილშობილმა ცოლმა მიმატოვა, ამგვარ საქმეებში ჩემმა აფაციფუცებამ კიდევ უფრო იმატა. ფიჭური ტელეფონის შეძენის შემდეგ კი ამან ლამის პანიკურ ზღვარს მიაღწია. ყოველ შემთხვევაში, პოლონეთის მიწაზე "გაცნობის" სამსახურების სოკოებივით მომრავლება, ჩემთვის იმის თვალსაჩინო დასტურად იქცა, რასაც ჩემი ქვეყნის მოსკოვის უღლისაგან გათავისუფლება ჰქვია. რაც შეეხება დამოუკიდებლობის სხვა დამადასტურებელ საბუთს, ბორდელების გარდა არაფერი მახსენდება.

სხვათა შორის, შეიძლება მართალიც არა ვარ, ვინაიდან ჩემი დაკვირვება სუბიექტურია - მე ხომ ჩვენს ამ არამარტივ პირობებშიც ჩამოყალიბებად დემოკრატიას ჩემი სოროს სიღრმიდან, სარდაფის პერსპექტივიდან ვუყურებ! თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩემი მზერაც ხომ იქიდან არის მიმართული, საიდანაც შენი, გზის გამკვალავო პროპაგანდისტო ქალო -

საკუთარი სტომაქის სიღრმიდან, თავის ქალის ფსკერიდან, საკუთარი სხეულის დილეგიდან.

იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, რომ ამ სამყაროს არა მხოლოდ ისე ვუმზერ, როგორც შენ, არამედ ისე, როგორც მთელი ჩვენი ხალხი. ჩვენი ხალხი ხომ სამუშაოს მორჩება თუ არა, კარის ზღურბლზე ფეხს გადაადგამს თუ არა, ჯერ ქუდიც არა აქვს მოხდილი, პალტო არ გაუხდია, ჩანთა არ დაუდვია, რომ მაშინვე ტელევიზორს ეცემა, ღილაკს ხელს დააჭერს და მდორე, უსიცოცხლო სინათლე ირგლივ ნისლივით დაიღვრება. ნორჩი ტელესაოცრების - არაახალგაზრდა ტელესაოცრების ასულის (ან პირიქით) ხმა ოდერიდან ბუგრამდე, კარპატიდან ბალტიკამდე მთელ სივრცეს მოედება და ჩემი ხალხი შენი ეკრანის წინ ისე გაშეშდება, თითქოს ტელემაყურებლის ოდითგან არსებული მონუმენტი იყოს.

ის, რომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ესეც კი, მეც და ჩემმა ხალხმაც ტელევიზიით შევიტყვეთ. ესე იგი, დამოუკიდებლობის შესახებ ინფორმაცია ტელევიზიამ მოგვაწოდა. ხოლო პოლონეთის მიწაზე სოკოებივით ამოზრდილმა სააგენტო "მოცალეობებმა" აშკარად დაგვიდასტურა, რომ ტელევიზია არ ცრუობდა.

მართალი გითხრათ, ის, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოს მოქალაქე ვიყავი, ესეც ცოტა უფრო ადრე ტელევიზიით შევიტყვე. ერთ მშვენიერ დღეს ვრთავ ტელევიზორს და ვხედავ, ტოტალიტარიზმი პარპაშებს: სამარშო მუსიკა, საპირველმაისო დემონსტრაციები და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ძმურ არმიათა მანევრები. ოჰო-ჰო-ჰოო, ცუდია, ო, რა ცუდია-მეთქი, - ვფიქრობ გუნებაში და ვგრძნობ, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ვარშავის ხელშეკრულებისა. და აი, გავაკეთე ის, რასაც სხვა სიტუაციაში არამც და არამც არ გავაკეთებდი. გავაკეთე ის, რასაც არც ერთი თქვენგანი, პატივცემულო დიქტორო ქალებო და დიქტორო ვაჟებო, არასოდეს გააკეთებდა. დიახ, გავაკეთე ის, რაც ჩემ ხალხს არასოდეს გაუკეთებია და არც არასოდეს გააკეთებს. სახელდობრ, ტელევიზორი გამოვრთე. დიახ, დიახ, ტელევიზორი გამოვრთე და სააბაზანოსაკენ გავწიე, სადაც ჩემი ყოფილი ცოლი ცხელ წყალში ნებივრობდა. აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი. ქაფიდან ჩემი ცოლის ამოზიდულ ღვთაებრივ მკერდს შევხედე და ჩემმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ ცვლილება კიდევ ერთხელ განიცადა. ჩემი ცოლის ბიუსტს შევხედე თუ არა, ვიგრძენი, რომ ვარშავის ხელშეკრულების მომხრე ვარ. ეს ბიუსტი, რომელსაც ახლა მე ვუყურებ, მონაწილე ქვეყნების ბიუსტებს შორის ყველაზე უმშვენიერესი ბიუსტია! ვითომ რატომ უნდა ვიყო ვარშავის ხელშეკრულების წინააღმდეგი? თუკი ვარშავის ხელშეკრულების ყველაზე გასაოცარი ბუფერები ჩემი მგრძნობელობითი ორგანოების მისაწვდომობის ფარგლებშია, ვარშავის ხელშეკრულების ლიკვიდირებისაკენ სწრაფვა ხომ თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება? გამოდის, რომ ამ თვალწარმტაცი ბუფერების განადგურება მინდა! გამოდის, რომ ჩემ საკუთარ, ძალზე პრივილეგირებულ პოზიციას ძირს ვუთხრი, უარს ვამბობ ჭეშმარიტად ძვირფას ნივთზე, სერიოზულ კოზირს თვალდახუჭული ჩავდივარ!

ჩემი ამ მოკლე, მაგრამ ღრმა ანალიზის შემდეგ სასტუმროში დავბრუნდი, დივანზე დავჯექი და ტელევიზორი ჩავრთე. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთერთმა მარად ახალგაზრდა ტელეწამყვანმა შეგვატყობინა, რომ ვარშავის ხელშეკრულებამ არსებობა შეწყვიტა. ჩემი იმ პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვა, რომლის მისაწვდომობის ფარგლებში ვარშავის ხელშეკრულების უმშვენიერესი ბიუსტი შევიძინე, შედარებით უმტკივნეულოდ გადავიტანე. ჩემმა ცოლმა მანამდე მიმატოვა, ვიდრე ვარშავის ხელშეკრულებას წერტილი დაესმებოდა.

მისი წასვლის შემდეგ, ვიმეორებ, ჩემს სექსუალურ ცხოვრებას სიჩქარის მანია შეეყარა. მართალი გითხრათ, მრცხვენია გამოვტყდე, რომ ვერც მე ავცდი ამ სავალალო ეტაპს, ანუ ციებ-ცხელებიან გაშმაგებას, ანუ წრეგადასულ აქტუალურ მცდელობას, დაუმტკიცოს საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც, რომ არა თუ არ იმსახურებს ამგვარ ხვედრს, არამედ პირიქითაც კი.

* * *

რაც შეეხება გრახა პეტერბურგს, მე იგი ასე გავიცანი: ერთხელაც სააგენტო "მოცალეობაში" დავრეკე და, როგორც წესი, რუსი ქალიშვილი შევუკვეთე. ვისაც ამგვარი დაწესებულების მომსახურებით უსარგებლია, იმან კარგად იცის, როგორ ხდება ეს. აიღებ ყურმილს, ნერწყვს ყლაპავ და ნომერს კრეფ.

- გისმენთ სააგენტო, - გპასუხობს მეორე ბოლოდან ქალის მკაცრი ხმა.

- ალოო! - ჩასძახი ყურმილს გაუბედავად.

- დიახ, გისმენთ, სააგენტოა, - მკაცრი ხმა კიდევ უფრო მკაცრდება.

- ალო, სააგენტოა? - ათასი ელემენტარული მიზეზის გამო ხმა წარამარა გიწყდება და სასოწარკვეთილი ისევ საუბრის გაბმას ცდილობ.

- დიახ, გისმენთ სააგენტო "მოცალეობა", რით შემიძლია გემსახუროთ? - შენი მოსაუბრის ხმა მოულოდნელად თბილი და გულითადი ხდება.

- იცით... შეგიძლიათ რამე შემომთავაზოთ?

- დიახ, ჩვენი სააგენტოს განკარგულებაში მრავლად არიან ქალიშვილები, რომლებიც ყველანაირ გემოვნებას აკმაყოფილებენ.

ამგვარი პასუხის შემდეგ შენ, როგორც წესი, ჩუმდები და ჩუმდები შეურაცხყოფილი: "ვითომ რატომ ჰგონია, ნაქირავები სიყვარულით ვიყო დაინტერესებული? ხომ შეიძლება, - შენი აღშფოთება კიდევ უფრო მძაფრდება, - რომ ვკითხე, რისი შემოთავაზება შეგიძლიათ-მეთქი, რაიმე ამაღლებულს ვგულისხმობდი, მაგალითად, საგამომცემლო სიახლეების ნუსხას ან კულტურულ ტელეგადაცემათა პროგრამას?" მაგრამ, ერთი წუთის შემდეგ შენი აღშფოთებისაგან კვალიც აღარ რჩება. შენ ფარ-ხმალს ყრი და იმ აზრს ურიგდები, რომ ბინძურ განზრახვას მიგიხვდნენ.

- ხომ არ შეიძლება უფრო კონკრეტულად მითხრათ? - ეკითხები გუნებაწამხდარი.

- კი ბატონო, სიამოვნებით, - საბოლოო გარიგების მოლოდინში შენი მოსაუბრის ხმა ახლა უკვე საქმიან ჟღერადობას იძენს, - ამჟამად შეგვიძლია შემოგთავაზოთ... მოკლედ, აი, ასე: ქერა, ოცდასამი წლის, ბიუსტი ნომერი სამი. შავგვრემანი, ოცდახუთი წლის, ბიუსტი ნომერი ოთხი... ოცდაშვიდი წლის, ბიუსტი ნომერი ექვსი... თვრამეტი წლის, ბიუსტი ნომერი სამი, ოცდახუთი წლის, გამხდარი, მაგრამ ენერგიული.

რაც შემეხება მე, ყოველი ამგვარი ლიტანიის შემდეგ ასეთ რიტუალურ შეკითხვას ვსვამ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რუსულად მოლაპარაკე ქალიშვილები თუ გყავთ?

ამგვარი შეკითხვის შემდეგ ყურმილში ყოველთვის ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ეიფორია იფეთქებს ხოლმე:

- დიახ, როგორ არა... აჰ, როგორ მიხარია, ცრურწმენებისაგან გათავისუფლებული რომ ბრძანდებით... მარტო რუსულად მოლაპარაკე კი არა, რუსეთის მკვიდრი მაცხოვრებელიც გვყავს, თან ძალიან, ძალიან ელეგანტური.

* * *

მაშინ, იმ ღირსსახსოვარ შაბათ საღამოს კი ყველაფერი ზუსტად ასე იყო: მოვლენები ერთმანეთს სტანდარტულ, საკმაოდ მდორე რიტმში ენაცვლებოდა. ყურმილი ავიღე და ნომერი ავკრიფე. ყურმილში ქალის მკაცრი ხმა გაისმა. ხმა თავიდან სულ უფრო მკაცრი ხდებოდა, მერე თანდათან შერბილდა, ხოლო იმ მომენტიდან, როცა ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ჩემი მოსაუბრე მიხვდა, რისთვის ვრეკავდი, რაღაც ირაციონალური მიზეზის გამო უცებ აღვშფოთდი, თუმცა ასევე შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩემი აღშფოთება განსაკუთრებულად რაციონალურ ხასიათს ატარებდა. ბოლოს და ბოლოს, ადამიანს, რომელიც ამხილეს, რომ იგი თავისი მდაბალი ინსტინქტების ამებაშია, უფლება აქვს (უფლება კი არა, ეს მისი წმიდათაწმიდა მოვალეობაა!) აღშფოთდეს, გადათქვას და იუაროს... ტყუილი, დაე, თუნდ საკუთარი თავის მოტყუება, ამ შემთხვევაში ხორციელი მატერიის მხოლოდ გაკეთილშობილებას კი არა, მის ზეშთაგონებასაც უწყობს ხელს. გარდა ამისა, ამას მოითხოვს კარგი ქცევის წესებიც. კანონი savoir vivre (ცხოვრების უნარი - ფრ.) გვაუწყებს: საროსკიპოში წასვლისას პარლამენტის მიმომხილველის არაფრის გამომხატველი ნიღაბი უნდა აიფაროო. კარგად აღზრდილი ადამიანები ამ წესს იცავენ. თუმცა ზოგიერთი ჯენტლმენი აღნიშნულ სიტუაციაში გაკეთილშობილებას სიტყვების რახარუხით ცდილობს... შიშველი მაშვრალი უკვე ლოგინში წევს, ის კი თავზე წამოსდგომია და გრძელ, მაღალფარდოვან და არაიშვიათად სამართლიანი აღშფოთებით სავსე ტირადებს წარმოთქვამს. კი ბატონო, ძალიან კარგი! ჩემი აღშფოთება კი, რაც არ უნდა აბსურდული და ამასთან რიტუალური გეჩვენოთ, სრულიად დროული და მართებული იყო. სხვათა შორის, ამ აღშფოთებისაგან მალე კვალიც აღარ დარჩა. მაშინვე ფარ-ხმალი დავყარე და ვიკითხე, რა შეიძლებოდა შემოეთავაზებინათ. მოთმინებით მოვისმინე ბიუსჰალტერების გრძელი ნუსხა, გავიგე რა დაჯდებოდა ეს და ფასზე დავთანხმდი...

დიახ, დიიახ. ფული მაქვს. საიდან მაქვს? მაშინ იმას? იმას საიდან აქვს? სად იშოვა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემი ხალხისათვის მიმინდვია, ჩემმა ხალხმა უნდა იცოდეს იმ კითხვების პასუხი, რომლებსაც თვითონ გამუდმებით სვამს: საიდან მაქვს ფული? საიდან აქვს იმ კაცს ფული? საიდან აქვს იმ ქალს ფული? საიდან აქვთ იმათ ფული? - კითხულობს ჩემი ხალხი, - საიდან ჰყავს ამდენი ქალები? სად იშოვა ამდენი ფული იმ უნიფხვომ? საიდან გამდიდრდა? ხელფასიდან დააგროვა? შტატებში იყო ჩამჯდარი წლების მანძილზე? ჯართი გაყიდა სპეკულანტურ ფასებში? იქურდა? ითაღლითა?.. მოდი, გამოიცანი! მიდი, იმარჩიელე და გამოიცანი!

მოდი ისევ ჩვენ ფარას დავუბრუნდეთ! ვკითხე, რისი შემოთავაზება შეგიძლიათ-მეთქი? დავაზუსტე თანხა, მოვისმინე ბიუსჰალტერების ზომების გრძელი ნუსხა, როგორც ყოველთვის, დავინტერესდი რუსულად მოლაპარაკე ქალიშვილებით და აი, სწორედ აქ გადავაწყდი პირველ სერიოზულ მოულოდნელობას...

მართალია ყოველივე ამას ტრადიციულ-ინტერნაციონალური ეიფორიის გარეშე არ ჩაუვლია, მაგრამ რაღაცა მაინც გამოვიდა. წუთიერი პაუზა, აშკარა დაბნეულობა და დაბნეულივე პასუხი: არა, მგონი არა გვყავს... თუმცა... როგორ არა, გვყავს... რა თქმა უნდა, გვყავს - რუსი, ქერა, გამხდარი, მაგრამ ძალიან ელეგანტური.

კი ბატონო, გამოდგება, ველოდები-მეთქი.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ ფრიად სანდომიანი პერსონა გამომეცხადა.

- საიდან ხართ? - ვკითხე რუსულად.

- პეტერბურგიდან, - მიპასუხა მან ჩემ მშობლიურ ენაზე, - პოლონურად კარგად ვლაპარაკობ, პაპაჩემი პოლონელი იყო.

აჰა, პაპამისი პოლონელი იყო!

ინფორმაციამ პოლონელი პაპის შესახებ, გამოგიტყდებით, ხასიათი წამიხდინა. პირი შეკრეს თუ რა? ასე ყველას პოლონელი პაპა როგორ ჰყავს? პოლონეთის მიწაზე ვიზირებული ყველა ჩემი რუსი ქუჩის ქალი ჯიუტად ამტკიცებდა, პაპაჩემი პოლონელი იყოო. ყველა უკლებლივ თავის ოფიცრის ხმლიანსა თუ გრაფის ტიტულიან პოლონელ პაპას, ანდა იმ პოლონელი პაპის ულვაშს იფიცებდა და მეც ჩემდაუნებურად თავში ასეთი აზრი მომდიოდა, ალბათ ლაპარაკი ყოველთვის იმ ერთი და იგივე, ყველასათვის საერთო პოლონელ პაპას, იმ პოლონელს არქიპაპას შეეხება, რომელმაც ნახევარი საუკუნის წინ მთელი იმპერია თავიდან ბოლომდე გადახნა-მეთქი.

პოლონელი პაპაო! ღმერთმანი, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, პირიქით - ბოლოს და ბოლოს, მე თვითონაც პაპა პოლონელი მყავს. მაგრამ პეტერბურგი ამ ისტორიაში ახალი ელემენტი გახლავთ, ძალზე ორიგინალური და მღელვარების მომგვრელი.

ყველა ტოტალური ერთსულოვნებით ამტკიცებს, ერთნაირი თავგამოდებით იმეორებს, რომ პაპა პოლონელი ჰყავს, რომ ვილნოში ან ლვოვში დაიბადა. ჩამოდიან ტამბოვიდან, კალუგიდან, სტავროპოლიდან და ჯიუტად ამტკიცებენ, ჩვენი მშობლიური ფუძე და კერა ვილნო ან ლვოვიაო. ჩამოდიან რიგიდან, მინსკიდან, კიევიდან და იფიცებიან, მელი სიცოცხლე ვილნოში ან ლვოვში გავატარეთ, პაპაჩვენი პოლონელი იყოო.

მოგეხსენებათ, ეს ჩემი ხალხის არქიტიპიური გულისთქმის შეფიცხების გულუბრყვილო ხერხია. კარგად იცით, პოლონელი კაცის საუკუნო ოცნებაა, ლიტველი ქალი ისეთ სამოსში იხილოს, როგორი სამოსითაც მამაკაცთან მისი გამოჩენა წესი არ არის. "უხეში ტილოს სარაფანი მკერდს ძლივს უფარავს, ქორფა, შიშველი მხრები თვალს ახარებს. მაგრამ, ლიტველი ქალიშვილი ასე მხოლოდ დილით არის ჩაცმული, მამაკაცს ასე არასოდეს შეხვდება, წესი არ არის". დიახ, დიახ... ეს პოლონელი მამაკაცის ოდინდელი ოცნებაა. დაე, გარუსებული ლიტველი ქალი იყოს ან თუნდაც უკრაინელი ქალი. თუ გინდა, ნურც ნაციონალური სიამაყის გრძნობა ექნება მაინცდამაინც განვითარებული... აქ კი, ა, ბატონო, სიურპრიზი

და თანაც როგორი სიურპრიზი! არა ლვოვი, არა ვილნო, არამედ პეტერბურგი!

- საიდან ხართ? - ყოველი შემთხვევისთვის ვეკითხები კიდევ ერთხელ რუსულად.

- პეტერბურგიდან, - ამბობს ისევ და ისევ მარწმუნებს, რომ პოლონურად თავისუფლად ლაპარაკობს, თანაც მთხოვს, პოლონურად ველაპარაკო, ვინაიდან მისი სურვილია, რათა კიდევ უფრო სრულყოს მისი ისედაც თითქმის სრულყოფილი პოლონური მეტყველება.

- კარგი, კარგი! ო'კეი, ო'კეი! - ვპასუხობ რუსულად ახლა უკვე ბოლოჯერ და საშინლად აღელვებული თითქმის სირბილით მივდივარ წიგნის თაროებთან, ვიღებ ფეოდორ მიხაილოვიჩის რუსულ გამოცემას, ხელში ვაჩეჩებ და ალერსიანად ვეუბნები (მაინც ისევ რუსულად):

- აბა წაიკითხე, ჰო, წაიკითხე.

- ო, არა, გამორიცხულია...

ნუ ეძებთ ამ წიგნებში გარყვნილებას, აქ მსგავსიც არაფერია. არ არის არავითარი საძრახისი სექსუალურ-ლიტერატურული ექსცესები, არავითარი შიშველი ქალების ცეკვა ვლადიმერ მაიაკოვსკის უკვდავი სტრიქონების აკომპანიმენტზე. უბრალოდ, მომწონს ქალიშვილები ხმამაღლა რომ კითხულობენ. ჩვეულებრივ ისინი მხოლოდ ორი საათით მოდიან, საიდანაც 45 წუთს, ანუ ზუსტად ერთ აკადემიურ საათს, რუსი კლასიკოსების კითხვას ანდომებენ.

არ მახსოვს, ველაპარაკე თუ არა ჩემ სიყვარულზე რუსული კლასიკური ლიტერატურის შესახებ. დიახ, დიახ, რუსოფილი ვარ და ყოველთვის რუსოფილი ვიყავი. მაშინაც კი, როცა ჩემი ხალხი მოსკოვის უღელქვეშ გმინავდა. თუმცა ჩემი რუსოფილობა მაშინ შეიძლება ძალზე უადგილო და ფუქსავატური მოგჩვენებოდათ. ჩემი საყვარელი მწერალი მაშინ ფეოდორ დოსტოევსკი იყო. ჩემს წარმოსახვით პარტნიორ ქალებს რუსული სახელები - სვეტა, ნადია, ნასტენკა ერქვათ. უცნობი ქალაქის პატარა, ყრუ შესახვევებსა და ქუჩაბანდებს, სადაც ზოგჯერ სიზმარში დავეხეტებოდი ხოლმე, მოსკოვისა და ხაბაროვსკის გარეუბნებს ვამსგავსებდი. მას შემდეგ კი, რაც ჩემი ხალხი მოსკოვის უღლისაგან გათავისუფლდა, ჩემმა რუსოფილობამ ევოლუცია განიცადა, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატა: ჩემი წარმოსახვითი სვეტები, ნადიები და ნასტენკები დრო და დრო მატერიალიზდებოდნენ, სატელეფონო გამოძახების მიხედვით გამომეცხადებოდნენ ჩემ სოროში, ჩამოსხდებოდნენ დივანზე და მიკითხავდნენ ჩემს ფეოდორ მიხაილოვიჩს დედანში. ფეოდორ მიხაილოვიჩს, ვენედიქტ ეროფეევს, ანდრეი პლატონოვსა და სხვა გამოჩენილ რუს მწერლებს.

მშვენიერი იყო ის საათები. უძვლო რუსული ენა ხომ ასე წარმტაცად ჟღერს ქალის ბაგეთაგან. რუს კლასიკოსებზე მსჯელობა მანდილოსნებთან, პრაქტიკულად, არ გამოდიოდა, ვინაიდან, როგორც წესი, საწყლებმა, საკუთარი გენიოსების გვარებიც კი არ იცოდნენ. ერთადერთი, სვეტა-ნადია-ნასტენკა იყო, რომელმაც, წასაკითხად ანტონ ჩეხოვის "პალატა N6" რომ მივეცი, ენის ბორძიკ-ბორძიკით ჯერ ძლივს ალუღლუღდა, მერე კი უცებ რატომღაც თვალებგაბრწყინებულმა სხაპასხუპით წარმოთქვა:

- დიახ, ჩეხოვი უდიდესი მწერალია!

ეს იყო და ეს. დანარჩენთაგან რაიმე ამის მსგავსსაც ვერაფერს გაიგონებდი. ამას უკვე შევეგუე - ჩვენთან ეტყობა არც თუ ისე განათლებული ეროტიკული მუშათა კლასი მობრძანდება. ესე იგი, გამოდის, რომ გეოგრაფიამ ამჯერადაც ჩვენ, პოლონელებს კვანტი გამოგვდო. თქვენ თვითონ განსაჯეთ... მოსკოვის უღელი აღარ გვადგას, თავისუფლები ვართ, ყველაფერი გვაქვს... მაგრამ, არა ჩემო კარგო, ყველაფერი არა: თუ შენ, უიღბლო პოლონელი, რუსულენოვან "გასტარბაიტერშასთან" კლასიკის შესახებ საუბრის სურვილი გაგიჩნდება, ბერლინში წაბრძანდი, პარიზში ან თუნდაც თელ-ავივში. დასავლეთში დარჩენის შემთხვევაშიც კი ჩვენ სულ აღმოსავლეთში უნდა ვიყოთ. პირადად მე, ვიმეორებ, ამას შეგუებული ვარ. ნაკითხი და განათლებული პეტერბურგელი ქალები ლუკმაპურის საშოვნელად ნაღდ დასავლეთში მიემგზავრებიან, ჩვენ, არანამდვილ დასავლეთს კი ნაკლებად ჰუმანიტარული შემეცნების ცრუ ლვოველი და ცრუ ვილნოელი ქალები გვეტანებიან... რაც არის, არის, მე ამას უკვე შევეგუე. აი კითხვა კი, დალახვროს ეშმაკმა, ყველას შეეძლო, ზაპოროჟიეს სტეპებიდან ჩამოსულებსაც კი! მართალია ცუდად, მაგრამ, კითხვით, ასე თუ ისე, ყველა კითხულობდა. აი ეს ქალბატონი, აი ეს მეტისმეტად მიმზიდველი პერსონა კი - არა! ეს ბაიბურშიც არ არის! არც "ბე", არც "გე"! რუსულ ალფაბეტზე წარმოდგენა არა აქვს! ხელში ფეოდორ მიხაილოვიჩს ვაჩეჩებ, ის კი გაჩუმებულია, ხმას არ იღებს! აბა ფეოდორ მიხაილოვიჩი როგორ უნდა წაიკითხოს, როცა რუსული ასოების არა თუ ერთმანეთთან დაკავშირება, ამოცნობაც არ შეუძლია! და იცით რატომ? რატომ და იმიტომ, რომ როგორც მაშინვე გაირკვა, ეს რუსეთელი ქალბატონი, რომელმაც რუსული კითხვაც არ იცის, პოლონელი ბრძანდება! იმიტომ, რომ ეს სვეტა, ნადია, ნასტენკა - გრახაა!. იმიტომ, რომ როგორმე ფული რომ იშოვოს, რისკავს და თავს პეტერბურგელად აცხადებს.

რის იმედი ჰქონდა? მშვენიერი შეკითხვაა! დიახ, მშვენიერი შეკითხვაა ამ იკლიკანტური გამოცანების შემთხზველო ტელევიქტორინების ხელმწიფევ: "რამდენი ოპერა დაწერა იოჰან სებასტიან ბახმა... რომელ თვეში მოხდა დეკაბრისტების აჯანყება... ვინ იყო ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი პრეზიდენტი... რის იმედი ჰქონდა..." ძალიან კარგი, ძალიან თავსამტვრევი კითხვებია, ბატონო ლის! ჯილდოდ, ბატონო ლის, გეპატიჟებით, ერთად დავლიოთ... თქვენი გამარჯვებისა იყოს... იმას, აი იმ ქალს რისი იმედი ჰქონდა? რისი და, სიტყვების გარეშე სიყვარულის... დიახ, აი ასე! მისი ვარაუდით მე მაინცდამაინც, რუსული ხორცი მაინტერესებს, რუსული კანი, რუსული თმა, რუსული ფეხები, რუსული სურნელი... დამეთანხმებით, ბრწყინვალე, თავისი არსით ბრწყინვალე და მეტად გრძნობიერი ვარაუდია. მაგრამ, აი შეცდა, შეეშალა!.. ჯანდაბას, რაც არის, არის-მეთქი. დავსხედით, ვილაპარაკეთ, ვილაპარაკეთ პოლონურად: "გრახა პეტერბურგო /მე მას ასე ხუმრობით ვეძახი, პატივს მივაგებ /... გრახა პეტერბურგო, როგორაა საქმე? გრახა პეტერბურგო, თქვენს ცხოვრებაში რა არის ყველაზე მთავარი? ღმერთი გწამთ, ცუგრუმელავ?".. მოკლედ, რაზე არ ვილაყბეთ, ჩაი დავლიეთ და ერთი სათის შემდეგ - მშვიდობით, უცხო ნილბიანო! მშვიდობით, გრახა, სამუდამოდ გემშვიდობები. მაგრამ, რა სამუდამოდ, რის სამუდამოდ...

და აი, ერთი თვის შემდეგ მე ისევ აქ ვბრუნდები, ვბრუნდები არაფრით ყურადსაღები დაცემის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ. ერთი ჭიქა არყის დასალევად გზად სამიკიტნო "ნოვოსელკაში" შევდივარ, ვჯდები, უკანასკნელ გროშებს ვითვლი, შეკვეთას ვაძლევ და ვხედავ, გვერდითა მაგიდასთან გრახა პეტერბურგი კოკა-კოლას წრუპავს. იმ ერთ ჭიქა არაყს სწრაფად ვსვამ, შეიძლება ჩვეულებრივზე სწრაფადაც კი, ვინაიდან უცებ მანდილოსანთან საუბრის გაუთვალისწინებელი სურვილი მეუფლება, თავს ვუკრავ, ვუღიმი, მიღიმის, მის სადღეგრძელოს შორიდან ვსვამ, შორიდან ერთხელ კიდევ ვსვამ მის სადღეგრძელოს და ახლა უკვე ერთ-ერთი ჩვენგანის მხრივ მანძილის რადიკალურ შემცირებაზე ქარაგმულად მივანიშნებ, შემდეგ კი შესაბამისად მანძილსაც ვამცირებ.

საოცარია ქალი, რომელთანაც ჩემი ცხოვრების მთავარ რომანს ვაბამ, თითქმის პირველივე საათის შემდეგ გამოუვალ სასოწარკვეთილებაში ვარდება, სულ ტირის - დიახ, გრახა პეტერბურგი ტირის... საარსებო სახსარი არც ერთს არასოდეს არა აქვს - არა აქვს არც გრახა პეტერბურგს... არც ერთმა არასოდეს იცის, რა ქნას, რა გზას დაადგეს... არ იცის არც გრახა პეტერბურგმა... მაგრამ, გრახა პეტერბურგს ისეთი გლუვი კანი აქვს, დიახ, ისეთი გლუვი და კრიალა, რომ მიუხედავად იმისა, "ნოვოსელკაში" სიბნელე სუფევდა, გრახას სხეული იმ სიბნელეშიც კი კეთილშობილ მქრქალ შუქს ასხივებდა.

სააგენტოში გრახამ სამუშაო იმიტომ დაკარგა, რომ ერთ მართლაც განსაკუთრებულად არამზადა ინსპექტორს ნება დართო, გაეცურებინა - რომ იტყვიან, გრახა ბავშვივით მოიქცა.

ისე უცნაურად მიყურებდა! მე კი - კლიენტი კლიენტია, რა მენაღვლება, იმდენი მიყუროს, ვიდრე მობეზრდება-მეთქი. მერე მოუხშირა და მოუხშირა სიარულს, ისე რომ, მივეჩვიე კიდევაც. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა გაუთავებლად, სულ იმას ამბობდა, მიყვარხარო... - გულამოსკვნილი ქვითინებდა გრახა.

- როგორ დაუჯერე, გრახა, ბავშვი ხომ არა ხარ!..

- ჰო, არ ვუჯერებდი, ერთი სიტყვაც არ მჯეროდა... თუმცა ცოტა მაინც მჯეროდა. მერე ასე მითხრა, მხოლოდ მიყვარხარ კი არა, არამედ... მოკლედ, გარკვეული პრინციპები გამაჩნიაო... ხომ გესმის?

- არა, გულახდილად გეტყვი, არ მესმის...

- ცდილობდა დავეყოლიებინე, იმ პრინციპების გამო დავთანხმებულიყავი და უარი მეთქვა, ხომ გესმის, რაზედაც... ხომ გესმის?

მოკლედ, იმდენი უჩიჩინა, რომ ეს საბრალო ქალი ბოლოს მაინც დაითანხმა. დიახ, გრახა პეტერბურგმა უარი თქვა, გასაგებია რაზედაც. ცრუკლიენტმა კი საქაღალდედან სამართალდარღვევის შესახებ ოქმის ბლანკი ამოიღო და არაადამიანური სკრუპულოზურობით პუნქტების შევსება დაიწყო.

- რა ვქნა? ახლა არ უნდა ვქნა? - ქვითინებდა გრახა პეტერბურგი, თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა. სულ უფრო ბინდდებოდა და მაგიდის პლასტმასის ზედაპირზე დადებული მისი ხელის შეხების დაუოკებელი სურვილი მეც უფრო მწვავედ მეუფლებოდა.

და აი შევეხე მის ხელს. დიახ, დიახ, მე მას პირველად შევეხე, ვინაიდან რამდენიმე კვირის წინ, როცა თავი პეტერბურგის ბინადრად გამაცნო, მართალია, ცოფიანივით ვიყავი, მაგრამ ხელზეც არ შევხებივარ. ეჰ, რას მივედ-მოვედები... მის ხელს შევეხე თუ არა, ორივენი ურთიერთდაქვემდებარების იმ ბადეში მოვექეცით, რომელსაც შედეგად შეიძლება მრავალი რამ მოჰყვეს. ჩვენი ხელები ერთმანეთს შეეხო და, როგორც ამას ჩესლავ მილოში ამბობს, ერთმანეთს შეეტკბო.

და სწორედ მაშინ აღესრულა კურთხევა ჩემი:
თითქოს შექმნილნი ერთმანეთისთვის,
არა სხეულით, არა კანით შევეტკბეთ ერთურთს,
არამედ ძილიც... მის გვერდით ძილიც მექცა მბრძანებლად.

მერე რა მოხდა? მერე მოსაყოლი თითქმის აღარაფერია. იმაზე ლაპარაკი, რაც მერე მოხდა, მრცხვენია კიდევაც. შევხედე გრახა პეტერბურგს და მივხვდი, რომ ასეთი საოცარი ქალის გვერდით კანცეროგენულ ლინოლიუმზეც კი შეიძლებოდა მხეცად ქცეულიყავი. და ვიქეცი კიდევაც. ვშმაგობდით, ჭკუას ვკარგავდით და ჩვენი სულიერების ბოლო წვეთებსაც ქარს ვატანდით. ჩვენ სულიერებას კი, მართალია, რცხვენოდა ჩვენს მაგივრად, მაგრამ, აქ იგი სრულიად უძლური გახლდათ.

- ამაოდ ვცდილობდით ჩვენი საქციელი გაგვეკეთილშობილებინა, ყოველი ჩვენი მცდელობა წარუმატებელი იყო. რა ტიტანური ძალისხმევა არ გავწიეთ, რათა ადამიანური ცხოვრება დაგვეწყო. სულ იმის ოცნებაში ვიყავით, ამ ვითარებიდან თავი ერთხელ მაინც დაგვეღწია, სადმე გაგვესეირნა, კინოსა ან თეატრში წავსულიყავით, ანდა სულერთია, სადაც უნდა ყოფილიყო, თუნდაც ვერნისაჟზე... მაგრამ, არა, ძალა არ შეგვწევდა.

- მაშინ კითხვა? წიგნის სამყარო? დიადი საკაცობრიო იდეები? საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა დისკურსიული ფორმები? -დიახ, ჩვენ ვიძირებოდით კითხვის სამყაროში. საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა დისკურსიულ ფორმებზე ვმსჯელობდით, თუმცა ამაო იყო ყველაფერი.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რაში იყო საქმე. მხოლოდ ახლა ჩავწვდი ამ ძველთაძველი ჭეშმარიტების აზრს - მტაცებელი ცხოველები ტყუილა არ სეირნობენ, ისინი თავს ესხმიან ერთმანეთს, ისინი ერთმანეთს სანსლავენ... ერთად სეირნობა, ნელი, აუჩქარებელი ცოხნა განსაკუთრებული მადის გარეშე, ჩვენს ბუნებას არ შეესაბამება. ჩვენი ეშვების, ჩვენი ბრჭყალების, ჩვენი დაელექტროებული კანის გამო ჩვენ ყველანი საარაკო გაუმაძღრობისთვის ვართ განწირულნი. ანატომიურად ჩვენი კიდურები სეირნობისთვის არ არის მომართული. ჩვენი ზედა კიდურები მხოლოდ გადაჭდობისთვისაა, რაც შეეხება ჩვენს ქვედა კიდურებს, ანატომიურად იგი მხოლოდ გაქცევისთვის არის მოწყობილი - საკუთარი თავიდან გაქცევისთვის.

დასაწყისში ერთმანეთს საოცარი სინაზით შევყურებდით, მერე ცოტა უფრო მინელებული სინაზით, მერე ჩვენს მზერაში ჩაფიქრება, სასოწარკვეთილება გაჩნდა. მერე კი თანდათან სიძულვილმა შეგვიპყრო, რომელიც დღითიდღე სულ უფრო მატულობდა... როგორც საყვარლების ყველა შემთხვევით წყვილს სჩვევია, რამდენიმე თვის მანძილზე ჩვენც კაცობრიობისათვის ცნობილი ყველა ემოციური ვითარება განვიცადეთ.

რასაც ახლა ვიტყვი, ვიცი ვულგარულად მოგეჩვენებათ, მაგრამ, ყოველთვის ასე მეგონა, პოლონეთის მიწაზე საგასტროლოდ იმ კატეგორიის ქალები ჩამოდიოდნენ, ვინც სასიყვარულო ექსტაზს ასახიერებდნენ, განასახიერებდნენ და განასახიერებენ,

ახლა კი, ანუ მას მერე, რაც გრახა პეტერბურგი გავიცანი, დავრწმუნდი, რომ პოლონეთის მიწაზე საგასტროლოდ ის ქალები ჩამოდიან, რომლებიც სასიყვარულო ექსტაზს არ განასახიერებენ. თუმცა ეს როდი მაძლევს იმის უარყოფის საფუძველს, რომ სასიყვარულო საქმეებში ეკლესია მართალი არ არის. როგორც ჩემ განდეგილ მეგობარს უყვარს თქმა: "ძალიანაც არასასიამოვნოა, როცა რომაულ-კათოლიკური ეკლესია მართალი აღმოჩნდება, მაგრამ, რას იზამ, თუ კი ეს მართლაც ასეა!"

მარცხიან სექსს ადამიანი სიმახინჯემდე მიჰყავს, წარმატებული სექსი დამოკიდებულს გხდის, რაც კიდევ უფრო უარესია, ვიდრე ის, რომ, ვთქვათ, მწარე ნაყენზე ხარ დამოკიდებული.

აი ასე.

მე და გრახა ერთმანეთს უსაფრთხო მანძილით, ანუ შვიდი სართულით დავცილდით... გავათავისუფლე რა მგზნებარე საყვარლის მოვალეობისგან, არანაკლებ საპასუხისმგებლო - პლატონური მომმარაგებლის თანამდებობაზე განვაწესე... დაიწყება თუ არა "ძილი ნებისა", ყოველდღე ჩემთვის გემრიელი სასუსნავი მოაქვს, ხოლო როცა გემრიელი სასუსნავი არ მოაქვს, მე ჩემი საიდუმლო მარაგით ვსარგებლობ.

- დღეგრძელობა მორიგე დიქტორს! დღეგრძელობა საკონტროლო ცხრილს! მით უმეტეს, ცხრილი მალე გაქრება და ნაცრისფერ ეკრანზე ერთ-ორ საათში პულსირებადი ზოლი გამოჩნდება.

ეჰ, გრახა, გრახა... გაუვალმა უდაბურებამ დაისადგურა სახლსა ჩემსა... (ციტატა იან კახოვსკის ლექსიდან "ტრენები": "ძვირფასო ორშულია, უდაბურებამ დაისადგურა სახლსა ჩემსა შენ რომ დამტოვე"). არა, ნუ იფიქრებთ, თითქოს ყველა "გლუკი" მე მაბეზრებდეს თავს. არასოდეს მომჩვენებია, აქ, ამ პატარა მაგიდაზე ეს, ტელევიზორი კი არა, ჩემთან კაბელით შეერთებული ჩემი სისხლი და ხორცი დგას, რომელიც ეკონომიკური მიმოხილვებით ერთობა-მეთქი. არასოდეს მომჩვენებია, თითქოს აქ ჩემი თირკმელები ალაგია, მოცისფრო სინათლეს აფენს და კულტურის შესახებ "პეგასის" პროგრამით ახალ ამბებს გადმოსცემს... თუმცა... რაც მართალია, მართალია, სულ ასე მგონია, მუდამ ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, კულტურის პრობლემატიკის მცოდნე ჭაღარათმიანო, საცაა თავს გამოყოფ და უაპელაციოდ განმიცხადებ, ჩემის აზრით, ლიტერატურაში ალკოჰოლიზმის თემა საბოლოოდ არის ამოწურულიო.

- გთხოვთ, მაპატიოთ, ყური მოვკარი რა შემთხვევით შენს მსჯელობას, მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრა - ალკოჰოლიზმი ლიტერატურაში, დიახ, მთლიანად არის ამოწურული.

- როგორი ბანალური გაუბრალოებაა, წმინდა წყლის დემაგოგია. მაგალითად, ავიღოთ მთავარი პრობლემა - ნაბახურევობა ანუ განდგომილობა. ჯერ ხომ ეს ფენომენი არავის შეუსწავლია, გაკვრითაც კი არავის უწარმოებია მისი ტიპოლოგია. არსებობა, როგორც ცნობილია, მოწამებრივი ტანჯვაა. ნაბახურევობა, აღრმავებს რა არსებობით გამოწვეულ ტანჯვას, ბოლოს მაინც გაივლის ხოლმე, ანუ ანელებს არსებობით გამოწვეულ ტანჯვას, ვინაიდან მას პროგრესი (ნელი, მაგრამ მაინც პროგრესი), ანუ გუნებ-განწყობილების თანდათანობითი გაუმჯობესება უდევს საფუძვლად. მაშასადამე, ის, ვისაც არ სურს ცხოვრებაში ერთ ადგილზე იყოს გაჩერებული, ვინც გამუდმებით ესწრაფვის თავისი გუნება-განწყობის გაუმჯობესებას, პერმანენტულად განდეგილის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს. მიგიქცევიათ როდისმე ყურადღება ამგვარი პარადოქსისათვის? არა, არ მიგიქცევიათ. მაგრამ, სამარცხვინო აქ არაფერია, ვინაიდან, არც დასავლეთსა და არც აღმოსავლეთში ეს არავის შეუნიშნავს. ნაბახურევობის სახესხვაობები, ტიპები და კატეგორიები? თქვენ იტყვით, მეტად თუ ნაკლებად განდეგილი განდეგილიაო. ნუ ააშკარავებ შენ სულიერ სიღატაკეს, პატივცემულო, შეგრცხვეს კლასიკოსებისა! მოვიყვან პირველსავე ხელთმოხვედრილ მაგალითს. თუ შეიძლება, ყურადღებით მომისმინე: განდეგილი - მშიერი, განდეგილი - ზეზეურად ჩამომხმარი, განდეგილი - მხდალი, განდეგილი - კაციჭამია, კილიმანჯაროს თოვლის განდეგილი, განდეგილი მლოცველი, განდეგილი - შრომის გმირი, განდეგილი მეხავი, 928 მეტრიანი განდეგილი, განდეგილი ჩხუბისთავი; განდეგილი, რომელიც მცირედით კმაყოფილდება, განდეგილი ძილისგუდა. საგანდეგილო - პატარა მყუდრო სორო. თაგვების, მგლების სორო... საგანდეგილო ჩემი... ღრმად სოროში ჩავიკარგები... ეჰ, მამო...

მე თქვენ - მამაო ატამანო,
მინდა თვალცრემლიანმა შემოგჩივლოთ -
თუ ვერ ვიპოვე ტალანტები,
ხმალს ფრთხილად გადავამტვრევ,
შუქს ლურჯ ზღვაში გადავისვრი,
პირგანიერ ცულს კუთხეში მივაგდებ,
ზაპოროჟიეს განაპირას
ღრმად სოროში ჩავიკარგები.

* * *

თუ ვერ ვიპოვე ტალანტები... ღრმად სოროში ჩავიკარგები... სოროში... ამაზე ახსნა-განმარტებების მთელი სისტემა შეიძლება ააგო. ამას შეიძლება ისეთი ახსნა-განმარტება მისცე, როგორიც არც ჩვენ ჩამოგვიყალიბებია, არც დასავლეთს და, შენ წარმოიდგინე, არც რუს კლასიკოსებს. ვინაიდან მხოლოდ ამის თქმა საკმარისი არ არის - მლოცველი განდეგილი, ანუ რელიგიურ ექსტაზში ჩავარდნილი, ლაჩარი განდეგილი, ესე იგი, მშიშარა და რწმენის უქონელი, 928-მეტრიანი, ესე იგი, უახლოეს დუქანს 928 მეტრით დაშორებული, განდეგილი რეკორდსმენი, ბატონი ტენისისტი, ესე იგი, სპორტული რეკორდის დამყარების საოცარი სურვილი. დიახ, დიახ, ეს საკმარისი არ არის, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ. ავიღოთ ზემოთ ჩამოთვლილთაგან პირველი - განდეგილი მშიერი... როგორია ამის კონსტიტუციური საფუძვლები? ჰიპერტროფირებული მადა და წყურვილი? მაპატიეთ, მაგრამ, თქვენ მართლაც იმ ყველაზე მშვენიერის გაუბრალოებისადმი იჩენთ განსაკუთრებულ მიდრეკილებას, რაც ადამიანს ბოთლთან აკავშირებს. აი მაგალითად: განდეგილი მშიერი, ნაბახურევობის ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური და, გარკვეული აზრით, ყველაზე კეთილშობილური სახესხვაობა. გინდათ იცოდეთ, რა შუაშია აქ კეთილშობილება? გიპასუხებთ: შიმშილი თქვენ სამყაროს გრძნობად მრავალსახეობას გადაგიშლით. ლაპარაკი აქ, ცხადია, გემოს მგრძნობელობას შეეხება.

წინა საღამოს, თქვენ, მშიერო განდეგილო, ჩუმი, თვინიერი, გაბრუებული და რაიმის აღქმის სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნარმოკლებული იძინებთ. იმ შეგრძნებათა შორის, რომლებზეც დღეს უარი გითხრეს, გემოს გრძნობაც მოხვდა. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, გუშინ ბოლოს რა დალიეთ - სუფთა ვისკი თუ "ჭნავის ნაყენი". ან იქნებ ალბანური კონიაკი, რომელიც, კაცმა არ იცის, ვინ მოიტანა? იქნებ "ზუბროვკა"? ის ხომ სულ მაგიდაზე იდგა და სურვილი არავის გასჩენია, ამ უკანასკნელ ხავსს ჩასჭიდებოდა. ახლა კი - აი საოცრება! "ზუბროვკის" ბოთლი ცარიელია. ან იქნებ ეს ტრადიციულად საღამოს დამაგვირგვინებელი ოთხი ქილა ლუდი იყო? ან სირჩა ლიქიორი, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს? ესე იგი, წევხარ ლოგინში ამგვარ მტანჯველ ფიქრებში გართული და რახან ჭეშმარიტებაში გარკვევის ძალა არ შეგწევს, ცდილობ ენაზე გემოს რაიმე ნიშანწყალი, ბოლო წვეთის რაიმე კვალი მაინც იპოვო. მაგრამ, როგორც პოეტმა ბრძანა, სულო ჩემო, ნუ ცდილობ ამაოდ! არ იცით, არა, არ იცით, რა გემოსი იყო ის სითხე, რომელიც თქვენ ბოლოს პირში ჩაიყუდეთ. და აი, სწორედ ამ გემოვნებითი წყვდიადის ფონზე განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩინდება ღირსება მშივრისა, რამეთუ მშიერი, გასაგებია, რომ შიმშილია, შიმშილის კვინტესენციაა. ეს არის გემო, ისეთივე მკაფიო და ბასრი, როგორც შეშლილის მიერ ალესილი სამართებლის პირი. მშიერი - ეს არის დაუყოვნებლივ მაცივრის პოლარულ წიაღში წაყოფილი თავი, მაცივარშივე მდოგვწასმული ძეხვის ნაჭერი და მაცივარშივე შთანთქმული. ეს არის იგივე ძეხვიანი ერბოკვერცხი, ყავა, ფუნთუშა, თაფლიანი და ყველიანი ბუტერბროდი. მაგრამ ეს დიდხანს ვერ დაგანაყრებს, სამსახურში მიმავალმა გზად ერთი ნაჭერი პიცა, ჰამბურგერი და ერთი ულუფა სოსისიც უნდა დააყოლო... კაცმა რომ თქვას, გაგრძელებას რა აზრი აქვს, როცა ისედაც აშკარაა - განდეგილი მშიერი - ეს არის გიგანტური თქვლეფა, ეს არის გემოსა და საჭმლის სუნის მიმართ ისტერიული მგრძნობიერება, ხოლო სორო, ისე როგორც განდეგილი, მარტოობის სუნისა და გემოს ისტერიული მგრძნობელობა.

გრახა, მოდი... მოდი, გრახა! დამამშვიდე რამდენადაც შეგიძლია, გამომეცხადე ძილსა ან ღვიძილში, ლანდად ან გამჭვირვალე აჩრდილად! (ციტატა იან კახოვსკის ლექსიდან "ტრენები").

მაგრამ, რა არის თავისთავად ალკოჰოლიზმი? ვინ არის ალკოჰოლიკი? როდის შეიძლება საკუთარ თავს ალკოჰოლიკი უწოდო? ყველაზე ნათელი ტვინები არაერთი საუკუნის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ, სად იყო საზღვარი ამ მატერიაში ხილულსა და უხილავს შორის? იმათ არ იცოდნენ... აი მე კი ვიცი... ვიცი, როდის შეიძლება თავს ალკოჰოლიკი უწოდო. შენ ალკოჰოლიკი ხარ, ნასადილევს კბილებიდან ხორცის ნამცეცს თუ იცილებ და ენას კარგა გვარიანად მიატლაკუნ-მოატლაკუნებ; თანდათან ხვდები, რომ ეს თვალთუხილავი ნამცეცი საგლინავ, საფრეზავ, სახარატო ჩარხზე დამუშავებული კორპის ნამცეცია და შენს პირის ღრუში სწორედ ის სჩადის უწესობას. რომ ეს კორპის პაწაწა ნამცეცი პატარა ბოცას, მინიატურულ ნახევარლიტრიანს, პატარა ბოთლ სუვენირს გაგონებს! ოო, ენის წვერით შენ გარკვევით გრძნობ კორპის ნამცეცს, ბოთლის პირს და პატარა ეტიკეტის პრიალა ზედაპირსაც კი. ეს კი უკვე იმის ნიშანია, რომ შენ... არსებობ.. გრახა კი არ არის და არც არასოდეს იქნება! გრახა, სადა ხარ? გესმის, გრახა? მუსიკა ჩემ სულსა და სხეულში აღწევს, ჩემი გრიჟა უსმენს შუბერტს... ივიწყებენ რა საწუთროს, შუბერტს უსმენენ ჩემი კანის ქვეშ დამალული ესპერაცის ამბები. ჩემი ცეცხლმოკიდებული შიგნეული მისი სიმფონიის ტალღებში იძირება, ჩემი დიაბეტი, ჩემი რევმატიული ტკივილები, ჩემი ოდნავ მთრთოლავი არტერია ფორტეპიანოს ტრიო სი მაჟორ ოთხმოცდამეცხრამეტით ნეტარებს.

გრახა, სადა ხარ? ნუ ღელავ, გრახა, ბოლოს და ბოლოს ჩვენ აუცილებლად მიგვიღებენ "ნატოში", ხოლო როცა "ნატოში" მიგვიღებენ, შენი ფეხები, გრახა, მთელ ატლანტურ პაქტში ყველაზე ლამაზი, ყველაზე მომხიბვლელი იქნება... გრახა... ეს ატლანტური პაქტის უმშვენიერესი ფეხებია.

თარგმნა
ლილი მჭედლიშვილმა

**შენიშვნა:**

1. ყოველკვირეული კათოლიკურ-ლიბერალური გაზეთი



JERZY PILCH

ვლადისლავ ხოდასევიჩი

# ანდრეი ბელი



1922 წელს ბერლინში ანდრეი ბელიმ მაჩუქა "პეტერბურგის" ახალი გამოცემა და ზედ წააწერა "კონკრეტული სიყვარულისა და სამუდამო კავშირის გრძნობით".

სამუდამო კავშირისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ცხრამეტი წლის განმავლობაში ბედი ნიადაგ გვახვედრებდა იდეურ, ლიტერატურულსა თუ ყოფით სარბიელზე. სულაც არ ვიზიარებდი ბელის ყველა თვალსაზრისს, მაგრამ მან ჩემზე გაცილებით ძლიერი ზეგავლენა მოახდინა, ვიდრე - სხვა ადამიანებმა. თანამოასაკენი როდი ვიყავით, თუმცა შევესწარი მისი თაობის მოღვაწეთა ჯერ კიდევ ახალგაზრდულსა და ენერგიულ საქმიანობას. როგორც ბელის, ასევე ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ერთმა და იმავე ადამიანებმა და მოვლენებმა.

გარკვეული მიზეზების გამო აქ ვერ გადმოვცემ ყოველივეს, რაც ვიცი და რასაც ვფიქრობ ბელის შესახებ; ამასთან, ჩემი მონათხრობი მიზნად არ ისახავს თანამედროვეთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. მსურს მხოლოდ, რომ რამდენიმე უტყუარი ცნობა მივაწოდო ლიტერატურის ისტორიას, რომელიც უკვე იკვლევს, დროთა განმავლობაში კი კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდება, საზოგადოდ, სიმბოლიზმის ეპოქას და, კერძოდ, ანდრეი ბელის პიროვნებას. ეს სურვილი მაიძულებს, უაღრესად ზუსტად დავიცვა ჭეშმარიტება. ჩემს მოვალეობად (მძიმე მოვალეობად) ვრაცხ არაგულწრფელი აზრებისა და შელამაზებული სიტყვიერი დახასიათებების უგულებელყოფას. ნურც ხოტბა-დიდებასა და ქრესტომათიულ აღწერას ელით - ეს ამახინჯებს ისტორიას. ვფიქრობ, თხრობის ამგვარი მანერა უზნეობაა. მხოლოდ პირუთვნელი და ერთიანი აღწერა გამოავლენს გამოჩენილი პიროვნების საუკეთესო თვისებებს. ჭეშმარიტება არასოდეს არაა სათაკილო, რადგან ჭეშმარიტება უზენაესი ფასეულობაა. პუშკინის "ამამაღლებელ სიცრუეს" ვუპირისპირებ ამამაღლებელ სიმართლეს. დიდებული ადამიანი მის ნაკლოვანებებთან ერთად უნდა გვიყვარდეს და ზოგჯერ პატივი სწორედ ამ ნაკლოვანებების გამო უნდა მივაგოთ. ამგვარი პიროვნება შელამაზებას არ საჭიროებს. ჩვენ მოგვეთხოვება გაცილებით ძნელი რამ: გაგების სისრულე.

* * *

ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, მოსკოვში, პრეჩისტენკაზე, გუვერნანტ ქალსა და ფინიასთან ერთად დასეირნობდა ხოლმე არაჩვეულებრივად ლამაზი ბიჭუნა - ბორია ბუგაევი. ის გახლდათ ვაჟი მათემატიკის პროფესორისა, რომელსაც ევროპაში სახელი ჰქონდა განთქმული მეცნიერული ნაშრომებით; მოსკოველმა სტუდენტებმა კარგად უწყოდნენ ბუგაევის ფენომენალური დაბნეულობისა და ანეკდოტური ახირებულობის შესახებ, ხოლო პირველკლასელი გიმნაზისტები მათემატიკას ეუფლებოდნენ არითმეტიკის ბუგაევისეული სახელმძღვანელოთი, რომელსაც მოგვიანებით მეც ვიყენებდი. ლურჯთვალა ბიჭუნას ოქროსფერი კულულები მხრებზე ეფინებოდა. ის ოქროსფერ ბილიკზე ოქროს ჯოხით მიაგორებდა ოქროს სალტეს. სწორედ ასე მიაგორებს მარადისობა ("მოთამაშე ყრმა") მზის ოქროსფერ დისკოს. ყრმა ბელის სახება მზის ხატთან ასოცირდება.

პროფესორი ბუგაევი იმ დროს ხშირად ამბობდა, ნეტავ, ბორია სახით დედამისს დაემსგავსოს, ჭკუით კი - მეო. ამ ხუმრობის საფუძველს წარმოადგენდა არასახუმარო ოჯახური დრამა. პროფესორი არა მარტო ახირებული კაცი იყო, არამედ - ძალზე უშნოც. ერთხელ (უკვე ცხრაასიანი წლების დამდეგს) ნ.ი.ბრიუსოვამ, პოეტის დამ, იდაყვი გაჰკრა ბელის და ჰკითხა: "ხომ არ იცით, ვინაა ის მაიმუნი?" - "ჩემი მამიკოა", - მიუგო ანდრეი ბელიმ სრული კმაყოფილების, თითქმის ბედნიერების გამომხატველი თავაზიანი, ფართო ღიმილით, რომლითაც პასუხობდა ხოლმე უსიამოვნო კითხვებზე.

დედამისი ულამაზესი ქალი გახლდათ. ტურგენევის პატივსაცემად გამართულ რომელიღაც ზეიმზე სახელგანთქმულ მწერალს გვერდს მოუსვეს უპირველესი მოსკოველი მზეთუნახავები: ეკატერინა პავლოვნა ლეტკოვა (შემდგომ - სულტანოვა, "რუსეთის სიმდიდრის" თანამშრომელი, რომელიც დიდხანს და უიმედოდ უყვარდა ბობორიკინს) და ალექსანდრა დმიტრიევნა ბუგაევა. ისინი გვერდი-გვერდ სხედან კ.ე.მაკოვსკის ცნობილ ფერწერულ ტილოზეც "ბოიარული ქორწილი", სადაც ალექსანდრა დმიტრიევნა პატარძალს განასახიერებს, ხოლო ეკატერინა პავლოვნა - ერთ-ერთ მაყარს. ბელის მამა არასოდეს მინახავს, დედამისი კი ჩემს დროს უკვე ხანდაზმული, ტანსავსე ქალი იყო. ძველი სილამაზის აშკარა ნაკვალევი ეტყობოდა და ძალზე კეკლუცობდა. ერთხელ ნათესავი ქალი მკერავთან მივიყვანე და ამგვარ სურათს შევესწარი: ალექსანდრა დმიტრიევნას ტაფტის ფართო ქვედატანი კოპწია თითებით აეწია, სარკის წინ ტრიალებდა და ამბობდა: "ღმერთმანი, ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა





ანდრეი ბელის მუზეუმი

კიდევ არა მიშავს!". 1912 წელს დავრწმუნდი, რომ მისთვის უცხო არ იყო მძაფრი გრძნობები.

ცოლ-ქმარი შინაგანადაც დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ეს იყო ძალზე მოარული სიტუაცია: მახინჯი, დაუდევრად ჩაცმული, აბსტრაქციებში ჩაფლული ქმარი და ლამაზი, კეკლუცი ცოლი, რომელსაც "მიწიერი" სურვილები აღელვებდა. მათი ჩვეული უთანხმოება ვლინდებოდა ყოველდღიურ კინკლაობებში, რომელთაც ბორია ესწრებოდა ხოლმე.

ბელის აღიარებით, "კოტიკ ლეტაევი" ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. ამასთან, ბელის გვიანდელ პროზაზე დაკვირვებისას, ადვილი მისახვედრია, რომ რომანების - "პეტერბურგი", "კოტიკ ლეტაევი", "ნიკოლაი ლეტაევის დანაშაული", "მონათლული ჩინელი", "ახირებული მოსკოველი" და "მოსკოვი საფრთხეში" - საფუძველია ბუგაევების ოჯახური კონფლიქტის ანუ დრამის ვარიანტები. ამ ქმნილებებში მეორდება არა მარტო მოქმედი პირების კონფიგურაცია, არამედ - თვით მამის, დედისა და ვაჟიშვილის სახეებიც, მათ შორის - უფაქიზესი დეტალები. სინამდვილისგან ყველაზე შორსაა "პეტერბურგი". სამაგიეროდ, მომდევნო რომანებში მიღწეულია ფოტოგრაფიული სიზუსტე. სიმწიფეში შესვლასთან ერთად ბელი სულ უფრო ხშირად უბრუნდებოდა ბავშვობისდროინდელ მოგონებებს და მათ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. "პეტერბურგით" დაწყებული, ბელის რომანების ავტობიოგრაფიული მომენტები ჩრდილავს პოლიტიკურ, ფილოსოფიურსა და ყოფით ამოცანებს, რომლებიც, არსებითად, ემსახურებიან მხოლოდ სიყრმისას მძაფრად განცდილი შთაბეჭდილებების გახსენებისა და ხელახალი გააზრების მიზანს. ანდრეი ბელის ნერვები და წარმოსახვა ერთხელ და სამუდამოდ შეაკრთო და - გავბედავ ამის თქმას - შეძრა ბუგაევების ოჯახის "ყოფითმა ქარიშხლებმა". მათ ულრმესი ზეგავლენა მოახდინეს ანდრეი ბელის ხასიათსა და მთელ მის ცხოვრებაზე.

ოჯახურ ქარიშხლებში ბორია ფოთლის ან ქვიშის მარცვლის როლში აღმოჩნდა: ის მერყეობდა მახინჯი და მეხთამტყორცნელი მამიკოსა (რომელიც ნავთის ლამპას იატაკზე ისროდა ხოლმე და მუდამ შავი ჭვარტლის ღრუბლით იყო გარემოცული), - და ქარაფშუტა, თვალწარმტაც დედიკოს (რომელიც, სოდომისა და გომორის ცოდვილ მკვიდრთა მსგავსად, ღვთის რისხვისა და დაღუპვისთვის იყო განწირული) შორის. თავდაპირველად ბიჭუნა უკიდურეს სიძულვილს განიცდიდა მამიკოს მიმართ: შემთხვევითი როდია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი რომანის ფაბულურ საფუძველს წარმოადგენს მამის წინააღმდეგ მიმართული პოტენციური ან რეალური ბოროტმოქმედება, დედიკოს კი სიბრალულითა და თითქმის ვნებანარევი აღტაცებით შეფრფინვიდა. დროთა განმავლობაში ეს მძაფრი განცდები კიდევ უფრო გართულდა. მამის ბრწყინვალე ინტელექტისადმი მოწიწება, მისი მეშვეობით შეცნობილი კოსმიური სივრცეებითა და მათემატიკური აბსტრაქციებით განცვიფრება ბორიას ხშირად სიძულვილის ნაცვლად სიყვარულს აღუძრავდა. დედიკოთი აღტაცებას ერწყმოდა მისი გონებრივი შესაძლებლობების შესახებ არასახარბიელო წარმოდგენა და ალექსანდრა დმიტრიევნას მძაფრი ავხორცობით გამოწვეული ინსტინქტური ზიზღი.

ბუგაევების ოჯახში ყოველ მოვლენას ურთიერთსაპირისპირო შეფასებები ეძლეოდა მამისა და, მეორე მხრივ, დედის მიერ. იმას, რაც მამისთვის მისაღები და მოსაწონი იყო, დედა უგულებელჰყოფდა და ჰკიცხავდა. ბელი ორჭოფობდა და მწარედ განიც-

დიდა თითოეული მათგანის თვალსაზრისის შეფარდებით სისწორესა ან უმართებულობას. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი იყო ყოველგვარი ფაქტების ორაზროვანი, ორმხრივი, ორმნიშვნელოვანი გაგება. თავდაპირველად ეს აბნევდა და აშინებდა მას, წლების განმავლობაში კი ადამიანების, მოვლენების, იდეების მიმართ დამოკიდებულების ჩვეულ მოდუსად იქცა. ბელი გაიტაცა შეუთავსებელთა შეთავსებამ, შინაგან წინააღმდეგობათა ტრაგიზმმა და სირთულემ, სიცრუისა და გულწრფელობის და, შესაძლოა, სიკეთისა და ბოროტების განუყოფლობამ. ის უმალავდა მამას დედისადმი (და, საერთოდ "დედობრივისადმი") სიყვარულს, დედას კი არ უმხელდა მამისადმი (და, საერთოდ, "მამობრივისადმი") თაყვანისცემას და მიეჩვია იმ აზრს, რომ პირფერობა არ გულისხმობს შინაგან სიყალბეს. შემდგომ ეს გაორებული დამოკიდებულება მან სხვა ადამიანებზეც გადაიტანა, რის გამოც ორპირი კაცის სახელი გაუვარდა. უნდა ვაღიარო, რომ ბელი მართლაც საკმაოდ ორპირი გახლდათ და აქედან სარგებლობასაც ღებულობდა. ამასთან, მისი თვალთმაქცობის საფუძველს არ წარმოადგენდა არც ცბიერება, არც - ოპორტუნიზმი. ერთიც და მეორეც გულწრფელად სძაგდა. მაგრამ საყვარელ ადამიანებში ის ეძებდა და, რა თქმა უნდა, პოულობდა მათი ათვალწუნების მიზეზებს. საძულველ პიროვნებებში სიკეთის აღმოჩენისას მათ მიმართ კეთილგანწყობასა და სიყვარულს განიცდიდა; თავაზს უეცარ აღშფოთებასა და მძვინვარე ფილიპიკებს უნაცვლებდა; ლანძღვისა და მხილების შემდგომ ანაზდად ეთანხმებოდა მოწინააღმდეგეს. ხშირად გვიან მოდიოდა გონს - მაშინ, როდესაც მეგობარი უკვე მტრად იყო ქცეული, ძველი მოწინააღმდეგე კი ხვევნა-კოცნას უპირებდა. ახლობლებთან ცრუობდა, ხოლო პირველ შემხვედრს გულს უხსნიდა. მაგრამ როდესაც ცრუობდა, ხშირად აცხადებდა მხოლოდ იმას, რასაც "ჭეშმარიტების უკუმხარედ" მიიჩნევდა, გულწრფელი საუბრისას აგრეთვე ბოლომდე არავის ენდობოდა.

არსებითად, მშობლებისადმი გაორებულმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა მისი შეხედულებების მომავალი წყობაც. მამამისის ჩანაფიქრით, ბორია მისი მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი უნდა გამხდარიყო, დედა კი ამ განზრახვას მუსიკითა და პოეზიით ებრძოდა. იმიტომ კი არა, რომ მუსიკა და პოეზია უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ მათემატიკა ეჯავრებოდა. ბელი სულ უფრო ნათლად ხვდებოდა, რომ მამის "პოზიტიური" ფასეულობები მისთვისაც ძვირფასი იყო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ხელოვნება და ფილოსოფია ზუსტ მეცნიერებებს უნდა დაახლოებოდნენ, "სხვა გამოსავალი არ არსებობდა". მისტიკას, შემდგომ კი - სიმბოლიზმს ის ეზიარა მეცხრამეტე საუკუნის პოზიტივისტური ტენდენციებისა და ვლადიმირ სოლოვიოვის ფილოსოფიის ურთიერთშერიგების ძნელი გზით. შემთხვევითი არაა, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტზე შესვლამდე მან მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ამის შესახებ ყველაზე უკეთ თვით ბელიმ მოგვითხრო. აქ მივუთითებ მხოლოდ მისი გვიანდელი შეხედულებებისა და მთელი მისი ლიტერატურული შემოქმედების ადრეული ბიოგრაფიული სანყისები.

* * *

ბელი მაშინ გავიცანი, როდესაც რომანი ჰქონდა ნინა პეტროვსკაიასთან, უფრო ზუსტად კი - როდესაც მათ შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

ქალები ანდრეი ბელის ძალზე მძლავრად აღელვებდნენ. მათთან ურთიერთობებში განსაუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდებოდა მისი გაორებულობა. ერთი და იმავე ტაქტიკით მოქმედებდა. თავდაპირველად აჯადოებდა ქალებს თავისი თითქმის მომნუსხველი ხიბლით და ინილბებოდა მისტიკური შარავანდედით, რომელიც თითქოს სრულიად გამორიცხავდა ყოველგვარ ფიზიკურ ლტოლვას, შემდეგ უეცრად ამჟღავნებდა ამ ლტოლვას და თუ განცვიფრებული, ზოგჯერ კი - შეურაცხყოფილი ქალი არ პასუხობდა მის გრძნობას, მძვინვარებდა. და პირიქით, სასურველი მიზნის მიღწევისას წაბილწულად მიაჩნდა თავი და ბრაზობდა. ისეც ხდებოდა, რომ ბოლო მომენტში ბელი, მშვენიერი იოსებივით, "დაცემას" თავს არიდებდა, გარბოდა და უკვე ორმაგი ძალით ბობოქრობდა; იმის გამო, რომ აცდუნეს, და იმიტომ, რომ ბოლომდე ვერ აცდუნეს.

ნინა პეტროვსკაია დიდად დაიტანჯა მას შემდეგ, რაც ბელის გაუმიჯნურდა. ბელიმ ქალი ყველაზე დამამცირებელი ფორმით მიატოვა. ნინა დაუახლოვდა ბრიუსოვს, რათა შური ეძია ბელიზე - მისი ეჭვიანობის აღძვრისა და დაბრუნების ფარული იმედით.

1906 წლის დამდეგს, როდესაც საფუძველი ჩაეყარა "ოქროს საწმისს", სტუმრები მეწვივნენ. ნინა და ბრიუსოვი სხვებზე გაცილებით ადრე მოვიდნენ. ბრიუსოვმა უფლება მთხოვა, ჩემს საძინებელ ოთახში დაესრულებინა დაწყებული ლექსი. რამდენიმე ხნის შემდეგ ის გამოვიდა და სასმელი მოითხოვა. ნინამ კონიაკი წაუღო. ერთი საათის ან ცოტათი მეტი ხნის შემდეგ, როდესაც სტუმრები უკვე მოვიდნენ, საძინებელში შევიხედე და დავინახე, რომ ნინა და ბრიუსოვი იატაკზე ისხდნენ და ტიროდნენ. კონიაკის ბოთლი ბოლომდე გამოეცალათ. ბრიუსოვს ლექსი დაესრულებინა. ნინამ ჩურჩულით მთხოვა, ვახშმობისას ბრიუსოვისთვის შემეთავაზებინა ახალი ლექსის წაკითხვა. ეჭვი არაფერში შემპარვია (მაშინ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ნინას, ბელისა და ბრიუსოვის ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ) და ასეც მოვიქეცი. ბრიუსოვმა მიმართა ბელის:

- ბორის ნიკოლაევიჩ, თქვენი ნაწარმოების მიბაძვით დაწერილ ლექსს წავიკითხავ.

და წაიკითხა. ბელიმ ნინასთან განშორების ამბავი შეფარვით და ევფემისტურად ასახა ლექსში "თქმულება". სწორედ ამ "თქმულებას" მიბაძა ბრიუსოვმა, რომელმაც შეინარჩუნა ბელის ნაწარმოების ფორმა და სტილი, მაგრამ ამბავი ახლებურად დაასრულა და ბელი მეტად უბადრუკ როლში გამოიყვანა. ბელი უსმენდა და თეფშს თვალს არ აცილებდა. ბრიუსოვმა კითხვა დაამთავრა. სტუმრები უხერხულად დუმდნენ. ბოლოს ბრიუსოვმა ბელის შეხედა, ხელები, ჩვეულებისამებრ, მკერდზე გადაიჯვარედინა და თავისი ყველაზე მობუბუნე ხმით ჰკითხა:

- ჰგავს თუ არა, ბორის ნიკოლაევიჩ?

ეს იყო ორაზროვანი შეკითხვა, რომელიც ერთდროულად გულისხმობდა ბრიუსოვის ლექსის სტილსაც და ბელის საქციელსაც. უკიდურესად შეცბუნებულმა ბელიმ ითვალთმაქცა, თითქოს ვერ ჩასწვდა შეკითხვის ფარულ სარჩულს და ძალზე ფართო ღიმილით მიუგო:

- საოცრად ჰგავს, ვალერი იაკოვლევიჩ!

და ის იყო, ქება-დიდების შესხმა მოინდომა, რომ ბრიუსოვმა მკვახედ მოუჭრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა



- მით უარესი თქვენთვის!

რადგან ნინასთან ვმეგობრობდი, ბელიმ მიიჩნია, რომ ბრიუსოვს ლექსი შეგნებულად წავაკითხე. ბელის კვლავ ვხვდებოდი, მაგრამ აღარ მეკარებოდა. უკვე შევიტყვე, რაში იყო საქმე, მაგრამ თავს არ ვიმართლებდი: ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო ახსნა-განმარტება, ნაწილობრივ კი - თავმოყვარეობა არ მანებებდა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოვარკვიეთ ყოველივე - უცნაურ პირობებში, რადგან ჩვენი იმდროინდელი ცხოვრება, საერთოდ, უცნაური იყო.

* * *

1904 წელს ბელიმ გაიცნო ჭაბუკი მელექსე, რომელსაც წილად ხვდა, ქცეულიყო ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო რუს პოეტად. მათი პირადი და ლიტერატურული ბედ-იღბალი სამუდამოდ შეუკავშირდა ერთმანეთს. თავის მოგონებებში ბელიმ გადმოგვცა ამ კავშირის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო და თანაბრად მცდარი ვერსია. ორივე პოეტის მომავალ ბიოგრაფს დიდი გარჯა დასჭირდება ჭეშმარიტების აღსადგენად.

პოეტი მოსკოვს ჩამოვიდა ახალგაზრდა ცოლთან ერთად, რომელსაც უკვე იცნობდა ბელის ზოგიერთი მისტიკოსი მეგობარი. ეს "მშვენიერი ბანოვანი" გარემოცული იყო მათი აღტაცებული თაყვანისცემით, რომლის ფარული ეროტიზმი შენიღბული გახლდათ მისტიკური მსახურების მაცდუნებელი და ნაწილობრივ პირფერული საფარით. ბელი მყისვე აჰყვა საერთო განწყობას და ახალი მეგობრის ცოლი თავისი დაჟინებული ყურადღების საგნად აქცია. მისტიკოსები ამ ყურადღებას აქეზებდნენ და აღვივებდნენ. შემდგომ მას წაქეზება აღარ სჭირდებოდა. ის გადაიზარდა სიყვარულში, რომელმაც ბიძგი მისცა ნინა პეტროვსკაიასთან განშორებას. ზუსტად ვერ გადმოგცემთ ამ ამბავს, რომლის მოქმედი პირები ხან მოსკოვში იმყოფებოდნენ, ხან - პეტერბურგში, ხან კი - სოფლად. საქმე უკიდურესად გაართულა მათმა რთულმა ხასიათმა, სიმბოლისტური ყოფის თავისებურმა წყობამ და, ბოლოს, ლიტერატურული, ფილოსოფიური და თვით საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანმა მოვლენებმა, რომლებსაც ეს სიყვარული ზოგჯერ მჭიდროდ უკავშირდებოდა და, რომლებზეც, თავის მხრივ, ზემოქმედებდა. შევაჯამებ და ვიტყვი: ამ სიყვარულმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მაშინდელი ეპოქის ლიტერატურული ურთიერთდამოკიდებულებები, აგრეთვე - იმ პიროვნებათა ბედ-იღბალი, რომლებიც მასში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ და, საბოლოო ანგარიშში, სიმბოლიზმის მთელი ისტორია. მისი ბევრი დეტალი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ბელი ხშირად მიყვებოდა ამ ამბავს, მაგრამ მის მონათხრობში ვამჩნევდი უამრავ წინააღმდეგობრიობას, მინიშნებებს, ვარიანტებსა და აგზნებული წარმოსახვის ნაკვალევს. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ნაამბობი არსებითად განსხვავდებოდა მის მიერ გამოქვეყნებულ მოგონებებში გადმოცემული ვერსიისგან.

ყველა ფაქტის გათვალისწინებისას ეს რომანი ამგვარი სახით წარმომიდგება: როგორც ჩანს, "მშვენიერი ბანოვანი" კეთილგანწყობით შეხვდა ბელის მიერ შეთავაზებულ მეგობრობას, მაგრამ როდესაც ბელიმ, ჩვეულებისამებრ, ძმური გრძნობებიდან სხვაგვარ განცდებზე გადაინაცვლა, მისი ამოცანა მეტად გართულდა. შეიძლება, ბელის მიზანი, საერთოდ, აუხდენელ ოცნებად დარჩენილიყო, თუ არა მისი დამატყვევებელი ხიბლი, რომლის ზეგავლენას თავს ვერავინ აღწევდა. მაგრამ სწორედ იმ მომენტში, როდესაც ბელის სამიჯნურო ძალისხმევა უკვე წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო, როგორც ყოველთვის, თავი იჩინა მისმა გარდუვალმა გაორებამ. მას უგუნურება ეყო, თავი დაერწმუნებინა, რომ არასწორად და "მცდარად" გაუგეს - და იგივე გამოუცხადა ქალს, რომელიც, ალბათ, მტანჯველი ორჭოფობის შემდეგ დათანხმდა მის წინადადებაზე. ბელის უკან დახევის შედეგთა წარმოდგენა ძნელი როდია. მისი სატრფო აღშფოთებამ და სიძულვილმა მოიცვა. და მან ასჯერ მეტი ტკივილი და შეურაცხყოფა მიაყენა ბელის, ვიდრე - ნინა პეტროვსკაიამ, რომელზეც ბევრჯერ უფრო ამტანი და მტკიცე ხასიათისა გახლდათ. რა მოიმოქმედა ბელიმ? შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მან სწორედ ამ მომენტიდან ჭეშმარიტად, მთელი არსებითა და სამუდამოდ შეიყვარა "მშვენიერი ბანოვანი". შემდგომ არაერთხელ განუცდია ტრფიალიც, სწრაფწარმავალი გატაცებებიც, მაგრამ იმ სიყვარულს ვერაფერი შეედრებოდა. მხოლოდ ის ქალი, მხოლოდ ის უყვარდა ნამდვილად. დროთა განმავლობაში ტკივილი შენელდა, მაგრამ დიდხანს ტანჯავდა პოეტს. ბელი არნახულად ეწამებოდა, დამცირებიდან და მორჩილებიდან მძვინვარებასა და ქედმაღლობაზე გადადიოდა - ყვიროდა, რომ მისი სიყვარულის უგულებელყოფა მკრეხელობას ნიშნავდა. ზოგჯერ მწუხარებისგან სულიერად ძალზე მაღლდებოდა, ზოგჯერ კი იმდენად ეცემოდა, რომ, ეჭვიანობისგან გულმოკლული, ნამდვილ თუ წარმოსახულ მეტოქეზე ლიტერატურულ შურისძიებას მიმართავდა. მან რამდენიმე თვე გაატარა საზღვარგარეთ - და ჩამოიტანა გაუქარვებელი ნაღველი და "ქარბუქთა თასი" - მის სიმფონიათაგან ყველაზე სუსტი ნაწარმოები, რადგან ის სასოწარკვეთილების ჟამს დაიწერა.



1907 წლის აგვისტოს პირადი პრობლემების გამო რამდენიმე დღით პეტერბურგს გავემგზავრე - და იქ დიდი ხნით დავრჩი. მოსკოვში დაბრუნების ძალა არ შემწევდა. ლიტერატორებს იშვიათად ვხვდებოდი. ჩემი საწუხარი არ მასვენებდა. ღამღამობით რესტორნებში, სამორინეებსა ან, უბრალოდ, ქუჩებში დავეხეტებოდი, დღისით კი მეძინა. უეცრად მოსკოვიდან ჩამოვიდა ნინა პეტროვსკაია, რომელიც ბრიუსოვთან უთანხმოებას გაექცა. ის ერთი ახალგაზრდა პეტერბურგელი ბელეტრისტით იყო გატაცებული. ბრიუსოვი გამოედევნა ნინას, ცდილობდა, მოსკოვში დაებრუნებინა, მაგრამ ქალი აყოვნებდა. ერთად ვატარებდით ნევრასთენიულ საღამოებს. ნინა სწორედ იმ "ინგლისურ სასტუმროში" ცხოვრობდა, სადაც შემდგომ ესენინმა თავი მოიკლა.

იმავე წლის 28 სექტემბერს ბლოკი პეტერბურგიდან წერდა დედამისს: "დედა, დიდხანს ვერაფერს ვწერდი და ახლაც, უამრავი, დიდი თუ პატარა საზრუნავის გამო მუშაობა მიჭირს. დიდი საზრუნავი ეხება ლუბას (ლუბოვ დმიტრიევნა, ბლოკის მეუღლე - ვ.ხ.), ნატალია ნიკოლაევნასა (მსახიობი ნ.ნ.ვოლოხოვა, რომელსაც მიეძღვნა "თოვლის ნიღაბი - ვ.ხ.) და ბორიას. ბორია მალე ჩამოვა ჩემთან. სულ უფრო მეტად მესმის მისი. ძალიან უბედურია". ბოლოს ბელი ჩამოვიდა, რათა კვლავ უარი მიეღო. ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით. ერთხელ ლიტერატორთა შეკრებას დავესწარი. ბუნინმა წაიკითხა დაავადებული კუპრინის ახალი მოთხრობის (ეს იყო "ზურმუხტი") ხელნაწერი. შემდეგ ნევის პროსპექტზე გამოვედი. საჯარო ბიბლიოთეკასთან მეძავი ამედევნა. დროის მოსაკლავად შევთავაზე, ერთად გვევახშმა. რესტორანში შევედით. სახელი ვკითხე და მან უცნაური პასუხი გამცა:

- ყველა "საწყალ ნინას" მიწოდებს. თქვენც ასე დამიძახეთ.

საწყალი ნინა - კაფანდარა, მოკლეცხვირიანი შავგვრემანი ქალი - უნიათოდ მეკეკლუცებოდა და ძალიან მიყვარს მამაკაცებიო, - მეუბნებოდა. მე კი ვფიქრობდი, რომ მისი თავიდან მოშორება ძალზე ძნელი იქნებოდა. უეცრად შემოვიდა აღგზნებული, შეზარხოშებული ბელი. ის მოგვიჯდა, შემდეგ კონიაკის სმას შევუყევით და თანამოსაუბრე ქალი სრულიად გადაგვავიწყდა. მოსკოვს ვიხსენებდით. სასმელისგან გულაჩუყებულმა ბელიმ აღიარა, რომ ეჭვობდა, მე ხომ არ წავაქეზე ბრიუსოვი, ჩემს ბინაში ის ლექსი წაეკითხა. ყოველივე განვუმარტეთ ერთმანეთს და შევრიგდით. ამ დროს რესტორანი დაიხურა და ბელიმ წამიყვანა ერთ, მისი თქმით, "სავსებით პეტერბურგულ ადგილას". იზმაილის პროსპექტის ბოლოს განლაგებულ იაფფასიან კლუბში დაგვხვდა არაჩვეულებრივად დარბაისლური გარეგნობის ჭაღარა ულვაშებიანი მამაკაცი, რომელსაც ყველა პოლკოვნიკს ეძახდა. ბელიმ რეკომენდაცია გამიწია და ორი სამმანეთიანის გადახდის შემდეგ (რაც საუკეთესო რეკომენდაციას წარმოადგენდა) დარბაზში შევედით. წვრილი მოხელეები და ნოქრები კადრილს ცეკვავდნენ ბოშურ ტანსაცმელსა და ნაიადების კოსტიუმებში გამოწყობილ (ნახევრადშიშველ) ქალებთან ერთად. შემდეგ გაიმართა საუკეთესო კოსტიუმისთვის პრემიებით დაჯილდოების ცერემონიალი, რასაც სკანდალი მოჰყვა. ვიღაც ნაწყენი დარჩა, ვიღაც ჩხუბობდა. ღვინო მოვითხოვეთ და "სავსებით პეტერბურგულ ადგილას" მთელი ღამე გავატარეთ ძღალ პეტერბურგულ განთიადამდე. განშორებისას დავთქვით, რომ "ვენაში" ვისადილებდით ნინა პეტროვსკაიასთან ერთად,

სადილმა ულიმღამოდ და მდუმარედ ჩაიარა.

- ნინა, თქვენს თეფშში მეტი ცრემლია, ვიდრე კერძი, - ვუთხარი მე.

ქალმა თავი ასწია და მომიგო:

- საწყალი ნინა დამიძახეთ.

მე და ბელიმ ერთმანეთს გადავხედეთ - ნევის პროსპექტელი მეძავის შესახებ ნინამ არაფერი იცოდა. იმ დროს ამგვარ დამთხვევებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით.

რამდენიმე დღის შედეგ ბელისთან მივედი (ვასილის კუნძულზე, ნიკოლოზის ხიდთან ცხოვრობდა) და დავინახე საქუდე კოლოფი, რომელშიც წითელი ატლასის დომინო და შავი ნიღაბი იდო. მივხვდი, რომ ამგვარად მორთული ბელი დადიოდა ხოლმე "სავსებით პეტერბურგულ ადგილას". შემდგომ დომინო და ნიღაბი მის ლექსებშიც გამოჩნდა, ხოლო მოგვიანებით "პეტერბურგის" ერთ-ერთ ცენტრალურ სახედ იქცა.

მალე ნინა მოსკოვს წავიდა, ოქტომბრის ბოლოს კი (თუ მეხსიერება არ მღალატობს) მე და ბელიც გავემგზავრეთ. სადგურებზე ის არავს სვამდა. მოსკოვში ორი დღე დაჰყო - და კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა. არც სატრფოსთან ცხოვრება შეეძლო, არც - უიმისოდ ყოფნა.

* * *

მომდევნო ოთხ წელიწადს მადლიერების გრძნობით ვიხსენებ: გავბედავ ვთქვა, რომ ეს იყო ჩვენი მეგობრობის წლები. იმ პერიოდში ბელი ცხოველ ემოციურსა და შემოქმედებით აღმაფრენას განიცდიდა. მაშინ დაამთავრა "ფერფლი", დაწერა "ურნა", "ვერცხლის მტრედი" და "სიმბოლიზმის" უმნიშვნელოვანესი სტატიები, გამოაქვეყნა ყველაზე მწვავე პოლემიკური წერილები, რომელთა კილოს შესახებ ხშირად სინანულს გამოთქვამ-

და, ხოლო მათ შინაარსზე - არასოდეს. მაშინ აწყობდა ყველაზე ფანტასტიურ საზოგადოებრივ სკანდალებს, - ერთხელ ლიტერატურულ-მხატვრული წრის სცენაზე ფარდის დაშვება მოუხდათ, რათა ბელის სიტყვები საზოგადოებას არ გაეგონა. სამაგიეროდ, ჩვენი შეხვედრებისას სხვაგვარად იქცეოდა. უმეტესწილად დილაობით მოდიოდა და ზოგჯერ მთელ დღეს ერთად ვატარებდით ხან ჩემს ბინაში, ხან კი - ქუჩაში: მაცხოვრის ტაძრის სკვერში, "ნოვოდევიჩის" მონასტერში; ერთხელ პეტროვსკო-რაზუმოვსკოეს ის მღვიმეც მოვინახულეთ, რომელიც სტუდენტ ივანოვის მკვლელობასთან იყო დაკავშირებული. ლაღი და მშვიდი (gemuthlich - მისი საყვარელი გამოთქმით) ბელის საუბრები ბრწყინვალე იმპროვიზაციებად იქცეოდა ხოლმე და არაჩვეულებრივ აღფრთოვანებას მანიჭებდა. უბრალო ამბების მოყოლაც უყვარდა - სოლოვიოვების ოჯახის, 1900 წლის წინასწარმეტყველური რიყრაყებისა და მოსკოველი პროფესორების (რომელთაც გააფთრებით და კომიკურად გამასხიერებდა) შესახებ. ხანდახან ბოლოდროინდელ ნაწერებს მიკითხავდა და სიამოვნებით ისმენდა კრიტიკულ შენიშვნებს, თუმცა, საერთოდ, სიკერპით გამოირჩეოდა. მხოლოდ ერთხელ დავიყოლიე, ამოეგდო "ვერცხლის მტრედის" პირველი გვერდნახევარი. ეს იყო გოგოლის მიბაძვა, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ კალმის გასავარჯიშებლად დაიწერა.

ხშირად ვმსჯელობდით სპეციალური ლექსმცოდნეობითი საკითხების შესახებ. გვტანჯავდა ერთი და იმავე საზომის სხვადასხვაგვარი ჟღერადობის პრობლემა. 1908 წლის ზაფხულს, როდესაც მოსკოვის მახლობლად ვცხოვრობდი, მან ტელეფონით დამირეკა და სიცილით დამიყვირა:

- თუ გცალიათ, სასწრაფოდ ჩამოდით ქალაქში. ამ დილას ჩამოვედი. აღმოჩენა გავაკეთე! ღმერთმანი, ნამდვილი აღმოჩენაა, არქიმედეს მსგავსად!

რა თქმა უნდა, წავედი. შეხუთული საღამო იყო. მზისგან გარუჯულ ბელის სახეზე მოზეიმე გამომეტყველება გადაჰფენოდა. რუსული, საყელოგაღეღილი პერანგი ეცვა. მაგიდაზე იდო ვეება, ვერტიკალურ სვეტებად დაყოფილი ქაღალდის დასტა. სვეტებში მონიშნული წერტილები წრფეებით იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ბელი დასტას თავის მძიმე ხელს უბაგუნებდა:

- ესეც თქვენი ოთხტერფიანი იამბი. აი, ასეთია, ხელისგულზე გადაგიშალეთ. ერთი და იმავე მეტრის მქონე სტრიქონები რიტმით განირჩევიან ურთიერთისგან. რიტმი არ ემთხვევა მეტრს და განისაზღვრება მეტრული მახვილების გამოტოვებით. "ნპკ ეჯეჯ სანძქ ყვსტოძქ ჟრაგიმ"-ში ოთხი მახვილია, ხოლო - "() ლმაოჯმსჯ ოვჟრიოუზევოოპ"-ში - ორი: რიტმები განსხვავებულია, მეტრი კი ერთი და იგივეა, ოთხტერფიანი იამბი.

ახლა ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, იმ დღეს კი მართლაც არქიმედესეულ აღმოჩენასავით მარტივ და მოულოდნელ მიგნებად წარმომიდგა. მეტრის და რიტმის ურთიერთდაუმთხვევლობას პოეტიკაში ბელის სახელი უნდა დაერქვას. ამ პრობლემის შემდეგდროინდელ დამუშავებაში შეიმჩნევა ხარვეზები, რომელთა შესახებ ბევრი დაიწერა. მაშინ კი, პირველ ხანებში, მათში გარკვევა უფრო ძნელი გახლდათ. ამასთან, ბელის კონკრეტული საკითხის გამო შევეკამათე. ზუსტად იმ დროს ის გამოსაქვეყნებლად ამზადებდა "ფერფლსა" და "ურნას" - და უეცრად შეუდგა ბევრი ლექსის ძირეულ გადამუშავებას, მათი რიტმის მისადაგებას აღმოჩენილი ფორმულებისადმი. რა თქმა უნდა, ცალკე განხილული რიტმული სქემები ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ლექსების ხარისხი ერთიანად დაეცა. ბელისთან შეკამათება საქმეს არ შველოდა. მან კრებულებში შეიტანა ლექსების ახალი რედაქციები, რომელთა მოსმენა აუტანელი იყო. სწორედ მაშინ დავიჟინე, რომ აუცილებელია რიტმული შინაარსის შესწავლისას აზრობრივი შინაარსის გათვალისწინება. ამის შესახებ ხან პირისპირ ვკამათობდით, ხან კი - რიტმისტების წრეში, რომელიც შეიქმნა გამომცემლობა "მუსაგეტთან". აზრისგან განყენებული რიტმიკა ყალბ და საზიანო საქმედ მიმაჩნდა. ყოველივე იმით დამთავრდა, რომ შეკრებებზე სიარულს თავი დავანებე.

ბელი იმ დროს ძალზე მოდურ პიროვნებად იქცა. ქალები მოსვენებას არ აძლევდნენ. ის სიამოვნებით ახვევდა თავბრუს ყველას, მაგრამ აიძულებდა, კანტი შეესწავლათ - იმგვარ ქალბატონებს, რომელთაც ეს სულაც არ ეპიტნავებოდათ.

- მან ყვავილი მაჩუქა, მე კი ვუთხარი: ქალბატონო, თუკი სიმბოლიზმი ასე გაინტერესებთ, თავდაპირველად "წმინდა გონების კრიტიკას" ჩაუღრმავდით-მეთქი!

ან

- აჰ, რა მშვენიერია ეს მადმუაზელ შტანევიჩი! აღტაცება მომგვარა!

- ბორის ნიკოლაევიჩ, ის ხომ შტანევიჩი კი არა, სტანევიჩია!

- მართლა? მე კი ერთთავად შტანევიჩს ვუწოდებ. როგორ ფიქრობთ, ხომ არ ეწყინებოდა?

ერთი კვირის შემდგომ კვლავ: - აჰ, მადმუაზელ შტანევიჩი!

- ბორის ნიკოლაევიჩ! სტანევიჩი!

- ღმერთო ჩემო! მართლა? ეშმაკმა დალახვროს!

თვითონ კი მხიარული და ცბიერი მზერით შემომყურებდა.

ზოგჯერ ბელის კარებზე ნახავდით წარწერას: "ბ.ნ.ბუგაევი დაკავებულია და გთხოვთ, არ შეაწუხოთ". ეს ქალების გამო გავაკარიო, მიხსნიდა, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი როდი იყო. ჩემთან ჩიოდა, პასტერნაკმა თავი მომაბეზრაო, ხოლო პასტერნაკს, ალბათ, ეუბნებოდა, რომ ხოდასევიჩმა გული გაუწვრილა.

ერთხელ - თითქმის მრისხანედ: - არა, წარმოიდგინეთ, როდესაც წუხელის, ქარბუქში, შინ დავბრუნდი, სადარბაზოსთან ტუმბაზე მჯდარი მარიეტა შაგინიანი დამხვდა. მეეზოვეს ჰგავდა. როგორ მომბეზრდა ყველაფერი! - თვით კი ამ დროს შაგინიანს ვრცელ ფილოსოფიურ წერილებს წერდა და საწყალი მადლიერი მარიეტა, რა თქმა უნდა, სიცივეს არ ეპუებოდა და იყინებოდა ხოლმე.

1911 წელს სოფლად დავსახლდი და უფრო იშვიათად ვხედავდი ბელის. შემდეგ ის დაქორწინდა, აფრიკაში გაემგზავრა, მცირე ხნით მოსკოვს დაბრუნდა და კვლავ გაემგზავრა: შვეიცარიაში, რუდოლფ შტაინერთან. ომის წინა დღეებში მისგან მხნე, მშვიდი წერილი მივიღე. მიყვებოდა, როგორ გაიმაგრა კუნთები გეტეანუმში მეჩუქურთმედ მუშაობისას. გავიფიქრე, რომ მან, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერება ჰპოვა.

* * *

იმ საღამოს, როდესაც მოსკოვში ტელეფონით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიტყვეთ რასპუტინის მკვლელობის შესახებ, გერშენზონმა ნ.ა. ბერდიაევთან წამიყვანა. ახალ ამბებზე ვმსჯელობდით. იქ, დიდი ხნის განშორების შემდეგ, პირველად ვნახე ბელი. ცოლი დორნახში დაეტოვებინა. მაშინვე მივხვდი, რომ მის დამშვიდებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ფიზიკურად გატლანქებულიყო, ხელები დაკოჟრებოდა. უკიდურესი აღგზნება ეტყობოდა, თუმცა ცოტას ლაპარაკობდა. ოდესღაც ლურჯ, ახლა კი მკრთალ-ცისფერ თვალებს ხან დააცეცებდა, ხან კი უცნაური შიშით შეაშტერებდა რაიმეს. შემდეგ ჩემთან მოვიდა და მიამბო ჯაშუშების, პროვოკატორების, ბნელი პიროვნებების შესახებ, რომლებიც მას დასდევდნენ დორნახშიც და რუსეთისკენ მგზავრობის დროსაც. უთვალთვალებდნენ, ეძებდნენ, მისი დაღუპვა სურდათ პირდაპირი და კიდევ რაღაც სხვა მნიშვნელობით.



ეს თემა, რომელიც, არსებითად, დევნის მანიას წააგავდა, მისთვის ყოველთვის მახლობელი იყო. ჩემი ღრმა რწმენით, ჯერ კიდევ ბავშვობისას ეჩვენებოდა, რომ ბნელ ძალებს მისი დაღუპვა სურდათ და უბიძგებდნენ მამის წინააღმდეგ ბოროტმოქმედების ჩასადენად. მამის პოტენციური მკვლელობის წამაქეზებელი ურჩხულები და ერინიები თვით ბელის სულში ფუთფუთებდნენ, მაგრამ თავდაცვის ინსტინქტის ზეგავლენით ის ცდილობდა, გარემომცველი ადამიანებისა და მოვლენებისთვის გადაებრალებინა თავისი ყველაზე უკეთური ზრახვები, ლტოლვები, იმპულსები. ყველა ზემონახსენები ავტობიოგრაფიული რომანი, დაწყებული "პეტერბურგით" და დამთავრებული "მოსკოვი საფრთხეში"-თ, გაჯერებულია ამ ნაწილობრივ გამოგონილი, ნაწილობრივ კი - სინამდვილიდან აღებული და ფანტასტიურად გარდასახული ამაზრზენი მაჯლაჯუნებით. მათთან, ე.ი. მუხანათობისა და მამის მკვლელობის ჩანასახოვან მისწრაფებებთან ბრძოლა იქცა მისი ყველა რომანის მთავარ, ცენტრალურ თემად, "ვერცხლის მტრედის" გარდა. ეს თემა, ფაქტობრივად, არ უკავშირდება არც რევოლუციას, არც - ომს და არ საჭიროებს არავითარ ისტორიულ ფონს. "კოტიკ ლეტაევში", "ნიკოლაი ლეტაევის დანაშაულსა" და "მონათლულ ჩინელში" ბელიმ სწორედ რომ თავი აარიდა ამ ფონს. 1905 და 1914 წლების მოვლენებს უკავშირდება მხოლოდ "პეტერბურგი", "ახირებული მოსკოველი" და "მოსკოვი საფრთხეში". მაგრამ ორი უკანასკნელი რომანის მკითხველთათვის სრულიად თვალსაჩინოა, რომ მათში ეს კავშირი ძალზე ხელოვნურად გამოიყურება. "ახირებულ მოსკოველსა" და "მოსკოვი საფრთხეში"-ს ბელი წერდა ოციანი წლების შუა ხანებში, საბჭოთა რუსეთში. ტექსტშიც და წინასიტყვაშიც ის ხაზგასმით აღნიშნავდა, თითქოს ორივე რომანის მთავარი გმირი, მათემატიკოსი კორობკინი, განასახიერებს "არსებითად თავისუფალ მეცნიერებას". მის წინააღმდეგ საშინელ ინტრიგას ხლართავს კაპიტალისტური სამყარო, რომელსაც თავის იარაღად მიტია, კორობკინის ვაჟი აურჩევია. სინამდვილეში ბელის სულაც არ აინტერესებდა მთელი ეს აბსოლუტურად დაუჯერებელი "კონცეფცია". მის ჭეშმარიტ მიზანს წარმოადგენდა მამის წინააღმდეგ გამიზნული დანაშაულის თემის მორიგი ვარიანტის ხორცშესხმა. ბნელი ძალები, რომლებიც მიტიას დანაშაულისკენ უბიძგებენ, მხოლოდ იმიტომაა აღჭურვილი კაპიტალისტური დემონების ნიღბებით, რომ ამას მოითხოვდა "სოციალური დაკვეთა". საგულისხმოა, რომ "ახირებულ მოსკოველსა" და "მოსკოვი საფრთხეში"-ს უნდა შეედგინათ, ბელის აღიარების თანახმად, მხოლოდ დასაწყისი რომანთა ვრცელი ციკლისა, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა, ნიკოლაი ლეტაევის ისტორიისადმი მიძღვნილი ციკლის მსგავსად. რატომ? იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში ბელის მყისვე გული აუცრუვდა თავის ჩანაფიქრზე, როდესაც დაწერა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - ვაჟის მიერ მამის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ბელი 1905 წლის რევოლუციის თემამ მართლაც გაიტაცა მხოლოდ "პეტერბურგში", ამ "ოიდიპოსისმაგვარი" სერიის ყველაზე ადრეულ რომანში. ამასთან, "პეტერბურგში" პირადი და პოლიტიკური თემების შეკავშირებას ბიძგი მისცა იმ ეპოქის მოვლენებისთვის დამახასიათებელმა (და ბელისთვის ბავშვობიდანვე ნაცნობმა) წაქეზების, პროვოკაციის თემამ. ნახაზების შედგენისადმი ჩვეული მიდრეკილების კარნახით მან "პეტერბურგის" სტრუქტურა გამოხატა ორი ტოლი წრეხაზის სახით, რომელთაგან ერთი შეესაბამებოდა პირად, მეორე კი - პოლიტიკურ თემას; მათ ცენტრებს შორის არსებული უმნიშვნელო, რადიუსზე გაცილებით ნაკლები მანძილის გამო ამ წრეხაზების ფართობთა უმეტესი ნაწილი საზიარო იყო. სწორედ ის განასახიერებდა პროვოკაციის თემას, რომელიც აერთიანებდა ჩანაფიქრის ორივე ასპექტს და ცენტრალური ადგილი ეკავა მასში.

"პეტერბურგის" დაწერის იდეა განეკუთვნება იმ წლებს, როდესაც პოლიციის დეპარტამენტის ახლადაღმოჩენილი პროვოკაციული საქმიანობა საზოგადოების აღშფოთებისა და ზიზღის საგნად იქცა. ბელის პიროვნებაში ამ გრძნობებს ერთვოდა და მათზე დომინირებდა კიდევ სავსებით მისტიკური შიში. პოლიცია, რომელიც აქეზებდა ბოროტმოქმედს, უთვალთვალებდა მას და თვითონვე სჯიდა, ზუსტად ისევე მოქმედებდა, როგორც ბელის სულში არსებული ბნელი ძალები. მეთოდის ერთიანობა მან გაიაზრა, უფრო ზუსტად კი - შეიგრძნო, როგორც წყაროს ერთიანობა. პოლიტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვოკაცია ბელის თვალში დემონურობის (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ნიშნებით აღიჭურვა. პოლიციის (დაწყებული დეპარტამენტის დირექტორითა და დამთავრებული მეეზოვით) ზურგს უკან მას ელანდებოდნენ იმქვეყნიური წარმომავლობის ინსპირატორები. ბავშვობაში ჩაგონებულმა ობივატელურმა შიშმა ჩვეულებრივი პოლიციელის წინაშე ბელის სიცოცხლე გაუმწარა. პოლიციას მანიაკურად უფრთხოდა და შემზარავად, ზოგჯერ კი - შესაბრალისად იქცეოდა. გაზაფხულის ერთ წვიმიან ღამეს უკაცრიელ გერმანულ ქალაქ სააროვში გორკის სახლიდან სასტუმროში ვბრუნდებოდით. გზას ჯიბის ფარნით ვანათებდი. ერთადერთი სააროველი ღამის დარაჯი, წყვდიადით, წვიმითა და მოწყენილობით გაბეზრებული მოხუცი ინვალიდი ჩვენგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით გზაზე მიაბოტებდა, - ალბათ, ღამის პეპელასავით, შუქმა თუ მიიზიდა. უეცრად ბელიმ მას თვალი მოჰკრა:

- ვინაა?
- ღამის დარაჯი.
- აჰა, ესე იგი, პოლიცია? გვითვალთვალებენ?
- არა, ბორის ნიკოლაევიჩ. მას, უბრალოდ, მობეზრდა მარტოდმარტო სიარული.

ბელიმ ნაბიჯს აუჩქარა - დარაჯი ჩამოგვრჩა. სამწუხაროდ, სასტუმროში, სადაც თოხარიკით მივქანდით, კარი დიდხანს არ გაგვიღეს. ამასობაში დარაჯიც დაგვეწია და შორიახლოს შეჩერდა. კაპიუშონიანი რეზინის ლაბადა ეცვა. მოგვიახლოვდა და გვკითხა, რაშია საქმეო. პასუხის ნაცვლად ბელიმ ხელკეტი მოიმარჯვა და კარს დაუშინა. როცა შეგვიშვეს, ბელი სწრაფად შევარდა წინკარში. ქოშინებდა და ოფლში იწურებოდა.

* * *

სამხედრო კომუნიზმის დროს ის ჩვენსავით გაჭირვებას განიცდიდა და ავადმყოფობდა. ნაცნობებს შეეკედლა. ღუმელს თავისი ხელნაწერებით აჩაღებდა, შიმშილობდა და რიგებში იდგა ხოლმე. თავისი თავისა და მოხუცი, ავადმყოფი დედის გამოსაკვებად მოსკოვის ერთი ბოლოდან მეორეში დადიოდა, ლექციებს კითხულობდა პროლეტკულტსა და სხვა ადგილებში, მთელ დღეებს ატარებდა რუმიანცევის მუზეუმში, სადაც სიცივისგან მელანი იყინებოდა, და სათეატრო განყოფილების უაზრო დაკვეთას (საფრთხეგეთის რევოლუციისდროინდელი თეატრების შესახებ) ასრულებდა. ავსებდა ქაღალდის დასტებს, რომლებიც, ბოლოს, სადღაც დაკარგა. ამავე დროს, ატარებდა მეცადინეობებს ანთროპოსოფიურ საზოგადოებაში, წერდა "ახირებული კაცის ჩანაწერებს", აგრეთვე - წიგნებს კულტურის ფილოსოფიისა და ლევ ტოლსტოის შესახებ და ა.შ.

1920 წლის ბოლოს საცხოვრებლად პეტერბურგში გადავედი. 1921 წლის გაზაფხულზე ბელიც იქ დასახლდა. პეტერბურგში მწერლებს უკეთეს პირობებს უქმნიდნენ. მას მისცეს ოთახი გოგოლის ქუჩაზე, რესტორან "ვენის" პირდაპირ, სადაც თითქმის თოთხმეტი წლის წინ ვისადილეთ ნინა პეტროვსკაიასთან ერთად. ბელი თავს არიდებდა პეტერბურგელ პოეტებს და დიდხანს ცხოვრობდა ცარსკოე სელოში ივანოვ-რაზუმნიკთან. განახლდა ჩვენი სეირნობები - ახლა უკვე პეტერბურგის სანაპიროებზე. თეთრ ღამეებში, იმდროინდელ არაჩვეულებრივად მშვენიერ პეტერბურგში ბრინჯაოს მხედართან მივდიოდით და მდუმარედ თაყვანს ვცემდით ხოლმე. ერთხელ ბელი მივიყვანე იმ სახლთან, სადაც პუშკინი გარდაიცვალა.

როგორლაც უჩვეულოდ მხიარულმა და სახენათელმა ბელიმ ჩემთან შემოირბინა და პოემა "პირველი პაემანი" - მისი საუკეთესო ქმნილება მომიტანა. პოემის პირველი მსმენელი ვიყავი - მეპატიოს ეს მედიდური მოგონება. მეპატიოს სხვა რაიმეც: იმავე დღეებში მან "მეოცნებეთა ჩანაწერების" მეხუთე გამოშვებისთვის მოამზადა პირველი სტატია ჩემზე. ეს იყო ბლოკის მიერ რედაქტირებული ბოლო გამოშვება, რომელიც უკვე ბლოკის გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნდა.

ბელი დიდხანს ოცნებობდა საზღვარგარეთ გამგზავრებაზე. დასვენება მინდაო, ამბობდა, მაგრამ სხვა მიზეზებიც ჰქონდა, რომელთაც მაშინ არ მიმჟღავნებდა და რომელთა შესახებაც მხოლოდ ვვარაუდობდი. ბოლშევიკები წასვლის ნებას არ რთავდნენ. ისე ნერვიულობდა, რომ იძულებული გახდა, ექიმისთვის მიემართა. ფარულად გაქცევა მოინდომა - და აქედანაც არაფერი გამოვიდა და ვერც გამოვიდოდა: თვითონვე გაუცხადა მთელ პეტერბურგს ("საიდუმლოდ"), რომ გაპარვას აპირებდა. ყველა ეკითხებოდა, მალე გაიპარებით თუ არაო. ამიტომ ბელიმ, რა თქმა უნდა, დაასკვნა, რომ "ჩკ" უთვალთვალებდა, და უკიდურესი შიში მიეძალა. ბოლოს, ბლოკის სიკვდილისა და გუმილიოვის დახვრეტის შემდეგ, ბოლშევიკებს შერცხვათ და ბელის საზღვარგარეთის პასპორტი მისცეს.

1919 წლის დამდეგს ბელის აუწყეს, რომ დორნახის ზოგიერთმა (მისთვის ძვირფასმა) მკვიდრმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა მასთან. ეს მოულოდნელი არ გახლდათ, მაგრამ ბელის მაინც სურდა ახსნა-განმარტებათა მიცემა და ურთიერთობების გარკვევა. ამიტომაც მიისწრაფოდა საზღვარგარეთ.

დორნახში გამგზავრების მეორე მიზანი უფრო მნიშვნელოვანი იყო. გასათვალისწინებელია, რომ ბელი ძალზე აზვიადებდა ანთროპოსოფიური მოძრაობის მნიშვნელობასა და გავლენიანობას. მას ეგონა, რომ საზოგადოდ, ანთროპოსოფებისგან და, კერძოდ, რუდოლფ შტაინერისგან ბევრი რამ იყო დამოკიდებული მსოფლიოში; სურდა მოეთხრო თავისი ძმების - ანთროპოსოფებისა და მათი ხელმძღვანელისთვის ("რომლის მხარზეც ოდესღაც თავი მიიდრიკა") რუსეთის მძიმე სულიერი "შშობიარობისა და მრავალმილიონიანი ხალხის ტანჯვა-წამების შესახებ. ის საკუთარ მისიად მიიჩნევდა, მათთვის თვალი აეხილა რუსეთზე, თავისთავს კი ანთროპოსოფიურ მოძრაობაში რუსეთის მიერ წარგზავნილ დესპანად თვლიდა. შესაძლოა, ამ მისიას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭოთ, მაგრამ ბელი სხვაგვარად ფიქრობდა, ჩვენთვის კი მთავარია ბელის ფსიქოლოგია.

მერე რა მოხდა? პირადი მიზეზების გამო დორნახელებმა მას არა მარტო არაფერი განუმარტეს, არამედ - ქედმაღლურად, საჯაროდ და გამომწვევად შეურაცხყვეს კიდეც. რაც შეეხება "წარგზავნილობას", აღმოჩნდა, რომ დ-რ შტაინერსა და მის გარემომცველ ადამიანებს, უბრალოდ, არ აინტერესებდათ იმგვარი უმნიშვნელო თემა, როგორისაც რუსეთის ბედ-იღბალი წარმოადგენდა. შესაძლოა, შატინერს სხვა მიზეზებიც ჰქონდა: ალბათ, ის ვარაუდობდა (და სამართლიანადაც), რომ ბელი სულაც არ აიგივებდა რუსეთსა და ბოლშევიკებს; საქმე კი რაპალოს მოლაპარაკებებისკენ მიდიოდა... ასეა თუ ისე, დორნახმა გადაწყვიტა ბელის მისიის იგნორირება, თვით შტაინერი კი აშკა-

რად თავს არიდებდა მასთან შეხვედრას (ვიმეორებ, არა მარტო პოლიტიკური მიზეზების გამო). ბოლოს, ბერლინში ბელიმ რომელიღაც შეკრებაზე შტაინერი დაინახა, მივარდა და გაიგონა ხაზგასმულად ობივატელური, მამობრივ-დაყვავებითი კილოთი დასმული შეკითხვა:

- Na, wie geht's? (როგორ მიდის საქმეები?)

ბელი მიხვდა, რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდა და ღვარძლიანად, ფიცხად მიუგო:

- Scfwierzigkeiten mit dem Wohnungsamt! (საბინაო სამმართველოსთან პრობლემები მაქვს).

და, ალბათ, იმ დღიდან მიჰყო ხელი ლოთობას.

ის ცხოვრობდა ცოსენში, ბერლინის მახლობლად, სასაფლაოსთან, ვილაც მეკუბოვის სახლში. ერთმანეთს შევხვდით 1922 წლის ზაფხულში, როდესაც რუსეთიდან ჩამოვედი. მთლად გაჭაღარავებულიყო. თვალები კიდევ უფრო გამოხუნებოდა.

შემოდგომაზე ბელი ქალაქში გადმოსახლდა და ბერლინის მთელი რუსული მოსახლეობა მისი ისტერიკის ცნობისმოყვარე და ბოროტ მოწმედ იქცა. ეს ისტერიკა, რომლითაც ბევრი ადამიანი დაცინვით ტკბებოდა,გამოიხატებოდა ძირითადად ბერლინის Dielen-ში (საცეკვაო მოედნები) დამთვრალი ბელის ცეკვაში. ამასთან, ის უხეიროდ კი არ ცეკვავდა, არამედ - შემზარავად. ფოქსტროტთა ერთფეროვან ტორტმანში მას საკუთარი "ვარიაციები" შეჰქონდა, რაც მისი ჩვეული განუმეორებლობის დამახინჯებულ ანარეკლს წარმოადგენდა. ბელის ცეკვა შემაძრწუნებელ, ზოგჯერ კი - ურცხვ მიმოდრამად იქცეოდა ხოლმე. ის საცეკვაოდ იწვევდა უცნობ ქალებს. უფრო გაბედულები თანხმდებოდნენ - თანმხლები მამაკაცებისა და საკუთარი თავის გასართობად. სხვები უარს ამბობდნენ - ბერლინში ეს თითქმის შეურაცხყოფაა. ზოგიერთ მათგანს ქმარი ან მამა უკრძალავდა ბელისთან ცეკვას. მთვრალი კაცის ეს როკვა წარმოადგენდა მისი "მე"-ს საუკეთესო ნაწილის სიმბოლურ ქელვას, წაბილწვას, დორნახელებისთვის განკუთვნილ მანჭვას. დორნახი მუდამ ახსოვდა. ნებისმიერი საბაბით იხსენებდა შტაინერს. ერთხელ, როდესაც Untergrund-ით (მეტრო) ვმგზავრობდით, ის უნებურად, სავსებით პრუტკოვისნაირად მოიქცა: გარემომცველთათვის გაუგებარ რუსულ სიტყვებს მეჩურჩულებოდა, ხოლო გერმანულებს - მთელი ვაგონის გასაგონად გაჰყვიროდა. მან მითხრა:

- ძალიან მინდა, წავიდე დორნახში და დ-რ შტაინერს დავუყვირო, ისე, როგორც ქუჩის ბიჭები გაჰყვირიან ხოლმე: "Herr Doktor, Sie sind ein alter Affe!" (ბატონო დოქტორო, თქვენ ბებერი მაიმუნი ხართ!).

ბელი თითქოს ცდილობდა, სულ უფრო დაბლა დაცემულიყო. შესაძლოა, იმედი ჰქონდა, რომ დორნახელები გაიგონებდნენ, მოიხმობდნენ... მაგრამ დორნახი დუმდა და ბელი ძალზე იტანჯებოდა. თავისი წამების ამბავს მთელ ქვეყნიერებას ხმამაღლა უცხადებდა - ხან უხეირო, გენიალურობის იშვიათი ანარეკლებით გასხივოსნებული ლექსების, ხან კი - ურცხვი აღსარებების სახით. სულს აშიშვლებდა ყველას (ზოგჯერ - ოდნავ ნაცნობი ან სრულიად უცნობი ადამიანების, მაგალითად, ტაბლდოტთან მიმჯდარი მეზობლების, ღამით მოლხინე ლოთების, პანსიონის კოპწია მოახლეების, უცხოელი ჟურნალისტების) წინაშე. თითქმის შეუყვარდა ვილაც Mariechen-ი, პატარა ლუდხანის მეპატრონის ნაზი, მფრთხალი ასული. გოგონა მორცხვობდა და ცრემლები ერეოდა, როდესაც ცეკვისას Herr Professor-ი თავისი ძალუმი ტორებით თითებს უმტვრევდა, ხოლო შუალედებში კათხას კათხაზე ცლიდა და ბრდღვინვით, სისინით, წრიპინით უყვებოდა ერთსა და იმავე დახლართულ,გაუგებარ ამბავს. საინტერესოა, რომ ეს ადამიანები, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ, ყურადღების უსმენდნენ ბელის და გრძნობდნენ, რომ გალეშილი Herr Professor-ი ჩვეულებრივი მოკვდავი არ გახლდათ. შინ დაბრუნებისას ის შიშვლდებოდა და კვლავ ცეკვავდა, ცეკვით უმკლავდებოდა თავის უბედურებას. ეს თვეობით გრძელდებოდა. ზოგჯერ ვნანობდი, რომ ეგზომ უშრეტი ფიზიკური ჯანი ჰქონდა: ნეტავ ავად გამხდარიყო, ლოგინად ჩავარდნილიყო.

მას იცავდნენ, უვლიდნენ: ზოგიერთი - ცნობისმოყვარეობის გამო, სხვები - ჭეშმარიტი სიყვარულის კარნახით. იმათგან, ვინც თავდაუზოგავად ზრუნავდა ბელიზე, უნდა დავასახელო ორი ადამიანი: მისი მაშინდელი გამომცემელი ს.გ.კაპლუნი (სუმსკი) და პოეტი ქალი ვერა ლურიე. საუბედუროდ, ბელი მის ყველა, ერთად აღებულ მეურვეზე უფრო ჯიუტი და ძლიერი იყო.

თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით. ზოგჯერ დილიდან გვიან ღამემდე ერთად ვატარებდით დროს. შემოდგომაზე ბერლინში ჩამოვიდა ნინა პეტროვსკაია, თვითონაც ნახევრად შეშლილი, ღატაკი, დაბერებული, გაძვალტყავებული, დაკოჭლებული. 8 ნოემბერს, ზუსტად იმ თარიღის წინა დღეს, როდესაც მისი გამგზავრებიდან თერთმეტი წელი შესრულდა, ისინი ჩემთან შეხვდნენ ერთმანეთს, ერთად წავიდნენ და საღამო ერთად გაატარეს. ორივე უკმაყოფილო დარჩა. თავდავიწყებასაც კი ვერ მიაღწიეს, უბრალოდ, მოსწყინდათ ერთმანეთთან. ეს იყო "რენატას" უკანასკნელი ამქვეყნიური შეხვედრა "ცეცხლოვან ანგელოზთან". ამის შემდეგ მათ ერთმანეთი აღარ უნახავთ.

ნოემბრის შუა რიცხვებში ბერლინიდან ორი საათის სავალზე დავსახლდი. ბელი სამი-ოთხი დღით, ზოგჯერ კი - მთელი კვირით შემომეკედლებოდა ხოლმე. მუშაობდა - გასაოცრად შრომისუნარიანი იყო. დღის განმავლობაში ზოგჯერ ერთ ნაბეჭდ თაბახს ავსებდა. ხელნაწერები თან მოჰქონდა. დღისით წერდა, საღამოობით კი გვიკითხავდა დაწერილს. ეს იყო მოგონებები ბლოკის შესახებ, რომლებიც საწყისი თემის საზღვრებს გასცდა და იქცა, საზოგადოდ, მოგონებებად სიმბოლისტურ ეპოქაზე. სათაურის შესახებ ერთად ვმსჯელობდით. ბოლოს შევჩერდით ნ.ნ.ბერბეროვას მიერ შემოთავაზებულ სახელწოდებაზე: "საუკუნის დასაწყისი".

ხანდახან თავს ვერ იკავებდა და ლოთობდა, შემდეგ კი უთავბოლოდ მიყვებოდა თავისი ცხოვრების შესახებ. წინამდებარე სტატიაში მის ნაამბობს არ მოვიყვან, რადგან ამგვარ მომენტებში ბელი სიმართლესა და ფანტაზიას ერთმანეთში ურევდა. მისი ლაპარაკი იმდენად მღლიდა, რომ ხშირად აღარ მესმოდა, რაზე მესაუბრებოდა. მაგრამ ის თვითონაც ვერ ამჩნევდა თანამოსაუბრეს. არსებითად, ეს მონოლოგები იყო. ამბის დასრულებისას ბელი მყისვე ივიწყებდა მონათხრობს და თავიდან იწყებდა მოყოლას. ერთ ღამეს ხუთჯერ გამიმეორა ერთი და იგივე ამბავი. მეხუთედ განმეორების შემდეგ თითოეული თხრობა ორმოც წუთს მაინც გრძელდებოდა) ჩემს ოთახში წავედი და გული შემოლონდა. როდესაც მასულიერებდნენ, ბელი კარს მიმტვრევდა: "შემომიშვით, უნდა გიამბოთ...".

ამასთან, მისმა იმდროინდელმა ისტერიკებმა ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეს მიმახვედრა: ახალმა, ამჟამინდელმა წყლულმა ძველი იარა გაუხსნა, ხოლო ძველი ტკივილი ახალზე უფრო მძაფრი იყო. სწორედ მაშინ დავრწმუნდი: ყოველივე, რაც ბელის სასიყვარულო ამბებში ხდებოდა 1906 წლის შემდგომ, წარმოადგენდა მხოლოდ ძველი, პეტერბურგში მიღებული ჭრილობის მოშუშების მცდელობას.

გაზაფხულზე დაღლა დაეტყო. მწარე ღიმილით ამბობდა: "ცოლი უნდა შევირთო, თორემ მთვრალს, ვინ ჩამაწვენს ლოგინში?". მოსკოვიდან ჩამოვიდა ანთროპოსოფი კ.ნ.ვასილიევა, რომელიც მოუწოდებდა, რუსეთში დაბრუნებულიყო და ანთროპოსოფიურ მოძრაობაში ჩაბმულიყო. ბელი მას ოთახში ტოვებდა, ჩემთან გამოდიოდა და სისინებდა: "უნდა, რომ ცოლად შევირთო". - "კი მაგრამ, თქვენ ხომ თვითონაც გსურთ ცოლის შერთვა?" - "ამ ქალისა - არა!" - გააფთრებით ხრიალებდა ის. - "ჯანდაბამდე გზა ჰქონია! ანთროპოსოფიური ძალუა!".

ის არ მიემგზავრებოდა, თითქოს სურდა, ბოლომდე გამოეცალა სიმწრის ფიალა. 1923 წლის შემოდგომისთვის, მგონი, გამოსცალა - და ბოლო მომენტში, ალბათ, სიგიჟის ზღვარზე მყოფმა, გადაწყვიტა, გამგზავრებულიყო. უპირველეს ყოვლისა, იმისთვის, რომ ჰყოლოდა ადამიანი, ვინც მას,მთვრალს, "ლოგინში ჩააწვენდა". გარდა ამისა, ბელი მიხვდა, რომ ემიგრაციაში არ ჰყავდა და არც ეყოლებოდა აუდიტორია, ხოლო რუსეთში ჯერ კიდევ მოეპოვებოდა მკითხველები. ის მიილტვოდა ანთროპოსოფებისკენ, იმდროინდელი ახალგაზრდებისკენ, რომლებიც ასეთი სიყვარულით აცილებდნენ ორი წლის წინათ საზღვარგარეთ წასასვლელად გამზადებულ ბელის. მაშინ, ერთი ლექციის შემდეგ, მსმენელები აღტაცებით ყვიროდნენ: "გახსოვდეთ, რომ გვიყვარხართ!".

* * *

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთში გამგზავრების წინა პერიოდში ის თითქმის შეურაცხადი გახლდათ. ამასთან, როგორც ხშირად ხდება, შეშლილობაში ცბიერებაც ერია. ბელის ეშინოდა, რომ ემიგრანტებთან და ნახევრადემიგრანტებთან (მაშინ ბევრი იმყოფებოდა ამგვარ მდგომარეობაში) სიახლოვეში დაადანაშაულებდნენ, ამიტომ საზღვარგარეთული კავშირების რღვევას შეუდგა. გააგდო ერთი ქალიშვილი, რომლისგანაც დიდად იყო დავალებული; სრულიად უაზროდ დასწამა ცილი თავის გამომცემელს. საერთოდ, კინკლაობის შემთხვევებს ეძებდა და პოულობდა. სამწუხაროდ, უკანასკნელი უსიამოვნება ჩემთან შემთხვა. მოკლედ აღვწერ ამ ამბავს და არ მოვიყვან ზოგიერთ საინტერესო, მაგრამ - ზედმეტად რთულ დეტალს.

ვიზის მიღებასთან დაკავშირებით ის ხშირად მიდიოდა ბერლინის საბჭოთა დაწესებულებებში. იმდენად უშვერად ლანძღავდა თავის საზღვარგარეთელ მეგობრებს, რომ კომუნისტებიც კი უხერხულობას გრძნობდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ვინმე გ.-მ უამბო ამის შესახებ მ.ო.გერშენზონს, რომელიც ზუსტად იმ დროს, მკურნალობის შემდგომ, აგრეთვე ბრუნდებოდა რუსეთში და ვიზის მიღებას ცდილობდა. გერშენზონს ძალზე უყვარდა ბელი. ის უკიდურესად დაამწუხრა გ.-ს შეტყობინებამ, რომელიც სარწმუნოდ გვეჩვენებოდა, რადგან სიტყვასიტყვით წააგავდა ჩვენ მიერ არაერთხელ გაგონილ ბელის გამონათქვამებს. გერშენზონი ბელიზე გაცილებით ადრე გაემგზავრა, მაგრამ წასვლამდე ვერ მოითმინა და ყოველივე მაუწყა. რაკი ვიცოდი ბორის ნიკოლაევიჩის სულიერი მდგომარეობა, გაჩუმება და მოთმენა ვამჯობინე, მაგრამ საბოლოოდ, ვერ გავუძელი ამ გამოცდას.

რუსი მწერლები იმხანად საერთოდ ტოვებდნენ ბერლინს. ზოგიერთი მათგანი პარიზს მიემგზავრებოდა, სხვები (მათ შორის - მეც) - იტალიაში. ბელის გამგზავრებამდე ათიოდე დღით ადრე საერთო გამოსამშვიდობებელი ვახშამი მოვაწყვეთ. ვახშამზე ბელის ნაცნობმა ერთმა ქალმა მოულოდნელად მიმართა მას: "ბორის ნიკოლაევიჩ, მოსკოვში ძალიან ნუ გაგვლანძღავთ". პასუხად ბელი დაგვპირდა, რომ მოსკოვში ჩვენს მეგობრად და დამცველად დარჩებოდა და მზად იყო "ჯვარცმისთვის". ალბათ, იმ მომენტში თვითონაც ნაწილობრივ სჯეროდა ამისი, მაგრამ ვერ მოვითმინე და ვუთხარი, სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტებთ და ამგვარ "მანდატს" ვერ მოგცემთ-მეთქი. აღშფოთებულმა ბელიმ განაცხადა, რომ ამიერიდან ჩემთან ყოველგვარ ურთიერთობას წყვეტდა, რადგან თურმე მე, ჩემი სკეფსისით, "სიცოცხლის საუკეთესო წამებს ვუწამლავდი და მის უკეთილშობილეს ზრახვებს წინ ველობებოდი". ეს, რა თქმა უნდა, ლიტონი სიტყვები იყო. სინამდვილეში იმიტომ გაცოფდა, რომ ჩემს ჭეშმარიტ აზრებს ჩასწვდა. მიხვდა, რომ ვიცოდი: ის ჩვენთვის სასიკვდილოდ თავს არ გაიმეტებდა, პირიქით...

არსებითად, ბელი სცოდავდა - და ძალიანაც. მაგრამ მეც არანაკლები დანაშაული მიმიძღვის: სიტყვებისა და საქციელისთვის პასუხს ვთხოვდი ადამიანს, რომელიც პასუხისმგებლობის ზღვარს გადაცდა. ჭეშმარიტად, ჩემი მოქმედება მისდამი გულწრფელი სიყვარულით იყო ნაკარნახევი: არ მსურდა მისი შეურაცხყოფა ჩემი შემწყნარებლობით. მაგრამ უნდა მივმხვდარიყავი, რომ საჭირო იყო მხოლოდ სიყვარული - ყველაფრის მიუხედავად. ამას გვიან მივხვდი.

საბჭოთა რუსეთში მის ცხოვრებაზე ბევრი რამ როდი ვიცი. მან მართლაც შეირთო ცოლად კ.ნ.ვასილიევა; გარკვეული ხნის განმავლობაში ანთროპოსოფიურ საქმიანობას ეწეოდა... 1923 წლის ზაფხულში, ყირიმში, მაქსიმილიან ვოლოშინთან სტუმრობისას შეურიგდა ბრიუსოვს. საბჭოთა გამოცემებში მის თხზულებებს თითქმის არ აქვეყნებდნენ. დიდხანს მუშაობდა ავტობიოგრაფიაზე.

ამ ავტობიოგრაფიას თავისებური ისტორია აქვს. ჯერ კიდევ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ბელიმ პეტერბურგში წაიკითხა ლექცია-მოგონებები ბლოკის შესახებ. შემდგომ ეს მოგონებები ორჯერ გადააკეთა და მნიშვნელოვნად გააფართოვა, ხოლო როდესაც ბერლინის ჟურნალ "ეპოპეაში" მოგონებების მეორე რედაქცია დაბეჭდა, მოინდომა მათში სიმბოლიზმის მთელი ეპოქის აღწერა. ბერლინში მან დაწერა მხოლოდ პირველი ტომი, რომლის ხელნაწერი საზღვარგარეთ დარჩა და არ გამოქვეყნებულა, რუსეთში კი შეუდგა თავისი ნაშრომის მეოთხე რედაქციაზე მუშაობას. ბელიმ დაიწყო უფრო ადრეული ეპოქით, თავისი ბავშვობისა და ყრმობის შესახებ თხრობით. ეს ტომი გამოქვეყნდა სათაურით "ორი საუკუნის მიჯნაზე". მას მოჰყვა ლიტერატურული მემუარების პირველი ტომი - "საუკუნის დასაწყისი". აქ ბელიმ განიცადა მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური გარდატეხა. ის ჯერ კიდევ ბერლინში ჩიოდა, რომ ბლოკის შესახებ მოგონებებიდან ამოზრდილი ნაშრომი ზედმეტად აპოლოგე-

ტურ ხასიათს ატარებდა. "ბლოკი მასში შელამაზებულია, სამოვარივით გაკრიალებულია"-ო, ამბობდა. მოსკოვში ამ ხარვეზის შესწორება სცადა, მაგრამ ზუსტად იმ დროს გამოქვეყნდა ბლოკის (ბელისთვის არასახარბიელო) წერილები და მან თავი ვერ შეიკავა - ბლოკის აპოლოგიის ნაცვლად მისი ხსოვნის შებღალვა სცადა.

ამასთან, ბელიმ დაწერა კიდევ ერთი ტომი ("ორ რევოლუციას შორის"), რომელიც გამოქვეყნდა მხოლოდ 1937 წლის ბოლოს, ე.ი. მისი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ. ამ წიგნში მან საბოლოოდ "გააშავა" ბლოკი და კიდევ უფრო უმოწყალოდ გაუსწორდა თავისი ცხოვრების თითქმის ყველა თანამგზავრს. შესაძლოა, ის ფიქრობდა, რომ ბლოკის უარყოფითი პორტრეტის ფონზე სხვა ადამიანებიც მსგავსად უნდა შეეფასებინა, მაგრამ ბელის კარგად ვიცნობდი და მჯერა, რომ აქ მოქმედებდა კიდევ ერთი მიზეზი.

რელიგიისადმი, მისტიკისადმი, ანთროპოსოფიისადმი სიახლოვის გამო ბელის კიცხავდნენ ის ადამიანები, რომელთა შორისაც ახლა ცხოვრობდა და რომელთაგანაც ყოველმხრივ იყო დამოკიდებული. ავტობიოგრაფიაში ყოველივე ეს ნაწილობრივ უნდა შეენიღბა, ნაწილობრივ კი - განსხვავებულ ასპექტში წარმოედგინა. უკვე წინამორბედ ტომში მან აშკარად მიაგნო გარკვეულ იდეურ ფანდებს და ახლა, "ორ რევოლუციას შორის" განვლილი ეპოქის შესახებ საუბრისას, არა მარტო ბოლშევიკების, არამედ - საკუთარი თავის წინაშეც (რაც მისთვის ძალზე დამახასიათებელი იყო) იკისრა ძველი, მტკიცე, შეგნებული არა მეამბოხის, არამედ - მარქსისტის ან თითქმის მარქსისტის, "კაპიტალიზმის ჰიდრასთან" თავგადადებული მებრძოლის როლი. ამასთან, მისი პირადი და სამწერლო ბიოგრაფიის ობიექტური და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები არ შეესაბამებოდა ამგვარ კონცეფციას. ნებისმიერ ბოლშევიკს შეეძლო, ესაყვედურებინა მისთვის, რომ ის არ ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას და რომ სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი მომაკვდინებელი ცოდვა პროლეტარიატის წინაშე და თუ ავტობიოგრაფიულ რომანში ბელი თავის ფარულ დანაშაულს მამის წინაშე აბრალებდა იდუმალ დემონურ წამქეზებლებს, ახლა მთელ თავის სიცოცხლეს ასახავდა როგორც გარემომცველ ადამიანებთან გამუდმებულ ბრძოლას, რადგან ისინი თითქოსდა აცდენდნენ მას რევოლუციური გზიდან. რაც უფრო ახლო იყო მისთვის ესა თუ ის ადამიანი, მით უფრო აუცილებელი იყო მისი წარმოდგენა იდუმალი მტრის, მოღალატის, პროვოკატორის, კაპიტალიზმის დაქირავებული აგენტის სახით. მან შეიწყალა მხოლოდ საბჭოთა რუსეთში ამჟამად მცხოვრები რამდენიმე ადამიანი. ისინი რომ საზღვარგარეთ ყოფილიყვნენ, იგივე ბედი ეწეოდათ. და თუ ადრე ბელი მიმართავდა თავისი რომანების გმირის გარემომცველ პირთა დემონიზებასა და კარიკატურიზებას, ახლა კარიკატურული და დემონური იერით აღჭურვა თავისი ყოფილი მეგობრები. მისმა შესანიშნავმა ნიჭმა აქაც იჩინა თავი: ყოველი მათგანი წააგავს თავისთავს, მაგრამ კიდევ უფრო "პეტერბურგის" ან "მოსკოვი საფრთხეში"-ს პერსონაჟებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ბელი მუშაობდა ჭეშმარიტი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი აღმაფრენით და თვითონაც, სულის ერთი ნაწილით, სჯეროდა იმისი, რასაც წერდა. ბოლშევიკებს არ გააჩნდათ საკმარისი მხატვრული ალღო. სხვა შემთხვევაში ისინი ეტყოდნენ ბელის, რომ მისი კვაზისტორიული რომანები სინამდვილეში ფანტასტიურ ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ, რადგან მათში არარეალური პერსონაჟები არარეალურ გარემოში მოქმედებდნენ და რომ ასევე ფანტასტიურია მისი ავტობიოგრაფიაც. მეტიც: მათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ ბელიმ საბოლოოდ ამხილა თავი, როგორც გამოუსწორებელმა მისტიკოსმა, რადგან არა მარტო შეთხზა, შეცვალა, თავდაყირა დააყენა ფაქტებიცა და პერსონაჟებიც, არამედ - მთელი მისი ცხოვრება წარმოადგინა არა როგორც კაპიტალიზმის დაქირავებულ აგენტებთან რეალური ბრძოლა, არამედ - როგორც დემონებთან შერკინება. ბელის ავტობიოგრაფია "აუხდენელი მოვლენების სერიაა", ისევე, როგორც მისი ავტობიოგრაფიული რომანები.

სულაც არ მინდა ვთქვა, რომ რევოლუცია მისთვის შინაგანად მიუღებელი იყო. მაგრამ, ბლოკისა და ესენინის მსგავსად, მას ისე არ ესმოდა რევოლუცია, როგორც ბოლშევიკებს და მისთვის მისაღები არ იყო სწორედ რომ ბოლშევიკური რევოლუცია. თუმცა, ეს საგანგებო, რთული და არა სამეშუარო თემაა.

როგორც ცნობილია, ის გარდაიცვალა 1934 წლის 8 იანვარს, მზის დარტყმის შედეგად. ამიტომაც ითხოვდა სიკვდილის წინ, რომ მისთვის წაეკითხათ მისივე ძველი ლექსი:

ოქროს ელვარება მიყვარდა, მჯეროდა,
დღენი კი მზის ისრებმა დამილია,
საუკუნეებს ვუწვდინე მზერა და
ვერ შევძელ, ცხოვრება გამელია.

ამ წინასწარმეტყველური სტრიქონების უკანასკნელად მოსმენისას ბელის, ალბათ, არ გაახსენდა, რომ ისინი ოდესღაც ნინა პეტროვსკაიას მიუძღვნა.

პარიზი, 1934-1938

თარგმნა
თამარ ლომიძე

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტოფერ მიდლტონი

# რობერტ ვალზერის რომანის, „იაკობ ფონ გუნტენის“ წინასიტყვაობა

1969 წლის გამოცემა

„იაკობ ფონ გუნტენი“ ერთ-ერთი იმ რამდენიმე ნაწარმოებთაგანია, რომელმაც თავის დროზე გერმანული მხატვრული ლიტერატურის სამყარო გარდაქმნა. იგი არც ერთ გერმანულ რომანს არ ჰგავს და ასევე არ ჰგავს არც ერთ რომანს ევროპული ლიტერატურიდან. მინდა შეგახსენოთ, რომ გერმანული რომანი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ათასგვარი ფორმისა და ზომის შრომების კომპენდიუმს. ამიტომაც არ გამოუწვევია გაოცება დღიურის ფორმით დაწერილი „იაკობ ფონ გუნტენის“ გამოჩენას ქვესათაურით - "Ein Tagebuch". იმ დროს, როცა ეს რომანი იწერებოდა (1908 წ.). დღის წესრიგში იდგა ჩვეული ტლანქი სარომანო ფორმისათვის უფრო კომპაქტური და რაფინირებული ფორმის მიცემა. თუკი უწინდელ რომანებში შინაგანი მონოლოგი (ინტროსპექციასთან ერთად) ერთ-ერთი ელემენტი იყო მრავალთაგან, ახლა იგი დამოუკიდებელი და ამასთან, ანალიტიკურიც გახდა. გამომდინარე აქედან, „იაკობ ფონ გუნტენს“ შეიძლება ანალიტიკური მხატვრული მონოლოგი ეწოდოს. მართალია, შეფასება საკმაოდ მაღალფარდოვნად ჟღერს, მაგრამ ეს წიგნი სინამდვილეში ძალიან ჩამოჰგავს კაპრიჩიოს არფის, ფლეიტის, ტრომბონისა და დასარტყმელი ინსტრუმენტებისთვის.

იმ დროის სამი სხვა მწერლის მხატვრული ქმნილებები თვალსაჩინოს ხდის, კონკრეტულად როგორ ტრანსფორმირდებოდა რომანი. ესენია: მუზილის "Toerless" (1906 წ.), კარლ აინშტაინის "Bebuquin" (1909 წ.) და რილკეს „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“ (1910 წ.). ყველა ჩამოთვლილი წიგნის გმირი გაფაციცებით იკვლევს თავისი გონების ცალკეულ, საშიშ და ლოკოკინას ნიჟარასავით მყიფე სფეროებს; მისეული უნაზესი აღქმის კვალობაზე წარმოაჩენს გრძნობებისა და იმპულსების ცვალებად „შინაგან სამყაროს“ და იმ პირველყოფილ იდუმალ რეალობას ეძიებს, რომელიც სადღაც შუაშია დავანებული მუდმივი საფრთხის ქვეშ მყოფ შინაგან სამყაროსა და ტლანქ და მოუწესრიგებელ გარემომცველ სამყაროს შორის. მსგავსი ძიებები სტრინდბერგმა 1896 წელს წამოიწყო პარიზში, როცა გამოსცა თავისი „ინფერნო“. კაფკამ 1910 წელს დაიწყო დღიურების წერა (იგი სულ მალე გახდა აბსურდის დიდოსტატი). როგორც ცნობილია, ამ დროს იგი ვალზერის პროზას უკვე იცნობდა და სათანადოდაც აფასებდა მას. გერმანული ლიტერატურისთვის ოთხწლიანი პერიოდი (1906-1910 წწ.) რევოლუციური გარდატეხის ჩამოყალიბების პერიოდი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, მისი მასაზრდოებელი სული ერთმანეთისგან დამოუკიდებლად კრისტალდებოდა რამდენიმე მწერლის წარმოსახვაში. პარიზში ეს იყო რილკე, ხოლო ბერლინში - მუზილი, აინშტაინი და ვალზერი, პრაღაში კი - კაფკა. ეს ქალაქები შუაგულ ევროპაში სწორი მართი კუთხით უკავშირდებიან ერთმანეთს. მათგან მოშორებით, კონსტანსის ტბასთან ცხოვრობდა კიდევ ერთი მწერალი, რომელსაც მოგვიანებით მოუწევდა შინაგანი მონოლოგის საკუთარი, განსხვავებული სახით გამოხატვა (ისიც აღფრთოვანებული იყო ვალზერით). ეს მწერალი ჰერმან ჰესე გახლდათ.

მაგრამ ვალზერის დასახასიათებლად და მისი მნიშვნელობის განსასაზღვრად რაღაც „ისტორიული



ტენდენციების“ მოხმობა და მათ ფონზე მისი ნაღვაწის განხილვა არ იქნება საკმარისი. იგი შესაძლოა აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი დროის ერთ-ერთი ბრწყინვალე და დახვეწილი მწერალია. მწერლის ენა, თავისი არალიტერატურულობის გამო, მეტად თავისებურია (სხვანაირად რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ ინტენსიურობას? როცა ლიტერატურაში წარმოსახვის ახალი სახესხვაობა იკიდებს ფეხს, ჩვეული რიტორიკა იდევნება და მის ადგილს რიტორიკაზე უფრო ნაზი და მგრძნობიარე რამ იჭერს, როგორც ჰანს არპი ამბობს - “უსასრულობა ამ მიწაზე ფეხშიშველი მოდის“). არ იქნებოდა მართებული, ვალზერისთვის ინტელექტუალური მწერალი გვეწოდებინა იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს ითქმის ჰოფმანსტალზე, თომას მანსა თუ კაფკაზე. ერთხელ ბერლინში მან ასეთი რამ უთხრა ჰოფმანსტალს: “ნუთუ არ შეგიძლიათ დაივიწყოთ, თუნდაც წამიერად, რომ სახელმანთქმული ადამიანი ხართ?“ ვალზერის ნაწერები მისი მწერლური მოწამეობის ბოლომდე ინარჩუნებენ ექსცენტრულობას, ისეთსავე გაწონასწორებულსა და მასხრულად სერიოზულს, როგორც ანრი რუსოს სურათები. ზემოთ ნახსენები ტენდენციების ფონზე ვალზერი აშკარად გამოკვეთილი ფიგურაა. იგი “უსწავლელია“, ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობით, და ჩანს “პრიმიტივის“ სიახლოვე. მის პროზაში არის არა დახშული კარი, არამედ რეალობასთან დამაკავშირებელი სინათლის ხიდი. არც ისაა შემთხვევითი, რომ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მისი მოღვაწეობა თითქმის სრულად ემთხვევა იმ პერიოდს, როცა დასავლეთში აღიარეს “ნაივური“ ხელოვნება; როგორც წერის ტექნიკის სასწაული, როგორც ამ სასწაულის აღმოჩენა ეგზოტიკურ სიზმრებსა თუ ყველაზე ბანალურ საგნებშიც კი (რომლებიც სრულიად თავისუფლად განიცდიან სახეცვლილებას) - როგორც ახალი და ხალისიანი მეტაფორა ძველისძველი ცივილიზაციისთვის, როგორც განახლებული ენერგია ჰამლეტის მიმდევრებისთვის.

ვალზერი 1878 წელს დაიბადა ცენტრალურ შვეიცარიაში, ბილში. მწერლის მამას - ადოლფს პატარა სამკაზმაო სახელოსნო ჰქონდა საკანცელარიო საქონლისა და სათამაშოების დუქნითურთ. დედა - ელიზა მარტი შანგნაუში სოფლის მჭედლის ოჯახში გაიზარდა. ბაბუა - იოჰან ულრიხ ვალზერი (1798-1866) 1837 წლამდე ლიბერალურ-უტოპიური შეხედულებების მქონე მეტად მჭერმეტყველი პასტორი იყო. შემდეგ ჟურნალისტობას მიჰყო ხელი და საკუთარი გაზეთიც გამოსცა - “Das Basellanschaftliche Volksblatt“. ადოლფსა და ელიზას რვა შვილი ეყოლათ: ოთხი ვაჟი, შემდეგ გოგონა, კიდევ ორი ვაჟი და ბოლოს ისევ გოგონა. მათგან სამი ვაჟი შემდეგში ცნობილი ადამიანი გახდა. რიგით მეორე, გერმანი (1870-1916) გეოგრაფიის პროფესორი იყო ბერნის უნივერსიტეტში, ხოლო კარლი (1877-1942) - თავისი დროის ცნობილი თეატრალური მხატვარი და წიგნის ილუსტრატორი (იაკობ ფონ გუნტენის აღწერით იგი თავისი ძმის პროტოტიპად გვევლინება). შესანიშნავი პიროვნება იყო ლიზაც (1874-1944). მას შემდეგ, რაც დედას გონება აერია, ლიზა უძღვებოდა საოჯახო მეურნეობას. მოგვიანებით ბიძამისის (ფრიდრიხ ვალზერის - ბაზელის არქიტექტორის) ფინანსური დახმარებით ბერნის სემინარია დაამთავრა და მასწავლებელი გახდა. სწორედ ამ თავისებურ, მაგრამ მშვენიერ შინაბერა ქალს მიმართავდა ხშირად რჩევისთვის ვალზერი. მან თოთხმეტი წლის ასაკში მიატოვა სკოლა და რამდენიმე ხანს კლერკად მუშაობდა ბანკში. შემდეგ, 1895 წელს შტუტგარტში ჩავიდა და გამომცემლობაში მოეწყო სამუშაოდ (თუმცა, სურვილი ჰქონდა მსახიობი გამხდარიყო). 1896 წლის შემოდგომაზე ციურიხს ეწვია. მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში ციურიხსა და აღმოსავლეთ შვეიცარიის რამდენიმე სხვა ქალაქში შემთხვევითი სამუშაოებით ირჩენდა თავს. მისი პირველი ლექსები 1898 წლის მაისში დაიბეჭდა ბერნის გაზეთში - “Der Bund“. ამის შემდეგ სულ მალე ციურიხში იგი გაეცნო ელეგანტურ ლიტერატორს ფრანც ბლაის, რომელიც ასე იხსენებს მას: “მაღალი, საკმაოდ გაუთლელი ჭაბუკი დაუვარცხნელი ღია ფერის თმის ბულულის ქვეშ ძვლიანი, მოწითალო-მოწაბლისფრო სახით, მონაცრისფრო-მოცისფრო მეოცნებე თვალებით და პიჯაკის მეტისმეტად მოკლე სახელოდან გამოყოფილი დიდი, ლამაზი ხელებით. მას ვერაფერი მოუხერხებია ამ ხელებისთვის და თვალში საცემი რომ არ იყოს შარვლის ჯიბეში ჩაუწყვია“. ამ პერიოდში დაიწყო ვალზერმა თავისი პირველი პროზაული ნაწარმოებების წერა, სადაც უმცროსი მოხელე (commis) ბედუკუღმართი ადამიანის განსაკუთრებული ნაირსახეობის როლში გამოდის. უიღბლო კლერკი ის ფიგურაა, რომლითაც საგანგებოდ იყო დაინტერესებული ახალგაზრდა კაფკა პრაღაში. ამ პერიოდში ორჯერ ეწვია ვალზერი მიუნხენს (1899 და 1901 წწ.). ახალი ჟურნალის (Die Insel“) ირგვლივ შემოკრებილი მწერლები - ოტო იულიუს ბირბაუმი, ალფრედ ვალტერ ჰაიმელი და რუდოლფ ალექსანდრ შროდერი დაინტერესდნენ მისი შრომებით და გამოაქვეყნეს ლექსები, რამდენიმე პროზაული ტექსტი და რამდენიმეც ლექსად დაწერილი დრამატული მინიატურა. ვალზერის პირველი წიგნი “Fritz Kochers Aufsaetze“ გამომცემლობა “ინსელ ვერლაგმა“ გამოსცა 1904 წელს კარლის ილუსტრაციებით. წინა, 1903 წელს ვალზერი ციურიხთან ახლოს, ვედენსვილში მუშაობდა ხელმოცარული გამომგონებლის კარლ დუბლერ-გრასელის თანაშემწედ. ამან შეუქმნა ფონი მის მეორე რომანს - “Der Gehuefle“ (1908 წ.). რაც შეეხება პირველ რომანს - “Geschwister Tanner“ (1906 წ.), იგი უთავბოლო იმპრესიონისტული მონათხრობია აღმოსავლეთ შვეიცარიაში მწერლის ხეტიალის შესახებ და ლიზასა და კარლთან მის ურთიერთობას ასახავს. 1905 წლის გაზაფხულზე ვალზერი ბერლინში გადადის. თავიდან იგი კარლთან დაბინავდეება შარლოტენბურგში. კარლი იმ დროისთვის უკვე საკმაოდ ცნობილი იყო, როგორც წიგნების ილუსტრატორი. გაფორმებული ჰქონდა მაქს რეინჰარდტის სპექტაკლებიც. ძმების ურთიერთობა პერიოდულად თბილი და მეტად ახლობლური იყო, მაგრამ ხანდახან დაიძაბებოდა ხოლმე. ორივე მაღალი და ძლიერი მამაკაცი იყო თავ-თავისი უცნაურობებით. მათი ანგლობა კეთილშობილ ბერლინელთა საზოგადოებაში ზედმეტად “ბუკოლიკურად“ ჟღერდა. ხშირად თავმობეზრებული მასპინძელი ძალით ჩასვამდა მათ ტაქსში და რომ ეგონა თავიდან მოიშორა და შინ გაისტუმრა, ისინი სხვა კარიდან ისევ გამოეცხადებოდნენ. როცა კარლი გაემგზავრა, ბინის ბატონ-პატრონად რობერტი დარჩა კარლის ფისოსთან ერთად. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მარტოობის დროს ექვს დღეში დაწერა პირველი რომანი (“Geschwister Tanner“). იკვებებოდა მხოლოდ თევზით და მასაც სანახევროდ კატა უჭამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერი კრისტიან მორგენშტერნმა წაიკითხა და გამომცემელ ბრუნო კასირერთან კარგი რეკომენდაცია გაუწია. იგი წერდა, რომ ვალზერი "სამყაროს უსასრულო სასწაულად აღიქვამს" (თავად ვალზერს კი სწერდა, რომ ნაწარმოები არათანაბარია). მანამდე, ბერლინში ახალჩამოსული ვალზერი მსახურთათვის განკუთვნილ სკოლაში დადიოდა. 1905 წელს კი სილეზის შატოში მუსიე რობერთან მსახურთუფროსად მუშაობდა. მოგვიანებით დაწერილ მოთხრობაში - "ტობოლდ" - იგი იხსენებს როგორი სასიამოვნო იყო სპარსულ ხალიჩებზე სიარული, როცა საღამოობით ანთებული ლამპები შეჰქონდა მყუდრო ოთახებში. რომან "იაკობ ფონ გუნტენში" ბენიამენტის ინსტიტუტის საფუძველი სწორედ მსახურთა სკოლამ შექმნა. მსახურის როლი თავად ვალზერის განცდებს შეესაბამებოდა - ელემენტარულ შემთხვევებსა და პაწაწკინტელა პირად გრძნობებს, რომელთაც იგი "ჭეშმარიტ ჭეშმარიტებებს" უწოდებდა. მისი ერთ-ერთი პირველი თაყვანისმცემელი მაქს ბროდი სამართლიანად ამბობდა: "ნიცშეს შემდეგ ვალზერი უნდა მოსულიყო". ან როგორც თავად ვალზერი შენიშნავს: "ღმერთი - რომდენის საპირისპიროა".

ბერლინურ პერიოდში (1905-1913) ვალზერი განუწყვეტლივ წერდა მცირე ზომის პროზას. მრავალი მათგანი ლიტერატურული ჟურნალისთვის განკუთვნილი ფელეტონი იყო. მინიმალურ გასამრჯელოს იღებდა. 1908 წლამდე ფინანსურ მხარდაჭერას ბრუნო კასირერი უწევდა. შემდეგ ინდოეთში მოგზაურობა შესთავაზა. ვალტერ რატენაუ სამუშაოს საძებნელად სამოაზე წასვლას ურჩევდა, ხოლო გამომცემელი სემი ფიშერის აზრით ჭკვიანური იქნებოდა, თუ პოლონეთსა და თურქეთში გაემგზავრებოდა. მაგრამ ყველა ამ წინადადებას ვალზერმა უარით უპასუხა. "Geschwister Tanner"-ში სიმონი ამბობს: "მე აქ ვრჩები. ხომ დიდებულია - უბრალოდ დარჩე. განა ბუნება მიდის საზღვარგარეთ? განა მოგზაურობენ ხეები, რათა უცხო მხარეში უფრო მწვანე ფოთლებით შეიმოსონ, ხოლო დაბრუნების შემდეგ თავი მოიწონონ იმით?" მისი მცირე ზომის პროზა თავმოყრილია წიგნებში "Aufsaetze" (1913), "Geschichten" (1914) და "Kleine Dichtungen" (1914). ყველა ეს წიგნი დაბეჭდა იმ დროს ლიტერატურული ავანგარდის წამყვანმა გამომცემელმა კურტ ვოლფმა. ირკვევა, რომ იმ პერიოდში ვალზერმა კიდევ სამი რომანი დაწერა, მაგრამ ჩვენამდე არც ერთს არ მოუღწევია. ბერლინური პერიოდი უკიდურესი სიღარიბით დასრულდა. მისი იქაური ცხოვრების სურათები თვალწინ ცოცხლდება მოთხრობა "ფრაუ ვილკეს" (წიგნიდან - "გასეირნება და სხვა მოთხრობები", ლონდონი, 1957 წ.) კითხვისას: დანგრეული ოთახის ნახვის შემდეგ მდიდარი წარმოსახვის წყალობით შეიძლება წარმოიდგინო, რომ იგი ოდესღაც გრაფის თუ ბარონის საცხოვრებლად ვარგისი იყო. 1909 წელს დაიბეჭდა მისი ლექსები ("Gedichte") და რომანი "იაკობ ფონ გუნტენი". მაგრამ არც ამ ფაქტს შეუცვლია დიდად მისი მატერიალური მდგომარეობა. ვერც სამხატვრო გალერეაში მდივნად მუშაობამ მოუტანა კეთილდღეობა. იმდროინდელი ექსპრესიონისტების ჯგუფი, როგორც ჩანს, არ იცნობდა ვალზერს, რადგან არც ერთი მათგანი - იაკობ ფონ ხოდისი, გეორგ ჰაიმი, ფრანც პფემფერტი, კურტ ჰილერი, ფრანც ვერფელი, ჰერბერტ ვალდენი, იოჰანეს ბეხერი - არაფერს ამბობს მის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც გამომცემელ კურტ ვოლფთან ბეჭდავდნენ თავიანთ ქმნილებებს. ამ დროს, მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ ალბერტ ლიხტენშტეინთან. ლიხტენშტეინის პროზისთვისაც დამახასიათებელი იყო ვალზერისებური უკუღმართი ირონია.

1913 წლის გაზაფხულზე ვალზერი ბერლინს ტოვებს და შვეიცარიაში ბრუნდება. მომდევო შვიდ წელიწადს ბილსა და მის შემოგარენში ატარებს. თავიდან იგი თავისი დის, ლიზას სამოთახიანი ბინის ერთ ოთახში დაბინავდება და განმარტოებულ ცხოვრებას ეწევა. თითქმის არავისთან აქვს ურთიერთობა ლიზასა და მისი მეგობრის, ფრიდა მერმეტის გარდა. სულ მალე ფრიდასთან თავადაც კეთილგანწყობილი და მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდება. იმ პერიოდში გამოსცემს ოთხ წიგნს, სადაც მცირე პროზასთან ერთად შეტანილია შედარებით დიდტანიანი ნაშრომი "Der Spaziergang" (1917 წ.) და ოთხი დრამატული მინიატურა "Komoedie" (1919 წ.). ეს ის დროა, როცა გაძნელებული იყო გერმანელი გამომცემლის პოვნა, ამის მიზეზი ძირითადად, ალბათ, მიმდინარე ომი იყო. შემდეგში, დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა პანსიონის ("Hotel zum blauen Kreuz") სხვენის ოთახში. მასთან სტუმრად ნამყოფი ერნსტ ჰიუბახერი ასე აღწერს მის ოთახს: "იქ იდგა მხოლოდ საწოლი, მაგიდა და სკამი, კედელზე ევროპის იაფფასიანი რუკა იყო გაკრული". ვალზერს ტანთ სამხედრო შინელი, ხოლო ფეხზე ძველმანებისგან საკუთარი ხელით მოჯღანული ფლოსტები ეცვა.

1920 წელს არქივარიუსად მოეწყო ბერნში, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ მიატოვა ეს საქმე, საცხოვრებლად კი ისევ ბერნში დარჩა. იმ დროს მუშაობდა რომანზე, სახელწოდებით "თეოდორი", რომელიც, სამწუხაროდ, არ შემონახულა (მეორე რომანი "ტობოლდი"-ც დაიკარგა თუ გაანადგურეს, უცნობია). ბერნის პერიოდის (1920-1929 წ.წ.) პროზა ძალიან რთულია. ჩვენამდე მოაღწია 1925 წელს ბერლინის გამომცემლობა "როვოლტის" მიერ გამოცემულმა წიგნმა "Die Rose". ამას გარდა, არსებობს უამრავი მცირე ზომის პროზაული ნაშრომი, რომლებიც დროდადრო გამოანათებდნენ ციურიხის, ბერლინისა და პრაღის ჟურნალ-გაზეთებში. იმ პერიოდს ემთხვევა მნიშვნელოვანი სტილისტური და თემატური ცვლილებები. მისი სტილისტური გამომგონებლობა მაქსიმალურ ნაწყვეტ-ნაწყვეტობასა და გასაოცრად დახვეწილ არაბესკებს შორის ვარირებს. ამას გარდა, მის პროზაში ილანდება ფარული კონფლიქტი სპონტანურად "პრიმიტიულ" ვალზერსა და ირონიულ თვითანალიტიკოს ვალზერს შორის, რომელიც ფსიქიურად გაუწონასწორებელია და კოშმარები ტანჯავს. რედაქტორ იოჰენ გრევენის სკრუპულოზური შრომის შედეგად უამრავი პრობლემის გადაჭრა გახდა შესაძლებელი ("Festzug"-ში, "Qesamtwerk"-ის მეშვიდე ტომში, 1966 წ.). პრობლემებში იგულისხმება მიკროსკოპული კალიგრაფიით დაწერილი რვაასამდე პროზაული ფრაგმენტისა და დიალოგის გაშიფვრა და დათარიღება. ვალზერის ხელნაწერი მართალია არც დაშიფრული იყო და არც სტენოგრაფიული ჩანაწერი, როგორც ზოგ მკვლევარს მიაჩნდა, მაგრამ მისი წაკითხვა საგანგებო ძალისხმევას და ყურადღებას მოითხოვდა.

როგორც იოჰენ გრევენმა გაარკვია, ამ უჩვეულო ხელნაწერთაგან სამასი უკვე დაბეჭდილი ან ნორმალურად გადაწერილი ტექსტების ვერსიებია, დანარჩენი ხუთასი ტექსტიდან ნაწილის იდენტიფიცირება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერ მოხერხდა, ხოლო ნაწილის გაშიფვრა შეუძლებელი გახდა. გრეველი ირწმუნება, ამგვარი კალიგრაფია არ არის იმის დასტური, რომ ვალზერს ფსიქოზი ტანჯავდა. უბრალოდ, იგი ყველა თავისი ნაშრომის შავ ჩანაწერს ასე წერდა ბილიდან მოყოლებული.

ბერნში ცხოვრების დარჩენილი ნაყოფიერი წლები საკმაოდ მძიმე გამოდგა ვალზერისთვის. თავისი მეგობრები - ფრიდა მერმეტი, რეზი ბრეიტბახი და სხვანი ეხმარებოდნენ ხელნაწერების გადათეთრებაში. იგი მუდმივად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, ხშირად მიემგზავრებოდა ფეხით ხანგრძლივ ლაშქრობებში და... განუწყვეტლივ წერდა. მის მიერ დაწერილ ისტორიებში უამრავი ბნელი ლაბირინთია. ბერნის ქუჩებში სეირნობისას გამვლელები მასზე დაუფარავად უთითებდნენ და ერთმანეთს ხმამაღლა ეუბნებოდნენ: “ამ კაცის ადგილი საგიჟეშია“. შვეიცარიის უნიათო ლიტერატურული საზოგადოება ამაოდ ცდილობდა ვალზერის თავისკენ მიზიდვას, ვერაფრით შეძლო მისი სიჯიუტის დაძლევა. მკითხველთა მხრიდან კი მწერალი მხოლოდ აპათიას გრძნობდა. ამ დამოკიდებულების გამოსწორება ვერც ისეთი რედაქტორების თავდადებით მოხერხდა, როგორებიც იყვნენ მაქს რიხნერი ციურიხში და ოტო პიკი პრალაში. ვალზერი სრულიად მარტო იყო დარჩენილი ყოველგვარი საარსებო წყაროს გარეშე. ერთი-ორჯერ თვითმკვლელობის მცდელობაც კი ჰქონდა. 1929 წელს ლიზამ, როგორც იქნა, შეძლო მისი დაყოლიება და ვალზერი საკუთარი ნებით დაწვა ფსიქიატრიულ კლინიკაში. 1933 წელს იგი გერისაუს (აპენცელის კანტონი) თავშესაფარში გადაიყვანეს. ეს ცვლილებაც უსიტყვო მორჩილებით მიიღო. 1936 წლის ივნისში ვალზერი შვეიცარიელმა მწერალმა კარლ ზელიგმა ინახულა. ამ დღიდან მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდა მათი მეგობრობა და ხანგრძლივი სეირნობები. 1944 წელს ზელიგი ვალზერის ლეგალური მეურვე გახდა და მასზე ფინანსური მზრუნველობაც იტვირთა. მათი საუბრები შეტანილია ზელიგის წიგნში “Wanderungen mit Robert Walser“ (1957 წ.). ამის შემდეგ ვალზერს შეგნებულად არაფერი დაუწერია (“აქ ვარ არა იმიტომ, რომ ვწერო, არამედ იმიტომ, რომ შეშლილი ვიყო“), მაგრამ გასაოცარ მეხსიერებას ამჟღავნებდა, თუ საქმე ლიტერატურას შეეხებოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა ეს იყო ფრანგული, გერმანული, რუსული თუ ინგლისური ლიტერატურა. მისი ცალკეული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ვალზერი ძალიან განიცდიდა საკუთარ შემოქმედებით უიღბლობას. მიაჩნდა, რომ მისი შემოქმედება, როგორც მეტისმეტად უმნიშვნელო ხელოვანისა, ბუმბერაზი ავტორების ჩრდილში მოექცა. ისეთებისა, რომელთაც “იმპერიალისტებს“ უწოდებდა და თომას მანის მსგავსნი იგულისხმებოდა. ვალზერი 1956 წლის შობას გარდაიცვალა, ჩვეულებისამებრ კენტად სეირნობისას.

მე შევეცადე ვალზერის ადამიანური პორტრეტის ზოგადი მონახაზი წარმომედგინა; ადამიანისა, რომელიც საყოველთაოდ მიღებული ნორმებიდან საკმაოდ შორს იდგა და შემოქმედისა, რომლის როლის ზუსტი განსაზღვრაც ძნელია გერმანულ მხატვრულ ლიტერატურაში მიმდინარე ცვლილებების ზოგად ქარგაში (რამაც მსოფლიო ლიტერატურაზე იქონია გავლენა). სწორედ ნორმიდან გადახვევის გათვალისწინებით მინდა მოკლედ შევეხო რომან “იაკობ ფონ გუნტენის“ ზოგიერთ შტრიხს, რომლებიც გარკვეული ტრადიციებითა და თავისი დროის ნიშნებითაა დაღდასმული. ზოგი მკითხველის ყურადღება შეიძლება ვერც მიიპყროს ჩემმა შენიშვნებმა, თუმცა ზოგისთვის შესაძლოა სასარგებლოც აღმოჩნდეს. ამ მოსაზრებებს არავითარი პრეტენზია არა აქვთ ლიტერატურულ-ისტორიულ ცნებებში ჩარევისა.

(1) იაკობის დღიური ბენიამენტის ინსტიტუტში მის მიერ გატარებული ცხოვრების ყოველწამიერი იმპროვიზებული ჩანაწერია. იგი შორეული პროვინციიდან და სახლიდან გამოქცეული ჩვიდმეტიოდე წლის ყმაწვილია. იმპროვიზაციის ზოგადი სქემა, რომელიც ზუსტად მიესადაგება თავად ვალზერის ტემპერამენტს, იაკობის ცხოვრების მონახაზსაც შეიცავს. ამ მონახაზის ფორმას ქმნის ერთი მეორის მიყოლებით მიმდინარე დროის მცირე მონაკვეთები, რომლებიც იაკობის მგრძნობელობაზე თავისებური ფორმის თუ შინაარსის კვალს ტოვებენ. ფაქტებისა და ფანტაზიის მორევში უცვლელი რჩება მხოლოდ იაკობის ლტოლვა მოულოდნელობისკენ, პარადოქსისა და თვითშემეცნებისკენ. იაკობის ჩანაწერებში ზედაპირზევე იკვეთება უთვალავი წახნაგი, რომელთაგან ათასგვარი ჭავლი მოედინება. ლიზა ბენიამენტის გარდაცვალების შემდეგ კრაუსი სადღესასწაულო იერით აცხადებს: “როცა საჭმელს შევექცევით, ჩანგალი შეგვახსენებს შენს სურვილს, როგორც უნდა გვეჭიროს თავი, ჩვენ წესისამებრ წელგამართულები მივუსხდებით მაგიდას და იმის შეგნება, რომ ღირსეულად ვიქცევით, გვაიძულებს ვიფიქროთ შენზე“. ეს უცნაურობა სწორხაზოვანია. მაგრამ შემდეგ ჩნდება ეჭვი, ასეა თუ არა სინამდვილეში? არ არის საჭირო იაკობის ვალზერთან გაიგივება. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ წიგნი ავტოპორტრეტი როდია.

(2) ბენიამენტის ინსტიტუტი. რომანში გამოკვეთილად ჩანს დაცინვა წარმოსახვის ისეთი ნაყოფისა, როგორიცაა გოეთეს Turmgesellschaft (რომანიდან “ვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები"); აქვს თუ არა მნიშვნელობა, ეს გამიზნული დაცინვაა თუ არა? საუკუნეთა მიჯნაზე გერმანიაში სხვა რეფორმატორული დაჯგუფებებიც არსებობდა, როგორიც იყო გეორგეს წრე, ჰარონის, გიოტებუნდის და დიურერბუნდის წრე, იოჰან მიულერის "Darmstadt Kuenstlerkolonie", "Freistatt persoenlichen lebens" და "Wandervoegel". "იაკობ ფონ გუნტენის" გამოჩენამდე 35 წლით ადრე ნიცშე ბაიროიტს განიხილავდა როგორც კულტურული აღორძინების ცენტრს (მანამდე, სანამ ის ფარისევლური გახდებოდა). ხოლო ამ რომანის გამოქვეყნებიდან 35 წლის შემდეგ ქვეყანას მოევლინა ჰესეს კასტალია (რომანში "თამაში რიოში მარგალიტებით"). ვალზერის წიგნი გერმანული ოცნების (კულტურული და საზოგადოებრივი რეფორმების წინსვლისთვის პიროვნებისა და ელიტის ურთიერთშერწყმა) პაროდიად თუ არა, მის ახალ ვარიაციად შეიძლება ჩაითვალოს. ამ წიგნში ინტელექტუალური სიამაყე და მონიფულობის პრეტენზია ხელყოფილია უსიტყვოდ, უხეში ანტიინტელექტუალიზმის გარეშე. იაკობი ამბობს: "ჩემთვის ფასეულია, როგორ ვაღებ კარს. ადამიანების მთელმა თაობამ დაკარგა ცხოვრების ხალისი თავისი ტრაქტატების, შემეცნების და ცოდნის წყალობით... მე კი ძალიან მომწონს კიბეზე ჩარბენა. რამდენი ყბედობაა!" მიუხედავად ამისა, რომანში ჭეშმარიტად ჩანს დეკადანსის იდეა (Entartung). ბურჟუაზიული ლტოლვილი - იაკობი ცდილობს არარაობად იქცეს და ნულიდან დაიწყოს ყველაფერი. ამ პროცესს მოგვიანებით სარტრმა "პროექციის მიზიდულობა" უწოდა. ვალზერის მასხარაობა და "კულტურული წრეების" იაკობისეული ყმაწვილური კრიტიკა ექსცენტრულად გამოიყურება იდეათა დიად და საბედისწერო დინამიკაში. "ზარატუსტრაში" ნიცშემ ბავშვი წარმოადგინა როგორც თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრების სახე, როგორც ინტელექტის ზემოქმედებისგან თავისუფალი დიონისესეული სასწაული. კანდინსკისთან და მარკის "Der blaue Reiter"-ში (1912 წ.) უპირატესობა ენიჭება ნაივურ და პრიმიტიულ ხელოვნებას. მორგენშტერნი "უკვდავ შემოქმედს" უწოდებდა ბავშვს მოზრდილ ადამიანში. 1916 წელს ჰუგო ბალმა თავის თანამოძმე დადაისტებს "ახალი საუკუნის შვილები (ნაშიერნი)" უწოდა. იმდროინდელი ექსპრესიონისტული დრამის მთავარი საზრუნავი "ახალი ადამიანის" გაჩენა იყო. 1919 წელს ლუი არაგონმა თავისი ინფანტილური რომანი "Quelle ame divine" ("ლიტერატიურ", 1919 წ. ოქტომბერი) გამოაქვეყნა. სამი სხვა ხელოვანიც - პაულ კლეე, გეორგ გროში და კურტ შვიტერსიც ნერგავდნენ "ბავშვობის" იდეას.

(3) დეკლასირებული ბურჟუა იაკობი: ტიპური პროლეტარი კრაუსი მის მიმართ აგრესიულ ეჭვიან დამოკიდებულებას ინარჩუნებს ბოლომდე. ამით მომავალია ნაწინასწარმეტყველები. საშუალო კლასის წარმომადგენელი ყველა ევროპელი ინტელექტუალი და მწერალი სასოწარკვეთილი დადგა პროლეტარიატის მხარეზე, როცა რევოლუციის ტალღა აგორდა. ასე მოიქცნენ ბერლინელი დადაისტები, იოჰანეს ბეხერი, ერნსტ ტოლერი, ბერტ ბრეხტი, ფრანც იუნგი. ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი "უკიდურესად დაბალი ფენიდან" მოედინებოდა ყველგან.

(4) მისტერიუმი. იაკობს ჩამოსვლის დღიდანვე მიაჩნდა, რომ ინსტიტუტის გულისგულში რაღაც საიდუმლო იმალებოდა. მის წარმოსახვაში იხატება ციხე-სიმაგრე სადღესასწაულო დარბაზებით, სამეჯლისო ცეკვებით, სადღაც სცენის მიღმა კი ინგლისელიც ილანდება. შესაძლოა, სწორედ ციხე-სიმაგრის შესახებ ფანტაზიამ მიიქცია კაფკას ყურადღება წიგნის პირველივე წაკითხვისას. ეს ყურადღება, დიდწილად, ალბათ, იმან განაპირობა, რომ ეს ციხე-სიმაგრე იმედგაცრუების ციხე-სიმაგრე იყო. როგორც კი იაკობი ამ იდუმალ სავანეში შეაღწევს, მისი ილუზია ქრება, რადგან იქ აღმოაჩენს მხოლოდ აკვარიუმს ერთი ოქროს თევზით. მას, კრაუსთან ერთად, იქ სისუფთავის დაცვა ევალება. მაგრამ ამ ეპიზოდს წინ უძღვის ზიარება და თუ ფიზიკურ სივრცეში არა, ყოველ შემთხვევაში, იაკობის მენტალურ სივრცეში თამაშდება მისტერია. ლიზა ბენიამენტს - როგორც ფსიქოლოგს - იაკობი მიწისქვეშეთში ჩაჰყავს, დედამიწის წიაღში, რათა ხელახლა იშვას იგი. ეს ცერემონია ბერძნული ორფიკული ინიციაციის მსგავსად იწყება ("შეხედე, იაკობ, შენს ირგვლივ სრული წყვდიადი დაისადგურებს"). ჩვენ გვიჭირს გარკვევა, ეს ყველაფერი "სინამდვილეში" ხდება, თუ ვახშმის მომლოდინე იაკობი ექცევა მორიგი ფანტაზიის გავლენის ქვეშ.

მიუხედავად მთელი თავისი ღვთიური ჭიკჭიკისა, იაკობი ამბიციური არსებაა. "შენთან ერთად შეიძლება მოიმოქმედო რაღაც ძალიან გაბედული, ან ძალიან ფაქიზი რამ", - ეუბნება ჰერ ბენიამენტი. მასში ხედავენ რემბოს, ჰოლდენ კოლფილდს და უოლტერ მიტის. აქ საინტერესოა რელიგიის ხვედრი. როცა ფროილაინ ბენიამენტი კვდება, სახეზეა რიტუალი, მაგრამ თავად რელიგია არ ჩანს. იგი ამბობს: "მღერა ლოცვას ნიშნავს". უბრალო "რწმენა" ვერ იხსნის იაკობს ღმერთის იგნორირებისგან თუ მისგან დაშორებისგან - "ღმერთები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ერთი და ისიც მეტისმეტად ამაღლებულია იმისთვის, რომ დაგვეხმაროს".

(5) ყველაფერთან ერთად იაკობი პედანტი, დიდაქტიკოსი, სენტენციური და ცოტათი სნობიცაა. ასეთი იყო ჩარლი ჩაპლინი (ვალზერის დიდაქტიზმი ბევრად უფრო რბილი და ირონიულია ბევრ სხვა შვეიცარიელ მწერალთან შედარებით. მისი საფუძველი ცვალებადია: "გულის სიღრმიდან მომავალი ემოციები ჩემს სულში ტოვებდნენ ყინულივით ცივ რაღაცას. არის რაღაც უშუალო მიზეზი სევდისთვის, ნაღველს მოუცავს მთელი ჩემი არსება").

(6) ენა. მისი ორი განმასხვავებელი შტრიხია დროთა განმავლობაში განვითარებული ლექსიკა და ექსცენტრული სინტაქსი. იაკობი დაუდევრად ამბობს: "ხანდახან ისეთ რამეს ვამბობ, რაც ჩემსავე შემეცნების დონეს აჭარბებს". მის მიერ ნახმარი ფრაზები (ვალზერისეული) არა მხოლოდ დაუჯერებელია, ხშირად უადგილოდაც ჟღერს. კრაუსის ლექსიკური მარაგი დროდადრო წინააღმდეგობაში ვარდება მისსავე ხასიათთან. ეს პოზიტიური ფაქტორებია. პირქუში პროფესიული სიზუსტისა და ბუკვალიზმის ეპოქაში ვალზერი უპირატესობას უუნარობის ფაქიზი ხელოვნებით ცხოვრებას ანიჭებდა. შემოქმედებას თან სდევს გარკვეული დამახინჯებები. ეს დამახინჯებები ვალზერთან საგულდაგულოდაა მოზომილი და ტაქტიანად გაფორმებული (როგორც ცოცხალი თავისუფალი ფორმები რეპრეზენტატიულ ხელოვნებაში). ხშირად ამ სახითაც იაკობის მეტყველება თავად ვალზერის მეტყველებად რჩება - უძილოდ ზუსტი სიზმრების მნახველის მეტყველებად, რომელსაც თავისი დროისგან წილად მხოლოდ ირონია ერგო.

თამაშდება ერთი ამოსუნთქვით თხრობის ცნებაც. როცა თავზარდაცემული იაკობი რაღაც სასწრაფო ამბის მოყოლას შეუდგება, ჰომეროსისეულ პარალელს ავლებს გოლიათთან, ყველა შესაძლო გადახვევით ავსებს, სანამ მთავარ სათქმელს მიადგება. "ეპიკურ სივრცეში" პაროდიად აღიქმება "დრამატული ნახტომის" მზაკვრული ბლოკირებაც. ამას გარდა, ვალზერის ფრაზა იწყება, ჩერდება, მკვერთ მოსახვევს აკეთებს, თითქოს ცეკვა-ცეკვით იხევს უკან და მოულოდნელად აღწევს მიზანს. "კრაუსი, ის-ის იყო შემოიჭრა, სუნთქვაშეკრული და ფერმკრთალი, უნარდაკარგული, რომ ეთქვა, რით გამოცხადდა, ცხადი იყო, რა ჰქონდა პირზე მომდგარი, ოთახში" (სიტყვა-სიტყვით თარგმანი).

ზოგადად, ვალზერის ენა ცეკვა უფროა, ვიდრე სეირნობა. ღირსშესანიშნავია პაწაწკინტელა დიალოგური ნიუანსები იაკობის მონოლოგებში: მცირე დამაკავშირებელი ფრაზები გამოუთქმელი კითხვებით თუ პასუხებით ვიბრირებენ. ზოგი დიალოგი შესაძლოა ისეთი გახევებული აღმოჩნდეს, როგორც იაკობის ძველმოდური მცდელობა - დროდადრო მწერლის პოზა მოირგოს: "დროებით კალამი უნდა გადავდო". არის ისეთი შემთხვევები, იოჰანის ბინაში სტუმრობის მსგავსი, როცა პროზა ბანალობად იქცევა. ეს ადგილ-ადგილ დიალოგებს მოგვაგონებს ანრი რუსოს პიესიდან "Le vengeance d'une orpheline russe".

დღიურის მხატვრულობა დაცულია, მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ იგი პრაქტიკულად არარეალური ხდება - ბოლო რამდენიმე თავი უშუალო მონათხრობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთი ადგილების ეჭვქვეშ დაყენება არ ღირს. ვალზერის ხელოვნება იმპულსურია და შემთხვევითი. მცირე პროზის შექმნის მისეული განსაკუთრებული გენია ამის თვალსაჩინო დასტურია.

(7) იაკობის ბოლო სიზმარი. დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ეპიფანია, როცა ბენიამენტა და იაკობი, გაურბიან რა კულტურას, უდაბნოში მიემგზავრებიან. რომან "იაკობ ფონ გუნტენში" პიკარესკის ფორმა ინტერიორიზებულია. უწინდებური მოქმედების ეპიზოდური სერიები, როგორც დონ კიხოტშია, აზროვნების და ფანტაზიის ეპიზოდურ სერიებად გარდაისახებიან. აქ ცხადზე უცხადესია ევროპული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი უძველესი ფორმის არმებობა. დონ კიხოტსანჩო პანსას ეპიფანია სრულიადაც არ გახლავთ შემთხვევითი.

თარგმნა
ეთერ ჟიჟილიანშა

არილი

## ლუიჯი პირანდელო

# უფალი ღმერთი



მრავალი წლის წინათ, ერთ არავინ იცის საიდან მოსულ მხატვარს, რომელიც საკურთხევლის თავზე დასაკიდი სურათისათვის კარტონებსა და წინასწარ ესკიზებს ამზადებდა, მოდელად დაუდგა მთის ფერდობებზე თითქმის ველურად მცხოვრები მენახირე.

არც უკითხია, ვისი სახე უნდა მიეღო ამ საღვთო სურათზე, ისე ჩაიცვა რაღაც უცნაური სამოსი და ხელში შოლტჩაბღუჯული რაღაც დაძაბულსა და მოძალადე პოზაში დადგა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ახალი ეკლესია აკურთხეს და პირველ ღვთისმსახურებაზე მრევლის სხვა წევრებთან ერთად მენახირეც მოვიდა და საკურთხევლის თავზე საკუთარი გამოსახულებაც იხილა სხვა ჯალათთა შორის, რომლებიც სვეტზე მიკრულ იესოს გვემდნენ, განრისხებულმა ყვირილი, ტირილი და თმების გლეჯა იწყო, თან მიწაზე ფეხის ბაკუნით იძახდა:

- მომხსენით იქიდან! ქრისტიანი ვარ მე!

მაშინაც, როცა გარეთ გამოიყვანეს საერთო არეულობიდან (იმათი სიცილი, ვინც სურათზე იცნო და იმათი შეკითხვები ან დაბნეული ვარაუდები, ვინც ვერ იცნო), არ დამშვიდებულა და კვლავ მოკვლით ემუქრებოდა იმ თავხედ მხატვარს, სანამ ახალი ეკლესიის მოხუცი წინამძღვარი არ დაჰპირდა, რომ სურათზე გამოსახულ იუდეველს აუცილებლად შეუცვლდნენ სახეს მსგავსების ყოველგვარი კვალის გასაქრობად. მაინც შერჩა მეტსახელად ჯუდე - იუდეველი და ახლა, მრავალი წლის შემდეგ თვითონაც ასე ეძახდა საკუთარ თავს. ახლა უკვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მისი სახის, ასევე მთელი სხეულის იერმა დაკარგა მტკიცე სისასტიკის პირვანდელი გამომეტყველება, რომლისთვისაც აირჩია იგი მხატვარმა საკურთხევლის სურათზე დასახატად იმ საძაგელ როლში. უკვე მოხუცი იყო ეს ჯუდე და ნახირის გასადენადაც არ ვარგოდა: მოწყალებით ცხოვრობდა, თუმცა კი არასოდეს ითხოვდა, უფრო სწორად, მოწყალების სათხოვნად თავისი განსაკუთრებული ხერხი ჰქონდა. როცა უკაცრიელ ვაკეებზე უპატრონო ძაღლივით ხეტიალისას შიმშილი შეაწუხებდა, მივიდოდა რომელიმე ვილასთან და პირველსავე შემხვედრ გლეხს ეტყოდა ხოლმე:

- შენს პატრონს უთხარი, გადასახადის ამკრეფი მოვიდა-თქო.

ახლა ამ სიტყვების მნიშვნელობა ყველას ესმოდა და ამიტომაც იღიმებოდნენ, მაგრამ როცა ჯუდემ ეს ხერხი პირველად გამოიყენა, იძულებული გახდა, განმარტებაც მიეცა. განმარტება კი ასეთი იყო: ამა სოფლად ყოველი ჩვენგანი მდგმურია უფლისა, რომელიც, თავის მხრივ, თითოეულისათვის სახლის კეთილი პატრონი იქნებოდა, ადამიანების ნაწილს დედამიწა საკუთარ ბინად რომ არ ექცია, რადგანაც არ ისურვეს გაგება და აღიარება, რომ ის საერთო სახლი უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმათ უნდა ახსოვდეთ, რომ უფალი მაინც პატრონია იმ სხვა საცხოვრებლისა (აქ ჯუდემ ცისკენ მიუთითა), რომლისთვის ყველამ წინასწარ, აქვე უნდა გადაიხადოს ქირა. ღარიბები იმით იხდიან, რომ დღენიადაგ შიმშილსა და სიცივეს ითმენენ. მდიდრებმა კი ის მაინც უნდა ითავონ, რომ შიგადაშიგ ცოტა რამ სიკეთე ქმნან. ამიტომაც იყო ჯუდე მდიდრებისათვის გადასახადის ამკრეფი.

როგორც კი ნატურით მიიღებდა მოწყალებას, მაშინვე შორდებოდა იქაურობას. გზად მიმავალი აქა-იქ მდგარ იმ ხეებს სცნობდა, მისი საკუთრება რომ უნდა ყოფილიყო: მისი, იმიტომ რომ ის ზეითუნის ხე, ის ალუბალი, ის მუშმალა, ის კიდევ ბროწეული მისი წყალობით აღმოცენდა მრავალი წლის წინათ, როდესაც ჯუდემ მიწა ამოთხარა და შიგ თესლი ჩააგდო. მიწამაც ხის ნერგი აჩუქა, მას აჩუქა... განა იცის მიწამ, ვის ეკუთვნის თვითონ?

ამ ხეების მიმართ ჯუდე მამობრივ სიყვარულს გრძნობდა: მთელს ქვეყანაზე ყველაზე ლამაზი და უხვფოთლიანი ეჩვენებოდა ისინი. ჩერდებოდა და დიდი ხანი უყურებდა ხოლმე, ხშირი და ხუჭუჭი ჭაღარა, თითქმის ჟანგისფერი თმებით შემოსილ თავს აქნევდა. დამძიმებული ტოტები ნაყოფის მოსაწყვეტად იწვევდნენ, რადგანაც მას ეკუთვნოდნენ (თვითონ ხომ იცოდნენ ეს!) - ჰოდა, სთავაზობდნენ კიდეც... თვითონ კი ნურას უკაცრავად, საცთურს არასგზით არ აყვებოდა. ოხვრით კვლავ დაუშვებდა ხოლმე უკვე გაწვდილ ხელს.

ასე ცხოვრობდა სხვის მამულებში, უსახლკაროდ.

ერთი დანგრეული და მიტოვებული სახლი აერჩია ბინად. განთიადზე დგებოდა და იწყებდა უგზოუკვლოდ ხეტიალს თვალუწვდენელ უდაბურობაში, რომელიც ასე სავსე იყო სიცოცხლით, დუმილში, რომელსაც ხან ფოთლები და ხან ფრინველთა ფრთები ათრთოლებდა, ხანაც შორეთში მალევე დაკარგული ჩიტის ჭიკჭიკი ედებოდა ხინჯად.

მიწაზე გაწოლილი ჯუდე იძირებოდა ამ მდუმარებაში და ნიავის სუნთქვისგან ოდნავ აღელვებულ ბალახის ღეროებს დასცქეროდა, უთვალთვალებდა ქვაზე წამოსკუპებულ და მზეზე მონეტარე ხვლიკს, უშველებელ სიმშვიდეში უშიშრად მოფრიალე თეთრ პეპლებს.

რატომ იბადებოდა ზოგი მცენარე? რა თქმა უნდა, არა ადამიანებისთვის, არც ცხოველებისთვის, რომლებიც არ ჭამდნენ მათ... იბადებოდნენ, რადგანაც ღმერთს ისინი სურდა, მიწა კი მათ ახარებდა და სულაც არ დაგიდევდათ ზოგი ამპარტავანი ადამიანების უკმაყოფილებას, რომლებსაც ჰგონიათ, რომ დედამიწა დაიმორჩილეს. რაც გინდა ამოძირკვე, მაინც ხელახლა გაიზრდება. იქ კი, სადაც არავინ ახლებს ხელს, უსაზღვროდ იზრდებიან, როგორც დედამიწას სურს...

- ღმერთმა ჩემი თავიც ისურვა, - ფიქრობდა ჯუდე, - თუმცა კი ერთი ხელისგულისოდენა მიწის ნაგლეჯიც არ გამაჩნია, სადაც ვიცხოვრებდი და ვიტყოდი, ჩემია-მეთქი. ამ სარეველა ბალახივითა ვარ, არავის რომ არ უნდა თავის ყანაში. სადაც ეს ბალახი იზრდება თავისუფლად, მხოლოდ იქ შემიძლია, მეც რომ ვიყო. ესე იგი პატრონი ან არ არის, ან ფეხებზეც ჰკიდია ყველაფერი.

ამ იდეას მრავალგზის შეუძრავს მისი სული. რომელიღაც უდაბურ მიწებს იცნობდა, სადაც არასოდეს გაუვლია სულიერს და სადაც თვითონ, სანამ ცოცხალი იყო, ესე იგი მთელი იმ წლების მანძილზე, რომელთა რიცხვი აღარც ახსოვდა, ყოველთვის მხოლოდ სარეველა ბალახს ხედავდა. ამ მიწებს ოდნავადაც არ ეტყობოდა ადამიანის ხელი, თუნდაც მისი შორეული კვალი, არც ვინმეს ძალაუფლების რაიმე ნიშანი, თუნდაც უკვე წაშლილი. ეს მიწები უხსოვარი დროიდან, სანამდეც ჯუდეს წარმოდგენა წვდებოდა, მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდა და თავისუფლად აღმოაცენებდა იმას კი არა, რაც ადამიანებს უნდათ, არამედ იმას, რაც გულს სიამოვნებდა.

- მე რომ აქ, მინდვრის კიდეში, - ფიქრობდა ჯუდე, -ამ სარეველებს ამოვძირკვავ და ერთ მუჭა ხორბალს დავთესავ, განა მეც არ მომიტანს ეს მიწა მოსავალს? მეც მომიტანს, როგორც სხვისთვის მოაქვს... ამ მიწის პატრონი რომ წარმოვიდგინოთ, აშკარაა, რომ ამ მამულიდან რამე შემოსავლის მიღებაზე კარგა ხანია უარი აქვს ნათქვამი. განა მისთვის სულერთი არ იქნება, რომ მიწის ნაგლეჯმა ამ უსარგებლო ბალახების მაგიერ ჩემთვის ცოტაოდენი ხორბალი აღმოაცენოს? მან ხომ ეს მიწები მიატოვა, მაგრამ არც მე მივითვისებ მათ: მხოლოდ იმას ვიზამ, რომ ერთ პატარა ნაკვეთზე უსარგებლო ბალახების მაგიერ ხორბალმა იხაროს... კაცმა რომ თქვას, ვინაა ამის პატრონი?

ამ აზრით მოხიბლულმა ჯუდემ, იმ დღიდან მოყოლებული, ჩვეულ პურის ნატეხთან ერთად თითო მუჭა მარცვლის თხოვნაც დაიწყო.

- რაო, ბინის ქირა ხომ არ გააძვირა უფალმა ღმერთმა, ჯუდე? - ხუმრობით ეკითხებოდნენ მემამულენი, რომელთაც იგი გადასახადის ამკრეფად წარუდგებოდა.

ჯუდე მოკრძალებული ღიმილით იჩეჩავდა მხრებს:

- თუ გნებავთ, ასეც იყოს...

და სანამ ამგვარად აგროვებდა სათესლე ხორბალს, თან მიწის ნაკვეთსაც ამზადებდა, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად - აუცილებელი იარაღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ხომ არ გააჩნდა... მხოლოდ ერთი დაჩლუნგებული ნათხოვარი წერაქვი ჰქონდა, რომლითაც ჯერ გაჭირვებით ამოთხარა სარეველა ბალახები, მერე კი გააფხვიერა ნიადაგი, გააფხვიერა, როგორც კი საშუალება მისცა შრომითა და სიბერით დასუსტებულმა საბრალო მკლავებმა. ეს მიწისათვის საკმარისი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჯუდეს სურვილებს ვერ აკმაყოფილებდა, მისი თვალები შურით შესცქეროდა სხვა ყანებზე გუთნის ნამოქმედარს და მთესველებს, რომლებიც შეგნებით ჩატარებული შრომის მიმართ ნდობით აღსავსენი აგდებდნენ თესლს მიწაში. თვითონ, თვითონ ხომ თესლს კირწყალშიც კი ვერ ავლებდა, რომ არ დაობებულიყო: ისე, ალალბედზე მიანდო მარცვალი რის ვაივაგლახით გადატრიალებულ ბელტებს...

პირველი წვიმები დაიწყო და ჯუდეც თავისი ღამეული ბუნაგიდან უგდებდა ყურს მათ ჩხრიალს. ფიქრობდა, რომ ახლა მის მიწის ნაგლეჯსაც აწვიმდა... მერე სიხარულით ცრემლმორეულმა დაინახა, რომ ხორბალი ამოიწვერა და ნესტიანი მიწიდან პირველი ჯეჯილი გამოჩნდა. აჰა, მიწა მას ხორბალს აძლევდა! მისი იყო! მერე ახედა ცას, საიდანაც კურთხეული წყალი მისთვისაც გადმოიღვარა და მისი პირველი სიმდიდრისათვის. მაგრამ ცის სანახაობამ გული მოუკლა: უნდოდა იმდენად დაბალი ყოფილიყო, რომ უცხო თვალისაგან დაეფარა მიწის პატარა მოვლილი ნაკვეთი, რათა სარეველა ბალახებით გარშემორტყმული არავის შეემჩნია.

ნელ-ნელა ჯეჯილი მოღონიერდა, იხარა. ჯუდეც აღარ ეშვებოდა მიწის ნაკვეთს, მიუხედავად სუსხისა და უამინდობისა: თვალებით ლამის ზედ აჯდა თავის ხორბალს. და როცა სიო აღელვებდა ჯეჯილის ნაზ ღეროებს, მათთან ერთად ჯუდეს სულიც ძრწოდა.

მაგრამ ერთ დღეს ველარ იგრძნო ძალა, რომ მიტოვებულ სახლში მოწყობილი თავისი ბუნაგიდან გარეთ გამოსულიყო.

მზე მაღლა იყო და მიწაზე მჯდომი, ზურგით კედელს მიყრდნობილი, მუხლებზე მკლავებშემოხვეული ჯუდე წინ იყურებოდა, ღამის სიზმრებით ჯერაც გაბრუებული. სიცივისაგან კანკალებდა და კბილებიც უკაწკაწებდა.

რა მოხდა? სად იყო მისი პაწია ყანა? სად იყო მისი ბეღლები? ეს სავსე ბეღლები და მარცვლის უამრავი მხიარული ამრწყველი, რომლებიც არიგებდნენ და არიგებდნენ ულევ ხორბალს ისე, რომ საწყაოს პირს არც უსწორებდნენ? ან ის საბრალო ქალი სად დაიკარგა, გამოხეული წინსაფრით, საიდანაც მარცვალი მდინარესავით მოედინებოდა ისე, რომ წინსაფარი მანამდე ცარიელდებოდა, სანამ ბეღლის კარს მიაღწევდა? აჰ, საბრალო, სულ მუდამ უკან ბრუნდებოდა და სასოწარკვეთილი თავიდან იწყებდა მარცვლის შეგროვებას სხვა ღარიბების ულევ ბრბოში, მაგრამ მაინც არც ერთი მარცვალი არ რჩებოდა წინსაფარში...

-მიეცით! კიდევ მიეცით! - აგულიანებდა ჯუდე ამრწყავებს. - ასე უფლის სხვა სახლის ქირასაც გადავიხდი, იქ ზემოთ...

ბეღლები კი არა და არ ცარიელდებოდა: მაღლა, ზედ სახურავებთან ამოჭრილი ფანჯრებიდან ხორბალი გადმოდიოდა და ჩანჩქერივით ეცემოდა დაბლა უწყვეტი შრიალით. აჰა, ეს გამუდმებული შრიალი დარჩა სიზმრიდან ყურებში... ეს ციება იყო! ციება შეყროდა და აკანკალებდა.

ძლივს წამოდგა: ბარბაცებდა... თავის პაწია ყანაში დასაბრუნებლად გამოლასლასდა დანგრეული სახლიდან, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ღონემ უმტყუნა და ჩაიკეცა.

რამდენიმე დღის შემდეგ, გაოგნებული და გულგატეხილი გონს მოვიდა საავადმყოფოს საწოლზე გრძელსა და წყნარ ოთახში.

- აჰა, რახანაც აქ მომიყვანეს, ესე იგი ვკვდები, - გაიფიქრა ჯუდემ.

თავი ისე ჰქონდა დამძიმებული, თითქოს ტყვიისა ყოფილიყო. ქუთუთოების ასაწევადაც არ ყოფნიდა ძალა. სულის ჯერაც შერჩენილი ნაკუწი ადგილის მიერ მოგვრილი ცრუმორწმუნე შიშის ქვეშ კიდევ უფრო შეიკუმშა, დახმარების გარეშე შეატოვა ძველი ნაგვემი და უძრავი სხეული ექიმებისა და მოწყალების დების მზრუნველობას, არც კი უკითხავს, რა სჭირდა.

თვალდახუჭული, სულ მთლად მოიკუნტა, თითქოსდა თავს იცავდა ციების ამგზნები ჟრუანტელისაგან, ფიქრებს კი შორს, შორს აგზავნიდა, თავისი პაწია ყანისაკენ. იქ, ფიქრებით მიწას გადაფარებულს, ნელ-ნელა ძილი ერეოდა. მაშინ, თავის გარშემო ხედავდა, როგორ მიიწევდა უკვე მოღონიერებული ხორბალი, თავთავის ღერო მაღლა, მაღლა, მაღლა... ძალიან მაღლა... ნუთუ ეს შესაძლებელია? ხორბლის ყველა თავთავი ალვისხეზე უფრო მაღალი? აქოშინებული ჯუდე ცდილობდა შეეჩერებინა ეს შემაწუხებელი და შეუძლებელი ზრდა, მაგრამ არ გამოსდიოდა: ღეროები ყოველი მხრიდან ერთი მეორის მიყოლებით მიიწევდნენ იმ სიმაღლემდე და ნელ-ნელა მარხავდნენ ჯუდეს. მაშინ სასოწარკვეთით ყლაპავდა ჰაერს და ფეხზე წამოხტომას ლამობდა, მაგრამ - ჰოი, საკვირველებავ! - ასე თვითონ იყო თავთავებზე გაცილებით უფრო მაღალი... გულშეწუხებული იყურებოდა ირგვლივ, მერე ცისკენ ალაპყრობდა მზერას და გაწვდილი ხელის მანძილზე ხედავდა მთვარეს: მკლავს იშვერდა, ციდან წყვეტდა და ნახევარმთვარით იწყებდა მკას. ამის შემდეგ სიზმარი უეცრად წყდებოდა და ჯუდე ანაზდად იღვიძებდა.

მაშინ ხედავდა, რომ მისი ხორბალი უსუსური, ფერმკრთალი და მეჩხერი ამოდიოდა, საცოდავი, გალეული ღეროები წვიმისაგან დაჩაგრულიყო და ქარისაგან დამტვრეულიყო... მაშინ იწყებდა კვნესას:

- გუთანი! გუთანი იყო საჭირო!.. - რადგან მიწას დაჩლუნგებული წერაქვი ვერც კი შეულიტინებდა.

ამასობაში დღეები გადიოდა, ჯუდეს ციება კი - არა. დღეთა სათვალავი დაკარგა და იმასაც არ კითხულობდა, წელიწადის რა დრო იდგა. იმის ეშინოდა, რომ ეტყოდნენ, ზაფხული მიილიაო.

ბალიშიდან თავის ოდნავ აწევას ცდილობდა, რომ სხვა საწოლების ზემოდან გაეხედა ოთახის მოპირდაპირე მხარეს დიდ ფანჯარაში. მხოლოდ გამჭვირვალე და მზით განათებულ ცას თუ ხედავდა გაჭირვებით. იქნებ ჯერაც გაზაფხული იყო.

- ვინ იცის, - ფიქრობდა ჯუდე, - იქნებ ვილაცამ გაიარა იქ და სარეველა ბალახებს შორის აღმოაჩინა ხორბალი. იქნებ ვინმემ მიითვისა... მაგრამ არავინ რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოაჩინოს, განა უარესი არაა? ღვთის მადლი დაიკარგება ასე, მზის ქვეშ ნამგლის ამაო მოლოდინში. გამოვა, რომ მიწამ ამაოდ ალმოაცენა ხორბალი...

მაგრამ ღმერთმა ინება (და ამდენი ლოცვის მიღმა ღვთის გარდა ვინ იქნებოდა?), რომ განკურნებული ჯუდე ივნისის დასაწყისში გამოსულიყო საავადმყოფოდან, დაეტოვებინა ეს საპყრობილე.

იმწამსვე თავისი პაწია ყანისკენ გაფრინდა: შორიდან დალანდა ხორბლის მოოქროვილი ღელვა, მაგრამ უეცრად მოეკვეთა ფეხები და ჩამოუვარდა მკლავები... მისი ყანის ირგვლივ თითქმის სასწაულებრივი (იმდენად მაღალი და მჭიდრო იყო!) ღობე შემოევლოთ. ერთი მხრიდან თივის ზვინი აღმართულიყო და ღობის იქიდან სარეველა ბალახებში ფეხის ხმის გაგონებისას ძაღლი მოჰყვა ყეფას.

ღობესთან მოდარაჯე გლეხიც გამოჩნდა და ხელით თვალები მოიჩრდილა:

- კაი გამარჯობა შენი, ჯუდე! შენ გელოდებოდი... აქ რა გინდა.

სირბილისა და მწუხარებისაგან გულამოვარდნილი ჯუდე მიწაზე ჩამოჯდა ნელ-ნელა. თან გრძელ ჯოხს ეყრდნობოდა.

- არაფერიც არ მინდა... - თქვა და ცრემლები შეიკავა. - გააჩუმე ეს შენი ძაღლი. მხოლოდ ამ სასწაულის სანახავად მოვედი: თავისით ამოსული ხორბალი, თანაც ასეთი მშვენიერი...

- მიწა კი ვისი იყო, ჯუდე?

- ამ სარეველა ბალახებისა იყო, რომლებითაც პურს ვერ გამოაცხობ... - მიუგო საბრალო მოხუცმა. - უთხარი, უთხარი შენს პატრონს...

და დიდხანს დარჩა იქ, მიწაზე ჩამომჯდარი. მაღალ და სავსე თავთავებს შესცქეროდა, რომლებიც ქარში თავს უქნევდნენ, თითქოს თანაგრძნობით.

*იტალიურიდან თარგმნა*

**ნოდარ ლადარიამ**

არილი



# "ხედი ჩემი ფანჯრის წინ უკვე ათასი წელია არ შეცვლილა"

## ინტერვიუ ორჰან ფამუქთან



**- "ფამუქი" თურქულად ბამბას ნიშნავს, არა?**

- სწორედ ასეა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ოდესღაც, უხსოვარ დროში, ჩემი წინაპრები კავკასიიდან თურქეთში გაქცეულან. იქაურების კვალობაზე მათ მეტისმეტად თეთრი პირისახე ჰქონიათ და ეს მეტსახელიც სწორედ იქ, ანატოლიაში შერქმევიათ.

**- ანუ ბამბეულის მრეწველობასთან თქვენს წინაპრებს არაფერი აკავშირებთ?**

- ისინი უფრო რკინიგზასთან არიან დაკავშირებულნი. ოცდაათიან წლებში რკინიგზამ საშინლად გაამდიდრა ბაბუაჩემი - მაშინ პატარა თურქეთში ის იყო იწყებდნენ მის მშენებლობას. არ ვაზვიადებ - ბაბუაჩემი მართლა ძალიან მდიდარი კაცი იყო, მაგრამ ნაადრევად გარდაიცვალა, მისმა მრავალრიცხოვანმა შვილებმა კი უჭკუოდ გაანიავეს მთელი მემკვიდრეობა. ასე რომ, ოჯახს საშაყირო თემადღა შემოგვრჩა ბაბუას ფულების გაქრობის ამბავი. ბაბუას ნაადრევი სიკვდილის შემდეგ ყველაფრის ავან-ჩავანი ბებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა, ოთხი შვილი დარჩა და ყველანი ნიშანტაშის რაიონში, ერთ დიდ სახლში ცხოვრობდნენ. მოდერნიზაციის პერიოდში მათ სახლი შემოსავლიან შენობად გადააკეთეს და ჩემი ბიძები (და მშობლებიც) იმავე სახლში, მაგრამ ცალ-ცალკე ბინებში დასახლდნენ. ასე რომ, პატარაობაში ვცხოვრობდი ჩვეულებრივ მრავალბინიან სახლში, მაგრამ მთელი კურიოზი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ბინებში ჩემი ნათესავები ცხოვრობდნენ. ყველა კარი მუდმივად ღია იყო და მეც დავყიალებდი ერთი ბინიდან მეორეში. შემდეგ ფულმა მოლევა დაიწყო; მართალია, ჯერ ისევ ვერცხლეულზე ვჭამდით, მაგრამ მაგალითად, სამარილეების ნაცვლად, სამედიცინო სინჯარას ვიყენებდით.

**- ანუ ოჯახი "შავ წიგნში" ნატურიდანაა გადმოღებული?**

- მეტ-ნაკლებად კი.

**- და შემდეგ?**

- რადგან ბაბუა ინჟინერი იყო, იგულისხმებოდა, რომ ყველანი მის კვალს უნდა გავყოლოდით. ასეც მოხდა, მაგრამ ჩვენს "ტექნიკურ", "მედასავლეთე" ოჯახში სხვაგვარად ვიყავი განწყობილი - ხელოვნება მიტაცებდა. არქიტექტორობა გადავწყვიტე და ამ საგანს სამი წელი ვსწავლობდი; სულ ვკითხულობდი და ვკითხულობდი. ტიპური ისტორიაა - გამუდმებულმა კითხვამ იქამდე მიმიყვანა, რომ გადავწყვიტე მწერალი გავმხდარიყავი. პარალელურად სტამბულის უნივერსიტეტში დავიწყე ჟურნალისტობის შესწავლა, მაგრამ ამ საქმიანობას სერიოზულად არასოდეს ვუყურებდი - უბრალოდ, არმიიდან თავის დაღწევა მინდოდა. ოცდაორი წლისა უკვე პირველ რომანს ვწერდი, რომელსაც ჩემთვის არაფერი მოუტანია - არც ფული და არც დიდება. იმ ხანებში ისიც დაერთო, რომ ჩემი მშობლები გაიყარნენ და თავად პერიოდიც - სამოცდაათიანი წლების დასასრული, საკმაოდ უსიხარულო იყო: ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე იმყოფებოდა. ასე რომ, ოცდაათ წლამდე დედასთან ერთად, წიგნებით გამოჭედილ ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდი. არც ფული მქონდა, არც სამუშაო. მხოლოდ ვწერდი და ვცხოვრობდი განდეგილივით. "საზოგადოებაშიც" კი ვერ ვჩნდებოდი, რადგან არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა კითხვაზე - რით ვარსებობდი? უფრო სწორად კი, იმის თქმას ვერიდებოდი, რომ მშობლების ნასუფრალით გავდიოდი იოლას. ამ ხნის განმავლობაში დავწერე ორი რომანი, ერთიც ნახევრამდე და ოცდაათი წლის ასაკში ერთ-ერთი მათგანის დაბეჭდვაც მოვახერხე. ეს იყო კლასიცისტური სულისკვეთებით გამსჭვალული გრძელი ოჯახური საგა, მაგრამ მას მაინც საოცრად ბევრი მკითხველი ჰყავდა. პირველი წიგნი წელიწადში ორიათასიანი ტირაჟით გაიყიდა, მეორე - ექვსიათასიანი, მესამე თექვსმეტათასიანი და უცებ, ტირაჟების სიმრავლემ ცამდის უწია: თითოეული წიგნი რამდენიმე ასეულ ათას ეგზემპლარად იყიდებოდა. სწორედ ამ დროს მოვიდა აღიარება დასავლეთიდანაც.

**- პოლიტიკურ მისწრაფებებთან დაკავშირებით როგორი ვითარება იყო თქვენს ოჯახში?**

- ჩემი ოჯახის ორიენტაცია ყოველთვის დასავლური იყო. ეს იყო ტიპური რესპუბლიკელების ოჯახი მაღალი საზოგადოების ტიპური ღირებულებებით: ლიბერალიზმით, სეკულარიზმით და უცხო კულტურებისადმი ინტერესით. ისინი განათლებული მედასავლეთეები იყვნენ და ამიტომაც მიაჩნდათ საკუთარ მისიად ბნელი ხალხის განათლება. ეს იდეოლოგია - ქემალიზმი - აძლევდა მათ გარკვეულ სულიერ უფლებამოსილებებს; ითვლებოდა, რომ წარმოადგენენ რესპუბლიკის ელიტას, რომ სხვებზე



ორჰან ფამუქი, აჰმედ ალთანი და იაშარ ქემალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა დგანან, რომ განსაკუთრებული სტატუსი, განსაკუთრებული პრივილეგიები აქვთ, რაც, საბოლოო ჯამში, არ იყო ჭეშმარიტებას მოკლებული.

**- თქვენმა ჟურნალისტურმა მოღვაწეობამ თუ გამოიღო თავისი შედეგი?**

- დიახ, ჟურნალისტის დიპლომის მიუხედავად, ოცდაათი წლის ასაკში მე მაინც მოვხვდი ჯარში, სადაც ხშირად დაცინვით მეკითხებოდნენ: ვინ არის ეს ყმაწვილი? რას საქმიანობს? ჟურნალისტია? რომელ გაზეთში მუშაობს? არცერთში? რომანებს წერს? ერთი რომანი მაინც თუ დაუბეჭდავს? არცერთი? და ასე დაუსრულებლად...

**- ნიუ-იორკში როგორღა მოხვდით?**

- ეს ჩემი მესამე წიგნის დაბეჭდვის შემდეგ მოხდა. ჩემი მეუღლე დისერტაციას იცავდა კოლუმბიის უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტმა მეც დამინიშნა სტიპენდია. ჩავედი ცოლთან და დავიწყე თურქულის სწავლება. პარალელურად კი ბიბლიოთეკაში დავდიოდი და ვწერდი "შავ წიგნს".

**- ანუ ეს რომანი ამერიკაში დაიწერა?**

- დიახ, მისი დიდი ნაწილი.

**- თქვენი საწერი მაგიდის ადგილმდებარეობამ თუ მოახდინა ტექსტზე რაიმე ზეგავლენა?**

- გარკვეულწილად კი. მოგეხსენებათ, ნოსტალგია და მისთანები. იქ, ნიუ-იორკში, თითქოსდა ყველაფერი პერსპექტივაში დავინახე. უამრავი რამ გაცილებით ღირებული მეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში იყო. დეტალები და წვრილმანები კი უფრო გამოიკვეთა. თავი ჯოისად წარმომედგინა, რომელიც ზის ტრიესტში და თავის "დუბლინელებს" წერს.

**- ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ "შავი წიგნის" სტრუქტურულ მოდელად ჯოისის თხზულებები იქცა?**

- უეჭველად. მე სწორედ მას ვეყრდნობოდი, სახელდობრ კი იმას, თუ როგორი კუთხით მიუდგა ის დუბლინს.

**- ჯოისი წერდა: "ისტორია კოშმარია, რომლისგან გამოფხიზლებასაც ვცდილობ". როდესაც "შავ წიგნს" კითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თქვენთვის ისტორია ხანგრძლივი ზღაპარია, რომელიც გინდა დაუსრულებლად იკითხო. რას იტყოდით ასეთ შედარებაზე?**

- რა თქმა უნდა, ჩემთვის მისაღებია იდეა, რომ ისტორია მხოლოდ ზღაპრების ჯაჭვია და სხვა არაფერი. სხვა მხრივ კი, სულ არ მადარდებს, სინამდვილეში რა ხდებოდა ისტორიაში. ჩემთვის ისტორიის ვარიანტებია საინტერესო, ერთგვარი "ზღაპრები" ისტორიის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ხალხის ცნობიერებაში აისახება; წერის დროს მე იმ ადამიანებს წარმოვიდგენდი, რომლებიც დადიოდნენ სტამბულში და თავით დაატარებდნენ ათასობით სხვადასხვა ისტორიას და არა კონკრეტულად ისტორიას. და კიდევ ერთი - ეს ეხება თურქული ლიტერატურის ისტორიის ტრადიციას - როგორც ასეთს. საქმე იმაშია, რომ თურქულ ლიტერატურას ყოველთვის ახასიათებდა მემარცხენე შეხედულებები. იგი პლებეისტური იყო იმ გაგებით, რომ მწერლებს თავიანთ რომანებში ძირითადად გული შესტკიოდათ ანატოლიელ გლეხებსა და ღარიბ-ღატაკებზე. ესეც ერთგვარი სოციალური რეალიზმი იყო.

- ვედათ თურქალი?

- ვედათ თურქალი - ჰო, მართალია ის მეტად ურბანისტულია, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი პოლიტიკური შეხედულებები... იცით, მისი თაობის მწერლები პოლიტიკურადაც და თემატურადაც ანგაჟირებულნი იყვნენ. ისინი მარქსისტები იყვნენ და წერდნენ ანატოლიელ ღატაკებზე და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არავინ წერდა სტამბულზე. განა ეს საინტერესო არ არის? ასე რომ, მე გადავწყვიტე, ამ ქალაქისთვის, როგორც პალიმფსესტისთვის ისე შემეხედა; შემეხედა როგორც მისი ისტორიის მრავალფენიანი - ბიზანტიური, ოტომანური და რესპუბლიკური, განსაკუთრებით კი, ოტომანური ღვეზელისთვის.

**- რატომ?**

- საქმე იმაშია, რომ ახალ დროში ოტომანური პერიოდის ისტორია ფარულად იკრძალებოდა. თურქებს თურქობა უნდოდათ და არა ოტომანური იმპერიის მემკვიდრეებად ყოფნა. ოტომანური იმპერია კი, როგორც სხვა დანარჩენი იმპერიები, მრავალეროვანი იყო: სტამბულში ბერძნებიც ცხოვრობდნენ, თურქებიც, ებრაელებიც და სომხებიც. რესპუბლიკა კი, ამ დროს პრეტენზიას აცხადებდა ეროვნულ თვითმყოფადობაზე, რასაც იმპერიის სიჭრელე ძლიერ უშლიდა ხელს. რესპუბლიკის იდეოლოგია იყო უბრალო - ტოტალური "თურქიზმი", რომელიც თავს ისე გვაჩვენებდა, თითქოს არანაირი იმპერია არ არსებობდა. და აი, მეც გადავწყვიტე ისტორიის ამ პერიოდისთვის გადამეხედა.

**- სუფიზმისა და მევლიანას მეშვეობით?**

- დიახ-დიახ-დიახ, მაგრამ პირველ რიგში, მინდოდა ჩემი გმირები თვით ამ ქალაქის ქსოვილში გამეხვია და მათთვის მხატვრული პროზის საშუალებით, მისი ფანტასტიკური თვისებების შეგრძნების შესაძლებლობა მიმეცა. მე მინდოდა, ეს ქალაქი მეჩვენებინა არა კლასობრივი ბრძოლების კუთხით, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, არამედ მისი ისტორიის, მისი საიდუმლოებების კუთხით, რომელშიც დღემდეა გახვეული სტამბული. თუ გნებავთ, სწორედ ამაში მდგომარეობდა ჩემი პოლიტიკური პროგრამა.

**- დავუბრუნდეთ სუფისტურ პოეზიას. რა მოსაზრებით მიმართეთ ამ ტექსტებს - ობივატელური ცნობისმოყვარეობის თუ რელიგიური მოთხოვნილების გამო?**

- არც ერთის და არც მეორის გამო. მე არ განვეკუთვნებოდი სუფისტების სექტას, ამიტომაც არანაირი რელიგიური მოტივაცია არ გამაჩნდა. წმინდა ცნობისმოყვარის თვალითაც კი ეს ტექსტები ძალზე უბრალოდ და მოსაწყენად მოგეჩვენებოდათ. მე კი ჩემი წიგნისთვის მესაჭიროებოდა ე.წ. ტრადიციული ლიტერატურის ორიგინალური ჭრილი, როგორსაც უსიტყვოდ წარმოადგენს სუფისტური პოეზია.

**- ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ სუფისტური პოეზიის გამოყენება და მისი გადამუშავება ორიგინალურია?**

- გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა, მაგრამ ეს ასეა. საქმე იმაში გახლავთ, რომ არავის ჩემს გარშემო, ჩემს თაობაში, არასოდეს წაუკითხავს ეს ლექსები. კითხულობდნენ ყველაფერს, რასაც მოისურვებდნენ - დასავლელ მოდერნისტებს, თურქ მემარცხენეებს, მაგრამ არა იმას, რაც ცხვირწინ ჰქონდათ. და აი, მეც გადავწყვიტე ამ შრის გამოყენება, რათა ჩვენი ფსევდომოდერნისტული საზოგადოებისთვის სუფიებზე თვალი ამეხილა.

- ასეთი იყო რეაქცია, არა?

- დიახ, დიახ, ეს იყო რეაქცია დიდი ხნის წინ ვადაგასული დასავლური პოეზიით დამღუპველ გატაცებაზე.

- მაშინ, მოდით, ვილაპარაკოთ იმაზე, თუ თქვენი წიგნების გამოსვლისას როგორი სიტუაცია იყო ლიტერატურაში?

- შეხედეთ, ამ ქვეყანაში ორი ნაციაა: მედასავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თეები და ტრადიციონალისტები და დღემდე გრძელდება მათ შორის ბრძოლა. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ სამოცდაათიან წლებში ყველა "მედასავლეთე" პოლიტიკურად ანგაჟირებული იყო. ყველა "მემარცხენე"-სტალინისტები იყვნენ: მოკლედ, ცუდი ბიჭები. თავიანთ ნაწარმოებებში ისინი ბაძავდნენ ზოლას, სტეინბეკს და მისთანებს; წერდნენ პოლიტიკური რეალიზმის სულისკვეთებით, აღსავსე რომანებს, მოქმედება კი, როგორც უკვე ვთქვი, ანატოლიაში ვითარდებოდა; მაგრამ ოთხმოციანი წლების დასაწყისში ამ ბიჭებს მალე მოუგრიხეს კისრები. ბევრი მათგანი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა და დღემდე იქ იმყოფება. აი, სწორედ ამ სიტუაციაში გამოჩნდა ჩემი წიგნებიც, სადაც მოქმედება ყოველთვის ქალაქში ხდება. მათ წარმატებას, კერძოდ, იმითაც ვხსნი, რომ ქალაქელმა მკითხველმა პირველად ამოიცნო ჩემს გმირებში საკუთარი თავი.

**- ოდესმე გიფიქრიათ ემიგრაციაზე?**

- მთელი ცხოვრება, ამერიკაში გატარებული ორი წლის გამოკლებით, სტამბულში გავატარე და თავს აქ საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობდი, რამეთუ ეშმაკი ადამიანი ვარ. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ როდესაც ჩემი მეგობრები მიდიოდნენ "მემარცხენე" პოლიტიკაში, თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს მათ გვერდით ვიყავი, მაგრამ სინამდვილეში, ლიტერატურაზე უფრო ბევრს ვფიქრობდი, ვიდრე პოლიტიკაზე. ანუ ვკითხულობდი ფოლკნერს და ვირჯინია ვულფს; ხოლო როდესაც მეგობრები მეკითხებოდნენ: "რომელ პარტიას მიეკუთვნებიან ეს მწერლები?" - ვპასუხობდი, რომ ისინი ჩვენები იყვნენ.

სერიოზულად თუ გაინტერესებთ, აუცილებლობის შემთხვევაში იტალიაში გადავსახლდებოდი. იტალიელები ჩემთვის იგივე თურქები არიან, ოღონდ უფრო ცივილიზებულნი და დაე კვლავ დამადანაშაულონ ანტიპატრიოტიზმში.

**- ძალიან ხშირად მკითხველი "შავ წიგნს" მიიჩნევს ტურისტულ მეგზურად "ჭკვიანებისთვის". ცდილობენ ქალაქში იმის პოვნას, რაც აღწერილია მხატვრულ ნაწარმოებში. როგორ მოგწონთ ასეთი სიტუაცია?**

- დღეს საღამოს აუცილებლად გიჩვენებთ სახლს ნიშანტაშში, ალაადინის დუქანს და თვით ალაადინსაც გაგაცნობთ. სინამდვილეში კი, ეს მე ნაკლებად მაღელვებს. დიახ, ვიცი, რომ ხალხი სტამბულში წამოსვლამდე ყიდულობს ამ წიგნს. მერე რა? დუბლინში წასვლამდე მეც ვიყიდიდი "ულისეს"... არა, მე მომწონს კიდეც, რომ წიგნი გზამკვლევად იქცა, თუმცა, რა თქმა უნდა, წერის დროს ამგვარი გეგმები არ მქონია. ეს უფრო წერილობით გამყარებული ნოსტალგიური აქტი იყო. ამგვარი წიგნი რომ დაგეწერა, რომანში გაფანტული ყველა ამ წვრილმანისა და დეტალების უგონო ფანატიკოსი უნდა ყოფილიყავი. გნებავთ, ჯიუტი ენციკლოპედისტი. "პირველი თურქული ნემის 1956 წელს დამზადდა!" - აი, რა იყო მთავარი.

**- თქვენს წიგნში ძალიან ბევრი თოვლია.**

- თოვლი ჩემი აკვიატებული იდეა, აკვიატებული სახეა და მეტი არაფერი. ის ქმნის განწყობას, რომელიც აუცილებელია ჩემი თხრობისთვის. სახალისო სხვა რამეა - ის, რომ დასავლეთში ხშირად მეკითხებიან თოვლზე. იმათ იქ ჰგონიათ, რომ სტამბულში მუდამ სიცხე და მტვერია და თოვლი არ მოდის; ფიქრობენ, რომ "ისლამი" და "თოვლი" ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია. ვშიშობ, რომ სულ მალე ჩემი წიგნების ყდაზე დათოვლილი სტამბულის ფოტოს მოთავსება მომიწევს.

**- აქ, სტამბულში, ბევრი სხვადასხვა მოსაზრება მოვისმინე თქვენი წარმატებული კარიერის შესახებ. კერძოდ, ამბობდნენ, რომ თქვენს პოპულარობას გავლენიან ნათესავებს უნდა უმადლოდეთ შტატებიდან, რომლებიც გეხმარებოდნენ წიგნის "გაქაჩვაში". როგორ უპასუხებდით ამ პასაჟებს?**

- ნათესავები შტატებში? - ეს რაღაც ახალია. უკანასკნელი, რაც ჩემს შესახებ გავიგე, ის იყო, რომ ებრაელი ვარ, რაც არ არის მართალი. პასუხი კი მარტივია: "მე კარგი ლიტერატურული აგენტი მყავს" - ეს არის და ეს.

**- კარგი, მაშინ კომენტარი გაუკეთეთ, თქვენი აზრით, სად არის ამ ხმების სათავე.**

- მე ვიტყოდი, ეს წმინდა თურქული, პროვინციული შტრიხია. ყველაფერი დიდი ხნის წინ დაიწყო, როდესაც ერთმა "მემარცხენე" მწერალმა რომელიღაც გაზეთის ნომრიდან ნომერში დაიწყო იმის მტკიცება, რომ ებრაელი ვარ. შემდეგ ეს იდეა აიტაცეს ფუნდამენტალისტურმა გამომცემლობებმა. აქ ასეთი რამ ნორმალურად ითვლება - თუ საერთაშორისო წარმატებას მიაღწიე, თუ შენი წიგნებით ფულს შოულობ, თუ წარმატებული და იღბლიანი ხარ, დაუყოვნებლივ შეგრაცხავენ ქემალისტად, ქსენოფობად, სტალინისტად ან ებრაელად. სხვაგვარად არ შეუძლიათ შენი წარმატების ახსნა.

**- ... ნაცნობი სიტუაციაა.**

- ... ის იდეა კი, ჩემი ებრაელობის შესახებ, ყველაზე პოპულარული იყო. ჩემი ნათესავები მეუბნებოდნენ: "შენს გამო ებრაელებიც გავხდით, მთელი ქალაქი ებრაელებად გვთვლის!"

**- ამ ქალაქში, ალბათ, არ გილხინთ. ხომ არ გრძნობთ იზოლაციას ან მარტოობას?**

- ჩემი ფრანკფურტელი მეგობრები მუდმივად თავისთან მიხმობენ. "მეუბნებიან, როდემდე უნდა იცხოვრო თურქეთში, ნახავ, ერთხელაც, ბოლოს რომ მიგიღებენ!" მაგრამ მდგომარეობა არც ისე საშინელია. ეს ყველაფერი - მოგკლავენ, ბოლოს მოგიღებენ - გაზვიადებული ნათქვამებია. თურქები არც იმდენად ბრუტალურები არიან. უფრო მეტიც - მე მომწონს კიდეც ჩემი სახელის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია. ჩემს წინააღმდეგ იმდენი დაიწერა, რამდენიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში არავისზე დაუწერიათ თურქეთში. მე ამ შენიშვნების ერთად შეკრება და წიგნად გამოცემაც კი მინდა დაახლოებით ასეთი სათაურით - "ფამუქის წინააღმდეგ". გახსოვთ, როგორც "შავ წიგნშია", ჯელიალი მიდის ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადინთან და სთხოვს ინტერვიუს, რაზეც ის პასუხობს: "ეს ჩემს წინააღმდეგ ხომ არ იქნება გამოყენებული?"

**- თქვენს წიგნში ძალიან ბევრია უაღრესად "თურქული" background-ი. იმდენად ბევრი, რომ ევროპელი მკითხველი წიგნის დაახლოებით ათ პროცენტს ვერ კითხულობს.**

- უფრო მეტსაც.

**- ... მით უმეტეს. რამდენად შეგნებულადაა გადატვირთული თქვენი ტექსტი?**

- დიახ, რამდენიმე ადგილას თავი მართლა ვერ შევიკავე. გესლიანი სიტყვებიც ვთქვი და აქა-იქ ღვარძლიც გამოვურიე. პრობლემა უფრო სხვა რამეშია: ანუ იმაში, რომ სუფისტური პოეზიის შრე, რომელიც წიგნშია გამოყენებული, ევროპელი მკითხველისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, სხვათა შორის, თურქებისთვისაც.

**- რუსეთში არის სუფისტური პოეზიის თარგმანები, მაგრამ ეს სიტუაციას ნათელს ვერ ჰფენს. კითხულობ ამ ლექსებს და ვერ გაგიგია, რის გამოა მთელი ეს ალიაქოთი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქ, სტამბულში სუფისტურ მონასტერში მოვხვდი და ვნახე იქ მოფუსფუსე დერვიშები, მოვისმინე მუსიკა და შევიგრძენი ბაღში გამეფებული ატმოსფერო - ჩემთვის რაღაც-რაღაცები გასაგები გახდა...**

- ყველაფერი აბსოლუტურად მართალია. სუფიების ტექსტები ჭეშმარიტად უმარილო და ცალსახაა და რაც მათ შეუდარებლობას სძენს, სწორედ ატმოსფეროა; ამას ემატება ისიც, რომ თავად უნდა მიეახლო ტექსტებს იმ რწმენით, თითქოს ისინი - აღმოჩენაა. მე მაღალი წრის მედასავლეთე ვიყავი და სკეპტიკურად ვკითხულობდი მათ ტექსტებს. ვკითხულობდი, ვკითხულობდი და არაფერიც არ ხდებოდა. მაგრამ მათში მოთხრობილი ამბები მართლაც საინტერესოა. აქ ინდური ტრადიციაც არის და ეს ყოველივე ცნობისწადილს აღმიძრავდა. მოკლედ, როგორც ლექსები, ეს ტექსტები სუსტია, ხოლო როგორც იმ დროის შესახებ არსებული ინფორმაცია - საინტერესო.

**- რა როლს თამაშობს თქვენს რომანებში სიუჟეტი?**

- მე სიუჟეტი კი არ მაინტერესებს, როგორც ასეთი, არამედ ისტორია, რომლის დახმარებითაც შემიძლია გადმოვცე აღწერილი საგნის ქსოვილი, არსი და ატმოსფერო, ანუ შემიძლია დავამატო "შავ წიგნს" კიდევ ათასი გვერდი - მაგრამ ეს ისევ ის "შავი წიგნი" იქნება. აი, რაშია საქმე.

**- სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ წიგნს თავისი ატმოსფერო აქვს, რომლის განვრცობა შეიძლება, შეცვლა კი არა?**

- აბსოლუტურად სწორია. სწორედ რომანის ჟანრის ამ კანონის დარღვევისთვის მაკრიტიკებდნენ ყველაზე მეტად, მაგრამ როდესაც "შავ წიგნს" ვწერდი ვცდილობდი იმ ხმით მელაპარაკა, რომელსაც შეერწყმებოდა სხვადასხვა დროისა და სტილის ყველაზე განსხვავებული კულტურული ცნებები და ტრადიციები. მივმართავდი თვითიდენტიფიკაციას. ახლა, როცა ეს მისია შესრულებულია, უკვე შემიძლია თავს უბრალო ისტორიების წერის უფლება მივცე - კვანძებით, კულმინაციებითა და ფინალებით.

**- რას გვეტყვით სტამბულში გატარებულ თქვენს ბავშვობაზე?**

- ორმოცი წლის წინ სტამბული იყო წყნარი, თითქმის სოფლური ყაიდის ქალაქი. დედაჩემი, მე და ჩემი ძმა ერთად ვსეირნობდით ხოლმე უდაბნოსებრ ესთიქლალში, სადაც მარტო ერთი ტრამვაი დადიოდა. ჩვენ შევდიოდით დუქანში და ნახევარი დღე, მაგალითად, ღილს ვეძებდით. როცა ქალაქში მანქანა გამოჩნდებოდა, ერთმანეთს გავძახოდით: "შეხედე, მანქანა!" ამ ნაპირიდან ვყვინთავდით ბოსფორის კამკამა წყალში. მე ზეპირად ვიცოდი ყველა იმ თევზის სახელი, რაც ბოსფორში ბინადრობდა, შემეძლო ერთი სახეობის მეორისგან განსხვავება. დღესაც ძველებურად ვაღმერთებ თევზს, მაგრამ უკვე მომზადებული სახით, რესტორანში. ახლა კი - რა? ახლა ქუჩები სავსეა ხალხით და გზებზე საცობებია. ბოსფორშიც უკვე ვეღარ იბანავებ, ისეთი დაბინძურებულია. ქალაქი ისე გაიზარდა, რომ მის რამდენიმე რაიონში ცხოვრებაში ერთხელაც არ ვყოფილვარ. სხვა მხრივ კი, აი, ეს ხედი ჩემი ფანჯრის წინ, უკვე ათასი წელია, როგორც მინიმუმი, არ შეცვლილა, რაც ძალზე სასიამოვნოა.

**- სტამბულის მიწისქვეშეთზე, კატაკომბებზე, სამალავებსა და საიდუმლო ბაღებზე რაღას იტყვით?**

- ბაღები და მიწისქვეშეთი, რომელსაც წიგნში აღვწერ, ეს ყველაფერი ქალაქის მითოლოგიაა. სტამბულის ყველა ბიჭს აბოდებს მიწისქვეშა გასასვლელები და კატაკომბები, რომლებითაც კონსტანტინოპოლის მცხოვრებნი ალყის დროს ქალაქიდან გარბოდნენ თავიანთი განძეულობით. მაგრამ შესასვლელი დღემდე არ არის ნაპოვნი. სხვა მხრივ ამ მითოლოგიას თავისი რეალური საფუძველიც გააჩნია ყოფა-ცხოვრების დონეზე, როცა შენი სახლის სხვენი მოდერნის, პირველი სართული საიმპერიო ბაროკოს ეპოქის და სარდაფში ჩასასვლელი კი ბიზანტიურ სტილშია აშენებული.

**- დაბოლოს, როგორია თქვენი ცხოვრების განაწესი?**

- ვცხოვრობ მეუღლესთან და ჩემს პატარა გოგონასთან ერთად ნიშანტაშში. იმ სახლის შორიახლოს, სადაც ცხოვრობდა ჰალიპების ანუ ჩემი ოჯახი.

დილით ქალიშვილი მიმყავს ბაღში და ბეიოღლის გავლით ფეხით მივდივარ ოფისში. იქ მისვლას დაახლოებით ოც წუთს ვანდომებ. ოფისში ვწერ (ხელით), ვპასუხობ სატელეფონო ზარებს, ვაწარმოებ მიმოწერას. შემდეგ კი ჩემს ხელნაწერებს თავს უყრის ასისტენტი. საღამოს სახლში ვბრუნდები და ოჯახი ერთად ვვახშმობთ.

როდესაც ჩემი მორიგი წიგნი გამოდის, სარეკლამო ტურნეთი იმ ქვეყანაში მივემგზავრები, სადაც მას გამოსცემენ. შემდეგ ვბრუნდები და ყველაფერი ისევ თავიდან იწყება.

მე მგონი ბედნიერი კაცი ვარ, რას იტყვი?

თარგმნა

ანი არჩვაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე მქვია რომანი

## ანუ თიფლისში ალბათ თოვს!

მალხაზ ხარბედია



ორი თვის წინ, 15 ივნისს, როიტერის საიტზე შესულმა ერთი მოკლე ინფორმაცია აღმოვაჩინე, რომელიც იუწყებოდა, რომ თურქ მწერალს, ორჰან ფამუქს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია IMPAC - ი გადაეცა. პრემია 1996 წელს დაფუძნდა დუბლინში და დღესდღეობით იგი ყველაზე მაღალბიუჯეტიან ჯილდოდ ითვლება ლიტერატურის სფეროში, რომლის ფონდიც 100 ათას ევროს შეადგენს. შარშან, ეს პრემია სახელგანთქმულ ფრანგ მწერალს, მიშელ უელბეკს გადასცეს, სკანდალური რომანისთვის "ელემენტარული ნაწილაკები", წლევანდელი 100 ათასი კი აბსოლუტურად განსხვავებული ხელწერის მქონე პროზაიკოსმა დაისაკუთრა რომანისთვის "მე მქვია წითელი", მწერალმა, ვინაც, ჟიურის წევრების სიტყვით რომ ვთქვათ, "უაღრესად ლამაზი წიგნი შექმნა", "ინტელექტუალური, მახვილგონივრული და დახვეწილი, სადაც ბრწყინვალედ იყო შერწყმული ლიტერატურული წარმოსახვა და ფილოსოფიური განსჯა".

ასეთი ფორმულირებები ყოველთვის ღიმილისმომგვრელია ხოლმე და ამ "რთულ ქვეწყობილებს" უკვე ქართველი მკითხველიც კი შეეჩვია (ძირითადად სანობელე წარდგინებებიდან), მაგრამ როცა საუბარი ორჰან ფამუქისნაირ მწერალზე მიდგება, ძნელი ხდება რაიმე ერთი ფრაზით მისი დახასიათება.

წელს ამ ტიპის ფორმულირებებს ბევრი თანამედროვე სიტყვის ოსტატი გადაურჩა, რადგან პრემიაზე ფამუქის გარდა ისეთი სახელოვანი მწერლებიც იყვნენ წარდგენილნი, როგორც მარიო ვარგას ლიოსა, ჯონ ირვინგი, ჰარუკი მურაკამი, იენ მაკიუენი, ამელი ნოტომი, არტურო პერეს-რევერტე და სხვები.

* * *

ორჰან ფამუქი 1952 წლის 7 ივნისს დაიბადა სტამბულში, სწავლობდა არქიტექტურას სტამბულის ტექნიკურ უნივერსიტეტში და პარალელურად ჟურნალისტიკასაც ეუფლებოდა. მისმა პირველმა რომანმა "ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები" 1979 წელს პირველი პრიზი მიიღო Milliyet Press-ისგან, 1983 წელს კი იგივე რომანი ორჰან ქემალის სახელობის ჯილდოთი აღინიშნა. 1984 წელს, რომანისთვის "წყნარი სახლი" Madarali Novel Prize მიენიჭა. სახელი გაითქვა 1985 წელს შექმნილი რომანით "თეთრი ციხე-სიმაგრე", შემდეგ კი მსოფლიო აღიარება მოუტანა რომანმა "შავი წიგნი", რომლის მიხედვითაც 1992 წელს ცნობილმა თურქმა რეჟისორმა ომენ ქავურმა ფილმი გადაიღო. 1998 წელს ფამუქმა უარი თქვა თურქეთის სახალხო მწერლის წოდებაზე, - ქვეყნის მთავრობის მიერ ქურთების წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკის საპასუხოდ. 1995 წელს კი გამოვიდა მისი ყველაზე სახელგანთქმული რომანი "მე მქვია წითელი", წიგნი, სადაც მოქმედება XVI საუკუნეში ვითარდება, სადაც ავტორი დეტექტიურ სიუჟეტსაც ხლართავს და სევდიან ეროტიულ თავგადასავალსაც გვიამბობს, ფილოსოფიურ განსჯებს კი აღმოსავლური პოეტურობით აზავებს.

* * *

როგორც ხედავთ, ვერც მე გადავურჩი მოკლე ფორმულირებას. ამიტომ, შევეცდები უფრო კონკრეტულად მოგითხროთ ამ რომანის შესახებ, თავდაპირველად კი თავად ავტორის თხრობით სტრატეგიაზე მინდა ვისაუბრო.

წიგნი 59 თავისგან შედგება და მასში 20 მთხრობელი ყვება თავის ისტორიას, ამბავი კი მიცვალებულის (მოკლულის) მონოლოგით იწყება: "მე მკვდარი ვარ, მე ვარ გვამი ჭის ფსკერზე... და არავინ, მკვლელის გარდა, არ იცის რა მოხდა ჩემს თავს". მოკლული იქვე, მეორე გვერდზევე გაგვანდობს ავტორის ჩანაფიქრს, როცა ერთი კაცის ამბავს მოგვითხრობს, ვინც ცნობისმოყვარეობამ ბრძოლის ველზე გაიყვანა, მოკლულთა შორის სასეირნოდ, იმის იმედით, რომ ნახავდა ვინმეს, გაცოცხლებულს, საიქიოდან მობრუნებულს და მისგან გაიგებდა იმქვეყნიურ საიდუმლოს. თემურ ლენგის მეომრები ამ კაცს მტრად მიიჩნევენ და ხმლით შუაზე გაჩეხავენ. კაცი იფიქრებს, იმქვეყნად ადამიანები თურმე შუაზე იყოფიან, ორ ნაწილადო, მაგრამ მალევე შენიშნავს, პირიქით, გაორება მიწაზეა, ამქვეყნად, საიქიოში კი სულები ერთიანდებიანო.

აი ასეთ "სულთა ერთიანობას", ანუ ლიტერატურის ენაზე რომ ვთქვათ, კვანძის გახსნას, "მკითხველთა ერთიან ამოსუნთქვას" გვპირდება ნაწარმოები და ამ აზრს "მკვდრის" კიდევ ერთი შენიშვნა თუ თხოვნაც ამყარებს: "მინდა რომ იცოდეთ: ყველაზე მდიდრულ სასაფლაოზეც რომ დამმარხონ, საფლავში მანამ ვიტრიალებ, მანამ ვერ მოვისვენებ, სანამ ჩემს მკვლელს არ იპოვიან. იპოვეთ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზარელი არსება და გამოწვლილვით მოგიყვებით ყველაფერს, რასაც საიქიოში ვნახავო". ესეც წიგნის დეტექტიური პროლოგი, დეტექტივის აღმოსავლური ვერსია, სადაც ზეციური სასუფეველივით გვპირდებიან მკვლელის პოვნას, ოღონდ ყველაფერი ეს მხოლოდ თხრობითი ლაბირინთების გავლის შემდეგ მოხდება და ამ ლაბირინთებში ისევე შეიძლება გზა აგებნას, როგორც სტამბულის ქუჩათა ხლართებში.

* * *

ეს ამბავი იმ დროისაა, როცა სტამბული შედარებით პატარა და ღარიბული, მაგრამ სამაგიეროდ, უფრო ბედნიერი ქალაქი იყო, როცა ფადიშაჰები მოცალეობისას წიგნების კითხვასა და მინიატურების ჭვრეტაში ატარებდნენ დროს: ძლიერი, ჭკვიანი და სასტიკი მმართველები, რომელთაც მხოლოდ თავიანთი ქალიშვილები და თავიანთივე შეკვეთით შექმნილი წიგნები უყვარდათ.

ერთ-ერთი ასეთი ფადიშაჰის მიერ შეკვეთილი წიგნის გარშემო ტრიალებს რომანის მთელი სიუჟეტი და ყველა მთხრობელი სწორედ ამ წიგნის შექმნასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა გააერთიანა.

მთხრობელთა შორის, ბევრი უსულო არსებაცაა, მაგრამ სიუჟეტს ძირითადად სულიერები ქსოვენ. პირველ რიგში ესაა ყარა, ადამიანი, ვინც რომანში გამომძიებელიცაა (ეს ტიტული ძალზე პირობითად შეგვიძლია მივანიჭოთ მას) და ეჭვმიტანილიც, შეყვარებული გმირიცა და გულმოდგინე მხატვარიც - თავისი ფილოსოფიური ჭვრეტებითა და აღსარებებით.

თორმეტწლიანი ყარიბობის შემდეგ ყარა მშობლიურ სტამბულს უბრუნდება: "ამბობენ, მიცვალებულებს მიწა უხმობს, მე კი სიკვდილმა მომიხმო. ვბრუნდებოდი ქალაქში და მხოლოდ სიკვდილზე ვფიქრობდი, მაგრამ სიყვარული დამხვდა, რომელიც ისეთივე შორი და მივიწყებული იყო, როგორც ჩემი ქალაქი". ამ ძველ სიყვარულს შექიურე ჰქვია, იგი ყარას ბიძაშვილია და თავის დროზე სწორედ ამ სიყვარულის გამო წავიდა ყარა ქალაქიდან, რადგანაც ბიძამისმა, ოსტატმა ენიშთემ (ვინც ყარას ხატვას ასწავლიდა) არ მოიწონა მათი საქციელი და ნათესავი სახლიდან გააძევა... და ყარაც თორმეტი წლით დაემშვიდობა თორმეტი წლით უმცროს მიჯნურს, შექიურესა და წაბლის ჩრდილში ჩაფლულ ქუჩებს. ამის შემდეგ შექიურე მალე გაათხოვეს, მეომარზე, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთი ლაშქრობისას დაიკარგა და ვისგანაც შექიურემ ორი შვილი, შევქეთი და ორჰანი გააჩინა.

ამათგან შევქეთი არაფერს ჰყვება, სამაგიეროდ ავტორის უფლებით აღჭურვილი პატარა ორჰანი თავიდანვე ერთვება თხრობაში, რომანის ბოლოს კი, დედამისის უცნაური შენიშვნა თავად ავტორის, ორჰან ფამუქის ჩანაფიქრის მოხდენილობასაც გაგვანდობს (ამაზე მოგვიანებით).

რომანში კიდევ არიან მთხრობელები: ენიშთე ეფენდის მოსწავლეები - ქელებექი, ლეილექი და ზეითინი, ებრაელი ქალი ესთერი, ოსტატი ოსმანი, ძაღლი - ყავახანაში დაკიდებული ნახატიდან, ოქროს მონეტა, ხე, ცხენი, სიკვდილი, შაითანი, ორი დერვიში (ასევე მინიატურებიდან) და რაც მთავარია - თავად წითელი ფერი, რომანის მთავარი ხმა.

ყველა ეს პერსონაჟი მკითხველთან, ანუ ჩვენთან ახლო ურთიერთობაში აცნობიერებს თავის არსებას. მაგალითად, თავიდანვე ყარა იმ მკითხველს მიმართავს, ვინაც ინტერესი გამოიჩინა მისი ამბავის მიმართ და ნახატისა და ბედნიერების შესახებ განსჯას შეუდგება, თავის მხრივ კი შექიურეც გვიზიარებს თავის გულისნადებს: "არ გაგიკვირდეთ, რომ თქვენ გესაუბრებით. მრავალი



წლის მანძილზე, მამის წიგნების თვალიერებისას მუდამ ლამაზმანთა გამოსახულებებს ვეძებდი. ისინი ყოველთვის დარცხვენილნი ჩანდნენ, მათი შეწუხებული მზერა ყოველთვის უჭვრეტდა რაღაცას, ან ვიღაცას, თითქო პატიებას ითხოვენ თავიანთი სილამაზის გამოო. ისინი არასდროს უყურებენ სამყაროს ამაყად თავაწეულები - როგორც კაცები, მეომრები ან ფადიშაჰები. მაგრამ სახელდახელოდ შექმნილ იაფფასიან წიგნებში, ზოგიერთი ქალი მიწას კი არ დაჰყურებს, რაიმე საგანს, არამედ პირდაპირ მკითხველისთვის მიუპყრია მზერა. და მე ყოველთვის ვფიქრობ ხოლმე: ვინაა ის მკითხველი, ვისაც ის უყურებს?"

რა თქმა უნდა, ეს თამამი მზერა თავად შექიურეს ეკუთვნის და არამხოლოდ მას; თითქმის ყველა მთხრობელი პირდაპირია და მოურიდებელი თავის მკითხველთან. აქვე ჩანს ავტორის თვითირონიაც, რომელიც ფაქტობრივად, სახელდახელოდ შექმნილ, იაფფასიან წიგნად ასაღებს თავის რომანს, საიდანაც ვარსკვლავიანი ზეცასავით - პერსონაჟთა მირიადი თვალი გვიყურებს, ჩვენი თანაგრძნობის იმედად რომ კიაფობენ ხოლმე.

ამ რომანში პერსონაჟები ხან მაგარი ყავის მოდუღებისკენ მოგვიწოდებენ, რათა თვლემა არ მოგვერიოს, ყურადღებით მოვისმინოთ და არაფერი გამოგვეპაროს მონათხრობიდან, ხან კი იმასაც ხვდებიან, რომ უკვე ვიცით მომხდარის შესახებ და იძულებულნი ხდებიან ამჯერად მხოლოდ თავისი გრძნობები გაგვიზიარონ. ზოგჯერ ისინი უეცრად მოწყდებიან ხოლმე თავიანთ ამბავს, როგორც ფოთოლი ხეს და ამ დროს თხრობაში განსჯა იჭრება, იწყება ფილოსოფიური თუ სახელოვნებო საკითხების გარკვევა. ასეთი გადასვლები კარგად აღწერა ენიშთე-ეფენდიმ, როცა საკუთარი სიკვდილის სცენას გვიყვებოდა. მან ჯერ ფერებით გადმოგვცა თავისი მდგომარეობა: ყვირილი მწვანე ფერით "დახატა", სიკვდილი - წითლით, რომელიც ნელ-ნელა გათეთრდა და მასთან ერთად, მისი მოგონებებიც თითქოს თოვლმა დაფარა, შემდეგ კი ყველაფერი ერთიან სურათად წარმოგვიდგინა: "ყველაფერი ერთდროულად ხდებოდა, როგორც დიდ სურათზე, სადაც ხუმარა მხატვარმა ყოველ კუთხეში ერთმანეთთან დაუკავშირებელი სცენები მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახატა.“

ჩვენი ორჰანიც, ამ ხუმარა მხატვარივით, მიმდგარა და ავსებს ყველა ღრიჭოს რომანში, ხან რას გვიყვება, ხან რას – “ხოსროვი და შირინის“ სცენებით დაწყებული – ძველი შირაზელი თუ ჰერათელი მხატვრების ამბებით დამთავრებული. ეს ამბები თითქოს მართლაც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მაგრამ ამის გარეშე ხომ არამხოლოდ ფამუქის რომანი, არამედ ზოგადად ეს ჟანრი დაკარგავდა თავის ძალას?!

ასეთ ჩანართებში ყველაზე ხშირად ძველი ოსტატების შესახებ მოგვითხრობენ ხოლმე. თითქმის ყველა პერსონაჟს, ამა თუ იმ მოვლენის საილუსტრაციოდ თუ სანიმუშოდ სპარსული მინიატურის სცენები და მათი ავტორების უცნაურობანი აკერიათ პირზე. მაგალითად, როდესაც მკვლელი, ოთხი დღის შემდეგ დანაშაულის ადგილს დაუბრუნდება, რატომღაც XV საუკუნის დიდი ჰერათელი მხატვარი, ბეჰზადი ახსენდება: “ბეჰზადმა იცოდა თავისი ძალა; იგი არსად ტოვებდა ხელმოწერას – ნახატის ყველაზე მიმალულ კუთხეშიც კი... ბეჰზადი შედევრებს ქმნიდა და ყოველთვის ცდილობდა კვალი არ დაეტოვებინა, რის მიხედვითაც ამ საოცრებათა შემოქმედს ამოიცნობდნენ.

მინდოდა გამეგო, დარჩა თუ არა დანაშაულის ადგილას რაიმე კვალი და იმ უდაბურ ადგილას ავედი, სადაც ჩემი ძველი მეგობარი მოვკალი. უეცრად სტილისა და მანერის შესახებ დავიწყე ფიქრი... თოვლს ყველა კვალი წაეშალა, რომელიც დაუდევრობის გამო ხელმოწერასავით დავტოვე. ოთხი დღის წინ უპატიებელი ცოდვა რომ ჩამედინა, ალაჰი ამდენს არ იზრუნებდა ჩემზე, ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ ალაჰი იზიარებდა ჩემი და ბეჰზადის თვალსაზრისს სტილისა და ხელწერის შესახებ.“

რომანში ბევრს საუბრობენ ხატვის აღმოსავლურ და დასავლურ მანერაზე; დეტექტიური სიუჟეტი კი ძირითადად ვენეციურ, გიაურთა სკოლასა და აღმოსავლურ სკოლებს შორის “ურთიერთობაზე“ იგება.

აქ შეხვდებით შირაზელ მხატვრებს, რომელთაც ჰორიზონტის ხაზი ნახატში მაღლა ასწიეს და ახალი სტილი შექმნეს მხატვრობაში; გაიგებთ, რომ მხატვრობა ესაა სიჩუმე – გონებისთვის და მუსიკა თვალისთვის, რომ ალაჰისგან მხატვრისთვის ყველაზე დიდი წყალობა – სიბრმავეა, რადგან მხოლოდ ბრმა მხატვრის მეხსიერებით შეიძლება გაიგო, როგორ ხედავს ალაჰი სამყაროს. მხატვარი ხომ მთელი ცხოვრება ხელს იწაფავს, რათა სიბერეში ხელმა თავისით დახატოს შედევრი. ეს კი მაშინ მოხდება, როცა სიბრმავის უკუნში მას თვალწინ ალაჰის გამოსახულება დაუდგება და მხატვარსაც შთაგონება ეწვევა.

“მანამ, სანამ ადამიანები ხატვას დაიწყებდნენ, უკუნი იყო. როცა ისინი თავს დაანებებენ ხატვას, ისევ უკუნი ჩამოწვება. საღებავების, ნიჭისა და სიყვარულის წყალობით ჩვენ ყველას ვახსენებთ ალაჰის ბრძანებას – ვიყურებოდეთ და ვხედავდეთ. გახსოვდეს – ნიშნავს იცოდე ნანახი. იცოდე – ნიშნავს გახსოვდეს, რაც დაინახე. ხედავდე – ესაა იცოდე, ისე, რომ არ გაიხსენო. ე.ი. ხატვა – ესაა უკუნის გახსენება... ალაჰმა სამყარო სანახავად შექმნა. შემდეგ სიტყვები მოგვცა ნანახის გადმოსაცემად, მაგრამ ეს სიტყვები ჩვენ ამბებად ვაქციეთ და ვფიქრობდით, რომ ნახატი მხოლოდ დამატებაა ამ ამბებისა. თუმცა, სინამდვილეში, ხატავდე – ნიშნავს ეძიებდე ალაჰს და ხედავდე სამყაროს ისეთს, როგორსაც ის ხედავდა.“

რომანში ბევრი იმ უკანასკნელ ნახატზე ოცნებობს, რომელსაც დაბრმავებამდე დაათვალიერებდა, თვალის ჩინს მისი ცქერისას გამოეთხოვებოდა და ნახატის უსასრულო დროში გაუჩინარდებოდა. ზოგი კი თავისი ხელით ითხრის თვალებს, ნემსით, რათა მისი მოწაფე, შემდეგ, ამ ნემსის წვერზე შერჩენილ წვეთს ლუპით დააკვირდეს, “როგორც სევდიან სასიყვარულო სცენას“.

ორჰან ფამუქიც ასევე ლუპით აკვირდება თავის პერსონაჟებს, თუმცა ისინი ხშირად გამოდიან ამ საჭვრეტი სივრციდან და გათავისუფლებულნი არც მკითხველს ერიდებიან და არც ავტორს. რომანის ბოლოს მოთავსებული, პატარა ორჰანის დედის (შექიურეს) მონოლოგი ასეთი გათავისუფლების სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. აქ თითქოს ავტორიც თავისუფლდება ამბისგან, რომლის თხრობაც ეს-ესაა დაასრულა:

“ჩემი ორჰანი – საბრალო, მუდამ ნერვიული, შეურიგებელი და უბედური; მას არ ეშინია, როცა ვინმეს უსამართლოდ აძაგებს ხოლმე. ამიტომაც არ დაუჯეროთ, თუკი ყარას უფრო დაბნეულს აღწერს, შევქეთს კი უფრო ბრაზიანს, ვიდრე სინამდვილეში. არც ისეთი ლამაზი და თავნება ვარ, როგორც წიგნში და ასეთი მძიმე ცხოვრებაც არა გვქონია. რას არ მოიგონებენ, რომ ამბავი უფრო საინტერესო იყოს და ჩვენც დავიჯეროთ ეს ყველაფერი.“

წერილი ერთი ეპიზოდით მინდა დავასრულო ორჰან ფამუქის რომანიდან. ამ ეპიზოდში ოსტატი ოსმანი ჩვენს ქალაქს იხსენებს: “აჰ, თიფლისი, იქ ახლა ალბათ თოვს!“ და დასძენს, “როცა თიფლისის ციხეში თოვლი მოდის, ქალები ყვავილებზე მღერიან ხოლმე, ბალღები კი თოვლს ბალიშის ქვეშ მალავენ – ზაფხულისთვის“-ო. ორჰან ფამუქმაც, როგორც ჩანს, ეს გადამალული თოვლი იპოვა თავის წარმოსახვაში, თოვლი კი წიგნად გადნა და თბილისშიც ჩამოაღწია, იმ ბალღების შორეულ მემკვიდრეებთან.

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჰან ფამუქი

# მე მქვია წითელი

## თავი რომანიდან "მე მქვია წითელი"



მე მიხილავდით "შაჰნამეს" ავტორის, ფირდოუსის ხიფთანზე. იმ დღეს, ჰერათში მისული პოეტი გაქირდეს შაჰ მაჰმუდის კარის მგოსნებმა, შემდეგ კი განცვიფრდნენ, როდესაც ფირდოუსიმ უმალ მოიგონა ურთულესი რითმა ოთხტაეპედის ბოლო სტრიქონისთვის. ოდეს "შაჰნამე" ლეგენდარული გმირი, როსტომი შორეულ მხარეში გაეშურა დაკარგული რაშის საძებრად, მის კაპარჭს ვამშვენებდი და ვაფერადებდი სისხლს, რომელიც სდიოდა დაჭრილ როსტომს საზარელი ურჩხულის მოკვლის შემდეგ. საბნის ნაკეცებში მოვიკრუნჩხე, როდესაც დევგმირი სიყვარულს ეძლეოდა მისი მასპინძლის, შაჰის პირმშვენიერ ასულთან. ჩემ გარეშე ვერვინ დახატავს, როგორ დაამუხანათა ტურმა თავისი ძმა, ირეჩი, და თავი მოკვეთა მას, ან ველზე როგორ შეერკინა ერთურთს ორი მძლავრი ლაშქარი და მცხუნვარე მზისგან რეტდასხმულ ალექსანდრეს სისხლი წასკდა ნატიფი ცხვირიდან. მე ვიყავი იმ ტურფა ქალის სამოსზე, რომელიც, მისი გამოსახულების დანახვისთანავე, შეუყვარდა სასანიანთა დინასტიის შაჰს, ბარამ-გურს, და მივიდა, და ღამე გაატარა მასთან. ჩემით იყო შეფერილი გვირგვინი და ტანსაცმელი ხოსროვისა, როდესაც ის შირინს შეუყვარდა. მე ვგიზგიზებდი იმ ლაშქრების დროშებზე, გარს რომ ერტყმოდნენ ციხე-სიმაგრეებს, სუფრებზე, რომლებითაც ამკობდნენ სადღესასწაულო ნადიმებს, აგრეთვე - მზეგრძელი ფადიშაჰის ფეხებთან დაჩოქილი დესპანების ხიფთანებზე, ხოლო ბავშვთა სათაყვანებელ საომარ სცენებში ვატყვევებდი მონუსხულ მაყურებელთა თვალს. აუცილებლად მნახავთ ნახატებზე, სადაც გამოსახულია უშაქურ ხალიჩებზე მსხდომი შაჰები და მიჯნურები: ინდოეთიდან და ბუხარიდან ჩამოტანილ ქაღალდზე წმინდა ფუნჯებით მხატავენ შეგირდები, რომელთაც თვალს ადევნებენ დახელოვნებული ოსტატები. ყველგან ვარ: მოხატულ კედლებზე, ნარნარი ქალების პერანგებზე, დარაბის ღრიჭოდან რომ უთვალთვალებენ ქუჩას, მოჩხუბარი მამლების ბიბილოებზე, ბროწეულებსა და საარაკო ქვეყნების სხვა ხილზე. აი, მიცქირეთ ეშმაკის ხახაში, კარვების კლაკნილ ორნამენტში, ფერმწერთა მიერ საკუთარი სიამოვნებისთვის დახატულ საუცხოო ყვავილებში, ალუბლებში, რომელთაც თვალების ადგილას აწებებენ ხოლმე ფრინველთა შაქრის ფიგურებს, მწყემსთა ჭრელ წინდებზე, მოელვარე ცისკრებსა და მოლაშქრეთა იარებში. მიყვარს, როდესაც ჩემით აფერადებენ საბრძოლო სცენებს, სადაც სისხლი ყვავილებივით იფურჩქნება, გამოჩენილ პოეტთა ხიფთანებსა და ღვინოს (მშვენიერი ჭაბუკები და პოეტები რომ სვამენ ბუნების წიაღში, როდესაც მუსიკას უსმენენ), ანგელოზთა ფრთებსა და ქალთა ბაგეებს, ჭრილობებსა და ცხედართა მოკვეთილ სისხლმდენ თავებს.

მესმის: როგორ კითხულობთ: რას ნიშნავს, იყო ფერი?

ფერი - ესაა თვალით შეხება, ან, თუ გნებავთ, მუსიკა - ყრუთათვის, ან კიდევ - წყვდიადში გაჟღერებული სიტყვა. ათასობით წლების განმავლობაში ვუსმენ, როგორ საუბრობენ სულები წიგნებსა და საგნებში, - ეს ქარის ზუილს წააგავს, - და ამიტომ ვამტკიცებ, რომ ჩემი შეხება იგივეა, რაც - ანგელოზის მიკარება. ორი ნაწილისგან შევდგები: ერთი მათგანი მძიმეა და თქვენს თვალებს ესაუბრება, მეორე კი მსუბუქია - და ჰაერში დაფარფატებს თქვენს მზერასთან ერთად.

ბედნიერებაა, რომ წითელი გახლავართ! შინაგანად ვიწვი, მტკიცე ვარ, მკვეთრი, და ვერავინ დამჯაბნის.

განა ვიმალები? სიფაქიზის, მოხდენილობისა და სინაზის მოსურნე კი არა ვარ, არამედ - გაბედულების, შეუპოვრობის მოთაყვანე. არ ვუფრთხი სხვა ფერებს, ჩრდილებს, მათ სიმრავლეს ან საკუთარ მარტოობას. რარიგ ვტკბები, როდესაც ზედაპირს ვავსებ ჩემი ძლევამოსილი ცეცხლით? იქ, სადაც მე ვარ, თვალები ელავს, ვნებები დუღს, წარბები იწკიპება და გულები გამალებით ძგერს. შემხედეთ: სიცოცხლე მშვენიერია! დამაკვირდით: საუცხოო რამაა ხედვა. ცხოვრება ხედვას ნიშნავს. მე ყველგან მხედავენ. სიცოცხლე ჩემით იწყება და ყველაფერი მე მიბრუნდება, მერწმუნეთ.

იყუჩეთ და მისმინეთ, რატომა ვარ ეგზომ თვალისმომჭრელად წითელი. ოსტატმა როდინში დანაყა ყველაზე წითელი გამხმარი მწერები ინდოეთის ყველაზე ცხელი მხარეებიდან, ერთი დირჰემი საპონა, ნახევარი დირჰემი მინდვრის ბალახი, და დაამზადა ხუთი დირჰემი ფხვნილი. მან ქვაბში სამი ოყა წყალი ჩაასხა და საპონა მოხარშა, შემდეგ მეორე ბალახი დაუმატა, ცეცხლზე დადგა და ხარშავდა, სანამ არ დადგა გემრიელი, სურნელოვანი ყავის დალევის დრო. სანამ ოსტატი ყავას სვამდა, მოუთმენლობისგან სული მელეოდა - როგორც იმ ბავშვს, რომელიც, ეს-ესაა, უნდა დაიბადოს. ყავამ ოსტატს გონება გაუნათა, მზერა გაუმახვილა. ის მივიდა ქვაბთან, მასში წითელი ფხვნილი ჩაყარა და საგანგებო ჩხირით საგულდაგულოდ მოურია. ახლა ნამდვილად შეიქმნება წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელი საღებავი, მთავარია - ჩემი სისქე; ზედმეტი დუღილი საჭირო არაა. ოსტატმა ჩხირით აიღო ერთი წვეთი საღებავი და ცერის ფრჩხილზე დაიპკურა (სხვა ფრჩხილები საამისოდ გამოუსადეგარია). რა საამოა, იყო წითელი საღებავი! ფრჩხილი წითლად შევღებე. წყალივით როდი ჩამოვწკანწკარდი. სისქე საკმარისია, მაგრამ ნახარშს ლექი აქვს. ოსტატმა ქვაბი ცეცხლიდან გადმოიღო, ჩვარში გადამხურა და დავიწმინდე. შემდეგ მან ორჯერ წამომადუღა, ცოტაოდენი შაბი დამამატა და გასაცივებლად გადამდგა.

გავიდა რამდენიმე დღე. ქვაბში განვისვენებდი და უმოქმედობისგან გული მეწვოდა - საჭიროა, რომ ჩემით ნახატები გაალამაზონ, ყველგან გამომიყენონ. დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ მაინც რას ნიშნავს, იყო წითელი საღებავი?

სპარსეთის ერთ ქალაქში, სადაც ბრმა ფერმწერი ხატავდა ოდესღაც ნანახ შეკაზმულ ცხენს, ხოლო შეგირდი უნაგირს აფერადებდა, ორი ოსტატის საუბარი მოვისმინე.

უსინათლომ თქვა: "მთელი სიცოცხლის განმავლობაში შთაგონებითა და რწმენით ვიღვწოდით, ამიტომ ბოლოს დავბრმავდით. ვნახეთ და ვიცით, რა არის წითელი ფერი, როგორ გრძნობას აღგვიძრავს. დაბადებიდანვე ბრმები რომ ვყოფილიყავით, როგორ გავიგებდით არსს წითელი საღებავისა, რომლითაც ჩვენი შეგირდი ხატავს?

- კარგი შეკითხვაა, - მიუგო მეორემ, - მაგრამ ფერის გაგება შეუძლებელია. ის უნდა შეიგრძნო.

- მაშინ აუხსენი იმას, ვისაც ის არასოდეს უნახავს, როგორია წითელი ფერის შეგრძნება.

- მას რომ თითით შევეხოთ, გვეგონება, თითქოს რკინას ან სპილენძს შევეხეთ. ხელში რომ აგვეღო, წვას ვიგრძნობდით. გემოთი ეს ფერი ნოყიერი იქნებოდა, მარილიანი ხორცის მსგავსად. მისი სუნი ცხენის სუნივით მძაფრია, ხოლო თუ ამ სუნს ყვავილს შევადარებთ, მაშინ ეს ყვავილი გვირილა იქნებოდა და არა - ვარდი.

ას ათი წლის წინ, როდესაც ჯერ არ არსებობდა საშიშროება ევროპული ფერწერის სახით, ჩვენი სახელგანთქმული მხატვრები, რომლებსაც ისევე ურყევად სწამთ თავიანთი ფერები, როგორც - ალაჰი, დასცინოდნენ იმას, რომ ხმლით ნაჩეხი ჭრილობის ან ჩვეულებრივი მატყლის ხატვისას ევროპელები სარგებლობდნენ წითელი საღებავის სხვადასხვა ნიუანსებით. ამას ჩვენი ოსტატები მიუტევებელ უმეცრებად მიიჩნევდნენ. მხოლოდ უვიცი, გაუბედავი და უნებისყოფო მხატვარი გამოიყენებს წითელი ხიფთანისთვის საგანგებო ელფერის წითელს. და ამას ვერ გაამართლებს ჩრდილების მონიშვნის საჭიროება. არსებობს მხოლოდ ერთი წითელი ფერი და მხოლოდ მას უნდა ვენდოთ.

- როგორია წითელი ფერის საზრისი? - იკითხა ბრმა მხატვარმა.

- ნებისმიერი ფერის საზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ის ჩვენ წინაშეა, რომ მას ვხედავთ, - უპასუხა მეორემ, - ვისაც არ უნახავს წითელი ფერი, მას ვერ განუმარტავ.

- ალბათ, მწვალებლები, ულმერთოები ამბობენ, რომ ალაჰი არ არსებობს, რაკი მას ვერ ვხედავთ, - თქვა პირველმა.

- მას ხედავენ ისინი, ვისაც ძალუძს ხედვა, - შენიშნა მეორემ, - ყურანში ნათქვამია, თვალხილული და ბრმა ერთმანეთს ვერასოდეს შეედრებიანო.

ლამაზი ჭაბუკი ნელ-ნელა წითლად აფერადებდა უნაგირს. ნახატის კონტურებს ვავსებდი, მას ჩემს ხალისსა და ძალმოსილებას ვანიჭებდი. სიხარულისგან მელიტინებოდა, როდესაც მთელ ქაღალდს ვეფინებოდი კატის ბეწვისგან დამზადებული ფუნჯის მეშვეობით. მე ვაფერადებ სამყაროს, და ვამბობ: "იქმენინ!", და მას სისხლისფერი ედება. შესაძლოა, ვიღაც ვერ ამჩნევს ამას, მაგრამ, დამიჯერეთ, ყველგან ვსუფევ.

თარგმნა

ლია თვალიაშვილმა

არილი



# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

---

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

---

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**



**სარედაქციო საბჭო**
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - ნანა ჩხვიმიანი
*კომერციული დირექტორი* -
გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე



ტელ: 93-37-43; 99-83-00
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე





---


**№6, 31 აგვისტო, 2003**


---

## ლიტერატურა


ბესო ხვედელიძე
სამი მოთხრობა ........ 1

გივი ალხაზიშვილი
ქაცვიას დღიურიდან ........ 8

დათო ქარდავა
"რა გინდათ, ქალბატონო?" ........ 11

ალენ გინზბერგი
ამერიკა ........ 13

შოთა იათაშვილი
ლექსები ........ 15

ბასა ჯანიკაშვილი
ლექსები ........ 18

გაო შინჯიანი
საგზაო შემთხვევა ........ 19

ეჟი პილხი
მონოლოგი სოროდან ........ 23

ვლადისლავ ხოდასევიჩი
ანდრეი ბელი ........ 36

კრისტოფერ მიდლტონი
რობერტ ვალზერის რომანის,
"იაკობ ფონ გუნტენის" წინასიტყვაობა ........ 47

ლუიჯი პირანდელო
უფალი ღმერთი ........ 52


## პერსონა


ინტერვიუ ორჰან ფამუქთან ........ 55

მალხაზ ხარბედია
მე მქვია რომანი ........ 60

ორჰან ფამუქი
მე მქვია წითელი ........ 63

# "არეტე"

1-50

ჯ9280/5

ეროვნული ბიბლიოთეკა




ახალი
გამომცემლობა




ახალი
წიგნები